

საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შედეგ



საპარლამენტო
კონტროლი
იურიდიული
ასოციაცია

**საპარლამენტო კონტროლი
კონსტიტუციისა და რეგლამენტის
რეფორმის შემდეგ**

თბილისი
2020

კვლევა მომზადებულია პროექტის - „უსაფრთხოების სექტორში საიდუმლო შესყიდვებზე საპარლამენტო ზედამხედველების ხელშეწყობა“ - ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს მიერ. კვლევაში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს საია-ს პოზიციას.

კვლევის ავტორები

კვლევის ხელმძღვანელი და სამეცნიერო რედაქტორი: ვახუშტი მენაბდე
მკვლევარები: გიორგი ალავერდიაშვილი
თორნიკე ბერლიანი
ანა ჯაბაური
კვლევის ასისტენტი: ნიკოლოზ ოდიკაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: სულხან სალაძე

ტირაჟი: 300ც.

ISBN 978-99940-804-8-9

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. მეთოდოლოგია	4
შემოკლებანი	9
მიზნები	10
2. სამთავრობო პროგრამა, პრემიერმინისტრის ანგარიში, მინისტრის საათი და ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე მონაწილეობა	15
3. სამთავრობო საათი (Question Time)	28
4. ინტერპელაცია	32
5. პარლამენტის წევრის კითხვა	41
6. საკომიტეტო კონტროლი	45
7. ნდობის ზგუფი	60
8. საპარლამენტო კონტროლის Ad Hoc მექანიზმები	68
9. შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროები	89
10. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	95
11. დაგვერვის სამსახური	102
12. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	106
რეკომენდაციები	107
ბიბლიოგრაფია	112
დანართები	117

1. მეთოდოლოგია

1.1. კვლევის მიზნები, საანგარიშო პერიოდი და სუბიექტები

2017-18 წლების მასშტაბურმა საკონსტიტუციო რეფორმამ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებიც მოიცვა. ამ სიახლის კვალდაკვალ საკანონმდებლო ორგანომ სრულიად ახალი რეგლამენტი მიიღო, რომელმაც არა მხოლოდ დააზუსტა უზენაესი კანონით გათვალისწინებული ზედამხედველობის ინსტრუმენტები, არამედ პარლამენტს სხვა ახალი ბერკეტებიც შესთავაზა. კვლევა სწორედ ამ ცვლილებათა ეფექტიანობის ხარისხის გაზომვას ცდილობს. ორივე დოკუმენტი ძალაში შევიდა 2018 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს მე-5 პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. შესაბამისად, ანგარიში, უმთავრესად, მათი ამოქმედებიდან 2020 წლის სამემოდგომო სესიამდე (31 აგვისტოს ჩათვლით) არსებული პერიოდის ანალიზს მოიცავს.

წინამდებარე დოკუმენტის ფოკუსშია საქართველოს მთავრობისა და უსაფრთხოების სექტორის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი. გაანალიზებულია როგორც ზედამხედველობის ზოგადი მექანიზმები, ისე, კონკრეტულად, უსაფრთხოების სექტორის გასაკონტროლებლად შექმნილი ინსტიტუტები. ამ მიდგომამ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა, ერთი მხრივ, ნორმატიულ დონეზე არსებული ხარვეზები, ხოლო, მეორე მხრივ, მათი აღსრულებისას პრობლემები. კვლევის ავტორებმა არა მხოლოდ გამოავლინეს გამოწვევები, არამედ კანონმდებელს მათი გადაჭრის რაციონალური გზებიც შესთავაზეს. ისინი რეკომენდაციების სახით თან დაერთვის დოკუმენტს.

1.2. კვლევის მეთოდები

წინამდებარე დოკუმენტზე მუშაობისას გამოიყენებულია კვლევის დოქტრინალური მეთოდი, რომელიც ეყრდნობა კანონმდებლობას და სხვა პირველად და მეორად წყაროებს, მათი მეშვეობით აანალიზებს და განმარტავს სამართალს.

დოკუმენტზე მუშაობისას ავტორებმა, ასევე, იხელმძღვანელეს კვლევის არადოქტრინალური მეთოდით. შეისწავლეს საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით საქართველოში არსებული პრობლემები (პრობლემის კვლევა) და, ცალკეულ შემთხვევებში, ყურადღება გაამახვილეს იმ მოტივებზე, რომელიც საფუძვლად უდევს ამ დოკუმენტსა (პოლიტიკის კვლევა) და მის იმპლემენტაციას. შესაბამისი ხარვეზების გამოვლენით, მკვლევარებმა შეიმუშავეს წინადადებები რეგლამენტსა და კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების შესახებ (სარეფორმო კვლევა).

ავტორთა ჯგუფმა აგრეთვე გამოიყენა შედარებითსამართლებრივი კვლევის ფუნქციური მეთოდიც. იგი გულისხმობს ერთ საზოგადოებაში არსებული პრობლემის ან საკითხის, მათი გადაწყვეტის მარეგულირებელი წესებისა და ნორმების შედარებას სხვა საზოგადოებაში ამავე პრობლემის ან საკითხის გადაწყვეტის წესებსა და ნორმებთან.

საპარლამენტო კონტროლის ნაწილში გაანალიზებულია როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობა. უმთავრესად, ესენია კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტები და უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების რეგლამენტები. დოკუმენტი ეყრდნობა სამეცნიერო კვლევებსა და ტექნიკურ ანგარიშებს საპარლამენტო კონტროლის შესახებ.

უცხო ქვეყნების შერჩევისას გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმები: ევროკავშირის

წევრობა, კონტინენტური სამართლის ოჯახის წევრობა, მმართველობის მოდელი (ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპისა და საპარლამენტო მმართველობები). ევროკავშირის წევრობის კრიტერიუმი საქირო გახდა იმდენად, რამდენადაც საქართველო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობას ესწრაფვის და მასში დამკვიდრებული დემოკრატიული სტანდარტების ჰარმონიზებას ცდილობს. ხოლო მმართველობის მოდელზე არჩევანი საქართველოსთან მსგავსებით გაკეთდა. კიდევ ერთი კრიტერიუმი კონტინენტური სამართლის ოჯახს მიკუთვნება იყო, რადგან საქართველოც მისი წევრია, რაც ინსტიტუციური მოწყობის ლოგიკური თანხვედრის მეტ შანსს იძლევა. საბოლოოდ, შეირჩა 12 ქვეყანა.

წინამდებარე ანგარიშის შექმნისას გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- საქართველოს კანონმდებლობა;
- საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული შესაბამისი საპარლამენტო ანგარიშები, საკომიტეტო და პლენარული სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები და სხვა;
- უცხო ქვეყნების პარლამენტების რეგლამენტებისა და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტების ანალიზი;
- უცხო ქვეყნების პარლამენტებიდან მიღებული ინფორმაცია საპარლამენტო კონტროლის ცალკეული მექანიზმების იმპლემენტაციის თაობაზე;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტები;
- ანალიტიკური მასალა უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შესახებ.

1.3. საერთაშორისო სტანდარტები და გამოცდილება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტორთა ჯგუფმა დაამუშავა ევროკავშირის 12 სახელმწიფოს საპარლამენტო კონტროლის სამართლებრივი ჩარჩო. 12-ვე სახელმწიფო წარმოადგენს კონტინენტური სამართლის ოჯახს. მმართველობის მოდელის თვალსაზრისით კი, მათი ერთი ნაწილი მიეკუთვნება ნახევრად საპრეზიდენტო, ხოლო მეორე - საპარლამენტო მმართველობის მოდელის მქონე ქვეყნებს. კვლევის მიზნებისთვის, ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის მოდელის განსასაზღვრად გამოყენებულია მეთუე შუგარტისა და ჯონ კერის კლასიფიკაცია. ისინი ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის ორ ქვეტიპს - „პრემიერი-პრეზიდენტის“ და „პრეზიდენტი-პარლამენტის“ მოდელს გამოყოფენ.¹ „პრემიერი-პრეზიდენტის“ მოდელში პრემიერმინისტრობის კანდიდატის დანიშვნაში მონაწილეობს პრეზიდენტი, თუმცა მთავრობის გადაყენება პარლამენტის კომპეტენციაა.² „პრეზიდენტი-პარლამენტის“ სისტემაში კი აღმასრულებელი ხელისუფლება დუალისტურად პასუხისმგებელია როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ისე საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.³

2017-18 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საქართველოში საპარლამენტო მოდელი დამკვიდრდა, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტი სრულად დისტანცირებულია აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისგან. ამასთან, მას 300-წევრიანი საარჩევნო კოლეგია ირჩევს.⁴ თუმცა, ეს წესი ამოქმედდება 2024 წელს,

¹ Shugart S. M., *Semi-Presidential Systems: Dual Executive And Mixed Authority Patterns*, French Politics, Issue 3, 2005, p. 333.

² *Ibid.*

³ *Ibid.*, p. 334.

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

როცა მოქმედ პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა ამოეწურება. სწორედ ამ მომენტიდან გადავა ქვეყანა საპარლამენტო მმართველობის კლასიკურ მოდელზე. მიუხედავად ამისა, თუ მოქმედ პრეზიდენტს უფლებამოსილება შეუწყდება, ახალი პრეზიდენტი სწორედ დასახელებული წესის მიხედვით უნდა განწესდეს თანამდებობაზე. ამ შემთხვევაში სწორედ ეს თარიღი იქნება საპარლამენტო მოდელზე გადასვლის დღე. მანამდე კი ნარჩუნდება ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტი ქვეტიპის მოდელი.

მკვლევარებმა გამოიყენეს ევროკავშირის წევრი ნახევრად საპრეზიდენტო (პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპი) მმართველობის მქონე 5 სახელმწიფოს გამოცდილება. ესენია: ბულგარეთი, ხორვატია, სლოვაკეთი, ლიეტუვა, რომლებიც პოსტსოციალისტურ პერიოდში საქართველოს მსგავსი სახელმწიფოებრიობის ისტორიის გამო შეირჩნენ. ფინეთი კი ამ სიაში დემოკრატიის შედარებით ხანგრძლივი ტრადიციის მიზეზით მოხვდა.

საპარლამენტო მმართველობის მქონე ქვეყნებიდან ავტორთა ჯგუფმა 7 სახელმწიფოს პრაქტიკა ნახა: საბერძნეთი, ესტონეთი, ლატვია, უნგრეთი, იტალია, ესპანეთი და გერმანია. მათგან ესტონეთზე, ლატვიასა და უნგრეთზე მათი პოსტსოციალისტური გამოცდილების გამო გაკეთდა აქცენტი. საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი და გერმანია კი შედარებით გამოცდილი საპარლამენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებია.

ბულგარეთის, ხორვატიის, სლოვაკეთის, ლატვიის, საბერძნეთის, ესტონეთის, ლატვიის, უნგრეთის სისტემები დეტალურად არის განხილული სხვა კვლევაში,⁵ ამიტომ ავტორები აქ მათზე არ შეჩერდებიან. რაც შეეხება იტალიას, ესპანეთსა და გერმანიას, მათი სისტემა ასე გამოიყურება:

გერმანია - ქვეყნის პრეზიდენტი 5 წლის ვადით, სპეციალურად ამ მიზნით მოწვეული ფედერალური კრების მიერ, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით აირჩევა.⁶ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო ორი პალატისგან, ბუნდესტაგისა (ქვედა პალატა) და ბუნდესრატისგან (ზედა პალატა), შედგება.⁷ პირველის წევრები 4 წლის ვადით აირჩევიან,⁸ მეორესი კი მიწების მთავრობის გადაწყვეტილებით ინიშნებიან.⁹ ფედერალური მთავრობა შედგება კანცლერისა და სხვა მინისტრებისგან.¹⁰ კანცლერს ირჩევს ბუნდესტაგი, პრეზიდენტის წინადადების საფუძველზე.¹¹ მინისტრს ნიშნავს პრეზიდენტი კანცლერის წარდგინების საფუძველზე.¹² ქვეყანაში მოქმედებს უნდობლობის კონსტრუქციული¹³ და ნეგატიური ვოტუმები.¹⁴ პრეზიდენტს კაბინეტის, პრემიერის ან ცალკეული მინისტრის გადაყენების უფლებამოსილება დამოუკიდებლად არ აქვს.

⁵ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., 20 წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორის საქმიანობაზე საქართველოში, მეორე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2019, გვ. 25-31.

⁶ Basic Law for the Federal Republic of Germany, art. 54, cl. 6.

⁷ იქვე, art. 50.

⁸ იქვე, art. 39, cl. 1.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე, art. 62.

¹¹ Basic Law for the Federal Republic of Germany, art. 63, cl. 1.

¹² იქვე, art. 64, cl. 1.

¹³ Election of the Federal Chancellor, ბუნდესტაგის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.bundestag.de/en/parliament/function/chancellor>, განახლებულია: 14.09.20.

¹⁴ იქვე, 68, cl. 1.

იტალია - ქვეყნის პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი 7 წლის ვადით,¹⁵ ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე.¹⁶ პარლამენტართა გარდა, არჩევნებში მონაწილეობს 3 დელეგატი ყველა რეგიონიდან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი რეგიონული საბჭოების მიერ.¹⁷ იტალიის წარმომადგენლობითი ორგანო ბიკამერალურია და დეპუტატთა პალატისა და სენატისგან შედგება.¹⁸ მათი უფლებამოსილების ვადა 5 წელია.¹⁹ მინისტრთა საბჭო თავმჯდომარისა (President of the Council) და მინისტრებისგან შედგება.²⁰ პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერს და ამ უკანასკნელის წინადადების საფუძველზე - მინისტრებს.²¹ მთავრობამ, როგორც კოლეგიურმა ორგანომ,²² ორივე პალატის ნდობა უნდა მოიპოვოს.²³ პრეზიდენტს კაბინეტის, პრემიერის ან ცალკეული მინისტრის გადაყენების უფლებამოსილება არ აქვს.

ესპანეთი - სახელმწიფოს მეთაური ესპანეთში მონარქია,²⁴ საკანონმდებლო ორგანო - ბიკამერალური გენერალური კორტესები.²⁵ ქვედა პალატა, კონგრესი, 4 წლით არჩეული, მინიმუმ - 300 და მაქსიმუმ - 400, დეპუტატისგან კომპლექტდება.²⁶ ზედა პალატა, სენატი, ტერიტორიული პრინციპით ყალიბდება. რეგიონებში ამომრჩევლები 4 წლის ვადით ირჩევენ საკუთარ წარმომადგენლებს, რომელთა რაოდენობა 266-ია.²⁷ მთავრობა შედგება პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის, მინისტრისა და კანონით განსაზღვრული სხვა წევრებისგან.²⁸ მთავრობის მეთაური არის პრეზიდენტი (მთავრობის თავმჯდომარე, პრემიერმინისტრი).²⁹ კონგრესი ნდობას უცხადებს სწორედ პრეზიდენტობის კანდიდატს და არა - მთლიანად კაბინეტს.³⁰ პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ ნდობის მიღების შემდგომ მონარქი დანიშნავს მთავრობის სხვა წევრებს პრეზიდენტის რჩევით.³¹ მთავრობა კონგრესმა შეიძლება გადააყენოს უნდობლობის კონსტრუქციული მექანიზმით.³² კონსტიტუცია ასევე იცნობს ნდობის ნეგატიურ ვოტუმს.³³ მონარქს კაბინეტის, პრემიერის ან ცალკეული მინისტრის გადაყენების უფლებამოსილება არ აქვს.

1.4. მადლიერების გამოსატყა

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც, პროექტის - „უსაფრთხოების სექტორში საი-

¹⁵ იქვე, art. 85.

¹⁶ იქვე, art. 83.

¹⁷ იქვე.

¹⁸ Constitution of Italy, art. 55.

¹⁹ იქვე, art. 60.

²⁰ იქვე, art. 92.

²¹ იქვე.

²² Bulmer E., Government Formation and Removal Mechanisms, International IDEA Constitution-Building Primer 17, Stockholm, 2017, p. 8, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y47smgde>, განახლებულია: 25.08.2019.

²³ Constitution of Italy, art. 94.

²⁴ Constitution of Spain, art. 56, cl. 1, ხელმისაწვდომია [constituteproject-ის ვებგვერდზე: https://www.constituteproject.org/constitution/Spain_2011?lang=en](https://www.constituteproject.org/constitution/Spain_2011?lang=en), განახლებულია: 14.09.20.

²⁵ იქვე, art. 66.

²⁶ იქვე, art. 68, sec. 1.

²⁷ იქვე, art. 69.

²⁸ იქვე, art. 98, sec. 1.

²⁹ იქვე, art. 98, sec. 2.

³⁰ იქვე, art. 99.

³¹ იქვე, art. 100.

³² იქვე, art. 113.

³³ იქვე, art. 112.

დუმლო შესყიდვებზე საპარლამენტო ზედამხედველების ხელშეწყობა“ - ფარგლებში, შეიქმნა წინამდებარე კვლევა.

ავტორები მოწოდებული მასალებისთვის კომპარატივისტიკისთვის შერჩეული ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების პერსონალისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის მაღლიერნი არიან. ტექსტი ქართული კანონმდებლობის იმპლემენტაციის ნაწილში სრულად ეყრდნობა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოდან მიღებულ ინფორმაციას.

მკვლევარები ასევე მაღლობას უხდიან ქართველ დეპუტატებსა და პარლამენტის თანამშრომლებს კვლევის პროცესში ჩართულობისა და პოზიციების გაზიარებისთვის.

შემოკლებანი

- ააიპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
- აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები
- ბულგარეთი - ბულგარეთის რესპუბლიკა
- გერმანია - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
- დეკ - დეკემბერი
- დს - დაზვერვის სამსახური
- ელფოსტა - ელექტრონული ფოსტა
- ესპანეთი - ესპანეთის სამეფო
- ესტონეთი - ესტონეთის რესპუბლიკა
- თსუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ივნ - ივნისი
- იხ. - იხილეთ
- კვლ. ხელმ - კვლევის ხელმძღვანელი
- ლატვია - ლატვიის რესპუბლიკა
- ლიეტუვა - ლიეტუვის რესპუბლიკა
- მაგ. - მაგალითად
- მარ - მარტი
- ნოე - ნოემბერი
- ოტს - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო
- საბერძნეთი - საბერძნეთის რესპუბლიკა
- სამ. რედ. - სამეცნიერო რედაქტორი
- სდსს - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
- სლოვაკეთი - სლოვაკეთის რესპუბლიკა
- სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- სუს - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
- სხვ. - სხვა
- უნგრეთი - უნგრეთის რესპუბლიკა
- ფინეთი - ფინეთის რესპუბლიკა
- შეად. - შეადარეთ
- შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო
- ხორვატია - ხორვატიის რესპუბლიკა
- Art – article
- Cl – clause
- OSCE - Organization for Security and Co-operation in Europe
- P – page
- Pp – pages

მიზნობები

სამთავრობო პროგრამა და პრემიერმინისტრის ანგარიში

- პრემიერმინისტრის ანგარიშის წარდგენის დრო არ ებმის კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების თარიღს, რაც საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობას ამცირებს;
- სამთავრობო პროგრამა მხოლოდ ზოგად ჩანაწერებს მოიცავს და არ იძლევა მისი იმპლემენტაციის საფუძვლიანად შეფასების შესაძლებლობას;
- 2019 წელს პარლამენტს არც პრემიერმინისტრის ყოველწლიური ანგარიში განუხილავს და არც მისი რიგგარეშე მოსმენა მოუთხოვია; 2020 წელს კი მთავრობის მეთაურის მოხსენების შემდეგ დებატები, ძირითადად, ისეთ საკითხებზე გაიმართა, რომლებიც არც სამთავრობო პროგრამით და არც თავად მოხსენებით არ იყო გათვალისწინებული.

მინისტრის საათი და სამთავრობო საათი

- რეგლამენტი უშვებს ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე „მინისტრის საათის“ პროცედურის გამართვის შესაძლებლობას. პლენარული სხდომის ამგვარი გადატვირთვა კი გამორიცხავს პროცესის ეფექტიანობას;
- „მინისტრის საათის“ არსებული ფორმატი ხშირად არამიზნობრივად გამოიყენება და დეპუტატები მას მიმართავენ არა სამთავრობო პროგრამის სათანადოდ იმპლემენტაციის გასაკონტროლებლად, არამედ მინისტრებთან მიმდინარე აქტუალური საკითხების განსახილველად;
- ახალი კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში, „მინისტრის საათის“ განახლებული განრიგის შედგენის სავალდებულო პირობა არ არსებობს, რაც საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობას ამცირებს, ხოლო მისი ხშირი ცვლილება პოლიტიკური მანიპულაციის განცდას ქმნის;
- 2019 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი „მინისტრის საათით“ გათვალისწინებული პროცედურით პარლამენტის წინაშე არ წარმდგარა, რითაც რეგლამენტი დაირღვა;
- რეგლამენტი არ ითვალისწინებს „სამთავრობო საათის“ (Question Time) მექანიზმს. დეპუტატებს არ აქვთ ბერკეტი, რომლის საფუძველზეც, მათთვის აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე მინისტრებისგან საპარლამენტო ტრიბუნლიდან დროული ინფორმაციის მიღებასა და განხილვას შეძლებდნენ.

ინტერპელაცია

- ინტერპელაციის ჩატარებაზე რეგლამენტით დაწესებული პერიოდული შეზღუდვები ამ მექანიზმის ბუნებასა და კარგ პრაქტიკასთან შეუსაბამობაშია;
- ინტერპელაციის თემა და მის საფუძველზე გამართული საპარლამენტო განხილვები ხშირად ერთმანეთს არ შეესაბამება;
- ერთი ინტერპელაციის ფარგლებში რამდენიმე არსებითად განსხვავებული საკითხის დასმა ამცირებს პარლამენტის მხრიდან ეფექტიანი ზედამხედველობის შესაძლებლობას, საპარლამენტო დისკუსია კი ვერ ფოკუსირდება კონკრეტული თემატიკის გარშემო სიღრმისეულ ანალიზზე;
- რეგლამენტში ცხადად არ არის გამოკვეთილი ინტერპელაციის ბმა უნდობლობის პროცედურასთან;
- რეგლამენტი ნათლად არ მიუთითებს ინტერპელაციის დასრულების შემდგომ დადგენილების პროექტის იმწუთიერი განხილვის დაწყებისა და კენჭისყრის შესაძლებლობაზე;

- რეგლამენტით არ არის განსაზღვრული ინტერპელაციის შეკითხვის საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება.

კითხვა

- დეპუტატებმა კაბინეტის წევრებს 305 კითხვით მიმართეს; აქედან პასუხი 251-ს გაეცა, 54 უპასუხოდ დარჩა; უშუალოდ ადრესატები ხელს აწერენ 110 შემთხვევაში; დაფიქსირდა პასუხის დაგვიანების 117 შემთხვევა; **შს მინისტრ** ვახტანგ გომელაურს 10 კითხვა დაუსვეს (პასუხი დააგვიანა 4-ჯერ, პასუხი არ გასცა 1-ხელ, პასუხს მის ნაცვლად ხელი მოაწერეს შემთხვევათა 100%-ში); **შს მინისტრ** გიორგი გახარიას - 13 (პასუხი დააგვიანა 1-ხელ, პასუხი არ გასცა 3-ჯერ, პასუხს მის ნაცვლად ხელი მოაწერეს შემთხვევათა 100%-ში); **იუსტიციის მინისტრ** თეა წულუკიანს - 15 (პასუხი დააგვიანა 4-ჯერ, პასუხი არ გასცა 5 კითხვას, პასუხს მის ნაცვლად ხელი მოაწერეს შემთხვევათა 100%-ში); **თავდაცვის მინისტრ** ლევან იზორიას - 8 (პასუხი დააგვიანა 3-ჯერ, პასუხი გასცა ყველა კითხვას, პასუხს მის ნაცვლად ხელი მოაწერეს შემთხვევათა 100%-ში), ხოლო **თავდაცვის მინისტრ** ირაკლი დარიბაშვილს - 4 (მან პასუხი ყველა კითხვას დროულად გასცა და ყველა შემთხვევაში ხელი თავად მოაწერა); **სუს**-ის უფროს ვახტანგ გომელაურს - 1 (პასუხი დროულად გასცა და ხელი თავად მოაწერა), **სუს**-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ გრიგოლ ლილუაშვილს - 1 (რომელზეც პასუხი არ გაუცია - ვადაგადაცილებულია). ასევე, 1 კითხვა დაუსვეს **სდსს**-ის უფროსს (პასუხი დროულად გასცა, ხელს თავად აწერს). **დს**-ისა და **ოტს**-ს მიმართ კითხვები არ დასმულა. კითხვის ავტორებს 4 შემთხვევაში არ მიეწოდათ პასუხი იმ საფუძვლით, რომ ისინი პერსონალურ და კომერციულ საიდუმლოებას შეიცავდა. ეს კი რეგლამენტის დარღვევაა - კითხვას პასუხი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაეცეს (უბრალოდ, მსგავს შემთხვევებში მათზე ვრცელდება საგამომწოდისო წესი ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ).
- ადრესატების მიერ კითხვების იგნორირებასა და პასუხების დაგვიანებას პარლამენტისგან რეაგირება არ მოჰყოლია.

ანგარიშვალდებული პირისგან ინფორმაციის გამოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესწავლა

- კომიტეტებს უფლება აქვთ, თავად განუსაზღვრონ ანგარიშვალდებულ ორგანოს ინფორმაციის მიწოდების ვადები, თუმცა ხშირად ამას არ იყენებენ;
- ზოგჯერ ანგარიშვალდებული პირები არღვევენ კომიტეტის მიერ მათთვის ინფორმაციის მისაწოდებლად განსაზღვრულ ვადებს. არის შემთხვევები, როდესაც კომიტეტი წერილობით მოთხოვნილ ინფორმაციას ზეპირად იღებს;
- კომიტეტის უფლებამოსილება, შეისწავლოს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა, რეგლამენტის რამდენიმე ნორმაშია დუბლირებული, რაც გაუგებრობების საწინდარია.

კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება

- რეგლამენტი არ განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი პირისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადას მისი დაბარების შესახებ. ეს კი მანიპულაციისა და კონტროლის ამ მექანიზმის ეფექტიანობის შემცირების შესაძლებლობას იძლევა;
- რეგლამენტის მიხედვით, ნებისმიერი ფრაქციის მიერ ნებისმიერ კომიტეტში ერთხელ დაბარებული პირი მომდევნო ორი თვის განმავლობაში მეორედ მხოლოდ კომიტეტის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით შეიძლება მოი-

წვიონ, რაც ზედმეტად იცავს აღმასრულებელ შტოს საპარლამენტო კონტროლისგან;

- რეგლამენტი არ ავალდებულებს ანგარიშვალდებულ პირს, სხდომაზე უახლოეს ვადაში გამოცხადდეს, რაც მანიპულაციის შესაძლებლობას იძლევა;
- ფრაქცია არ არის უფლებამოსილი, კომიტეტის სხდომაზე მოიწვიოს პრემიერ-მინისტრი, გენერალური პროკურორი და სუს-ის უფროსი, რაც ასევე ამცირებს მათზე საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობას.

კომიტეტის თემატური მომხსენებელი

- კომიტეტების სამოქმედო გეგმის სტრუქტურა მკაფიოდ განსაზღვრული არ არის, რაც ხელს უწყობს არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- სამოქმედო გეგმებით, საკითხთა უმრავლესობაზე თემატური მომხსენებლები შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეები და მათი პირველი მოადგილეები არიან. ხშირად მათ მიერ აღებული ვალდებულებები არარეალისტურია;
- ოპოზიცია იშვიათად იყენებს თემატური მომხსენებლის მექანიზმს, რის გამოც მისი ეფექტიანობა მცირდება;
- ზოგიერთი კომიტეტის სამოქმედო გეგმაში კონკრეტულ საკითხზე თემატური მომხსენებელი დადგენილი არ არის, ან მითითებულია პარლამენტის წევრთა გარკვეული ერთობლიობა (მაგალითად, საპარლამენტო დელეგაცია, სამუშაო ჯგუფი, ნდობის ჯგუფი). ზოგჯერ ამგვარ პირად განსაზღვრულია აპარატის თანამშრომელი. თითოეული ეს შემთხვევა რეგლამენტის დარღვევას წარმოადგენს;
- კომიტეტებში წევრთა ცვალებადობა არ აისახება სამოქმედო გეგმაში. არის შემთხვევები, როდესაც დეპუტატები კომიტეტის დატოვების შემდეგ კვლავ არიან მითითებულნი ამ კომიტეტის სამოქმედო გეგმაში, როგორც თემატური მომხსენებლები, რაც არალოგიკურია;
- კომიტეტთა სამოქმედო გეგმების ფორმატი არ შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი და ნდობის ჯგუფი

- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი აკონტროლებს თავდაცვის სამინისტროს, შსს-ს, სუს-ს, დს-ს, სდსს-ს და ოტს-ს. ამგვარი ფართო მანდატი ამცირებს კომიტეტის მიერ საკუთარი ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების შესაძლებლობას;
- საპარლამენტო სუბიექტები დროულად არ ასრულებენ ჯგუფში წევრების დანიშვნის ვალდებულებას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მექანიზმის ფუნქციონირებას;
- ჯგუფის შეკრების პერიოდულობა რეგლამენტით განსაზღვრული არ არის. მისი მოწვევა დამოკიდებულია თავმჯდომარეზე. ეს ოპოზიციას საზედადამხედველო ფუნქციის შესრულებაში დაბრკოლებებს უქმნის;
- შესაბამის უწყებებს მათთან ჯგუფის ვიზიტის თაობაზე ეცნობებათ უშუალოდ ვიზიტამდე, რაც ამცირებს მონიტორინგის ამ მექანიზმის ეფექტიანობას.

თემატური მოკვლევის ჯგუფი

- თემატური მოკვლევის ჯგუფების დაკომპლექტებისას არ გამოიყენება პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლობის პროპორციულად ასახვის პრინციპი, რაც საპარლამენტო ინსტიტუტების დაკომპლექტების ზოგად პრინციპს ეწინააღმდეგება;

- უმეტეს შემთხვევაში ჯგუფებში წევრთა რაოდენობა საჭიროზე მეტია;
- რეგლამენტის ლოგიკის საწინააღმდეგოდ კომიტეტებში, საბჭოებსა და ფრაქციებში წევრთა ცვლილებები არ აისახება ჯგუფის შემადგენლობაზე. ხშირია შემთხვევები როდესაც ჯგუფის წევრები არ არიან მისი შემქმნელი კომიტეტის/საბჭოს წევრები;
- ჯგუფის შექმნისთვის საჭირო უმრავლესობა მაღალია და არ შეესაბამება საერთაშორისო გამოცდილებას;
- ჯგუფების შექმნის ვადა ბლანკეტურია და არ ითვალისწინებს საკითხის შესწავლის ინდივიდუალურ სპეციფიკას; მათი მუშაობის გამოცდილება აჩვენებს, რომ ვადები ძირითად შემთხვევაში ირღვევა;
- რეგლამენტი მკაფიოდ არ განსაზღვრავს ჯგუფის ვადის გაგრძელებაზე უფლებამოსილ პირს;
- რეგლამენტი არ არეგულირებს ჯგუფის მიერ მისთვის სამუშაოდ დადგენილი ვადების დარღვევის შედეგებს;
- ჯგუფები ზოგჯერ პარლამენტის ვებგვერდზე არ აქვეყნებენ გეგმასა და გრაფიკს, მოკვლევის ფარგლებში მოპოვებულ და, აგრეთვე, საკუთარი სხდომების შესახებ ინფორმაციას, რაც რეგლამენტის დარღვევაა;
- ჯგუფები თითქმის ყველა შემთხვევაში პარლამენტის ვებგვერდზე აქვეყნებდნენ მოკვლევისას მიღებულ დოკუმენტებს;
- ჯგუფების გაერთიანების შემთხვევაში არ იქმნება ახალი გრაფიკი და გეგმა, რაც რეგლამენტის ლოგიკიდან გადახვევაა;
- პარლამენტი დროულად არ იხილავს ჯგუფების მიერ მისთვის წარდგენილ დასკვნებს.

დროებითი კომისია

- რეგლამენტით განსაზღვრული არ არის წევრთა პროპორცია დროებითი კომისიის შექმნისას;
- დროებითი კომისია უფლებამოსილია, მიმართოს გენერალურ პროკურორს, რათა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს და გადაიღოს ასლები - ეს უფლებამოსილება არ შეესაბამება კომისიის მანდატს;
- კომისიის შექმნის ვადა ბლანკეტურია და არ ითვალისწინებს საკითხის შესწავლის ინდივიდუალურ სპეციფიკას.

სამუშაო ჯგუფი

- ზოგ შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი ისე ფუნქციონირებს, რომ არ არსებობს მისი შექმნის აქტი;
- არცერთ სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი არ არის ოპოზიცია;
- რეგლამენტის საწინააღმდეგოდ, სამუშაო ჯგუფების წევრები ცალკეულ შემთხვევაში შესაბამისი კომიტეტის აპარატის თანამშრომლები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, რაც რეგლამენტს ეწინააღმდეგება;
- რეგლამენტით არ არის დადგენილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ვადის განსაზღვრის პროცედურა და უფლებამოსილება.

დროებითი საგამოძიებო კომისია

- მაღალია დროებითი საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად საჭირო დეპუტატთა რაოდენობა (1/3);
- რეგლამენტის მიხედვით, კომისიის დაკომპლექტებაში მონაწილეობენ დამოუკიდებელი დეპუტატებიც, რაც კონსტიტუციასთან შეუსაბამოა;

- კომისიის ფუნქციონირების ვადას რეგლამენტი განსაზღვრავს, რაც მას მოქნილობას უკარგავს;
- მონაცემების შესაგროვებლად საჭირო გადაწყვეტილების მიღების წესი წევრთა ნახევარს კომისიის მუშაობის ბლოკირების საშუალებას აძლევს;
- კომისიის მიერ დავალების შეუსრულებლობისას არ არის ნათელი, რა შემთხვევაში გამოიყენება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და რა შემთხვევაში - სისხლისსამართლებრივი.

სამინისტროები

- მთავრობის განახლების პროცესში საკანონმდებლო ორგანო ჩართული არ არის;
- რეაგირების ფორმები მინისტრების მიერ რეგლამენტის დარღვევისთვის არასაკმარისია; ცალკეული მინისტრის ინდივიდუალური პოლიტიკური პასუხისმგებლობის დასაყენებლად, კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული არც მავალელები და არც სარეკომენდაციო შინაარსის საპარლამენტო ბერკეტი;
- უნდობლობის პროცედურის აღძვრისთვის დადგენილი ინიციატორთა რაოდენობა (1/3) შეუსაბამოდ მაღალია;
- უნდობლობის პროცესის ხელმეორედ, 6 თვის განმავლობაში, პარლამენტის იმავე წევრთა მიერ, ინიცირებისთვის დადგენილი შეზღუდვა არაგონივრულად ზღუდავს პარლამენტის მხრიდან კაბინეტისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას;
- ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ კონსტიტუციითა და რეგლამენტით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფორმები უკიდურესი ხასიათისაა, რაც მათ არაეფექტიანს და მოუქნელს ხდის.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

- სუს-ის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურა პოლიტიკურ ინტერესებზე მორგებული შედეგების დადგომის რისკს შეიცავს და არ არის კონსენსუსზე ორიენტირებული;
- სუს-ის საქმიანობის ანგარიშის სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ წარდგენის შესაძლებლობა ეწინააღმდეგება სამსახურის უფროსის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების იდეას;
- სუს-ის უფროსის პასუხისმგებლობის მოდელი კვაზი-უნდობლობის მექანიზმს წარმოადგენს და მისი პოლიტიკური მიზნებით გამოყენების შესაძლებლობას ქმნის.

დაზვერვის სამსახური და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

- დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა-გათავისუფლების პროცედურა პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების რისკს შეიცავს. აქვე მნიშვნელოვანია, რომ მისი უფლებამოსილების შეწყვეტის წინაპირობები განსაზღვრული არ არის, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ რისკს;
- დაზვერვის სამსახურზე საპარლამენტო კონტროლი მხოლოდ კომიტეტისა და ნდობის ჯგუფის მეშვეობით ხორციელდება;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების პროცესს უშუალოდ პრემიერმინისტრი წარმართავს და მასში საკანონმდებლო ორგანო არ მონაწილეობს, რაც დაუბალანსებული და პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების რისკს შეიცავს.

2. სამთავრობო პროგრამა, პრეზიდენტის ანგარიში, მინისტრის საათი და ანგარიშვალდებულებების თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე მოწვევა

2.1. სამთავრობო პროგრამა

სამთავრობო პროგრამა მთავრობის საქმიანობის სახელმძღვანელო დოკუმენტია. ამდენად, საკანონმდებლო ორგანო საკუთარი დღის წესრიგის დიდ ნაწილს მასზე აფუძნებს. როგორც წესი, ეს დოკუმენტი კაბინეტის მთელი უფლებამოსილების ვადას მოიცავს, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მას აღმასრულებელი ხელისუფლების ბირთვი მხოლოდ ერთი წლისთვის წარადგენს.³⁴ იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის შესრულება მთავრობის საქმიანობის ინდიკატორია, მნიშვნელოვანია, პარლამენტი მასზე მსჯელობასა და სიღრმისეულ განხილვას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს.³⁵

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ნდობის გამოცხადების პროცესში პრეზიდენტის კანდიდატი შეიმუშავებს სამთავრობო პროგრამას,³⁶ რომელიც მომავალი კაბინეტის სამოქმედო გეგმაა. ნდობის გამოცხადების შემდგომ საკანონმდებლო ორგანოს ამ დოკუმენტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში წარედგინება.³⁷

საილუსტრაციოდ, ქვემოთ მოცემულია გიორგი გახარია კაბინეტის პროგრამაში კვლევის სუბიექტების შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი. მასში საუბარია:³⁸ შსს-ს და მისი ქვედანაყოფების ინსტიტუციურ რეფორმებზე. მაგალითად, როგორებიცაა ცვლილებები კრიმინალურ, სასაზღვრო და საპატრულო პოლიციაში; საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნა; საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან თანამშრომლობასა და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები. დოკუმენტი ასევე მიმოიხილავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებს, თუმცა, არაფერია ნათქვამი სუს-ის, დაზვერვის სამსახურის, სპეციალური პენიტენციარული სამსახურისა და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ. ასევე, სრულად ნიველირებულია უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული ანგარიშვალდებულების საკითხებზე მსჯელობა და ამ კუთხით არსებული გამოწვევები.

სამთავრობო პროგრამაში მეორდება პრობლემები, რომლებიც, წლებია, აქტუალურია:³⁹ ის მხოლოდ ნაწილობრივ აწვდის ინფორმაციას პარლამენტს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის საქმიანობის, გამოწვევებისა და მიზნების შესახებ, ზოგიერთ მათგანთან მიმართებით კი საერთოდ არაფერს ამბობს; შედარებით კონკრეტულია ინფორმაცია ინსტიტუციურ რეფორმებთან დაკავშირებით. ამგვარი მიდგომა ზედპირულობასა და საკითხების არასიღრმისეულად განხილვას უწყობს ხელს, შესაბამისად, სასურველია, შეიცვალოს. პროგრამა მთავრობის სახელმძღვანელო დოკუმენტად უნდა იქცეს და მან ყველა დასახუ-

³⁴ Yamamoto H., Ed., Tools for Parliamentary Oversight, A Comparative Study of 88 National Parliaments, Inter-Parliamentary Union, 2007, გვ. 45, ხელმისაწვდომია: <http://www.ipu.org/PDF/publications/oversight08-e.pdf>, განახლებულია: 16.10.2018.

³⁵ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 47.

³⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 56-ე მუხლი, მე-2 პუნქტი.

³⁷ იქვე, 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

³⁸ 2019 წლის 3 სექტემბრის სამთავრობო პროგრამა, გვ. 7-12.

³⁹ 2019 წლამდე არსებული სამთავრობო პროგრამების შესახებ იხ. მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 49.

ლი მიზანი სრულყოფილად და სისტემურად განიხილოს.⁴⁰

2.2. პრემიერმინისტრის ყოველწლიური და რიგგარეშე ანგარიშები

მთავრობის მეთაური ვალდებულია, საკანონმდებლო ორგანოს ყოველწლიურად წარუდგინოს მოხსენება პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.⁴¹ ამის დრო საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში დგება.⁴² მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ განხილვა გრძელდება კითხვა-პასუხისა და დებატების რეჟიმში.⁴³

რეგლამენტი კაბინეტის მეთაურის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისთვის ფიქსირებულ დროს ადგენს. ამგვარი ხისტი რეგულირება არაეფექტიანია. **უმჯობესია, ეს მოვლენა ნდობის გამოცხადების წლისთავს ემთხვეოდეს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლადარჩეული პარლამენტის მიერ ნდობაგამოცხადებულ პრემიერს პირველი წლიური ანგარიშის წარდგენა თანამდებობის დაკავებიდან არასრულ 6 თვეში უწევს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების ან ახალი მთავრობის ფორმირებისას, ეს დრო შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს. აზრს მოკლებულია რამდენიმე თვის (შესაძლოა, სულაც, რამდენიმე კვირის) დანიშნული კაბინეტის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშის საკანონმდებლო ორგანოში წარდგენა.

რეგულარულის გარდა, არსებობს პრემიერმინისტრის რიგგარეშე მოწვევის შესაძლებლობა. ეს გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოს შესაძლებლობას, კაბინეტის ხელმძღვანელს სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა მოსთხოვოს.⁴⁴ ამ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს ფრაქციის ან კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.⁴⁵ ამ შემთხვევაშიც დადგენილია ზეპირი განხილვის ვალდებულება.⁴⁶

2019 წლის გაზაფხულის სესიაზე ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა ივნისში უნდა გამართულიყო („საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში“),⁴⁷ ხოლო პრემიერმინისტრს ჰქონდა ვალდებულება, 1-ლ რიცხვამდე საკანონმდებლო ორგანოსთვის წერილობით წარედგინა მოხსენება.⁴⁸ მან ეს ვალდებულება შეასრულა,⁴⁹ თუმცა ზეპირი განხილვა არ ჩატარებულა. ამდენად, ახალი წესი პირველივე ჯერზე წარუმატებელი აღმოჩნდა. ამასთანავე, 2019 წელს პარლამენტს არ მოუთხოვია ანგარიშის რიგგარეშე წარდგენა.⁵⁰

აუცილებელია, საკანონმდებლო შტოს წარმომადგენლებმა გაიაზრონ საპარლამენტო ზედამხედველობის თითოეული ფორმის მნიშვნელობა და როლი

⁴⁰ იქვე.

⁴¹ საქართველოს კონსტიტუცია, 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 150-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 150-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴³ იქვე, 150-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁴ იქვე, 151-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იქვე, 151-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁷ იქვე, 150-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა, 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34U3Xwp>, განახლებულია: 01.09.2019.

⁵⁰ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

დემოკრატიულ პროცესში. პრემიერმინისტრის ყოველწლიური მოხსენების მექანიზმი ეფექტიანად უნდა იმპლემენტირდეს. ამ კუთხით გადამწყვეტია პარლამენტის ძალისხმევა, რათა მომდევნო წლებში არ წარმოიშვას ზეპირი მოხსენებით წარდგომასთან დაკავშირებული პრობლემები.

განსხვავებით წინა წლისგან პროცედურა 2020 წელს საგაზაფხულო სესიის ბოლოს, 26 ივნისს ჩატარდა. ანგარიში წერილობითი სახით პარლამენტს რეგლამენტით დადგენილ დროში გაეგზავნა.⁵¹ ჯამურად, მოხმენა 7 საათსა და 37 წუთს გაგრძელდა. აქედან უშუალოდ პრემიერმინისტრის სიტყვას 1 საათი და 14 წუთი დაეთმო. დანარჩენი დრო კითხვა-პასუხს მოხმარდა. სხდომას ყველა საპარლამენტო ძალის წარმომადგენელი ესწრებოდა. სიტყვით 51 დეპუტატი გამოვიდა (24 - უმრავლესობიდან, ხოლო 27 - ოპოზიციიდან). ანგარიშს 13 შეკითხვა ეხებოდა, დანარჩენი 38 კომინდინარე საკითხებს, მაგალითად, როგორცაა: 2019 წლის 20 ივნისის მოვლენები, კორონავირუსი, ფრონტერას საქმე, საფინანსო ჯგუფ „საქართველოს“ დაზარალებულები და ყალბი ინფორმაციის გავრცელება (fake news).⁵²

რეკომენდებულია, პრემიერმინისტრის მოხსენების შემდგომ დებატები გაიმართოს უშუალოდ სამთავრობო პროგრამითა და მოხსენებით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ. მიმდინარე აქტუალური თემების განსახილველად და მათზე ინფორმაციის მისაღებად რეგლამენტით სხვა მექანიზმებია განსაზღვრული.

2.3. მინისტრის საათი

პარლამენტის მოქმედმა რეგლამენტმა დაამკვიდრა „მინისტრის საათის“ პროცედურა, რომელიც მთავრობის ცალკეული წევრის მიერ, წელიწადში ერთხელ, პლენარულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის შესაბამისი მიმართულების შესრულების შესახებ მოხსენებით გამოსვლას გულისხმობს.⁵³ განრიგი ისე უნდა შედგეს, რომ „სულ მცირე, პლენარული სხდომების ყოველ 2 კვირაში ერთხელ (გარდა საქართველოს პრემიერმინისტრის ყოველწლიური მოხსენების მოსმენის კვირისა) გაიმართოს 1 მინისტრის საათი მაინც.“⁵⁴ მოხსენების შემდეგ იწყება კითხვა-პასუხი და დებატები.⁵⁵ თუმცა, ამ პროცესში გამორიცხულია დეპუტატების მხრიდან აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხების დასმის შესაძლებლობა.⁵⁶

რეგლამენტი ამ მექანიზმს „მინისტრის საათს“ უწოდებს, რაც „სამთავრობო საათის“ ასოციაციას ქმნის, თუმცა, რეალურად, ამ ორ ბერკეტს ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ აქვს. კანონმდებლობის ანალიზით ირკვევა, რომ „მინისტრის საათი“ იგივეა, რაც „მინისტრის ანგარიში.“⁵⁷ „მინისტრის საათი“ და „სამთავრობო საათი“ რადიკალურად განსხვავებული მიზნების მიღწევას ემსახურებიან. უკანასკნელის არსი ის არის, რომ დეპუტატებმა შეძლონ მათთვის საინტერესო და აქტუალური საკითხების

⁵¹ 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y2qkkn0t>, განახლებულია: 02.09.20.

⁵² 26 ივნისი, საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა, პრემიერმინისტრის ყოველწლიური მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/397388674550520> და <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/2620039391617357>, განახლებულია: 02.09.20.

⁵³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 153-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵⁴ იქვე, 153-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁵ იქვე, 153-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁵⁶ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.

⁵⁷ იქვე.

თხეზუე შესაბამისი მინისტრისგან პასუხების მიღება. რაც შეეხება პირველს, ის კონკრეტულ სფეროში სამთავრობო გეგმის შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯების შესახებ საკანონმდებლო ორგანოს ინფორმირების ინსტრუმენტს წარმოადგენს.⁵⁸

ამ პროცედურასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემური რეგულირება მისი გრაფიკის შედგენას უკავშირდება. ბიურო განრიგს „საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე ადგენს.“⁵⁹ თუმცა, მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოება: მინისტრის საათი პირდაპირ უკავშირდება სამთავრობო პროგრამას და, შესაბამისად, მთავრობის პოლიტიკის მიმართულებებსა და სტრატეგიას. **ამის გათვალისწინებით, გონივრულია, თუ ახალი კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში სავალდებულო იქნება ახალი განრიგის შედგენაც.** ბიურომ ის კაბინეტის ახალ კონფიგურაციას, ახალ სამთავრობო პროგრამასა და მისი შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენის ფაქტობრივ შესაძლებლობებს უნდა შეუსაბამოს.

განრიგის ცვლილება ბიუროს ნებისმიერ დროს შეუძლია, რაც 2019 წელს 7-ჯერ გააკეთა.⁶⁰ ამგვარი პრაქტიკა პოლიტიკური მანიპულაციის რისკებს ქმნის და, სწორედ ამიტომ, **ბიურომ ეს მექანიზმი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა გამოიყენოს.** 2020 წელს მას დადგენილ გრაფიკში ცვლილებები არ შეუტანია.⁶¹

2019 წლის 8 სექტემბერს პარლამენტმა მთავრობის ახალ შემადგენლობას გამოუცხადა ნდობა.⁶² ამდენად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საკანონმდებლო ორგანომ ორი სხვადასხვა სამთავრობო გეგმის შესახებ მოისმინა ანგარიში.

2019 წელს „მინისტრის საათის“ ფორმატში პარლამენტში სულ 10 პროცედურა გაიმართა. აქედან 5-მა მინისტრმა მოხსენება პრემიერ მამუკა ბახტაძის კაბინეტის წევრის სტატუსით გააკეთა. ესენი იყვნენ: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის (20.02.19); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის (07.03.19); იუსტიციის (20.03.19); თავდაცვისა (04.04.19) და შს მინისტრები (02.05.19).⁶³ დარჩენილი 5 მინისტრი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე პრემიერ გიორგი გახარიას მთავრობიდან წარდგა. ესენია: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი (20.09.19); საგარეო საქმეთა (17.10.19); ფინანსთა (28.11.19); განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის (20.12.19) და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრები (20.12.19).⁶⁴

აქვე აღსანიშნავია, რომ დროის უქონლობის საბაბით, 20 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე არ გაიმართა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის საათი. იმავე დღეს პარლამენტის თავმჯდომარემ საშემოდგომო სესია დახურულად გამოაცხადა. რეგლამენტის ლოგოკა თითოეული მინისტრის საათის გამართვასთან დაკავშირებით 1-წლიან ციკლს ეყრდნობა,⁶⁵ რაც, თავის მხრივ, ორ თანმიმდევრულ (მორიგ) სესიას გულისხმობს. ამ გაგებით, რეგლამენტის მოთხოვნაა, რომ საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია-

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 153-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶⁰ საქართველოს პარლამენტის 22 ნოემბრის №1-20623/19 და 24 დეკემბრის №1-25495/19 წერილები.

⁶¹ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილი.

⁶² პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა, საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/562874-parlamentmatavrobis-ganaxlebul-shemadgenlobas-ndoba-gamoucxada/>, განახლებულია: 19.02.2020.

⁶³ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 და 22 ნოემბრის №1-20623/19 წერილები.

⁶⁴ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 24 დეკემბრის №1-25495/19 წერილი.

⁶⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 153-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ებიდან ერთ-ერთის მიმდინარეობისას მაინც, მინისტრი პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარდგეს. როგორც აღინიშნა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის საათი 2019 წლის არცერთ სესიაზე არ გაიმართა (ის პარლამენტის წინაშე 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე წარდგა⁶⁶), რითაც საკანონმდებლო ორგანომ საკუთარი რეგლამენტი დაარჩვია.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ სხდომაზე, მთლიანობაში, 3 „მინისტრის საათის“ გამართვა იყო დაგეგმილი (დეპუტატებმა მოუსმინეს (1) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების⁶⁷ და (2) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის⁶⁸ მინისტრებს). პლენარული სხდომის ამ დოზით გადატვირთვა საფუძველშივე გამორიცხავს პროცესის ეფექტიანად წარმართვას. **რეგლამენტით უნდა აიკრძალოს ერთი დღის განმავლობაში ერთზე მეტი „მინისტრის საათის“ პროცედურის ჩატარება.**

2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე მინისტრის საათის ფორმატში წარდგნენ: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის (05.02.20), ფინანსთა (20.02.20), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის (06.03.20) და თავდაცვის მინისტრები (12.06.20).⁶⁹ კორონავირუსით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის გამო, არ გაიმართა: (1) შს; (2) საგარეო საქმეთა; (3) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის; (4) იუსტიციისა და (5) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრების საათი. ამის მიუხედავად ბიუროს გრაფიკის მოდიფიცირების შესაძლებლობა არ გამოუყენებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მინისტრებს პარლამენტი ადარ მოუსმენს, ეს კი ეწინააღმდეგება რეგლამენტის მოთხოვნებს.

2.3.1. „მინისტრის საათი“ - 2019 წელი

შს მინისტრის საათი: პროცედურა (მინისტრის დასკვნითი სიტყვის გამოკლებით) 2 საათი და 16 წუთი, ხოლო უშუალოდ მოხსენება 27 წუთი გაგრძელდა.⁷⁰ გამოსვლა მნიშვნელოვანწილად თანხვედრაში იყო სამთავრობო პროგრამაში შესულ თემატურ ასპექტებთან და წარმოადგენდა ერთგვარ ანგარიშს განხორციელებული და განსახორციელებელი რეფორმების შესახებ.⁷¹

ხაზგასასმელია, რომ დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა, ფაქტობრივად, არ დაინტერესებულა ანგარიშის დეტალებით. შეკითხვების უმეტესობა შეეხებოდა მიმდინარე აქტუალურ თემებს. კითხვა⁷² დასვა 44-მა დეპუტატმა. აქედან 20 წარმოა-

⁶⁶ პარლამენტმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ეკატერინე ტიკარაძეს მოუსმინა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yxg6bvpf>, განახლებულია: 19.02.2020.

⁶⁷ რიგგარეშე სხდომაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს მოუსმინეს და რამდენიმე კანონპროექტი განიხილეს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y2gymo8v>, განახლებულია: 11.02.2020.

⁶⁸ დეპუტატებმა რიგგარეშე სხდომაზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, მიხეილ ჩხენკელს მოუსმინეს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yy7smt5c>, განახლებულია: 11.02.2020.

⁶⁹ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილი.

⁷⁰ 2 მაისი, პარლამენტის პლენარული სხდომა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/321487781868136/>, განახლებულია: 29.02.2020.

⁷¹ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

⁷² კვლევის ფარგლებში დათვლილია მხოლოდ პლენარულ სხდომაზე დასმული კითხვების რაოდენობა.

დგენდა ოპოზიციას, 24 კი - უმრავლესობას. 30 (14 - უმრავლესობა, 16 - ოპოზიცია) მათგანი არ შეხებია სამთავრობო პროგრამას. ისინი ისეთ აქტუალურ საკითხებს მიემართებოდა, როგორებიცაა, მაგალითად, ხორავას ქუჩის საქმე, პანკისის სპეცოპერაცია და დავით გარეჯის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები.⁷³

ეს ინსტრუმენტი მთავრობის მიერ პროგრამის შესაბამისად გატარებული ღონისძიებების შესახებ პარლამენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს, 2 მაისის სხდომა კი, მეტწილად, უახლოეს წარსულში მომხდარი აქტუალური თემების განხილვას დაეთმო.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის საათი: პროცედურა (მინისტრის დასკვნითი სიტყვის გამოკლებით) 2 საათი და 57 წუთი, ხოლო უშუალოდ მოხსენება 57 წუთი გაგრძელდა.⁷⁴ ის შეეხებოდა სამთავრობო პროგრამაში შესულ თემატურ ასპექტებს და 2019 წელს დაგეგმილ პროექტებს.⁷⁵

შეკითხვის დასმის უფლებით ისარგებლა 52-მა პარლამენტარმა. აქედან 31 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 21 ოპოზიციას. ვინაიდან 2018 წლის პროგრამა ინფრასტრუქტურის კუთხით არცთუ ისე ვრცელ და დეტალურ ინფორმაციას იძლევა, ძნელია, სრულყოფილად დადგინდეს როგორც კაბინეტის წევრის, ისე პარლამენტართა გამოსვლების აბსოლუტური შესაბამისობა პროგრამით გაწერილ საკითხებთან.

მინისტრმა საკუთარ გამოსვლაში ისაუბრა როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ საკითხებზე, მაგრამ არ შეხებია პროგრამის ზოგიერთ ისეთ ასპექტს, როგორიცაა ინტერნეტიზაცია (თუმცა, ამასთან დაკავშირებით დაისვა კითხვა) ან ანაკლიის პორტი. მან ყურადღება გაამახვილა მაგისტრალების მშენებლობაზე, აგრეთვე, ნარჩენების მართვაზე, რაც ზოგადი გეგმის სახით წარმოდგენილია პროგრამაში. გარდა ამისა, ის შეეწო ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხს, რომელიც ასევე ნახსენებია („გაძლიერდება ადგილობრივი თვითმმართველობა“) პროგრამაში. მოხსენებამ მიმოიხილა ისეთი კონკრეტული გეგმები, რომლებიც პროგრამაში ნახსენები არ ყოფილა.

კითხვების უმეტესობა შეეხებოდა არა იმდენად აქტუალურ საკითხებს ან გეგმის ზოგად პოლიტიკურ ნაწილს, არამედ მაჟორიტარი დეპუტატების მიერ საკუთარ ოლქებში ამა თუ იმ პროექტის განხორციელების თხოვნას (როგორიცაა სკოლის გარემონტება, საბაგრო გზისა თუ სტადიონის განხნა). ცხადია, სპეციფიკური ინფრასტრუქტურული პროექტებით ინტერესდებოდნენ არა მხოლოდ მაჟორიტარები. კონკრეტული ადგილის/რეგიონის/მუნიციპალიტეტის მიხედვით დასმული კითხვები, როგორც უკვე ითქვა, ხშირად არ თავსდებოდა პროგრამით მოცული საკითხების ფა-

დამაზუსტებელი კითხვები სათვალავში მიღებული არ არის, რადგან ისინი ძირითადი კითხვის ნაწილია.

⁷³ უფრო კონკრეტული მაგალითებისთვის, პირველი შეკითხვა (თალაკვაძე) ეხებოდა დავით გარეჯის პრობლემის მოგვარებაზე მინისტრის ხედვებს, რაც რეალურად წარმოადგენს იმ მომენტში აქტუალურ თემას და არ აქვს კავშირი მინისტრის მოხსენებასთან; მეორე შეკითხვა (სამადაშვილი): პანკისში ჩატარებულ სპეცოპერაციას, რაც ასევე წარმოადგენს აქტუალურ საკითხს; პანკისთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა მესამე გამომსვლელსაც (ნადირაშვილი); შემდეგი დეპუტატი (გოცირიძე) საუბრობდა გამოუძიებელი საქმეების შესახებ; ერთ-ერთმა დეპუტატმა (წილოსანი) დასვა კითხვა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებაზე; ასევე, დაისვა (ხუციშვილი) კითხვა ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით.

⁷⁴ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, მაია ცქიტიშვილის მოსმენა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/1163307443834058/>, განახლებულია: 29.02.2020.

⁷⁵ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

რგლებში, თუმცა, შესაძლოა, ისინი გამომდინარეობდა მასში აღნიშნული ზოგადი დაპირებებიდან.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის საათი: პროცედურა (მინისტრის დასკვნითი სიტყვის გამოკლებით) 3 საათი და 10 წუთი, ხოლო უშუალოდ მოხსენება 66 წუთი გაგრძელდა.⁷⁶ მინისტრის გამოსვლა მნიშვნელოვანწილად შეეხებოდა პროგრამაში შესულ თემატიკას.⁷⁷

შეკითხვა დასვა 46-მა დეპუტატმა. აქედან 31 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 15 - ოპოზიციას. შეკითხვების ნაწილი იმ პერიოდისთვის აქტუალურ საკითხებს შეეხებოდა. მაგალითად, რამდენჯერმე გამახვილდა ყურადღება მწერ ფაროსანას მიერ მიყენებულ ზიანზე.

მომხსენებელმა საკუთარი გამოსვლის დასაწყისში აღნიშნა: „პოლიტიკა, რომელსაც სამინისტრო წარმართავს, ეფუძნება 3 ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტს. ეს არის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მე-3 ეროვნული გეგმა, რომელიც 2017-2021 წლებისთვის ჩვენი სამინისტროს პოლიტიკას განსაზღვრავს. ჩვენ გვაქვს სოფლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისთვის და, ასევე, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებისთვის.“⁷⁸ ნიშანდობლივია, რომ მინისტრს არ უხსენებია სამთავრობო გეგმა, როგორც სამინისტროს პოლიტიკის წარმმართველი დოკუმენტი. მიუხედავად ამგვარი მიდგომისა, უნდა ითქვას, რომ მისი გამოსვლა მნიშვნელოვანწილად ფარავდა პროგრამაში გაწერილ საკითხებს.

იუსტიციის მინისტრის საათი: პროცედურა (მინისტრის დასკვნითი სიტყვის გამოკლებით) 2 საათი და 14 წუთი, ხოლო უშუალოდ მოხსენება 45 წუთი გაგრძელდა.⁷⁹ შეკითხვა დასვა 39-მა დეპუტატმა. აქედან 23 უმრავლესობიდან იყო, ხოლო 16 - ოპოზიციიდან.⁸⁰

უწყების ხელმძღვანელმა დასაწყისში თავადვე აღნიშნა, რომ ის წარმოადგენდა „მოხსენებას 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის ბოლო 1 წლის მანძილზე შესაბამისი მიმართულებით შესრულების თაობაზე.“⁸¹ მისი გამოსვლა მეტწილად ფარავდა პროგრამაში მოცემულ საკითხებს.

დეპუტატების (როგორც ოპოზიციის, ისე მმართველი ძალის) მხრიდან აქცენტი ხშირად კეთდებოდა იმ პერიოდის აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა, მაგალითად, მაჩალიკაშვილისა და სარალიძის საქმეები.

თავდაცვის მინისტრის საათი: პროცედურა (მინისტრის დასკვნითი სიტყვის გამოკლებით) 3 საათი და 14 წუთი, ხოლო უშუალოდ მოხსენება 65 წუთი გაგრძელდა.⁸²

⁷⁶ მინისტრის საათი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის გამოსვლა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/2128722870577668/>, განახლებულია: 29.02.2020.

⁷⁷ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ მინისტრის საათი - თვა წულუკიანი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/852516625090073/>, განახლებულია: 29.02.2020.

⁸⁰ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

⁸¹ იქვე.

⁸² 4 აპრილი, მინისტრის საათი - თავდაცვის მინისტრის, ლევან იზორიას გამოსვლა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/371436440129367>, განახლებულია: 29.02.2020.

შეკითხვა დასვა 38-მა დეპუტატმა, აქედან 20 დეპუტატი წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 18 - ოპოზიციას.⁸³

აღსანიშნავია, რომ სამთავრობო პროგრამაში საკმაოდ სოლიდური ნაწილი ეთმობა თავდაცვით პოლიტიკას. მინისტრმა გამოსვლის დროს ყურადღება გაამახვილა NATO-ში ინტეგრაციის გზაზე გადადგმულ და გადასადგმელ ნაბიჯებზე; სპეციალურ პროგრამებზე, რომლებიც ხორციელდება სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად ალიანსთან ქვეყნის თავსებადობის მიღწევის კუთხით. აღსანიშნავია, რომ ინტეგრაციის საკითხს დოკუმენტში ცალკე ქვეთავი ეძღვნება და, ამდენად, მოხსენება მნიშვნელოვანწილად ეხმიანებოდა მასში გაწერილ ასპექტებს.

პარლამენტართა გამოსვლების უმრავლესობა, მთლიანობაში, პროგრამაში წარმოდგენილ თემებთან თანხვედრაში იყო. ამასთან, სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც არ ფარავდა ეს დოკუმენტი, შეკითხვა დასვა ერთ-ერთმა დეპუტატმა. ის დაინტერესდა კონკრეტულ შენობაში მცხოვრები სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბინების საკუთრებაში გადაცემის პრობლემით.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის საათი: პროცედურა (მინისტრის დასკვნითი სიტყვის გამოკლებით) 3 საათი, ხოლო უშუალოდ მოხსენება 61 წუთი გაგრძელდა.⁸⁴ შეკითხვა დასვა 23-მა დეპუტატმა. აქედან 18 წარმოადგენდა უმრავლესობას, ხოლო 5 - სხვა ოპოზიციურ ძალებს.⁸⁵

ამ სამინისტროს მიმართულებით პროგრამაში არ იძებნება რამე კონკრეტული გეგმა და პროექტი. ის შემოიფარგლება ზოგადი პოლიტიკური დაპირებებით. მაგალითად, „განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელებას. აღნიშნული გულისხმობს მშვიდობის მშენებლობას, ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მხარდაჭერას გამყოფი ხაზის როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, მათ დახმარებას და სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, ასევე, მავთულხლართებით ხელოვნურად დამორბეულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენას.“⁸⁶

გარკვეულ კონკრეტულად შეიძლება ჩაითვალოს სამშვიდობო ინიციატივის - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ - ეფექტიანი განხორციელების ვალდებულების აღნიშვნა. ეს ინიციატივა „მიზნად ისახავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და გამყოფი ხაზების გასწვრივ კონტაქტების, მიმოსვლის, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობების წახალისებას.“⁸⁷ დეპუტატთა გამოსვლები თემატურად შეესაბამებოდა მინისტრის მოხსენების შინაარსს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსმენა ახალი კაბინეტისა და სამთავრობო გეგმის დამტკიცებიდან ორიოდე კვირაში გაიმართა. ცხადია, მინისტრს პარლამენტისთვის 2 კვირის ანგარიში არ ჩაუბარებია. მან ისაუბრა წინა წლის საქმიანობაზე, ასევე, სამომავლო გეგმებზე, რაც ნიშნავს, რომ ანგარიში შეეხებოდა პროგრამას, რომელიც უკვე აღარ არსებობდა.

⁸³ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

⁸⁴ 20 სექტემბერი, მინისტრის საათი - ქეთევან ციხელაშვილი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/vb.210693318970694/2366987783575152/?type=2&theater>, განახლებულია: 29.02.2020.

⁸⁵ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 წერილი.

⁸⁶ სამთავრობო პროგრამა 2019-2020, სექტემბერი, 2019, გვ. 4.

⁸⁷ იქვე.

საგარეო საქმეთა მინისტრის საათი: პროცედურა (მინისტრის დასკვნითი სიტყვის გამოკლებით) 2 საათი და 8 წუთი, ხოლო უშუალოდ მოხსენება 55 წუთი გაგრძელდა.⁸⁸ შეკითხვა დასვა 31-მა დეპუტატმა. აქედან 22 წარმოდგენდა უმრავლესობას, ხოლო 9 - ოპოზიციურ ძალებს.⁸⁹ აღსანიშნავია, რომ კაბინეტის წევრის გამოსვლა მეტწილად შეეხებოდა პროგრამაში მოხსენიებულ თემატურ საკითხებს.

დეპუტატების მხრიდან არაერთი კონკრეტული შეკითხვა დაისვა, რომლებიც იმ დროის აქტუალურ თემებზე რეფლექსიას წარმოადგენდა. ანგარიშიც, კონკრეტულად, დავით ზალკანიანის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდიდან აითვალა და არა - სამთავრობო გეგმის ამოქმედებიდან. „იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციას ვიკავებ 2018 წლის ივნისის თვიდან, მსურს წარმოგიდგინოთ ჩემი მინისტრობის პერიოდში ამ პოსტზე საქმიანობის ძირითადი მიმართულებები [...]“.⁹⁰ ეს მიდგომაც არ შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს. წესის მიხედვით, მინისტრი წარმომადგენლობით ორგანოს ანგარიშს აბარებს არა საკუთარი მუშაობის, არამედ სამთავრობო გეგმის იმპლემენტაციის შესახებ. ამდენად, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ანგარიშის მსგავსად, საგარეო საქმეთა მინისტრის შემთხვევაშიც გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც შეეხებოდა წინა კაბინეტის გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენას.

ფინანსთა მინისტრის საათი:⁹¹ შეკითხვა დასვა 13-მა დეპუტატმა. აქედან 10 მმართველ პარტიას წარმოადგენდა, ხოლო 3 დამოუკიდებელი დეპუტატი იყო.⁹² აღსანიშნავია, რომ პროცედურას არ ესწრებოდა ოპოზიციის დიდი ნაწილი.

გამოსვლა შეესაბამებოდა პროგრამ(ებ)ის შინაარსს, თუმცა ნაკლებად მოიცავდა დეტალურ ანალიზს.⁹³ შეკითხვების უმეტესობა შეეხებოდა ინფლაციას. ამასთან, დაისვა ისეთ თემებთან დაკავშირებული კითხვებიც, როგორცაა, მაგალითად, ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურისა და მუზეუმების დაფინანსების გაზრდა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის საათი: პროცედურა 2 საათი და 58 წუთი, ხოლო უშუალოდ მოხსენება 32 წუთი გაგრძელდა.⁹⁴ შეკითხვა დასვა 19-მა დეპუტატმა. აქედან 16 უმრავლესობის წარმომადგენელი იყო, ხოლო 3 - დამოუკიდებელი დეპუტატი. ამ შემთხვევაშიც სხდომას ოპოზიციიდან მხოლოდ დამოუკიდებელი დეპუტატების ნაწილი ესწრებოდა.

გამოსვლის შინაარსზე დიდი გავლენა მოახდინა 15 წლის მოზარდის ტრაგიკული გარდაცვალების ფაქტმა. მინისტრმა სწორედ ამ თემაზე საუბრით დაიწყო მოხსენების შესავალი ნაწილი და სკოლებში უსაფრთხოების საკითხზე მსჯელობით გააგრძელა. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის გამოსვლა კონკრეტულ მომენტში არსებული აქტუალური თემით იყო ნასაზრდოები, ეს მონაკვეთი, ზოგადი თვალსაზრისით, შეესაბამებოდა სამთავრობო პროგრამ(ებ)ის შინაარსს⁹⁵ (სადაც საუბარია

⁸⁸ 17 ოქტომბერი, პარლამენტის პლენარული სხდომა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/2421004064657230/>, განახლებულია: 29.02.2020.

⁸⁹ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 წერილი.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ ამ „მინისტრის საათის“ ჩანაწერი ხელმისაწვდომი არ არის.

⁹² საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 წერილი.

⁹³ იქვე.

⁹⁴ 20 დეკემბერი, მინისტრის საათი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/478050296230440/>, განახლებულია: 29.02.2020.

⁹⁵ ამ შემთხვევაშიც ბუნდოვანია საკითხი, თუ რომელ სამთავრობო პროგრამას ჰქონდა მინისტრისთვის სახელმძღვანელო დატვირთვა. ზემოთქმული მსჯელობა ორივე პროგრამას მიემართება.

მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოემოციური უსაფრთხოების მიღწევის მიზანზე).⁹⁶ ამ საკითხზე შეკითხვა რამდენიმე დეპუტატმა დასვა.

ერთი გამოსვლა შეეხებოდა პარლამენტის წევრის მაჟორიტარულ ოლქში არსებული კონკრეტული სტადიონის ბედს. პროცედურის განმავლობაში სხვა კრიტიკული კითხვები არ დასმულა.

აღსანიშნავია, რომ გამომსვლელთა უმრავლესობა არ ხელმძღვანელობდა პროგრამით, როგორც მინისტრის საქმიანობის შეფასების უმთავრესი ინსტრუმენტით. პარლამენტის წევრები გამოდიოდნენ ზოგადი სახის ინიციატივებით და გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს სკოლასა და სპორტის მიმართულებასთან დაკავშირებით.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის საათი: პროცედურა 1 საათი და 57 წუთი, ხოლო უშუალოდ მოხსენება 76 წუთი გაგრძელდა.⁹⁷ შეკითხვა დასვა 16-მა პარლამენტარმა. აქედან 15 უმრავლესობის წარმომადგენელი იყო, ხოლო 1 - დამოუკიდებელი დეპუტატი.⁹⁸ ამ სხდომასაც ოპოზიციიდან მხოლოდ დამოუკიდებელი დეპუტატების ნაწილი ესწრებოდა.

სამთავრობო პროგრამ(ებ)ის⁹⁹ მიხედვით, ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია ბიზნესის თავისუფლება, მასთან აქტიური დიალოგი და პროგნოზირებადი გარემოს უზრუნველყოფა.¹⁰⁰ გამოსვლის დროს ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მნიშვნელობაზე. მოხსენება მეტწილად შეესაბამებოდა პროგრამის თემატიკას, თუმცა მას სრულად არ ფარავდა.¹⁰¹ სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებულ კითხვად (რომელზეც პროგრამა აქცენტს არ აკეთებს) შეიძლება დასახელდეს დეპუტატის გამოსვლა აგარის შაქრის კომბინატის შესახებ.

პროცედურის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არათემატური შეკითხვები. დეპუტატთა გამოსვლებში, ფაქტობრივად, არ იგრძნობოდა რამე ტიპის კრიტიკა. ყურადღება არ გამახვილებულა სამინისტროს საქმიანობის წარუმატებელ ასპექტებზე.

⁹⁶ სამთავრობო პროგრამა 2019-2020, სექტემბერი, 2019, გვ. 28; თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა, სამთავრობო პროგრამა, 2018-2020.

⁹⁷ მინისტრის საათი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/568635297016558/>, განახლებულია: 29.02.2020.

⁹⁸ 20 დეკემბერი, მინისტრის საათი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/478050296230440/>, განახლებულია: 29.02.2020.

⁹⁹ ამ შემთხვევაშიც ბუნდოვანია საკითხი, თუ რომელ სამთავრობო პროგრამას ჰქონდა მინისტრისთვის სახელმძღვანელო დატვირთვა. ზემოთქმული მსჯელობა ორივე პროგრამას მიემართება.

¹⁰⁰ თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა, სამთავრობო პროგრამა, 2018-2020, გვ. 14; სამთავრობო პროგრამა 2019-2020, სექტემბერი, 2019, გვ. 15, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/123190/07-2.388_, განახლებულია: 13.03.20.

¹⁰¹ აღსანიშნავია, რომ დეპუტატი რომან კაკულია საკუთარ გამოსვლაში გამოთქვამს რეკომენდაციას მომავალ ანგარიშებთან დაკავშირებით. მისი აზრით, საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს კონკრეტულ ინდიკატორებს, რაც საშუალებას მისცემს პარლამენტარებს, გაზომონ ამა თუ იმ სექტორში განხორციელებული პროგრესი და გამოკვეთონ პრობლემური სფეროები. დეპუტატის თქმით, საჭიროა, ნათლად გამოიყოს კონკრეტული მიმართულებების მიხედვით არსებული მთავარი გამოწვევები.

2.3.2. „მინისტრის საათი“ - 2020 წელი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის საათი: პროცედურა 4 საათი და 33 წუთი გაგრძელდა.¹⁰² მათ შორის, მოხსენებას 23 წუთი დაეთმო და ის შეესაბამებოდა სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებულ თემატიკას. გამომსვლელმა რამდენიმე წუთი ისაუბრა ასევე კორონავირუსზე, მასთან ბრძოლის ასპექტებზე და სამედიცინო პერსონალს მადლობა გადაუხადა. დანარჩენი დრო კითხვა-პასუხის რეჟიმში გავიდა. ჯამში, სიტყვით გამოვიდა 32 დეპუტატი: 9 - ოპოზიციის, ხოლო 23 - უმრავლესობის წარმომადგენელი. სხდომას ოპოზიციიდან მხოლოდ დამოუკიდებელი დეპუტატების ნაწილი ესწრებოდა. დასმული შეკითხვებიდან 15 მათგანი შეესაბამებოდა უშუალოდ მინისტრის მოხსენებას, 17 კი - ზოგად საკითხებს.

ფინანსთა მინისტრის საათი: პროცედურამ 1 საათი და 47 წუთი შეადგინა.¹⁰³ უშუალოდ მინისტრის მოხსენება 28 წუთი გაგრძელდა, ხოლო დარჩენილი დრო კითხვა-პასუხს დაეთმო. მოხსენება შეესაბამებოდა სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ თემატიკას. კითხვა დასვა უმრავლესობის 10-მა დეპუტატმა. ოპოზიციიდან, რომელთაგან სხდომას მხოლოდ დამოუკიდებელი დეპუტატების ნაწილი ესწრებოდა, სიტყვით არავინ გამოსულა. კითხვებიდან 2 ზოგადი ხასიათის იყო, ხოლო 8 ეხებოდა მინისტრის მოხსენებას.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის საათი: პროცედურა 2 საათი და 58 წუთი,¹⁰⁴ ხოლო, მინისტრის მოხსენება 26 წუთი გაგრძელდა და ის შეესაბამებოდა სამთავრობო პროგრამას. დარჩენილი დრო კითხვა-პასუხს დაეთმო. სიტყვით გამოვიდა 28 დეპუტატი. აქედან 20 კითხვა მოხსენებაზე იყო ორიენტირებული, 8 კი მას არ ეხებოდა. ამ უფლებით, ჯამში, უმრავლესობის 24-მა წევრმა და 4-მა დამოუკიდებელმა დეპუტატმა ისარგებლა. სხდომას არ ესწრებოდნენ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ფრაქციების წარმომადგენლები.

თავდაცვის მინისტრის საათი: განხილვამ 3 საათსა და 46 წუთს გასტანა.¹⁰⁵ აქედან 40 წუთი დაეთმო მინისტრის მოხსენებას (ის მეტწილად შესაბამისობაში იყო სამთავრობო პროგრამასთან), დანარჩენი კი - კითხვა-პასუხს. მინისტრი აგრეთვე შეეხო კორონავირუსთან ბრძოლის წინააღმდეგ თავდაცვის ძალების ჩართულობას. ამის შემდეგ სიტყვის უფლებით ისარგებლეს როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებმა. ამასთან, სხდომას არ ესწრებოდნენ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ფრაქციების წარმომადგენლები. ჯამში, კითხვა დასვა 31-მა დეპუტატმა: 4-მა - ოპოზიციიდან და 27-მა - უმრავლესობიდან. მათგან, 18 შეესაბამებოდა მინისტრის გამოსვლას, ხოლო 13 სხვა საკითხებზე იყო ორიენტირებული.

¹⁰² 5 თებერვალი, მინისტრის საათი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?v=511802949522088&ref=watch_permalink, <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/1135924770091407>, განახლებულია: 27.08.20.

¹⁰³ 20 თებერვალი, მინისტრის საათი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/607321149851191>, განახლებულია: 27.08.20.

¹⁰⁴ 6 მარტი, მინისტრის საათი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?v=338630243742090&ref=watch_permalink, განახლებულია: 31.08.20.

¹⁰⁵ 12 ივნისი, მინისტრის საათი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/210693318970694/videos/3309371175741091/> და <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/184463726294385>, განახლებულია: 01.09.20.

განხილული „მინისტრის საათის“ პროცედურებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამთავრობო პროგრამის შინაარსი გავლენას ვერ ახდენს მინისტრებისა და დეპუტატების გამოსვლებზე. მართალია, გამომსვლელთა და შეკითხვის ავტორთა უმეტესობა ამა თუ იმ ფორმით ეხმიანება მასში აღნიშნულ საკითხებს, თუმცა მაინც, ეს ხშირად შემთხვევითი თემატური დამთხვევა უფრო არის, ვიდრე იპლემენტაციის კონტროლი.

ამდენად, საკმაოდ რთულია რამე მყარად ჩამოყალიბებული, სტრუქტურირებული და თანმიმდევრული მიდგომის დანახვა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს ამ ფორმატში შესაბამისი მინისტრის გამოსვლა და დეპუტატების აქტივობები. მოხსენებები, ჩვეულებრივ, ფარავს პროგრამაში წარმოდგენილ ზოგად და კონკრეტულ საკითხებს, თუმცა ბოლომდე ესეც ვერ ხერხდება. მთავრობის წევრები ხშირად ეხებიან ისეთ თემებს, რომლებიც გეგმიდან არც პირდაპირ და არც ირიბად არ გამომდინარეობს. საპირისპიროდ, დეპუტატების შეკითხვები, როგორც წესი, ზოგად აქტუალურ საკითხებს მოიცავს (განსაკუთრებით, ოპოზიციის შემთხვევაში). საბოლოოდ, როგორც მინისტრები, ისე პარლამენტარები გამიზნულად კი არ მიჰყვებიან პროგრამის კონკრეტულ ჩანაწერებს, არამედ, პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამის პოზიციებს აფიქსირებენ.

განხილული „მინისტრის საათებიდან“ ნათლად ჩანს, რომ დეპუტატების მხრიდან ნაკლებად კეთდება აქცენტი უშუალოდ პროგრამაზე. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არის ის, რომ მოხსენება ზოგადი ხასიათისაა, მეორე მხრივ კი, არ არსებობს ფორმატი, სადაც შესაძლებელი იქნება აქტუალური პოლიტიკური საკითხების განხილვა. კაბინეტის წევრებისთვის კომფორტულია ზოგადი და აბსტრაქტული მსჯელობები. მათი გამოსვლები მეტწილად სწორედ ასეთია. თუმცა, ოპოზიციას მსგავსი თემები ნაკლებად აინტერესებს და საკუთარი დღის წესრიგის შესაბამის კითხვებს სვამს, რათა დისკუსია აქტუალური საკითხების გარშემო წარიმართოს.

ზემოაღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ „მინისტრის საათის“ ფარგლებში საკმარისი დრო არ ეთმობა მსჯელობას სამთავრობო გეგმის შესაბამისი მიმართულებების შესრულების თაობაზე. ამ ინსტიტუტს ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლის მცირე რესურსი აქვს. დანაკლისის შევსება შეუძლია „სამთავრობო საათის“ პროცედურას. ეს არის მექანიზმი, რომელიც დეპუტატებისთვის შესაბამისი თანამდებობის პირებისგან მათთვის აქტუალურ კითხვებზე პასუხების მიღებას უზრუნველყოფს.

„მინისტრის საათის“ პროცედურა კრიტიკას სხვა მხრივაც იმსახურებს. შემოთავაზებული მიდგომა ზოგჯერ მას აზრსაც კი უკარგავს. მაგალითად, პირველად ეს პროცედურა მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 კვირაში უნდა გაიმართოს; მისი ჩატარება ასევე შეიძლება პრემიერმინისტრის ანგარიშამდე 2 კვირით ადრე.¹⁰⁶ არაგონივრულია, 2 კვირის დანიშნულ მინისტრს საკანონმდებლო ორგანო ანგარიში მოსთხოვოს, კონკრეტულ სამთავრობო მიმართულებაზე მოხსენების გაკეთებიდან 2 კვირის თავზე კი, იმავე საკითხზე პრემიერმაც იმსჯელოს.¹⁰⁷ ამგვარი შემთხვევები დაფიქსირდა, მაგალითად, 2019 წლის საშემოდგომო სესიაზე, როდესაც ახლად ნდობაგამოცხადებულ მინისტრებს საუბარი მოუწიათ იმ დოკუმენტის (წინა მთავრობის პროგრამა) შესრულებაზე, რომელიც უკვე აღარ მოქმედებდა. მექანიზმის არაპრაქტიკულობის გამო, შესწავლილი ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრე-

¹⁰⁶ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.

¹⁰⁷ იქვე.

ზიდენტის ქვეტიპისა და საპარლამენტო ქვეყნებიდან არცერთში არ ფიქსირდება საქართველოში დადგენილი „მინისტრის საათის“ მსგავსი რეგულარული პროცედურა. გამონაკლისია ლატვია. იქაც ყოველწლიურ ანგარიშს მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრი წარადგენს.¹⁰⁸ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **აუცილებელია, გაუქმდეს „მინისტრის საათის“ არსებული ფორმატი და მინისტრები ანგარიშით შესაბამის კომიტეტებში პრემიერმინისტრთან ერთად, ამ უკანასკნელის მიერ პლენარულ სესიაზე ანგარიშის გატანის წინა კვირაში წარდგენ.**¹⁰⁹

2.4. ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე მოწვევა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, სხდომაზე წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში და პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს.¹¹⁰

საკითხის ინიცირების უფლება კომიტეტს ან ფრაქციას აქვს.¹¹¹ გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.¹¹² რეგლამენტი კონკრეტულად გაწერს თანამდებობის პირის სიტყვით გამოსვლისა და განხილვის პროცედურას,¹¹³ რომელიც პოლიტიკურ დებატებსაც მოიცავს.¹¹⁴ საანგარიშო პერიოდში პარლამენტს ზედამხედველობის ეს მექანიზმი არ გამოუყენებია.¹¹⁵

¹⁰⁸ იქვე, 83. 52.

¹⁰⁹ იქვე, 83. 30.

¹¹⁰ საქართველოს კონსტიტუცია, 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹¹¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹¹² იქვე.

¹¹³ იქვე, 152-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები.

¹¹⁴ იქვე, 152-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹¹⁵ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

3. სამთავრობო საათი (Question Time)

„სამთავრობო საათი“ საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მექანიზმია.¹¹⁶ ის „არსებითად ორ მიზანს ემსახურება. პირველი – ზედამხედველობაა. ლიდერების იძულება, უპასუხონ დასმულ კითხვებს, რიგით დეპუტატებსა და ფართო საზოგადოებას მთავრობის პოლიტიკის გამოკვლევის (და, საბოლოოდ, შეფასების) საშუალებას აძლევს. მეორე – პოლიტიკურია. საპარლამენტო კითხვების პროცედურა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს ერთმანეთთან დებატების ფორუმს სთავაზობს, რასაც ხშირად საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების ფუნქციაც აქვს.“¹¹⁷

„სამთავრობო საათი“ საპარლამენტო დღის წესრიგის რეგულარული ნაწილია, რომელიც მთავრობისადმი დასმულ კითხვებსა და მათზე პასუხების გაცემას ეთმობა. პროცედურულად, კითხვას, როგორც წესი, წერილობითი ფორმა აქვს, თუმცა, შესაბამის თანამდებობის პირს მასზე პასუხი ზეპირად მოეთხოვება.¹¹⁸ შეკითხვების საათის მეშვეობით, პარლამენტსა და საზოგადოებას მიმდინარე აქტუალურ თემებზე ინფორმაცია დროულად მიეწოდება. დეპუტატებს, რომლებიც მმართველ ძალას არ მიეკუთვნებიან, შეუძლიათ, ამგვარად გადაამოწმონ კაბინეტის უნარი ეროვნული მნიშვნელობის პრობლემებზე ადეკვატური რეაგირების თვალსაზრისით.¹¹⁹ „ოპოზიციის წევრები ყურადღებას, უპირველესად, იმ საკითხებზე ამახვილებენ, რომლებზეც მთავრობასთან ვერ თანხმდებიან და სჯერათ, რომ ამით პოლიტიკურ ქულებს მოიპოვებენ. პარტიებს შორის განსხვავებების ხაზგასასმელად, ისინი ხშირად დამაზუსტებელ ან „დამატებით“ კითხვებს სვამენ. თავის მხრივ, მმართველი ძალის წევრები ისეთ კითხვებს იყენებენ, რომლებიც მთავრობის წარმატებებს კიდევ უფრო გამოკვეთს, ხოლო ოპოზიციის პოლიტიკას ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენს.“¹²⁰

„სამთავრობო საათის“ მექანიზმი ხელს უწყობს პოლიტიკური პროცესების გააქტიურებას, სხვადასხვა აქტუალური საკითხის დღის წესრიგში დაყენებას და საზოგადოების ინტერესების ფართო პოლიტიკური სპექტრისთვის მიწოდებას.¹²¹ შესაბამისად, მისი, როგორც საზედამხედველო ბერკეტის დატვირთვა სცდება კაბინეტის წევრთაგან, უბრალოდ, ინფორმაციის მოპოვების მიზანს.¹²²

რეგლამენტის არსებული რედაქცია არც „სამთავრობო საათს“ და არც რომელიმე სხვა ეკვივალენტურ პროცედურას არ ითვალისწინებს.¹²³ ასეთად ვერ ჩაითვლება „მინისტრის საათი“, რადგან „სამთავრობო საათის“ ამოცანაა პერიოდულად აქტუალური თემების წამოჭრა და კომპეტენტური მინისტრისგან (ან პრემიერმინისტრისგან) შესაბამისი განმარტებების მიღება. „მინისტრის საათი“ კი კონკრეტულ

¹¹⁶ Pelizzo R. and Stapenhurst R., Tools for Legislative Oversight: An Empirical Investigation, World Bank Policy Research Working Paper 3388, 2004, p. 4, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y2r3yswb>, განახლებულია: 01.09.2019.

¹¹⁷ NDI, საპარლამენტო მექანიზმების გაძლიერება ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის ურთიერთობებში, საკანონმდებლო კვლევების სერია, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), თბილისი, 2019, გვ. 63.

¹¹⁸ Wiberg M., Parliamentary Questioning: Control by Communication?, კრებულიდან, Döring H. (Editor), Parliaments and Majority Rule in Western Europe, A publication of the Mannheim centre for European Social Research (MZES) at the University of Mannheim, p. 185, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y2ogcds9>, განახლებულია: 29.08.2019.

¹¹⁹ Yamamoto H., დასახელებული ნაშრომი, p. 49.

¹²⁰ NDI, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

¹²¹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.

¹²² იქვე.

¹²³ იქვე, გვ. 70.

სფეროში სამთავრობო გეგმის შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯების შესახებ საკანონმდებლო ორგანოს ინფორმირების ბერკეტს წარმოადგენს.¹²⁴ ეს უკანასკნელი გამორიცხავს დეპუტატების მხრიდან დამატებითი საკითხების დაყენების შესაძლებლობას.¹²⁵

ყველა შესწავლილ ქვეყანაში „სამთავრობო (შეკითხვის) საათი“ მოქმედი მექანიზმია, რომლის ჩატარების სიხშირეც, ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის რესპუბლიკებში შემდეგია: „კვირაში ერთხელ - ლიეტუვა; ფინეთი; ბულგარეთი; ყოველ სხდომაზე, ანუ კვირაში ოთხჯერ - სლოვაკეთი; ხორვატიაში პარლამენტი სასესიო პერიოდში თვეში ერთხელ იკრიბება და ყოველი შეკრებისას დღის წესრიგი იწყება „დღის შეკითხვის საათით“; შესწავლილ საპარლამენტო ქვეყნებში „სამთავრობო საათი“ შემდეგი სიხშირით ტარდება: კვირაში ერთხელ - ესტონეთში, უნგრეთსა და ლატვიაში; საბერძნეთში „მიმდინარე კითხვების“, იგივე „სამთავრობო საათის“, პროცედურა იმართება ყოველ ორშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს.“¹²⁶ იტალიის დეპუტატთა პალატაში შეკითხვის საათი იმართება ყოველი სხდომის დაწყებისას, რისთვისაც მინიმუმ 40 წუთია გამოყოფილი;¹²⁷ გერმანიისა და ესპანეთის შემთხვევაში, პროცედურები განსაზღვრავს შეკითხვის საათის ჩატარების არა კონკრეტულ დღეს, არამედ გამოყოფილი საათების მაქსიმალურ ოდენობას. კერძოდ, გერმანიის ბუნდესტაგში, სხდომების ყოველ კვირას, შეკითხვის საათს ეთმობა არაუმეტეს 3 საათი,¹²⁸ ესპანეთში კი ამ პროცედურისთვის 2 საათია გამოყოფილი¹²⁹ (თუმცა, როგორც წესი, ის ოთხშაბათობით ტარდება).¹³⁰ გერმანიაში, დამატებით, ამის მსგავსი ორი მექანიზმი არსებობს. ისინი ზეპირი ფორმით დასმული კითხვებისა და მათზე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეპირად პასუხის გაცემის პროცედურას მოიაზრებს. პირველი ოთხშაბათი დღის შეკითხვის საათია, რომელიც მთავრობის ყოველკვირეული შეკრების შემდეგ იმართება.¹³¹ ეს პროცედურა დაახლოებით ნახევარ საათს გრძელდება.¹³² მეორე მექანიზმი ე.წ. აქტუალური საათია. ის საზოგადოების მაღალი ინტერესის მატარებელი კონკრეტული თემების განხილვას ეძღვნება, რომელიც მოკლე, ხუთწუთიან გამოსვლებსა და მოსაზრებების დაფიქსირებას გულისხმობს.¹³³ შესწავლილი სახელმწიფოებიდან სამთავრობო საათი კვირაში ერთხელ ტარდება 7 მათგანში, თითოში - კვირაში 3-ჯერ, კვირაში 4-ჯერ და თვეში ერთხელ. 2 ქვეყანაში კი სამთავრობო საათის ჩატარების კონკრეტული დღე განსაზღვრული არ არის. თუმცა, ეს ვაკუუმი ერთგან პრაქტიკით ივსება, ხოლო მეორეგან - ანალოგიური პროცედურის გამოყენებით.

გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, „სამთავრობო საათზე“ ზეპირი პასუხის მისაღებად კითხვის დასმა პარლამენტის ცალკეული წევრის ან, იშვიათად, ფრაქციის

¹²⁴ იქვე.

¹²⁵ იქვე.

¹²⁶ იქვე.

¹²⁷ Rules and procedures of Chamber of deputies of Italy, art. 130, cl. 1, იტალიის დეპუტატთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y3qod572>, განახლებულია: 15.09.20.

¹²⁸ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Annex 4 Guidelines for Question Time and for written questions, I. Right to put questions, 1.

¹²⁹ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, art. 191, ესპანეთის კონგრესის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y5tvuyjl>, განახლებულია: 15.09.20.

¹³⁰ Constitutional and Parliamentary Information, Association of Secretaries General of Parliaments, p. 107, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yym4r9jm>, განახლებულია: 23.08.2019.

¹³¹ Instruments of scrutiny, ბუნდესტაგის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.bundestag.de/en/parliament/function/scrutiny/instruments_scrutiny-245710, განახლებულია: 23.08.2019.

¹³² იქვე.

¹³³ იქვე.

(ან დეპუტატთა ჯგუფის) პრეროგატივაა. ამ უფლებით სარგებლობა, „მესწავლილ ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის რესპუბლიკებში, ბულგარეთში, ფინეთში, ლიეტუვაში, სლოვაკეთსა და ხორვატიაში, პარლამენტის 1 წევრსაც შეუძლია.“¹³⁴ საპარლამენტო ქვეყნებიდან მხოლოდ ლატვიის კანონმდებლობა¹³⁵ ადგენს, სულ მცირე, 5 დეპუტატის მოთხოვნას ზეპირი კითხვის წარსადგენად, ხოლო უნგრეთის,¹³⁶ ესტონეთის,¹³⁷ საბერძნეთის,¹³⁸ გერმანიის,¹³⁹ იტალიისა¹⁴⁰ და ესპანეთის¹⁴¹ შემთხვევაში, პარლამენტის 1 წევრიც საკმარისია.

ვიდრე „სამთავრობო საათი“ გაიმართება, დეპუტატები ადრესატებს კითხვებს გარკვეული დროით ადრე უგზავნიან. ამ კუთხით განსხვავებული მიდგომები არსებობს. ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის სახელმწიფოებიდან ლიეტუვაში კითხვები ისმება უშუალოდ სხდომაზე.¹⁴² თუმცა, თუ კითხვა მოითხოვს ღრმა და ყოვლისმომცველ პასუხს, მაშინ იგი წერილობით უნდა გაფორმდეს.¹⁴³ ფინეთშიც, ლიეტუვის მსგავსად, კითხვები მხოლოდ სხდომაზე ისმება.¹⁴⁴ ბულგარეთსა¹⁴⁵ და სლოვაკეთში¹⁴⁶ ადრესატს ისინი სხდომამდე 48 საათით ადრე, ხორვატიაში¹⁴⁷ კი - 24 საათით ადრე ეგზავნება.

საპარლამენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებიდან, ესტონეთში კითხვები იგზავნება სამთავრობო საათის წინა სასესიო დღის შუადღის 12 საათამდე.¹⁴⁸ უნგრეთში განსხვავებული მიდგომაა და მათ უშუალოდ სხდომაზე სვამენ.¹⁴⁹ ლატვიაში კითხვების რეგისტრაცია აუცილებელია, თუმცა რეგლამენტი ვადას არ განსაზღვრავს.¹⁵⁰ საბერძნეთში ისინი იგზავნება სხდომამდე 3 დღით ადრე.¹⁵¹ იტალიაში კითხვის დასმიდან 2 კვირის შემდეგ შედის იგი პლენარული სხდომების დღის წესრიგში.¹⁵² გერმანიაში კითხვა იგზავნება პარლამენტის თავმჯდომარესთან სასე-

¹³⁴ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 71.

¹³⁵ Rules of Procedure of the Saeima of Latvia, art. 119, cl. 1.

¹³⁶ The rules and Procedure of National Assembly of Hungary, art. 42, cl. 8.

¹³⁷ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, art. 144, ესტონეთის საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://www.riigiteataja.ee/en/eli/518112014003/consolide>, განახლებულია: 15.09.20.

¹³⁸ Standing Orders of the Parliament of Greece, art. 132, cl.2.

¹³⁹ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, art. 105.

¹⁴⁰ Rules and procedures of Chamber of deputies of Italy, art. 128.

¹⁴¹ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, sec. 185.

¹⁴² Seimas of the Republic of Lithuania Statute, art. 208, cl. 2, ლიეტუვის სეიმის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y5d4vxjx>, განახლებულია: 15.09.20.

¹⁴³ იქვე, art. 208, cl. 3.

¹⁴⁴ Parliament's Rules of Procedure of Finland, section 25, ფინეთის პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y4lhtjrz>, განახლებულია: 15.09.20.

¹⁴⁵ Rules of Organisation and Procedure of the National Assembly, art. 96, cl. 1, ბულგარეთის ეროვნული კრების ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.bg/en/rulesoftheorganisations>, განახლებულია: 15.09.20.

¹⁴⁶ Act of the National Council of the Slovak Republic No. 350/1996 on Rules of Procedure, Section 131, par. 1, სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yd74gh52>, განახლებულია: 15.09.20.

¹⁴⁷ Standing Orders of the Croatian Parliament - June 2013 (Official Gazette „Narodne novine“ number 81/2013), art. 133, ხორვატიის საბორის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y6svyzb9>, განახლებულია: 15.09.20.

¹⁴⁸ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Par 144, sec. 1.

¹⁴⁹ Act XXXVI of 2012 on the National Assembly of Hungary, sec. 43, par. 1. უნგრეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/ybhybc48>, განახლებულია: 15.09.20.

¹⁵⁰ Rules of Procedure of the Saeima, art. 119, ხელმისაწვდომია: <https://www.saeima.lv/en/legislative-process/rules-of-procedure>, განახლებულია: 15.09.20.

¹⁵¹ Standing Orders of the Parliament of Greece, art. 130, sec. 2.

¹⁵² Rules and procedures of Chamber of deputies of Italy, rule 129, sec. 2.

სიო კვირის წინა პარასკევს დილის 10 საათამდე და ფედერალურ მთავრობაში - 12 საათამდე.¹⁵³ ესპანეთში კითხვა უნდა ჩაბარდეს ბიუროს მის მიერვე განსაზღვრულ დღეს, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს უნდა იყოს სხდომამდე არაუგვიანეს 1 კვირისა და არაუადრეს 48 საათისა.¹⁵⁴

შესწავლილი ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ უშუალოდ სხდომაზე 3 სახელმწიფოში სვამენ კითხვებს, 2-ში - 24 სთ-ით, 2-ში - 48 სთ-ით, 1-ში - 3 დღით, 2-ში - მაქსიმუმ ერთი კვირით და 1-ში - 2 კვირით ადრე, 1 სახელმწიფოში კი ვადა განსაზღვრული არ არის.

„სამთავრობო საათი“ პარლამენტის მიერ საზედამხედველო საქმიანობის უფრო საფუძვლიანად და ეფექტიანად წარმართვისთვის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით და საუკეთესო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, აუცილებელია, რეგლამენტმა დაამკვიდროს „სამთავრობო საათის“ მექანიზმი, რომელიც ჩამოყალიბდება სტაბილურ, ორკვირეულ ინსტიტუტად (ყოველ სასესიო კვირაში) და ცალკეულ დეპუტატებს მათთვის საინტერესო საკითხებზე მთავრობის წევრებისგან პასუხების მიღების შესაძლებლობას მიანიჭებს.¹⁵⁵ კითხვის დასმისთვის უნდა განისაზღვროს ვადა, რომელიც შეიძლება იყოს სამთავრობო საათამდე 48 საათით ადრე. მინისტრი (პრემიერის ჩათვლით) ვალდებული იქნება, რეგლამენტით განსაზღვრულ დღეს მივიდეს საკანონმდებლო ორგანოში და ყველა კითხვას პირადად უპასუხოს.¹⁵⁶

სამთავრობო საათის დამკვიდრების შემთხვევაში გამოირიცხება მინისტრის ანგარიშისა და აქტუალური საკითხების ერთმანეთში არევის, ასევე, ინტერპელაციის გადატვირთვის რისკები; დეპუტატებს საშუალება ექნებათ, პლენარულ სხდომებზე დასვან მათთვის აქტუალური საკითხები და სხვა.¹⁵⁷

¹⁵³ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Annex 4 Guidelines for Question Time and for written questions, II, Tabling of Questions, 8.

¹⁵⁴ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, sec.188, par. 1.

¹⁵⁵ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 71.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ იქვე.

4. ინტერპელაცია

ინტერპელაცია არის დეპუტატ(ებ)ის ან საპარლამენტო ჯგუფის მოთხოვნა, რომლის ადრესატი მთელი მთავრობა ან მისი რომელიმე წევრია.¹⁵⁸ როგორც წესი, პარლამენტარები ამ მექანიზმის მეშვეობით კაბინეტისგან მნიშვნელოვანი პრობლემის, პოლიტიკის მიმართულებების ან აღმასრულებელი შტოს წარმომადგენლების მიერ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ გადადგმული ნაბიჯების თაობაზე განმარტებებს მოითხოვენ,¹⁵⁹ რაც, საბოლოოდ, პარტიებს პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნასა და მასზე ზეგავლენის მოხდენაში ეხმარება.¹⁶⁰ ამასთან, „ზეპირი კითხვა არის მოკლე კომუნიკაცია, რომელიც მიზნად მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის განსხვავებების ხაზგასმას ისახავს, ინტერპელაცია კონკრეტულ საკითხსა ან, ცალკეულ შემთხვევებში, მინისტრთა გადაცდომების თაობაზე საყოველთაო დებატების პროცირებისთვის არის შექმნილი.“¹⁶¹

ინტერპელაციას სამი ძირითადი მიზანი აქვს:

- მთავრობისგან ინფორმაციის ანდა განმარტებების მიღება საჯარო ინტერესის მქონე იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგში პირდაპირ არ შედის, თუმცა, მისი წევრების აზრით, იმსახურებს საზოგადოებისა და პარლამენტის ყურადღებას;¹⁶²
- პრობლემური საკითხის თაობაზე, გონივრულ დროში და დადგენილი პროცედურებით, დებატების გამართვა, სადაც ინტერპელანტს, მთავრობის შესაბამის წარმომადგენელსა და საკანონმდებლო ორგანოს სხვა წევრებს, საკუთარი პოზიციების დაფიქსირების შესაძლებლობა ექნებათ;¹⁶³
- ინტერპელაციის განხილვის დასრულება დამატებითი მოქმედებების გარეშე ან მთავრობის (მისი წევრის) პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ისეთი წინადადების ინიცირებით, რომელზეც პარლამენტმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და, რომელიც შემდგომ შეიძლება უნდობლობის პროცედურაში გადაიზარდოს.¹⁶⁴ ასეთი წინადადებები, თუნდაც გათვალისწინებული არ იყოს მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი, შეიძლება მოიცავდეს პარლამენტის, როგორც მთელის, პოლიტიკურ პოზიციას ამა თუ იმ საკითხის თაობაზე.¹⁶⁵

4.1. ინტერპელაციის ჩატარების დრო

ინტერპელაცია საქართველოს კონსტიტუციითა¹⁶⁶ და პარლამენტის რეგლამენტით¹⁶⁷ დადგენილი პროცედურაა, რომელსაც წარადგენს არანაკლებ 7 დეპუტატი ან ფრაქცია;¹⁶⁸ ის მხოლოდ წერილობითი ფორმისაა, შინაარსი კი კონკრეტული უნდა იყოს და შეეხებოდეს ადრესატის (რომლებიც პარლამენტის წინაშე ანგარიშვა-

¹⁵⁸ იქვე, გვ. 72.

¹⁵⁹ იქვე.

¹⁶⁰ Green-Pedersen C., *The Changing Nature of West European Parliaments, From legislators to arenas of agenda setting*, p. 5, ხელმისაწვდომია: <https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/af2d9420-bc99-4894-ae34-bc7872cdb189.pdf>, განახლებულია: 29.08.2019.

¹⁶¹ NDI, დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.

¹⁶² Wiberg M., დასახელებული ნაშრომი, p. 186.

¹⁶³ იქვე.

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ იქვე.

¹⁶⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლი.

¹⁶⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლი.

¹⁶⁸ იქვე, 149-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი.

ლდებული ორგანოები არიან¹⁶⁹) უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს.¹⁷⁰ მისი შემადგენელი აუცილებელი კომპონენტია დებატები.¹⁷¹

ინტერპელაცია იმართება ყოველი მორიგი სესიის განმავლობაში ორჯერ - მარტში, მაისში, სექტემბერსა და ნოემბერში.¹⁷² თუმცა, ამგვარი რეგულირება შეუსაბამოა როგორც ამ მექანიზმის ბუნებასთან, ისე ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიზანთან.

საერთაშორისო პრაქტიკაში, ამ მხრივ, შემდეგი ვითარებაა: ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის რესპუბლიკებში „ინტერპელაციაზე პასუხის გაცემის შემდეგი ვადებია გათვალისწინებული: 14-30 დღის ფარგლებში: ბულგარეთი - 14 დღე;¹⁷³ ფინეთი - 15 დღე; ლიეტუვა - პასუხის წარდგენის ვადა მაქსიმუმ 2 კვირაა, რის შემდეგაც 5 სამუშაო დღის ვადაში დებატები ინიშნება; ხორვატია - 15 დღე; სლოვაკეთი - პასუხის წარდგენის ვადა 30 დღეა. შესაძლებელია ზეპირად პასუხის წარდგენა სესიაზე, ინტერპელაციისთვის განკუთვნილი დროის განმავლობაში. სასწრაფო ინტერპელაციის დროს (Urgent Interpellation) პასუხისთვის განსაზღვრული ვადა შეიძლება შეიკვეცოს 15 დღემდე. საპარლამენტო რესპუბლიკებში ინტერპელაციაზე პასუხის გაცემის შემდეგი ვადებია გათვალისწინებული: 1 კვირის ფარგლებში - საბერძნეთი; ლატვია; უნგრეთი. ესტონეთში ინტერპელაციაზე პასუხის გაცემის ვადა 20 დღეა.“¹⁷⁴ იტალიის დეპუტატთა პალატაში განხილვა იმართება შეკითხვის წარდგენიდან 2 კვირის თავზე.¹⁷⁵ ამ ინსტრუმენტის გამოყენება ნებისმიერ დეპუტატს შეუძლია.¹⁷⁶ ასევე, არსებობს სასწრაფო ინტერპელაციები, რომელთა განხილვაც, როგორც წესი, 1 კვირის ვადაში ტარდება.¹⁷⁷ ამ შემთხვევაში, საკითხის ინიციატორი შეიძლება იყოს საპარლამენტო ჯგუფი (საპარლამენტო ჯგუფში, ანუ ფრაქციაში, უნდა შედიოდეს არანაკლებ 20 დეპუტატი),¹⁷⁸ თავმჯდომარე ან არანაკლებ 30 დეპუტატი;¹⁷⁹ ესპანეთში ინტერპელაცია პლენარული სხდომების დღის წესრიგში შედის მისი გამოქვეყნებიდან 15 დღის გასვლის შემდეგ;¹⁸⁰ გერმანიაში კი, სადაც ამ მექანიზმის კლასიკურ გაგებას შეესაბამება ე.წ. „დიდი მიმართვა“, ეს ვადა 3 კვირაა.¹⁸¹ შესწავლილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ ინტერპელაციას პასუხი 1 კვირაში გაეცემა 3 სახელმწიფოში, 5-ში - 1 კვირიდან 15 დღემდე, 4-ში კი - 15 დღიდან 1 თვემდე ვადაში. ორ სახელმწიფოში აგრეთვე არსებობს სასწრაფო ინტერპელაციის მექანიზმი, რომლითაც პასუხზე გაცემის ვადა ნახევრდება.

საქართველოში ინტერპელაციის პროცედურა თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს, ხოლო შესაბამისმა სუბიექტმა შეკითხვა 10 დღით ადრე წარადგინოს. ეს ხელს შეუწყობს სახელმძღვანელო პროცესის გააქტიურებას, საკანონმდებლო ორ-

¹⁶⁹ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლი.

¹⁷⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლი, მე-2 პუნქტი.

¹⁷¹ იქვე, 149-ე მუხლი, მე-10 პუნქტი.

¹⁷² იქვე, 149-ე მუხლი, მე-5 პუნქტი.

¹⁷³ Rules of Organisation and Procedure of the National Assembly, art. 99, cl. 1, ბულგარეთის ეროვნული კრების ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.bg/en/rulesoftheorganisations>, განახლებულია: 18.09.20.

¹⁷⁴ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 73.

¹⁷⁵ Rules and procedures of Chamber of deputies of Italy, art. 137, cl. 2.

¹⁷⁶ Policy setting, fact-finding and scrutiny, იტალიის დეპუტატთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://en.camera.it/4?scheda_informazioni=26, განახლებულია: 10.09.2019.

¹⁷⁷ Rules and procedures of Chamber of deputies of Italy, art. 138-bis, cl. 2.

¹⁷⁸ იქვე, art. 14, cl. 1.

¹⁷⁹ იქვე.

¹⁸⁰ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, art. 182, cl. 1.

¹⁸¹ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, art. 102.

განოს კი მეტ ბერკეტს მისცემს საჯარო მნიშვნელობის საკითხების გარშემო პოლიტიკური დღის წესრიგის შესაქმნელად.

4.2. დროის პროპორციული შემცირების პრინციპი

თავდაპირველად, პარლამენტის რეგლამენტი თითო ინტერპელაციისთვის დროის გამოთვლის უსამართლო წესს შეიცავდა. კერძოდ, შეკითხვების რაოდენობის მიხედვით, პარლამენტის ბიურო პროპორციულად ამცირებდა ინტერპელაციის ფარგლებში გამომსვლელთათვის გათვალისწინებულ დროს იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ყველა შეკითხვაზე შესაბამისი ნორმებით დადგენილი ყველა პროცედურის გავლა.¹⁸² კითხვების რაოდენობის შესაბამისად საკითხის დასმის, მათზე პასუხის გაცემისა და, შემდგომ, დებატებისას განსაზღვრული დროის პროპორციული შემცირების პრინციპმა უარყოფითად იმოქმედა. ამ წესით, ჯამში, 9 ინტერპელაცია ჩატარდა, პრაქტიკამ კი ნორმის ხარვეზები გამოკვეთა. დროის ასეთმა შემცირებამ ყველა საკითხის სრული და საფუძვლიანი შესწავლა გამორიცხა, ხოლო უმრავლესობას შესაძლებლობა მისცა, ინტერპელაციის დღეს თავადაც მოეწვია ანგარიშვალდებული პირები, რათა ხელოვნურად მინიმუმამდე დაეყვანა განხილვისთვის გამოყოფილი წუთების რაოდენობა და ინტერპელაციისთვის აზრი დაეკარგა.¹⁸³ ჩატარებული ინტერპელაციების პროცედურები ადასტურებს, რომ ამ ჩანაწერმა არსებითი გავლენა მოახდინა ინსტრუმენტის ბუნებაზე და გამორიცხა კონსტრუქციული თემების გარშემო საფუძვლიანი და საგნობრივი დელიბერაციული პროცესის წარმართვა. პროცედურული ბარიერები მნიშვნელოვანწილად აბრკოლებდა ინტერპელაციის მექანიზმის ეფექტიან აღსრულებას. ნორმის ხარვეზიანობამ ამ ინსტრუმენტის მთავარი მიზნის მიღწევას - საკითხის გარშემო პოლიტიკური დისკუსიისა და პარლამენტის ერთიანი პოზიციის დაფიქსირებისთვის ნიადაგის შექმნას - ხელი შეუშალა.

2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე რეგლამენტში ცვლილებები შევიდა, რამაც ხსენებული მექანიზმიც მოიცვა. ახალმა რედაქციამ ინტერპელაციისას დროის პროპორციული შემცირების პრინციპიც გადასინჯა. ახალი ნორმით დრო პროპორციულად მხოლოდ მაშინ შემცირდება, თუ ჩაბარებულია 2-ზე მეტი შეკითხვა.¹⁸⁴ ამასთან, ის გამოითვლება ორი ინტერპელაციის ჯამური დროიდან.¹⁸⁵ ეს პოზიტიური სიახლეა, რომლითაც ერთ დღეს 2 სრულყოფილი ინტერპელაციის პროცედურის ჩატარება იქნება შესაძლებელი. თუმცა, ახალი წესი ჯერჯერობით არ მოქმედებს და ძალაში 2020 წელს არჩეული პარლამენტის სრული უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან შევა.¹⁸⁶ მიუხედავად იმისა, რომ რეგლამენტისეული ნორმა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ავტორთა გჯუფი მიიჩნევენ, რომ 2-ზე მეტი ინტერპელაციის შემთხვევაში, **უმჯობესია, გამომსვლელთა დროის შემცირების ნაცვლად, ინტერპელაციის პროცედურა მომდევნო სხდომაზე გაგრძელდეს.**

ქვემოთ წარმოდგენილია რეგლამენტის ძველი ნორმის პირობებში არსებული პრაქტიკის ანალიზი.

2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე ინტერპელაციას ორი დღე დაეთმო (2019 წლის

¹⁸² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁸³ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 74.

¹⁸⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁸⁵ იქვე.

¹⁸⁶ იქვე.

22 მარტი და 31 მაისი). 22 მარტის სხდომაზე ეს პროცედურა 3-ჯერ გაიმართა: მოწვეულები იყვნენ პრემიერმინისტრი (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნით)¹⁸⁷ და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, რომლის მიმართაც გაგზავნილი იყო 2 სხვადასხვა შეკითხვა (ფრაქცია „ევროპული საქართველო - რეგონების“ და ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ მოთხოვნით).¹⁸⁸ შესაბამისად, ჩატარდა 3 ინტერპელაცია 2 ადრესატთან. 31 მაისის სხდომაზე გაიმართა 4 ინტერპელაცია: მოწვეულები იყვნენ პრემიერმინისტრი (ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრებმა წარადგინეს 2 სხვადასხვა შეკითხვა), ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (ფრაქცია „ქართული ოცნების“ მოთხოვნით), ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნით). მაშასადამე, გაიმართა 4 ინტერპელაცია 3 სხვადასხვა ადრესატთან (აქედან 2 - პრემიერმინისტრთან).¹⁸⁹

იმპლემენტაციის პროცესში კიდევ უფრო მკაფიო გახდა ის პრობლემები, რომლებიც იმთავითვე ნათელი იყო. პირველივე ინტერპელაციის დროს დეპუტატები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას რეგლამენტის იმ ნორმასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, გამოსვლების დრო შეკითხვების რაოდენობის პროპორციულად მცირდებოდა.¹⁹⁰ პარლამენტის წევრთა ნაწილი მიუთითებდა, რომ ეს წესი აზრს უკარგავდა პროცედურას.¹⁹¹ დამოუკიდებელი დეპუტატები აპროტესტებდნენ მათთვის განსაზღვრული ლიმიტის 2 წუთამდე შემცირებას.¹⁹² ეს უკმაყოფილება სწორედ იმას გულისხმობდა, რომ კითხვებისა და დებატებისთვის განკუთვნილი დროის სიმცირე შეუძლებელს გახდიდა ამ ინსტიტუტის საფუძვლიან იმპლემენტაციას.

პრემიერმინისტრის მეორე ინტერპელაციის დროსაც ზემოხსენებულ პრობლემაზე მახვილდებოდა ყურადღება.¹⁹³ პარლამენტის წევრთა აზრით, დროის პროპორციული შემცირების შესახებ ჩანაწერი მმართველ ძალას აძლევდა მისით მანიპულირებისა და ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, სხვა თანამდებობის პირების ხელოვნურად მოწვევის მეშვეობით.¹⁹⁴

2019 წლის 22 მარტს პარლამენტმა მოუსმინა პრემიერსა და განათლების მინისტრს.¹⁹⁵ ამ სხდომაზე რეგლამენტით პროცედურისთვის გამოყოფილი დრო სა-

¹⁸⁷ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ინტერპელაციის წესით, ქვეყნის პრემიერმინისტრ მამუკა ბახტაძეს მოუსმინეს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y2talvnk>, განახლებულია: 04.12.2019.

¹⁸⁸ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა პარლამენტში ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვებს უპასუხა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y6vjjudhz>, განახლებულია: 04.12.2019.

¹⁸⁹ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პრემიერმინისტრმა მამუკა ბახტაძემ ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვებს უპასუხა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y2lz89jr>, განახლებულია: 04.12.2019.

¹⁹⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁹¹ ინტერპელაცია - მამუკა ბახტაძე და მიხეილ ბატიაშვილი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/373570563491739/>, განახლებულია: 04.12.2019.

¹⁹² იქვე.

¹⁹³ 31 მაისი, პლენარული სხდომა - ინტერპელაცია, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/863141704064965/>, განახლებულია: 04.12.2019.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ ინტერპელაცია - მამუკა ბახტაძე და მიხეილ ბატიაშვილი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი.

მჯერ შემცირდა. 31 მაისს პარლამენტმა მოუსმინა პრემიერმინისტრს (ორი სხვადასხვა ინტერპელაცია), ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.¹⁹⁶ ჯამში, გაგზავნილი იყო 4 შეკითხვა 3 ადრესატთან, რამაც გამოიწვია რეგლამენტით გათვალისწინებული დროის მონაკვეთების კიდევ უფრო მეტად შემცირება, ვიდრე პირველ შემთხვევაში.¹⁹⁷ მთლიანობაში, დრო 4-ჯერ შემცირდა.

2019 წლის საშემოდგომო სესიის ფარგლებში, სექტემბრის ინტერპელაციაზე დეპუტატებმა შეკითხვები არ გააგზავნეს და, შესაბამისად, პროცედურა არ გაიმართა. ნოემბრის ინტერპელაციაზე კი, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატებმა“ საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი მოიწვიეს. თუმცა, ინიციატორმა ეს ინტერპელაცია უკან გაითხოვა, ამიტომ, პროცედურა აღარ გაიმართლა.¹⁹⁸

2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე მხოლოდ მაისის თვეში ჩატარდა 2 ინტერპელაცია 1 ადრესატთან, ხოლო მარტში ეს შესაძლებლობა დეპუტატებს არ გამოუყენებიათ. ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“, აგრეთვე, ფრაქციებმა „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ და „ევროპული საქართველო - რეგიონები“ 29 მაისს ინტერპელაციის წესით დაიბარეს პრემიერმინისტრი 2 სხვადასხვა საკითხზე.¹⁹⁹ ამ შემთხვევაში, პროცედურისთვის გამოყოფილი დრო 2-ჯერ შემცირდა.

განხილული პრაქტიკა მიანიშნებს რეგლამენტში განხორციელებული ცვლილების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, რაც, ცხადია, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა, იმავდროულად, უნდა ითქვას, რომ არასაკმარისია.

4.3. ინტერპელაციის თემისა და გამართული დებატების შესაბამისობა

ინტერპელაციის მექანიზმის დანიშნულებაა, პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი პირები გამოცხადდნენ საკანონმდებლო ორგანოში და პასუხი გასცენ მათთვის წინასწარ გაგზავნილ ინტერპელაციებს. ანგარიშვალდებულმა პირმა პასუხის გაცემისას კითხვას თავი არ უნდა აარიდოს. ინტერპელაცია საშუალებას იძლევა, დეპუტატებმა კონკრეტული საკითხზე სიღრმისეული ინფორმაცია მიიღონ, პასუხი კი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.²⁰⁰ შესაძლოა, პასუხს მოყვეს მთავრობის მთლიანი შემადგენლობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის დაწყება.

2019 წლის 22 მარტის პლენარულ სხდომაზე, სადაც რეგისტრაცია 125-მა პარლამენტარმა გაიარა, პრემიერმინისტრისადმი დასმული შეკითხვა შემდეგი შინაარსის იყო: „რამ გამოიწვია ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების მკვეთრი ზრდა?“²⁰¹ ინტერპელანტის სიტყვა და ადრესატის პასუხი, მეტწილად, ინტერპელაციის საგანს არ სცდებოდა.²⁰² სიტყვით გამოვიდა 11 დეპუტატი, მათგან 2 - უმრავლესობის,

¹⁹⁶ იქვე.

¹⁹⁷ 31 მაისი, პლენარული სხდომა - ინტერპელაცია, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი.

¹⁹⁸ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 17 დეკემბრის №1-25495/19 წერილი.

¹⁹⁹ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილი.

²⁰⁰ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁰¹ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

²⁰² ინტერპელაცია - მამუკა ბახტაძე და მიხეილ ბატიაშვილი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი.

ხოლო 9 - ოპოზიციის წარმომადგენელი. დასმული კითხვებიდან 10 ეხებოდა ინტერპელაციის თემატიკას, ხოლო 1 - არა.

2019 წლის 31 მაისის სხდომაზე რეგისტრაცია კვლავ 125-მა დეპუტატმა გაიარა. პრემიერმინისტრის ამ დღის პირველ ინტერპელაციაზე სიტყვით გამომსვლელთა მიერ გამოთქმული პოზიციების შინაარსი, 19-დან 9 შემთხვევაში, მთლიანად აცდენილი იყო გაგზავნილი შეკითხვის საგანს, რომელიც შეეხებოდა საპენსიო რეფორმას, საბანკო რეგულაციებს, „ოთხოზორია-ტატუნაშვილის“ სიას და „თიბისი“ ბანკთან დაკავშირებულ საკითხებს.²⁰³ თუმცა, დეპუტატების გამოსვლები აქცენტირდებოდა სკოლამდელი განათლების რეფორმაზე, ეკომიგრანტების მდგომარეობაზე, დავით გარეჯზე, აზარტული თამაშების რეგულირებაზე, ჭიათურაში მიმდინარე მოვლენებზე და სხვა.²⁰⁴ 19 დეპუტატიდან 4 იყო უმრავლესობის, ხოლო 15 - ოპოზიციის წარმომადგენელი.

ამავე დღეს გაიმართა პრემიერმინისტრის კიდევ ერთი ინტერპელაცია. ამდენად, მასზე ხელმეორედ არ ჩატარებულა რეგისტრაცია. ინტერპელაციის შეკითხვა შეეხებოდა შრომის ანაზღაურების სისტემასა და პრაქტიკას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე, ასევე, სსიპ-ებსა და აიპ-ებში.²⁰⁵ ჯამში, 12 დეპუტატი გამოვიდა სიტყვით, მათგან, 4 - უმრავლესობის, ხოლო 8 - ოპოზიციის წარმომადგენელი. 12-იდან 4 შემთხვევაში დეპუტატებს არ უსაუბრიათ ინტერპელაციის საგნის გარშემო. ისინი განიხილავდნენ მათ მიერ წინა ინტერპელაციის დროს წამოჭრილ საკითხებს, კერძოდ: აზარტული თამაშების რეგულირებას, ჭიათურაში მიმდინარე მოვლენებსა და საპენსიო რეფორმას.²⁰⁶

აღსანიშნავია, რომ 31 მაისის ინტერპელაციაზე, პროცედურის დაწყებისთანავე, ერთ-ერთი დეპუტატი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მოცემულ ვითარებაში საჭირო იყო მიმდინარე აქტუალურ საკითხზე მსჯელობა (მაგალითად, პანკისში განვითარებული მოვლენები, რაც სცდებოდა ინტერპელაციისთვის გაგზავნილი კითხვების თემატიკას). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ინტერპელაციების უფრო ხშირად გამართვის ან/და სასწრაფო ინტერპელაციის შემოღების მიზანშეწონილობის თაობაზე ავტორთა ჯგუფის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

სხვა თანამდებობის პირების ინტერპელაციებიდან აღსანიშნავია, რომ:

- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ორივე ინტერპელაციაზე ყველა გამომსვლელის მიერ დასმული კითხვა, ისევე, როგორც გამოთქმული მოსაზრება, შეესაბამებოდა შეკითხვის თემატიკას და კვლევის ჯგუფს არ დაუფიქსირებია არარელევანტური ინტერვენციები.²⁰⁷ პირველ ინტერპელაციაზე სიტყვით 8 დეპუტატი გამოვიდა, მათგან, 2 - უმრავლესობის, ხოლო 6 - ოპოზიციის წარმომადგენელი. მეორე ინტერპელაციაზე კი ამ შესაძლებლობით პარლამენტის 7-მა წევრმა ისარგებლა: 4-მა ოპოზიციიდან და 3-მა - უმრავლესობიდან;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინტერპელაციაზე დეპუტატების მიერ გამოთ-

²⁰³ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

²⁰⁴ 31 მაისი, პლენარული სხდომა - ინტერპელაცია, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი.

²⁰⁵ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

²⁰⁶ 31 მაისი, პლენარული სხდომა - ინტერპელაცია, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი.

²⁰⁷ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

ქმული მოსაზრებები შეესაბამებოდა შეკითხვის შინაარსს. სიტყვით გამოვიდა 6 დეპუტატი: 4 - ოპოზიციიდან და 2 - უმრავლესობიდან;²⁰⁸

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ინტერპელაციის თემატიკიდან გამომდინარე (შეკითხვა შეეხებოდა საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კამპანიის დროს დაფიქსირებულ დარღვევებს),²⁰⁹ აღრესატი პასუხი შეესაბამებოდა შეკითხვის შინაარსს. სიტყვით გამოვიდა 6 დეპუტატი, აქედან 3 - ოპოზიციის, ხოლო 3 - უმრავლესობის წარმომადგენელი. 6 კითხვიდან 5 ეხებოდა ინტერპელაციის საკითხს, ხოლო 1 - არა. გამომსვლელები, უმთავრესად, პოლიტიკურად აფასებდნენ ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების მმართველობის პერიოდებში ჩატარებულ არჩევნებს.

2020 წლის 29 მაისს გამართულ ინტერპელაციებზე 107-მა დეპუტატმა გაიარა რეგისტრაცია.²¹⁰ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაგზავნილი ინტერპელაცია ეხებოდა სიღარიბეს, მათ შორის, ბავშვთა და პენსიონერთა სიღარიბეს, აგრეთვე, მასზე საგანგებო მდგომარეობის პირობებში ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გაკვლენებსა და მათი გამოსწორების სამომავლო გეგმებს. პრემიერმინისტრის პასუხი შეესაბამებოდა ინტერპელაციის საგანს. სიტყვით გამოვიდა, ჯამში, 13 დეპუტატი, მათგან 2 - დამოუკიდებელი დეპუტატის კვოტით, ხოლო 11 - ფრაქციების. 11-იდან 7 ოპოზიციას წარმოადგენდა, ხოლო 4 - უმრავლესობას. შეკითხვებიდან 8 ეხებოდა ინტერპელაციის თემას, ხოლო 5 - ზოგად საკითხებს.

მეორე ინტერპელაცია, რომელიც „ევროპული საქართველოს“ ფრაქციების მოთხოვნით გაიმართა, ეხებოდა ეკონომიკური კრიზისისას გადასახადების შემცირებას, საპენსიო ფონდს, ანტიკრიზისულ გეგმას, ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას და დიფერენცირებულ მიდგომას საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული შეზღუდვების აღსრულებისას პირთა განსხვავებულ ჯგუფებთან მიმართებით.²¹¹ პრემიერმინისტრის პასუხი შეესაბამებოდა ინტერპელაციის საგანს. სიტყვით გამოვიდა, ჯამში, 11 დეპუტატი, მათგან 6 - ოპოზიციური ფრაქციებიდან, ხოლო 5 - უმრავლესობიდან. დასმული კითხვებიდან 7 შეეხებოდა ინტერპელაციის საგანს, ხოლო 4 იყო ზოგადი შინაარსის.

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან იკვთება, რომ ინტერპელაციის თემა და მის საფუძველზე გამართული საპარლამენტო მსჯელობა ხშირად სცდება ერთმანეთს. იმის გამო, რომ რეგლამენტი დეპუტატებს არ სთავაზობს საკმარის და მრავალფეროვან საპარლამენტო ბერკეტებს მათთვის საინტერესო და აქტუალური მიმდინარე საკითხების განსახილველად, ისინი, არცთუ იშვიათად, ცდილობენ, ეს პლატფორმა სწორედ ამ მიზნით გამოიყენონ და არა - დასმული საკითხის ირგვლივ საფუძვლიანი დისკუსიის საწარმოებლად. ეს კი, ცხადია, უარყოფითად აისახება შესაბამისი ინტერპელაციის თემის საპარლამენტო კონტროლის ხარისხზე. მთლიანობაში, ეს გარემოება ააშკარავებს როგორც ნორმატიული ცვლილებების საჭიროებას, ისე თავად დეპუტატების პასუხისმგებლობას, ფოკუსირდნენ ინტერპელაციის ფარგლებში დასმული შეკითხვების გარშემო. **ამდენად, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ორგანოს წევრებმა გამოიჩინონ საკმარისი ძალისხმევა, რათა მომავალში გასა-**

²⁰⁸ 31 მაისი - პარლამენტის პლენარული სხდომა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქ-ვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/parliamentgeo/videos/2186294434739446>, განახლებულია: 15.09.20.

²⁰⁹ იქვე.

²¹⁰ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილი.

²¹¹ მოამბის სპეციალური გამოშვება - პრემიერმინისტრის გამოსვლა პარლამენტში, იუთუბის არხი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=LrqHMOSpS60>, განახლებულია: 26.08.20.

მართი ინტერპელაციების დროს არსებობდეს თანხვედრა შეკითხვების თემატიკასა და საპარლამენტო დისკუსიას შორის.

4.4. ერთი ინტერპელაციის ფარგლებში რამდენიმე არსებითად განსხვავებული საკითხის დასმა

როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთ შემთხვევაში ერთ ინტერპელაციაზე რამდენიმე საკითხი დაისვა. მაგალითად, 31 მაისს ინტერპელანტის მიერ პრემიერისთვის გაგზავნილი შეკითხვა (ამ სხდომის პირველი ინტერპელაცია) მოიცავდა 4 არსებითად განსხვავებულ ასპექტს (საპენსიო რეფორმა; საბანკო რეგულაციები; „ოთხოზორი-ა-ტატუნაშვილის“ სია; „თიბისი“ ბანკის საქმე),²¹² რაც შინაარსობრივი მსჯელობის წარმართვის შეუძლებლობაზე მიანიშნებს.

აღსანიშნავია, რომ ინტერპელაციის მიზნებისთვის, ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე კითხვის გაერთიანებული სახით წარდგენა არაგონივრულია და, ფაქტობრივად, წარმოუდგენელს ხდის საგნობრივი და შინაარსობრივი დისკუსიის წარმართვას. საკანონმდებლო პროცედურები არ უნდა ტოვებდეს ისეთ სივრცეებს, რომლებიც შეკითხვის ფარგლებში თემატიკის განსაზღვრის შეუზღუდავ შესაძლებლობებს შექმნის. მიუხედავად იმისა, რომ რეგლამენტის თანახმად, „შეკითხვის შინაარსი უნდა იყოს კონკრეტული“, ²¹³ ერთი შეკითხვის სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, კონკრეტული კითხვა. ასეთი ფორმით ინტერპელაციის წარდგენა, საბოლოოდ, ამცირებს პარლამენტის მხრიდან ეფექტიანი ზედამხედველობის შესაძლებლობებს, დისკუსია კი ვერ ფოკუსირდება კონკრეტული საკითხის გარშემო სიღრმისეულ ანალიზზე. **ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ რეგლამენტმა, შესაბამისი ცვლილებების მეშვეობით, გამოორიცხოს ერთი ინტერპელაციის ქვეშ რამდენიმე არსებითად განსხვავებული კითხვის დასმის შესაძლებლობა.**

4.5. ინტერპელაციის ბმა უნდობლობის პროცედურასთან

რეგლამენტის თანახმად, დებატებისა და ადრესატის დასკვნითი გამოსვლის დასრულების შემდეგ პარლამენტს დადგენილების მიღება შეუძლია.²¹⁴ შესწავლილი ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის რესპუბლიკებიდან, სადაც ეს ინსტიტუტი არსებობს, „ფინეთში, ხორვატიაში, ლიეტუვასა და სლოვაკეთში ინტერპელაციის შემდგომ უნდობლობის პროცედურის აღძვრის შესაძლებლობაზე პირდაპირაა მითითებული,“²¹⁵ ხოლო საპარლამენტო ქვეყნებიდან, მსგავსი მექანიზმი გათვალისწინებულია ლატვიაში,²¹⁶ იტალიაში,²¹⁷ საბერძნეთსა²¹⁸ და ესპანეთში.²¹⁹ უნდობლობა ინტერპელაციის ყველაზე რადიკალური დასასრულია. **მართალია, უნდობლობა არც რეგლამენტის არსებული რედაქციითაა გამოორიცხული, მაგრამ ამ ორი პროცედურის შესაძლო ბმის უფრო მკაფიოდ გამოსაკვეთად, აჯო-**

²¹² საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

²¹³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²¹⁴ იქვე, 149-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

²¹⁵ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 74.

²¹⁶ The Rules and Procedure of Latvian Saeima, art. 130, cl. 1.

²¹⁷ Wiberg M., დასახელებული ნაშრომი, p. 188.

²¹⁸ იქვე.

²¹⁹ იქვე.

ბებდა, რომ ის რეგლამენტის შესაბამის მუხლში ასახულიყო, რაც დეპუტატებს მისცემდა ინტერპელაციის უნდობლობაში გადაზრდის ორიენტირებს.²²⁰

4.6. ინტერპელაციის დასრულების შემდგომ დადგენილების მიღების საკითხი

ინტერპელაციის დასრულების შემდეგ პარლამენტს დადგენილების მიღება შეუძლია.²²¹ მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ამ შემთხვევაში რეგლამენტის ლოგიკა ნათელია და ის, კითხვა-პასუხისა და დებატების შემდგომ, საკანონმდებლო ორგანოს მიერ პოზიციის კოლექტიურად გამოხატვის იმწუთიერ შესაძლებლობას გულისხმობს, რაც საკითხის კენჭისყრაზე დაყენებით უნდა მოხდეს. ამ ლოგიკის ქმნარიტებას ადასტურებს დადგენილების მიღების შესახებ სპეციალური ჩანაწერიც - თუ კანონმდებელი აზუსტებს საკითხს, რომლის დაზუსტების საჭიროებაც არ არსებობს (რადგან პარლამენტს დადგენილების მიღება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საკითხზე შეუძლია), ე.ი. მისი პრაქტიკული რეალიზების ფორმები ზოგადი წესისგან განსხვავებული უნდა იყოს.

ამის მიუხედავად, რეგლამენტი შეიძლება სხვაგვარად განიმარტოს და ინტერპელაციის შემდეგად ინიცირებული დადგენილების განხილვა მისთვის განსაზღვრული ორდინალური წესით მოხდეს, მით უფრო იმ პირობებში, როცა დადგენილების მიღების ცალკე პროცედურაა გაწერილი (რაც საკითხის კენჭისყრაზე იმწუთიერ დაყენებას არ გულისხმობს).²²² ამდენად, ტერმინოლოგიური ერთგვაროვნების გამო, შესაძლოა, იმპლემენტაციის პროცესში არასწორი, კანონმდებლობის ლოგიკის საწინააღმდეგო პრაქტიკა დამკვიდრდეს. **ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რეგლამენტმა ცხადად მიუთითოს, რომ ინტერპელაციის დასრულების შემდეგ, ინტერპელანტის ინიციატივის შემთხვევაში, პარლამენტი კენჭისყრაზე აყენებს მის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტს.**

4.7. ინტერპელაციის გამოქვეყნება

პარლამენტის რეგლამენტი არ მიუთითებს გაზავნილი ინტერპელაციის საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულებაზე. ინტერპელაცია საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანად განხორციელების ერთ-ერთი გადამწყვეტი მექანიზმია, რომელსაც განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს. მნიშვნელოვანია, რომ, როგორც პარლამენტის წევრებს, ისე ფართო საზოგადოებას განსახილველ საკითხებზე წვდომის წინასწარი შესაძლებლობა ჰქონდეთ. **ამდენად, აუცილებელია, არსებობდეს ნორმატიული რეგულირება, რომელიც, სადეპუტატო კითხვის მსგავსად, პარლამენტის ვებგვერდზე ინტერპელაციის გამოქვეყნებასაც სავალდებულოს გახდიდა.**

²²⁰ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 74.

²²¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

²²² იქვე, 130-ე მუხლის 1-ლი პუნქტი. „პარლამენტის დადგენილების პროექტი პარლამენტს წარედგინება და განიხილება კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენისა და კომიტეტის მიერ განხილვისთვის რეგლამენტით დადგენილი წესით.“

5. პარლამენტის წევრის კითხვა

ბევრ იურისდიქციაში პარლამენტის წევრის წერილობით კითხვას უფრო ხშირად მიმართავენ, ვიდრე ზეპირს.²²³ „ამ ინსტრუმენტს იყენებენ, როგორც ინფორმაციის მოპოვების, ისე პოლიტიკური დებატებისა და ინტერპელაციის გამართვის საფუძვლის შექმნის²²⁴ ან პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მოსამზადებლად. პასუხმა ან პასუხის გაუცემლობამ, შესაძლებელია, გამოავლინოს კონკრეტული ორგანოს საქმიანობის ნაკლი, ან ამ ორგანოს ხელმძღვანელის მოწვევას ჩაუყაროს საფუძვლი“.²²⁵ შესაბამისად, საჭიროა არა მხოლოდ წერილობითი კითხვის შესაძლებლობის საკანონმდებლო მოწესრიგება, არამედ პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში სათანადო რეაგირების შესაძლებლობის არსებობაც.

კითხვა საპარლამენტო ზედამხედველობის კონსტიტუციური ინსტრუმენტი.²²⁶ როგორც კითხვას, ისე პასუხს წერილობითი ფორმა აქვს.²²⁷ მისი შინაარსი უნდა მოიცავდეს მხოლოდ ადრესატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს.²²⁸ ამ მექანიზმის სუბიექტი არის თითოეული დეპუტატი, ადრესატი კი შეიძლება იყოს მთავრობა (მისი წევრი), ასევე, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანო და სახელმწიფო დაწესებულება.²²⁹ მასზე დროული (ვადა 15 დღეა²³⁰) და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.²³¹ დაგვიანების შემთხვევაში ვებგვერდზე შესაბამისი აღნიშვნა კეთდება.²³²

საკვლევი ინსტიტუტების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იკლებს ამ ინსტრუმენტის გამოყენების სიხშირე.²³³ მაგალითად, შს მინისტრებს 23 (გიორგი გახარიას - 13, ვახტანგ გომელაურს - 10) კითხვა დაუსვეს, თავდაცვის მინისტრებს - 8 (ლევან იზორიას - 4, ირაკლი ღარიბაშვილს - 4); იუსტიციის მინისტრს - 15, სუს-ის უფროსსა და მისი მოვალეობის შემსრულებელს, ჯამში - 2; სდსს-ის უფროსს - 1, დს-ისა და ოტს-სთვის არცერთ დეპუტატს არ მიუმართავს.²³⁴

პარლამენტის წევრს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს უკან გამოითხოვოს კითხვა.²³⁵ საანგარიშო პერიოდში ასეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.²³⁶

პერსონალური და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია კითხვის ავტორს მიეწოდება, თუმცა, საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე არ ქვეყნდება (როგორც ეს სხვა შემთხვევებშია გათვალისწინებული).²³⁷ საანგარიშო პერიოდში 4 კითხვას პასუხი არ გაეცა იმ მიზეზით, რომ ისინი შეიცავდა პერსონალურ და კომე-

²²³ Martin S., Parliamentary Questions, August 2013, p. 7, ხელმისაწვდომია: https://agora-parl.org/sites/default/files/parliamentary_questions.pdf, განახლებულია: 4.11.2020.

²²⁴ იქვე.

²²⁵ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.

²²⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

²²⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლი მე-2 და მე-4 პუნქტები.

²²⁸ იქვე, 148-ე მუხლი მე-2 პუნქტი.

²²⁹ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

²³⁰ იქვე. იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²³¹ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

²³² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

²³³ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 58.

²³⁴ იხ. ცხრილი №2. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შევსებულია 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციასა და, აგრეთვე, პარლამენტის აპარატის 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილზე დაყრდნობით.

²³⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

²³⁶ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №1-3456/20 წერილი.

²³⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლი მე-7 პუნქტი.

რციულ საიდუმლოებას.²³⁸ აღსანიშნავია, რომ პარლამენტის რეგლამენტი კითხვაზე პასუხის გამოქვეყნების ზოგადი წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს მაშინ, როდესაც იგი კონფიდენციალურ ინფორმაციას შეიცავს.²³⁹ თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, სავალდებულოა, კითხვის ავტორს პასუხი მიეწოდოს.²⁴⁰ ამდენად, **არსებული პრაქტიკა რეგლამენტის დარღვევად უნდა ჩაითვალოს.**

კანონმდებლობა ადრესატს უფლებას აძლევს, კითხვის ავტორთან შეთანხმებით, პასუხის გაცემის ვადა 10 დღემდე გააგრძელოს;²⁴¹ საანგარიშო პერიოდში ასეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.²⁴²

რეგლამენტის თანახმად, კითხვას ადრესატმა უნდა უპასუხოს.²⁴³ მიუხედავად ამისა, №2 ცხრილში განხილულ მაგალითებში, ძირითადად, ასე არ ხდება – ხელმომწერად მითითებულია ადმინისტრაციის უფროსი, მისი მოადგილე ან შესაბამისი სამსახურის/სამმართველოს უფროსი.

აუცილებელია, შესაბამისმა პირებმა გაითვალისწინონ რეგლამენტის ჩანაწერები, უშუალოდ და დროულად გასცენ პასუხები დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს.

განსაზღვრულია სანქციები კითხვაზე პასუხის გაცემისთვის დაწესებული პროცედურის დარღვევისთვის.²⁴⁴ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი განიხილავს დარღვევის თითოეულ შემთხვევას და საკითხს სათანადო რეაგირებისთვის გადასცემს ბიუროს.²⁴⁵ რეგლამენტი რეაგირების ორ მექანიზმს ითვალისწინებს:²⁴⁶ 1. დადგენილების ან რეზოლუციის მიღება კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ კონსტიტუციით გათვალისწინებული სათანადო ზომების ასამოქმედებლად; 2. სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელისთვის რეკომენდაციით მიმართვა მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ მინისტრის მიმართ ამ მექანიზმების გამოყენება გამოირიცხება.²⁴⁷

„პასუხისმგებლობის მოცემული ფორმები უკიდურესი ხასიათისაა. ისინი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც თანამდებობის პირის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფასის გადახდას უკავშირდება. არადა, კითხვაზე პასუხის გაუცემლობა, შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევაში, სულაც არ იყოს ასეთი, რაც ნიშნავს, რომ უმრავლესობა ამგვარი პრობლემის არსებობისას არ ისურვებს კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებას, ხოლო ოპოზიცია, თავის მხრივ, ყოველთვის უხალისოდ ეკიდება ისეთი პროცესების წამოწყებას, რომლის დროსაც მარცხი გარდაუვალია“.²⁴⁸ ამ დროს კი, სწორედ საკანონმდებლო ორგანოში არსებული უმცირესობა და ოპოზიციური პარტიები უზრუნველყოფენ საპარლამენტო კონტროლის სხვადასხვა მოდელის წარმატებას.²⁴⁹

²³⁸ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №1-3456/20 წერილი.

²³⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 158-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

²⁴⁰ იქვე.

²⁴¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁴² საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის 11 მარტს ელფოსტით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁴³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁴⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 226-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-5 პუნქტი.

²⁴⁵ იქვე, 226-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁴⁶ იქვე, 226-ე მუხლის მე-5 პუნქტი „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

²⁴⁷ უფრო მეტი, მინისტრების პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე, იხ. 10.3. ქვეთავი.

²⁴⁸ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

²⁴⁹ Beetham D., *Parliament and Democracy in the Twenty-First Century: A Guide to Good Practice*, მეორე გამოცემა,

შესწავლილი ქვეყნების კანონმდებლობების თანახმად, დეპუტატების წერილობით კითხვებზე პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, კითხვა ზეპირ ფორმატში განიხილება. ეს შეიძლება მოხდეს როგორც სამთავრობო საათის დროს, ისე შესაბამისი კომიტეტის დღის წესრიგში კითხვის შეტანისა ან მასზე დებატების გამართვის გზით. ამასთან, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ადრესატის ვალდებულებას, საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარდგეს ახსნა-განმარტებებით კითხვაზე პასუხის დაგვიანებასთან/გაუცემლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტივის რესპუბლიკებში შემდეგი ინსტრუმენტები გამოიყენება: „ხორვატიაში წერილობით კითხვაზე დადგენილ ვადაში პასუხის არგაცემის შემთხვევაში, შეკითხვების საათის [...] ბოლოს პარლამენტის სპიკერი აცნობებს პარლამენტის წევრებს, რომ მთავრობამ ან მისმა წევრებმა არ წარმოადგინეს პასუხი კონკრეტულ კითხვაზე დადგენილ ვადაში და მათ ამისთვის ხელახლა აძლევს 8 დღეს. ლიეტუვაში დარეგისტრირებული კითხვები ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე. თუ ადრესატი დადგენილ ვადაში პასუხს ვერ სცემს კითხვას, მან უნდა წარადგინოს ახსნა-განმარტება და კითხვის ავტორ(ებ)ს შესთავაზოს ახალი ვადა. თუკი კითხვის ავტორი აღნიშნულს არ დაეთანხმება, საკითხზე ჩატარდება დებატები, რომელშიც, ასევე, მონაწილეობს კითხვის ადრესატი. ბულგარეთში პრემიერმინისტრი, მისი მოადგილე ან მინისტრი, რომელმაც დადგენილ ვადაში კითხვას პასუხი არ გასცა, ვალდებულია, პირადად წარდგეს ეროვნული ასამბლეის წინაშე 10 დღის ვადაში და განმარტოს პასუხის გაცემის ვალდებულების დარღვევის მიზეზები.“²⁵⁰ საბერძნეთში პასუხის დაგვიანების ან გაუცემლობის შემთხვევაში კითხვა განიხილება სამთავრობო საათზე (question time),²⁵¹ გერმანიაში ავტორს შეუძლია მოითხოვოს მისი სამთავრობო საათის ფორმატში გატანა.²⁵² საკითხის დასმა შესაძლებელია დადგენილი ერთვირიაანი ვადის გასვლიდან 12 საათის განმავლობაში.²⁵³ ამ დროში პასუხის მიღების შემთხვევაში, ავტორს უფლება აქვს, ადრესატისგან მოითხოვოს ახსნა-განმარტებები ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით.²⁵⁴ იტალიაში, თუკი კითხვას პასუხი არ გაცემა, პალატის თავმჯდომარე, ავტორის მოთხოვნის საფუძველზე, კითხვას შეიტანს შესაბამისი კომიტეტის მომდევნო სხდომის დღის წესრიგში.²⁵⁵ 20-დღიანი ვადა დადგენილი ესპანეთშიც.²⁵⁶ ის, დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება გახანგრძლივდეს 20 დღით.²⁵⁷ თუკი პასუხი ამ დროშიც არ გაცემა, კითხვა შედის შესაბამისი კომიტეტის დღის წესრიგში, სადაც იგი ზეპირი ფორმით განიხილება.²⁵⁸ შესწავლილი სახელმწიფოების პრაქტიკიდან შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: 1 სახელმწიფოში სპიკერი აცნობებს პარლამენტის წევრებს, ვინ არ წარადგინა კითხვაზე პასუხი და მას აძლევს დამატებით დროს; 2-ში კითხვის ადრესატმა უნდა განმარტოს, რატომ დაარღვია ვალდებულება; 2-ში პასუხგაუცემელი კითხვა გადის სამთავრობო საათზე, დარჩენილ 2-ში კი კითხვა განიხილება შესაბამის კომიტეტზე.

Inter-Parliamentary Union, ქენევა, 2006, გვ. 128, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3f5UhV9>, განახლებულია: 23.08.2019.

²⁵⁰ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 62-63.

²⁵¹ იქვე.

²⁵² Rules of Procedure of the German Bundestag, Annex 4, IV-15, ხელმისაწვდომია: <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80060000.pdf>, განახლებულია: 10.12.2019.

²⁵³ იქვე.

²⁵⁴ იქვე.

²⁵⁵ იქვე, Article 134 cl. 2.

²⁵⁶ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, Art. 190 cl. 1.

²⁵⁷ იქვე.

²⁵⁸ იქვე, Art. 190 cl. 2.

როგორც არსებული პრაქტიკა, ისე საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ „პასუხგაუცემელი კითხვების საჯაროდ გამოქვეყნება მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი მექანიზმია. აუცილებელია მისი გამრავალფეროვნება“²⁵⁹ დღის წესრიგში უნდა დადგეს პასუხგაუცემელი კითხვების სამთავრობო საათზე დასმის შესაძლებლობა.

²⁵⁹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

6. საკომიტეტო კონტროლი

პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლისთვის, უპირველეს ყოვლისა, კომიტეტებს იყენებს. ისინი აღჭურვილნი არიან საზედამხებდევლო მექანიზმებით, რომელთა მეშვეობით ამა თუ იმ უწყების საქმიანობას სწავლობენ.

საქართველოში კომიტეტის არსენალში რამდენიმე ინსტრუმენტი: ინფორმაციის გამოთხოვნა,²⁶⁰ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესწავლა,²⁶¹ თანამდებობის პირთა დაბარება,²⁶² თემატური მომხსენებელი,²⁶³ საშუალო ჯგუფი²⁶⁴ და თემატური მოკვლევა (ბოლო ორი ad hoc მექანიზმი დეტალურად მე-8 თავშია განხილული).²⁶⁵

6.1. ანგარიშვალდებული პირისგან ინფორმაციის გამოთხოვნა

ინფორმაციას პარლამენტი რამდენიმე მექანიზმის საშუალებით ითხოვს. ამ უფლებამოსილებით აღჭურვილი ყველაზე მარტივი სუბიექტი დეპუტატია.²⁶⁶ მისი გამოყენება სხვადასხვა ფორმით და მიზნებისთვის შეუძლია კომიტეტს,²⁶⁷ დროებით კომისიას,²⁶⁸ დროებით საგამოძიებო კომისიას,²⁶⁹ თემატური მოკვლევის ჯგუფს.²⁷⁰ ყველა ზემოაღნიშნული საპარლამენტო წარმონაქმნის ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვას მარტივი სამართლებრივი ლოგიკა უდევს საფუძვლად – „სვლა მცირედან დიდისკენ.“ თუ „მცირეს“ (პარლამენტის წევრს) აქვს კონკრეტული უფლებამოსილება, მაშინ ამ უფლებამოსილი სუბიექტებისგან დაკომპლექტებულ „დიდს“ (პარლამენტის წევრთა ჯგუფს) მითუმეტეს უნდა ჰქონდეს ის. ამიტომ, კომიტეტი უფლებამოსილია, ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთაგან გამოითხოვოს ინფორმაცია.²⁷¹

შესწავლილი ქვეყნებიდან ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის მოდელის მქონე სახელმწიფოებში მსგავსი ფუნქციით კომიტეტი აღჭურვილია ლიეტუვაში,²⁷² სლოვაკეთში,²⁷³ ბულგარეთში,²⁷⁴ ხორვატიასა²⁷⁵ და ფინეთში.²⁷⁶ ამ უკანასკნელში მიღებული ინფორმაცია შეიძლება გახდეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დებატების საგანი.²⁷⁷ საპარლამენტო სისტემის ქვეყნებიდან ეს მექანი-

²⁶⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 41-ე მუხლი.

²⁶¹ იქვე, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁶² იქვე, მე-40 მუხლი.

²⁶³ იქვე, 45-ე მუხლი.

²⁶⁴ იქვე, 46-ე მუხლი.

²⁶⁵ იქვე, 155-ე მუხლი.

²⁶⁶ ამ მექანიზმის შესახებ დეტალურად იხ. მე-5 თავი.

²⁶⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 41-ე მუხლი.

²⁶⁸ ამ მექანიზმის შესახებ დეტალურად იხ. 8.2. ქვეთავი.

²⁶⁹ ამ მექანიზმის შესახებ დეტალურად იხ. მე-9 თავი.

²⁷⁰ ამ მექანიზმის შესახებ დეტალურად იხ. 8.1. ქვეთავი.

²⁷¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 41-ე მუხლი.

²⁷² Statute of Seimas of the Republic of Lithuania, Article, 56, section 3.

²⁷³ Act of the National Council of the Slovak Republic No. 350/1996 on Rules of Procedure, Section 128, Subsection 2.

²⁷⁴ Legislative Actors' Resources Report Parliamentary Resources, Obtaining Documents, Summoning Ministers, Summoning Experts, Task Area Congruence, Audit Office, Ombuds Office, Sustainable Governance Indicators 2018, p. 30.

²⁷⁵ Ibid, p. 31.

²⁷⁶ ფინეთის კონსტიტუცია, 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁷⁷ Parliament's Rules of Procedure of Finland, Section 30a.

ზმი არსებობს ლატვიასა²⁷⁸ და ესტონეთში.²⁷⁹ იტალიაში კომიტეტი ამას, ფრაქციის წევრის მოთხოვნის საფუძველზე, ავტომატურად აკეთებს.²⁸⁰ ესპანეთში კომიტეტები პარლამენტის თავმჯდომარის გავლით გამოითხოვენ ინფორმაციას.²⁸¹ გერმანიასა და უნგრეთში მსგავსი უფლებამოსილება კომიტეტებს არ გააჩნიათ.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში 10-მა კომიტეტმა,²⁸² ჯამში, 79-ჯერ ისარგებლა ამ უფლებამოსილებით. ინფორმაცია არ გამოუთხოვია 5 კომიტეტს. არსებული წესის მიხედვით, შესაბამის სუბიექტს კომიტეტი განუსაზღვრავს დოკუმენტების მოწოდების ვადას.²⁸³ 5-მა კომიტეტმა მხოლოდ 8-ჯერ გამოიყენა ეს შესაძლებლობა.²⁸⁴ ისინი 4 შემთხვევაში დაიცვეს.²⁸⁵ დარჩენილი 71 შემთხვევიდან 17 პასუხი 1 კვირის ვადაში მოვიდა,²⁸⁶ 14 - 1-იდან 2 კვირამდე ვადაში,²⁸⁷ ხოლო 27 - 2 კვირიდან 1 თვემდე ვადაში.²⁸⁸ 1 თვეზე მეტი დასჭირდა 7 პასუხის მოსვლას.²⁸⁹ 6 შემთხვევაში კომიტეტს პასუხი არ მიუღია.²⁹⁰

როგორც ზემოთ გამოჩნდა, კომიტეტები ყურადღებას არ ამახვილებენ ვადის დაწესებაზე (მათ ეს მხოლოდ 10,12% შემთხვევაში გააკეთეს), რაც ადრესატის ანგარიშვალდებულებას ამცირებს. **უპრიანია, რეგლამენტმა დაადგინოს ერთიანი ვადა, ხოლო კომიტეტს, საჭიროების შემთხვევაში, მისი მოდიფიცირების საშუალება მისცეს.** ვინაიდან ეს კომპეტენცია პარლამენტის წევრის კითხვის უფლებამოსილებიდან საზრდოობს, **რეკომენდებულია, რომ მასზე პირდაპირ იდენტური პროცედურები გავრცელდეს (კითხვის დროს პასუხის გაცემის ვადაა 15 დღე, რომელიც ავტორის თანხმობით შეიძლება 10 დღით გაიზარდოს).**²⁹¹

ცალკე უნდა გამოიყოს პასუხების ზეპირად წარდგენის პრაქტიკა. 3-მა კომიტეტმა 7 ანგარიშვალდებული ორგანოსგან 8-ჯერ პასუხი ზეპირად მოისმინა,²⁹² მიუხედავად იმისა, რომ ზედამხედველობის ეს მექანიზმი პასუხის წერილობით ფორმას გულისხმობს.²⁹³ ზეპირი მოსმენა საპარლამენტო კონტროლის სხვა ინსტიტუტის ნაწილია.²⁹⁴ რა თქმა უნდა, განხილვის პროცესში შესაძლებელია მოდიფიცირება და, წერილობითი პასუხის ნაცვლად, ზეპირი მოსმენის გამართვა, მაგრამ ამის შესახებ კომიტეტმა სპეციალური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს - დაიბაროს თანამდებობის პირი კომიტეტის სხდომაზე. **ამდენად, რეგლამენტთან ჰარმონიაში უნდა მოვიდეს წერილობით მოთხოვნილი პასუხის ზეპირად მოსმენის პრაქტიკა. თუ**

²⁷⁸ Rules of Procedure of the Saeima, Article 172, Section 1.

²⁷⁹ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Paragraph 22, Section 1, Subsection 1.

²⁸⁰ Rules of Procedure of the Chamber of Deputies of Italy, Article 143, Section 1.

²⁸¹ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, Section 44.

²⁸² იხ. ცხრილი №3. ცხრილში ინფორმაცია განახლებულია 2020 წლის 26 ივნისის ჩათვლით.

²⁸³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 41-ე მუხლი.

²⁸⁴ იხ. ცხრილი №3.

²⁸⁵ იქვე.

²⁸⁶ იქვე.

²⁸⁷ იქვე.

²⁸⁸ იქვე.

²⁸⁹ იქვე.

²⁹⁰ იხ. ცხრილი №3.

²⁹¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁹² იხ. ცხრილი №3. ერთ-ერთ შემთხვევაში, როგორც პარლამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, დიასპორის დაკავასის საკითხთა კომიტეტსა და იუსტიციის სამინისტროს შორის შეთანხმებით გადაწყდა, რომ ინფორმაციას სამინისტრო კომიტეტს ზეპირად მიაწოდებდა სხდომაზე. ამით, როგორც კომიტეტმა, ისე სამინისტრომ, დაარღვიეს რეგლამენტის 41-ე მუხლი. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 8 ოქტომბრის №1-17823/19 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁹³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 41-ე მუხლი.

²⁹⁴ იქვე, მე-40 მუხლი.

კომიტეტს ანგარიშვალდებული პირის დაბარება სურს, მან შესაბამის მექანიზმს უნდა მიმართოს.

თვალშისაცემია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის პრაქტიკა. მის მიერ ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ კომიტეტი საჯარო დაწესებულებებიდან ითხოვდა ინფორმაციას მათი პოზიციების შესახებ სხვადასხვა კანონპროექტთან დაკავშირებით,²⁹⁵ თუმცა კომიტეტის მიერ საკუთარი ქმედების საფუძვლად მითითებული ნორმა²⁹⁶ მას ამის უფლებას არ აძლევს.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებს - „თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენას“ - აიგივებს ანგარიშვალდებული პირისგან ინფორმაციის გამოთხოვნის პროცედურასთან.²⁹⁷ ერთი შეხედვით, შინაარსობრივად, ეს მართლაც არის ინფორმაციის მიღება, თუმცა, როგორც პროცედურულად, ისე მიზნებით, ეს ორი ინსტრუმენტი ერთმანეთისგან განსხვავდება.

ზემოთ ხსენებული აცდენების შემცირებისთვის, აუცილებელია, კომიტეტები ზუსტად მიჰყვნენ რეგლამენტით გათვალისწინებულ პროცედურებს.

ზოგადის გარდა, არსებობს ერთი სპეციფიკური პროცედურა, რომელიც გულისხმობს თავდაცვის სამინისტროს, შსს-ს, სუს-ის, დს-ის, სდსს-ის და ოტს-ს მიერ იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებისთვის განსახორციელებელი არასაიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (თუ შესყიდვის ბიუჯეტი გარკვეულ თანხას სცდება) დეტალური ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.²⁹⁸ საანგარიშო პერიოდში თავდაცვის სამინისტრომ 4-ჯერ, შსს-მ 11-ჯერ, ხოლო სუს-მა 1-ხელ წარადგინა ეს მონაცემი.²⁹⁹

კიდევ ერთი ვალდებულება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიმართ პრემიერმინისტრს, მთავრობას და სხვა უწყებებს ეკისრებათ.³⁰⁰ ისინი კომიტეტს წარუდგენენ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის, პრიორიტეტებისა და სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტებს მიღებიდან 2 კვირის ვადაში.³⁰¹ თავდაცვის სამინისტრომ 3-ჯერ წარადგინა მინისტრის 2018, 2019 და 2020 წლების დირექტივები, ხოლო მთავრობამ - ერთხელ, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი.³⁰²

²⁹⁵ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 16 იანვრის №1-9/20 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

²⁹⁶ საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტი ეყრდნობოდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის 1-ლ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, „პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუადრეს 3 დღისა და არაუგვიანეს 3 კვირისა საქართველოს მთავრობა [...] წამყვან კომიტეტს გადასცემს კანონპროექტის თაობაზე თავის შენიშვნებს.“

²⁹⁷ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 და 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილები.

²⁹⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-6 ნაწილი. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 ლარს.

²⁹⁹ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №2-3600/20 წერილი.

³⁰⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

³⁰¹ იქვე.

³⁰² საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 1 ივლისის №1-8116/20 წერილი.

6.2. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესწავლა

რეგლამენტი ადგენს კომიტეტის უფლებამოსილებას, შეისწავლოს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა, რა დროსაც, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვს შესაბამის მასალებს და დასკვნას წარუდგენს პარლამენტს.³⁰³ გაუგებარია ამ ნორმის არსებობის აუცილებლობა, რადგან სხვა მუხლები უკვე ითვალისწინებს ამ მექანიზმებს. მაგალითად, კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება,³⁰⁴ ინფორმაციის გამოთხოვნა,³⁰⁵ აგრეთვე, სამუშაო ჯგუფისა³⁰⁶ და თემატური მოკვლევის ჯგუფის³⁰⁷ ფორმატები.

აღსანიშნავია, რომ კონტროლის ამ ფორმას ხშირად არ მიმართავენ და როცა გამოიყენება, მაშინაც გაუგებრობას იწვევს. ამ უფლებამოსილებით ისარგებლეს (1) დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და (2) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტებმა. პირველმა ამ ფორმატს 4-ჯერ მიმართა (სხდომაზე მოსმენისთვის დაიბარა შესაბამისი თანამდებობის პირები),³⁰⁸ მეორემ - ერთხელ.³⁰⁹ **უფლებამოსილებათა დუბლირების, ასევე, ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, რეკომენდებულია, საერთოდ გაუქმდეს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.**

6.3. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება

საკომიტეტო კონტროლის მექანიზმებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია თანამდებობის პირის სხდომაზე დაბარების უფლებამოსილება. ამ მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა.³¹⁰ ის უზრუნველყოფს დარგობრივი დებატის გამართვას. მისი მეშვეობით შესაძლებელია ანგარიშვალდებულ პირთა ფაქტობრივი საქმიანობის გამოძიება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სკანდალი, სამართლებრივი პროცედურების დაწყება ან პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დასმა.³¹¹ კომიტეტი ამ გადაწყვეტილებას იღებს (1) დამსწრეთა უმრავლესობით ან (2) ფრაქციის

³⁰³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁰⁴ იქვე, მე-40 მუხლი.

³⁰⁵ იქვე, 41-ე მუხლი.

³⁰⁶ იქვე, 46-ე მუხლი.

³⁰⁷ იქვე, 155-ე მუხლი.

³⁰⁸ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი. კომიტეტმა პირველ შემთხვევაში მოისმინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოხსენება ჭიათურაში მადაროვლების გაფიცვაზე, ფოთის დრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაზე, პანკისის ხეობაში განვითარებულ მოვლენებსა და გაზპრომთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე. მეორე შემთხვევა ეხებოდა საპენსიო სააგენტოს დირექტორის მოხსენებას დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის აღსრულებაზე. მესამე ჯერზე კომიტეტმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან ერთობლივ სხდომაზე მოისმინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის მოხსენება პლასტიკის, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოებასთან, იმპორტსა და რეალიზაციასთან დაკავშირებით. მეოთხედ, კომიტეტმა განიხილა მიწისქვეშა მოქმედი და მშენებარე მომეტებული საფრთხის შემცველი საწარმოო ობიექტების სამთო მამკელი სტრუქტურების მომსახურების გაუმჯობესების პოლიტიკის საკითხები.

³⁰⁹ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილი. კომიტეტმა ცნობად მიიღო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ხატია წილოსანის ანგარიში გარემოს დაცვის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების შესახებ.

³¹⁰ დემეტრაშვილი ა. (ავტ. კოლ. ხელ. და პას. რედ.) და სხვ., კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გვ. 216.

³¹¹ შაიო ა., ხელისუფლების თვითმუზღუდა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, გვ. 115.

მოთხოვნით, თუ ამ ფრაქციას კომიტეტში ჰყავს წევრი.³¹²

6.3.1. კომიტეტის უმრავლესობის მიერ თანამდებობის პირის დაბარება

დამსწრეთა უმრავლესობით შეიძლება დაიბარონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირი.³¹³ საანგარიშო პერიოდში ამ გზით 4-მა კომიტეტმა 5-ჯერ მოიწვია 7 სუბიექტი.³¹⁴ მათგან მხოლოდ 1 არ გამოცხადდა სხდომაზე.³¹⁵ ეს კონსტიტუციის დარღვევა და იმპიჩმენტის საფუძველი. სასურველია პარლამენტს ასეთ შემთხვევებზე რეაგირება ქონდეს.

პროცედურა ასეთია: კომიტეტის თავმჯდომარე³¹⁶ შესაბამის პირს მოწვევას უგზავნის განხილვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.³¹⁷ თუმცა, რეგლამენტი არ აზუსტებს, ვისი გადაწყვეტილებით და როდის ჯდება დღის წესრიგში ეს საკითხი. **უპრიანია, რეგლამენტმა პირდაპირ დაადგინოს, რომ მოსმენა კომიტეტის უახლოეს სხდომაზე იმართება,³¹⁸ გარდა იმ შემთხვევისა, როცა კომიტეტი სხვა თარიღს მიუთითებს.**

თუ კომიტეტს სურს უკვე დაბარებული პირების ორი თვის განმავლობაში განმეორებით მოწვევა, მაშინ გადაწყვეტილების მისაღებად სიითი შემადგენლობის (აბსოლუტური) უმრავლესობაა საჭირო.³¹⁹ დათქმა ვრცელდება როგორც კომიტეტის, ისე ფრაქციის მიერ დაბარებულ თანამდებობის პირზე. ეს გადაწყვეტილება საკითხის მნიშვნელობით უნდა იყოს ნაკარნახევი და დამაბრკოლებელ გარემოებას არ უნდა წარმოადგენდეს უახლოეს წარსულში კომიტეტის სხდომაზე მისი მოსმენა. ამიტომ, **აუცილებელია, ზემოაღნიშნული შეზღუდვა გაუქმდეს და თითოეულ კომიტეტს სხდომაზე ანგარიშვალდებული პირის დაბარება დამსწრეთა უმრავლესობით ნებისმიერი სისმირით შეეძლოს.**

ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის მოდელის მქონე სახელმწიფოებიდან კომიტეტზე დაბარების მექანიზმი არსებობს ფინეთში,³²⁰ ბულგარეთში,³²¹ ლიეტუვაში,³²² ხორვატიასა³²³ და სლოვაკეთში.³²⁴ ბულგარეთსა³²⁵ და ლიეტუვაში³²⁶ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა, ხოლო ფინეთში,³²⁷ ხორვატიასა³²⁸ და სლოვაკეთში³²⁹ - აბსოლუტური უმრავლესობით.

³¹² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლი.

³¹³ იქვე, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი.

³¹⁴ იხ. ცხრილი №4. ინფორმაცია განახლებულია 2020 წლის 26 ივნისის ჩათვლით.

³¹⁵ იქვე.

³¹⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი.

³¹⁷ იქვე.

³¹⁸ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 80.

³¹⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტი.

³²⁰ SGI, Are parliamentary committees able to summon ministers for hearings? Sustainable Governance Indicator-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y5kmr2l>, განახლებულია: 18.09.19.

³²¹ Rules of Organization and Procedure of the National Assembly, Article 113, section 3.

³²² Statute of Seimas of the Republic of Lithuania, Article 56, section 2.

³²³ SGI, მითითებული წყარო.

³²⁴ Act of the National Council of the Slovak Republic No. 350/1996 on Rules of Procedure, Section 53, subsection 2.

³²⁵ Rules of Organization and Procedure of the National Assembly, Article 33, section 4.

³²⁶ Statute of Seimas of the Republic of Lithuania, Article 55, section 1.

³²⁷ ფინეთის პარლამენტის 2020 წლის 11 თებერვლის წერილი ელფოსტის მეშვეობით.

³²⁸ Standing Orders of the Croatian Parliament, Article 44.

³²⁹ Act of the National Council of the Slovak Republic No. 350/1996 on Rules of Procedure, Section 52, subsection 2.

საპარლამენტო მოდელებიდან აღნიშნული მექანიზმი გვხვდება გერმანიაში თავისებური სახესხვაობით. კერძოდ, კომიტეტი უფლებამოსილია, საკუთარ სხდომაზე დაიბაროს ფედერალური მთავრობის წევრი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პირი უნდა წარდგეს საჯარო სხდომაზე.³³⁰ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.³³¹ განსხვავებული წესია იტალიაშიც. აქ დეპუტატთა პალატის წევრი უფლებამოსილია, მოითხოვოს მის მიერ მინისტრისთვის გაგზავნილი კითხვის განხილვა კომიტეტის სხდომაზე.³³² დაახლოებით მსგავსი რეგულირება აქვს ესპანეთში დეპუტატთა კონგრესს. თუ კითხვის ავტორს სურს, რომ პასუხი ზეპირად მიიღოს, მაშინ კითხვის ადრესატი უნდა წარდგეს შესაბამისი კომიტეტის წინაშე.³³³ გარდა ამისა, კომიტეტის სხდომაზე მთავრობის წევრი გამოცხადდება ბიუროსა და ხმოსანთა საბჭოს (Board of Spokesmen)³³⁴ რეზოლუციით.³³⁵ ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებას იღებს ხმის წონის პრინციპის საფუძველზე მარტივი უმრავლესობით,³³⁶ ხოლო ბიურო - აბსოლუტური უმრავლესობით.³³⁷ ლატვიაში,³³⁸ ესტონეთსა³³⁹ და უნგრეთში³⁴⁰ კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ესტონეთში მთავრობის წევრს იბარებენ³⁴¹ აბსოლუტური უმრავლესობით,³⁴² საბერძნეთში - კომიტეტის წევრთა 2/5-ის მოთხოვნით.³⁴³

კვლევამ აჩვენა, რომ შესწავლილი სახელმწიფოები, როგორც ნახევრად საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო მოდელების მქონე, არ ადგენენ განსხვავებულ კვორუმებს დაბარების ინტენსივობის მიხედვით. ძირითადი ტენდენციის მიხედვით, 6 სახელმწიფოში კომიტეტზე თანამდებობის პირს გამოსაძახებლად დამსწრეთა, ხოლო 4 შემთხვევაში - აბსოლუტური უმრავლესობაა საჭირო, ერთგან კი - კომიტეტის წევრთა 2/5. ერთ შემთხვევაში, კომიტეტის ნაცვლად, ბიურო და ხმოსანთა ბორდი იღებს გადაწყვეტილებას. 2 სახელმწიფოში კი, პარლამენტის წევრის კითხვის საფუძველზე, შესაძლებელია თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება.

³³⁰ როგორც წესი, ბუნდესტაგის კომიტეტის სხდომები დახურულია. ამიტომ, ამ ნორმის შინაარსი გულისხმობს კომიტეტის უფლებამოსილებას, დაიბაროს სხდომაზე თანამდებობის პირი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის უახლოეს პერიოდში ისედაც უნდა წარდგეს კომიტეტის საჯარო სხდომაზე. Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Rule 69, section 1.

³³¹ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Rule 48, section 2.

³³² Rules of Procedure of the Chamber of Deputies of Italy, Rule 133, section 1.

³³³ Standing Orders of the Congress of Deputies, article 187.

³³⁴ ხმოსანთა ბორდი წარმოადგენს საპარლამენტო ფრაქციათა ხმოსანების გაერთიანებას, რომელსაც თავმჯდომარეობს კონგრესის სპიკერი. ხმოსანთა ბორდის სხდომების თაობაზე ეცნობება მთავრობას და, სურვილის შემთხვევაში, მას შეუძლია სხდომებზე დასასწრებად საკუთარი წარმომადგენელი გაგზავნოს. Standing Orders of the Congress of Deputies, section 39.

³³⁵ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, section 203, subsection 1.

³³⁶ თითოეული ხმოსანის (ფრაქციის თავმჯდომარის) ხმას აქვს იმდენი წონა, რამდენი წევრიც არის გაერთიანებული მის ფრაქციაში. საბოლოოდ, ეს რიცხვები ჯამდება და ისე მიიღება გადაწყვეტილებები. Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, section 39, subsection 4. დაწვრილებით იხილეთ ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის მიერ შექმნილი ვიდეო ამ თემაზე, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=p7wT2YF08nc>, განახლებულია: 13.11.19.

³³⁷ ¿Por qué es importante la Mesa del Congreso? Análisis. Decide la constitución de los grupos, la distribución de escaños y las comparencias, La Razón-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yzkh2wg4>, განახლებულია: 08.01.2020.

³³⁸ Rules of Procedure of the Saeima, Article 175.

³³⁹ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Paragraph 38, section 2.

³⁴⁰ უნგრეთის პარლამენტის 2019 წლის 3 ოქტომბრის წერილი ელფოსტის მეშვეობით.

³⁴¹ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Paragraph 22, section 1, subsection 2.

³⁴² იქვე, Paragraph 38, section 1.

³⁴³ SGI, მითითებული წყარო.

საქართველოში განსხვავებული მიდგომაა პრემიერმინისტრის, გენერალური პროკურორისა და სუს-ის უფროსის კომიტეტის სხდომაზე მოსაწვევად. მათ დაბარებას აბსოლუტური უმრავლესობა სჭირდება.³⁴⁴ ეს დიფერენცირება საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობას ამცირებს და, იმავდროულად, საფუძვლად არ უდევს მკაფიო არგუმენტი.³⁴⁵ **კომიტეტის უბრალო უმრავლესობას უნდა ჰქონდეს ამ პირთა დაბარების უფლებამოსილება.**

6.3.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება ფრაქციის მიერ ფრაქცია უფლებამოსილია, კომიტეტის სხდომაზე დაიბაროს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, შესაბამის კომიტეტში ფრაქციას ჰყავდეს წარმომადგენელი.³⁴⁶ კვლევის მიზნებისთვის შერჩეულ სახელმწიფოებში მსგავსი მექანიზმი არ არსებობს.

2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე ფრაქციებმა ეს პრეროგატივა 6 კომიტეტთან მიმართებით 19-ჯერ გამოიყენეს.³⁴⁷ დაბარებულ თანამდებობის პირთაგან მხოლოდ 6 გამოცხადდა.³⁴⁸ 6-იდან 1 შემთხვევაში სხდომა ჩაიშალა, რადგან დეპუტატები ვერ შეთანხმდნენ მისი წარმართვის პროცედურაზე.³⁴⁹ ეს რეგლამენტის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ადრესატი ადგილზე იმყოფებოდა,³⁵⁰ სხდომა კი მისგან დამოუკიდებელი მიზეზით არ ჩატარდა.

ამ მექანიზმით გათვალისწინებული ერთადერთი შემთხვევა, როცა პირი არ არის ვალდებული, გამოცხადდეს კომიტეტის სხდომაზე, 2 თვის ვადაში მისი ხელმეორედ დაბარებაა.³⁵¹ ეს არ გულისხმობს მომდევნო 2 თვის განმავლობაში განმეორებით დასწრების ვალდებულებისგან გათავისუფლებას მხოლოდ იმ კომიტეტში, რომლის წინაშეც უკვე წარდგა. მას ეს პრივილეგია ყველა სხვა კომიტეტთანაც ენიჭება. ადრესატების გამოუცხადებლობის 13-იდან 6 შემთხვევაში სწორედ ამგვარი ფაქტი დაფიქსირდა,³⁵² ამდენად, მათ რეგლამენტი არ დაურღვევიათ, დარჩენილი 7 კი კანონდარღვევაა.³⁵³

საგაზაფხულო სესიაზე 9 კომიტეტში ეს შესაძლებლობა ფრაქციას არ გამოუყენებია.³⁵⁴

³⁴⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁴⁵ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, 2019, გვ. 80.

³⁴⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁴⁷ იხ. ცხრილი №5. ინფორმაცია განახლებულია 2020 წლის 26 ივნისის მონაცემებით.

³⁴⁸ იქვე.

³⁴⁹ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომა, ახალი ამბები, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/vzpl3gc>, განახლებულია: 05.03.20.

³⁵⁰ იქვე.

³⁵¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტი.

³⁵² იხ. ცხრილი №5.

³⁵³ იქვე.

³⁵⁴ ესენია: აგრარულ საკითხთა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების; დიასპორისა და კავკასიის საკითხთა; ევროპასთან ინტეგრაციის, თავდაცვისა და უშიშროების; რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის; საპროცედურო საკითხთა და წესების; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტები. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 წერილი. აგრეთვე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილი.

2019 წლის საშემოდგომო სესიაზე მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტზე დაიბარა ფრაქციამ თანამდებობის პირი.³⁵⁵ ადრესატმა კომიტეტს სთხოვა, რომ მოსმენისთვის სხვა თარიღი შეერჩია.³⁵⁶ ამ უკანასკნელმა საკითხს კენჭი უყარა და მხარი დაუჭირა.³⁵⁷ ეს ნაბიჯი რეგლამენტის უგულებელყოფად უნდა ჩაითვალოს. თარიღის შეცვლა მხოლოდ მოწვევის ინიციატორსა და მოსაწვევ პირს შორის შეთანხმების საფუძველზეა შესაძლებელი³⁵⁸ და არა - კომიტეტის უმრავლესობის გადაწყვეტილებით. თუმცა, საინტერესოა, რომ მინისტრი არც შეცვლილ თარიღში არ გამოცხადდა,³⁵⁹ რითაც ვალდებულება კიდევ ერთხელ არ შეასრულა.

2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე კვლავ მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტზე დაიბარა ფრაქციამ მინისტრი.³⁶⁰ თანამდებობის პირის გამოუცხადებლობის გამო, სხდომა არ ჩატარდა. ამის მიზეზად კი მან კომიტეტის სხდომამდე პლენარულ სესიაზე მინისტრის საათის ფორმატში წარდგენა დაასახელა.³⁶¹ ცხადია, ეს მიზეზი არ არის საპატიო. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მინისტრმა რეგლამენტი და კონსტიტუცია დაარღვია.

კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს იმ მიზეზს, როდესაც შესაბამისი პირი ვალდებული არ არის, გამოცხადდეს კომიტეტზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მის მიმართ ამ მექანიზმის გამოყენებიდან 2 თვე არ არის გასული. სხვა დროს იგი კომიტეტზე მაშინ უნდა მივიდეს, როცა დაიბარებენ. კონსტიტუციური ორგანოები ვალდებულნი არიან, საკუთარი გეგმები საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგზე ააგონ. შემოადწერილი ფაქტები როგორც რეგლამენტის, ისე კონსტიტუციის დარღვევის მაგალითებია (სულ 9 შემთხვევა). ამ საფუძველით, თითოეული მათგანის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაა შესაძლებელი.³⁶²

უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტისგან განსხვავებით, ფრაქციის წევრი არ არის უფლებამოსილი, კომიტეტის სხდომაზე დაიბაროს პრემიერმინისტრი, გენერალუ-

³⁵⁵ ფრაქციამ „დამოუკიდებელი დეპუტატები“ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტზე დაიბარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე. მინისტრი დაიბარეს შემდეგ საკითხებზე: 1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ნოემბერის №520 დადგენილების საფუძველი და შედეგები; 2. 2019 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების მიმართ არსებული დავალიანება და მისი დაფარვის გეგმა. 2020 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით სხდომა არ ჩატარებულა. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილი.

³⁵⁶ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომა, ახალი ამბები, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/wjbmyst>, განახლებულია: 26.02.20.

³⁵⁷ იქვე.

³⁵⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი.

³⁵⁹ ახალი ამბები, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y87hovw6>, განახლებულია: 22.04.20.

³⁶⁰ ფრაქციამ „დამოუკიდებელი დეპუტატები“ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტზე დაიბარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე. მინისტრი დაიბარეს შემდეგ საკითხებზე: 1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ნოემბერის №520 დადგენილების საფუძველი და შედეგები; 2. 2019 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების მიმართ არსებული დავალიანება და მისი დაფარვის გეგმა. 2020 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით სხდომა არ ჩატარებულა. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილი.

³⁶¹ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილი.

³⁶² საქართველოს კონსტიტუცია, 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

რი პროკურორი და სუს-ის უფროსი. ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს და ფრაქციას კომიტეტის სხდომაზე ყველა ანგარიშვალდებული პირის, მათ შორის, პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორისა და სუს-ის უფროსის მოწვევის კომპეტენცია უნდა მიენიჭოს.³⁶³

6.4. კომიტეტის თემატური მომხსენებელი

თემატური მომხსენებელი კომიტეტის წევრია, რომელიც ამ უკანასკნელის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებაზეა პასუხისმგებელი. ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებიდან ეს ინსტიტუტი გვხვდება მხოლოდ ლიეტუვაში,³⁶⁴ ხოლო საპარლამენტო სისტემის ქვეყნებიდან - ესტონეთში.³⁶⁵

6.4.1. კომიტეტის სამოქმედო გეგმა

კომიტეტები საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე ადგენენ საკუთარი მუშაობის წლიურ სამოქმედო გეგმას.³⁶⁶ ეს დოკუმენტი უნდა შეიცავდეს კომიტეტის მიერ განსახორციელებელი აქტივობებისა და ვადების შესახებ ინფორმაციას.³⁶⁷ ასევე, თითოეულ აქტივობაზე უნდა განისაზღვროს პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი ან წევრები.³⁶⁸ ეს პირები ავტომატურად ხდებიან თემატური მომხსენებლები.³⁶⁹

თუმცა, რეგლამენტი ცალსახა, არაორაზროვან, მკაფიო სურათს არ იძლევა თემატური მომხსენებლის შესახებ. ერთი ნორმით ის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობაზეა პასუხისმგებელი,³⁷⁰ ხოლო მეორეთი - სამუშაო სფეროზე/მიმართულებაზე.³⁷¹ ასე რომ, მასთან ორი ელემენტი - „აქტივობა“ და „სფერო“ დაკავშირებული. ამ ბუნდოვანების აღმოფხვრა სისტემური განმარტებითაა შესაძლებელი,³⁷² რომლის მიხედვითაც, მომხსენებელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ კონკრეტულ „სფეროსა“ და ამ სფეროში შემავალი ყველა „საკითხზე“ პასუხისმგებელი.

2019 წელს 15-ივე კომიტეტმა შეიმუშავა საკითხებად ჩაშლილი სამოქმედო გეგმა.³⁷³ კომიტეტის წევრებიც თემატურ მომხსენებლებად ამ საკითხებზე, და არა - სფეროებზე, დაინიშნენ. ამიტომ, ისინი ქაოსურად არიან გაბნეულნი სხვადასხვა თემაზე.

³⁶³ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.

³⁶⁴ ლიეტუვაში კომიტეტები სამუშაო გეგმის შესაბამისად მუშაობენ. ის თანხვედრაში უნდა იყოს სეიმის ანალოგიურ დოკუმენტთან. კომიტეტის სამუშაო გეგმით განისაზღვრება პირი, რომელიც პასუხისმგებელია საკითხთა დროულ აღსრულებაზე. Statute of Seimas of the Republic of Lithuania, Article 48, section 5.

³⁶⁵ კომიტეტი ამზადებს მოხსენებებს მის იურისდიქციაში შემავალ საკითხებზე და საკუთარი წევრებიდან ნიშნავს მომხსენებელს, რომელიც წერს მოხსენების პროექტს და მას დასამტკიცებლად წარუდგენს კომიტეტს. Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Article 23¹.

³⁶⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

³⁶⁷ იქვე, მე-3 პუნქტი.

³⁶⁸ იქვე.

³⁶⁹ იქვე.

³⁷⁰ იქვე.

³⁷¹ იქვე, 45-ე მუხლის მე-2-მე-6 პუნქტები.

³⁷² საუბარია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის 2 წინადადებასა და 45-ე მუხლის მე-2-მე-6 პუნქტებზე.

³⁷³ იხ. ცხრილი №6.

2020 წელს 12-მა კომიტეტმა შეიმუშავა საკითხებად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა.³⁷⁴ 3 შემთხვევაში პარლამენტის ვებგვერდზე არ არის განთავსებული ეს დოკუმენტები, რაც რეგლამენტის დარღვევაა. წინა წლის მსგავსად, 2020 წელსაც თემატური მომხსენებლები არა კონკრეტულ თემებზე, არამედ მასში შემავალ სხვადასხვა საკითხზე არიან პასუხისმგებელნი.

იმპლემენტაცია აჩვენებს, რომ ნორმა ბუნდოვანებას იწვევს, რომლის მოსაგვარებლად საჭიროა, რეგლამენტით მკაფიოდ განისაზღვროს, რომ თემატური მომხსენებელი კონკრეტულ სფეროსა და ამ სფეროთი მოცულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირია.

6.4.2. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა

რეგლამენტი სამოქმედო გეგმის სტრუქტურაზე პირდაპირ არაფერს ამბობს, თუმცა აღგენს, რომ იგი უნდა შეიცავდეს კონკრეტულ „აქტივობას“³⁷⁵ და, აგრეთვე, „სამუშაო სფეროს/მიმართულებას“.³⁷⁶ გამოდის, გეგმას ორი სტრუქტურული ერთეული გააჩნია - „სამუშაო სფერო“/„მიმართულება“ და კონკრეტული „აქტივობა“.

შესწავლილ გეგმებში ეს სტრუქტურა არ არის დაცული და თითოეული განსხვავებულ გზას ირჩევს.³⁷⁷ 2019 წელს შექმნილი დოკუმენტებიდან 7 გეგმა 4 სტრუქტურული ერთეულისგან შედგება: თემა, სტრატეგიული მიზანი, ამოცანა და საკითხი;³⁷⁸ 5 - 3-ისგან: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა და საკითხი;³⁷⁹ 3 (ფორმალური თვალსაზრისით შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს) - 2-ისგან: თემა და საკითხი.³⁸⁰ თუმცა, გეგმები ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც პრობლემურია, რადგან კომიტეტის წევრები არა თემებზე, არამედ საკითხებზე არიან დანიშნულნი თემატურ მომხსენებლებად.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო სტრუქტურული ერთეული - „საკითხი“, სხვადასხვა ტერმინით არის აღნიშნული სხვადასხვა სამოქმედო გეგმაში. სიტყვა „დონისძიება“ გამოყენებულია 4 შემთხვევაში,³⁸¹ „საკითხი“³⁸² და „აქტივობა“³⁸³ - 2-2-ში, „ქმედება“

³⁷⁴ იხ. ცხრილი №7.

³⁷⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁷⁶ იქვე, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁷⁷ მაგ. შუად. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, საპროცედურო საკითხთა და წესების და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების სამოქმედო გეგმები.

³⁷⁸ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმები აქვთ: აგრარულ საკითხთა; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების; თავდაცვისა და უშიშროების; იურიდიულ საკითხთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტებს.

³⁷⁹ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმები აქვთ: დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ევროპასთან ინტეგრაციის, საგარეო ურთიერთობათა, საფინანსო-საბიუჯეტო და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტებს.

³⁸⁰ ასეთი სტრუქტურის მქონე სამოქმედო გეგმები აქვთ: დიასპორისა და კავკასიის საკითხთა, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტებს.

³⁸¹ ეს ტერმინი გამოყენებული აქვთ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებს.

³⁸² ეს ტერმინი გამოყენებული აქვთ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკისა და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტებს.

³⁸³ ეს ტერმინი გამოყენებული აქვთ ევროპასთან ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებს.

- 4-ში,³⁸⁴ „საქმიანობა“,³⁸⁵ „აქტივობა/ღონისძიება“³⁸⁶ და „ღონისძიება/ქმედება“³⁸⁷ - თითოში.

2020 წლის სამოქმედო გეგმები მეტწილად იმეორებს 2019 წლის ტენდენციებს. კერძოდ, 8 გეგმა შედგება 3 სტრუქტურული ერთეულისგან: მიზანი, ამოცანა, საკითხი,³⁸⁸ 3 - 2-სგან: მიზანი, აქტივობა;³⁸⁹ 1 - მხოლოდ 1-სგან.³⁹⁰ სამოქმედო გეგმებში ბოლო სტრუქტურული ერთეულისთვის კვლავ განსხვავებული ტერმინებია გამოყენებული. სიტყვა „საკითხი“ იხმარება 5 შემთხვევაში,³⁹¹ „ღონისძიება“³⁹² და „ქმედება“³⁹³ - 3-3-ში, „აქტივობა“ - 1-ში.³⁹⁴

ეს შეუსაბამობები ართულებს ამ დოკუმენტების ერთმანეთთან შედარებას და საერთო კონტექსტში მათ აღქმას. ამიტომ, **აუცილებელია, კომიტეტების სამოქმედო გეგმებს იდენტური სტრუქტურა ჰქონდეს. ის უნდა შედგებოდეს კონკრეტული თემისა და მასში შემავალი აქტივობებისგან.**

6.4.3. თემატურ მომხსენებლად დანიშვნა

დეპუტატს, მისივე ინიციატივით, მომხსენებლად ნიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე.³⁹⁵ თუ კომიტეტის არცერთი წევრი არ გამოთქვამს რომელიმე მიმართულებაზე მომხსენებლად ყოფნის სურვილს, მაშინ მათგან ერთ-ერთს თავად კომიტეტის თავმჯდომარე ასახელებს.³⁹⁶

2019 წელს ყველა კომიტეტმა დანიშნა თემატური მომხსენებლები³⁹⁷ - ჯამში, 86 დეპუტატი. მათგან ოპოზიციაში თავდაპირველად იყო 13, ხოლო უმრავლესობის დატოვების შემდეგ მათი რიცხვი 26-მდე გაიზარდა. 1065 საკითხზე კომიტეტის თავმჯდომარეები (სულ 15) განისაზღვრნენ მომხსენებლებად,³⁹⁸ ხოლო 247-ზე - თავმჯდომარის პირველი მოადგილეები (სულ 11). ეს ცუდი პრაქტიკაა. ამ ინსტიტუტის მიზანი შრომის დანაწილებაა დეპუტატებს შორის,³⁹⁹ ამიტომ **მიმართულებები თანაბრად უნდა გადანაწილდეს კომიტეტის წევრებზე.**

³⁸⁴ ეს ტერმინი გამოყენებული აქვთ თავდაცვისა და უშიშროების; საგარეო ურთიერთობათა; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტებს.

³⁸⁵ ეს ტერმინი გამოყენებული აქვს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

³⁸⁶ ეს ტერმინი გამოყენებული აქვს აგრარულ საკითხთა კომიტეტს.

³⁸⁷ ეს ტერმინი გამოყენებული აქვს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

³⁸⁸ ასეთი სტრუქტურული ერთეულები აქვთ აგრარულ საკითხთა; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების; ევროპასთან ინტეგრაციის; თავდაცვისა და უშიშროების; საგარეო ურთიერთობათა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტებს.

³⁸⁹ ასეთი სტრუქტურული ერთეულები აქვთ იურიდიულ საკითხთა; რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტებს.

³⁹⁰ ასეთი სტრუქტურული ერთეული აქვს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

³⁹¹ ეს ტერმინი გამოყენებული აქვთ აგრარულ საკითხთა; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების; საპროცედურო საკითხთა და წესების და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებს.

³⁹² ეს ტერმინი გამოყენებული აქვთ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის; ევროპასთან ინტეგრაციის და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებს.

³⁹³ ესენია თავდაცვისა და უშიშროების; საგარეო ურთიერთობათა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტები.

³⁹⁴ ეს ტერმინი გამოყენებული აქვს იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

³⁹⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁹⁶ იქვე, 45-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

³⁹⁷ იხ. ცხრილი №6.

³⁹⁸ იქვე.

³⁹⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

რეგლამენტის მიხედვით, ყოველი მიმართულებისთვის აუცილებლად უნდა იყოს ერთი თემატური მომხსენებელი უმრავლესობიდან და, სურვილის შემთხვევაში - ერთი ოპოზიციიდან.⁴⁰⁰ თუმცა, 2019 წელს ისინი, ძირითადად, უმრავლესობის წევრები იყვნენ.⁴⁰¹ 1303-იდან მხოლოდ 27 საკითხზე იყო თანამომხსენებელი ოპოზიციის წარმომადგენელი.⁴⁰² ოპოზიციის წილი 2019 წლის ბოლოსთვის 223-მდე მას შემდეგ გაიზარდა, რაც დეპუტატთა ნაწილმა უმრავლესობა დატოვა.⁴⁰³

2020 წელს 11-მა კომიტეტმა დანიშნა თემატური მომხსენებლები.⁴⁰⁴ 1-მა კომიტეტმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, თუმცა არცერთ საკითხზე არ დანიშნა მომხსენებელი.⁴⁰⁵ ჯამში, 69 დეპუტატი განისაზღვრა 931 საკითხზე.⁴⁰⁶ 2020 წელს თემატურ მომხსენებლად უმრავლესობიდან 60, ხოლო ოპოზიციიდან 9 დეპუტატი დარეგისტრირდა.⁴⁰⁷ კომიტეტის თავმჯდომარეები (სულ 10) 663, ხოლო მათი პირველი მოადგილეები (სულ 8) 172 საკითხზე არიან მომხსენებლები.⁴⁰⁸ 931 საკითხიდან 867-ზე თემატური მომხსენებელია უმრავლესობის წევრი, ხოლო 64-ზე - ოპოზიციის წარმომადგენელი.⁴⁰⁹

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები ცუდი პრაქტიკის მაგალითებია. ამ მექანიზმის მიზანი შრომის დანაწილებაა დეპუტატებს შორის.⁴¹⁰ ამიტომ, სამუშაო თანაბრად უნდა გადანაწილდეს კომიტეტის ყველა წევრზე და ოპოზიციაც უნდა ჩაერთოს მუშაობაში.

6.4.4. თემატური მომხსენებლის ვინაობა

თემატურ მომხსენებლად შესაბამისი კომიტეტის წევრი ინიშნება. **სამოქმედო გეგმაში ზუსტად უნდა ჩაიწეროს იმ დეპუტატის სახელი და გვარი, რომელიც კონკრეტულ მიმართულებაზეა პასუხისმგებელი.** თუმცა, 2019 წელს 7 შემთხვევაში ის არ განსაზღვრულა და შესაბამის გრაფაში მითითებული იყო „კომიტეტის წევრი“; 11-გან - „აპარატის თანამშრომელი“; თითო შემთხვევაში - ისეთი საპარლამენტო ერთეულები, როგორცაა „დელეგაცია“, „სამუშაო ჯგუფი“ და „ნდობის ჯგუფი“.

2020 წელს კვლავ განმეორდა 2019 წლის ხარვეზები. კონკრეტული პირების ნაცვლად, 6 შემთხვევაში მითითებული იყო „კომიტეტის წევრი“, 8-გან - „აპარატის თანამშრომელი“, 2-გან „დელეგაცია“, ხოლო თითო შემთხვევაში - „ნდობის ჯგუფი“ და „მეგობრობის ჯგუფი“.⁴¹¹ **თითოეული ეს პრაქტიკა ეწინააღმდეგება რეგლამენტის მოთხოვნებს.**

2019 და 2020 წლებში 2-2 შემთხვევაში პარლამენტის წევრებმა დატოვეს კომიტეტი, თუმცა ცვლილება არ შესულა სამოქმედო გეგმაში და ისინი კვლავ დარჩნენ მომხსენებლებად. **აუცილებელია, კომიტეტის წევრთა ცვლილებები აისახოს სამოქმედო გეგმაში.**

⁴⁰⁰ იქვე, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁰¹ იხ. ცხრილი №6.

⁴⁰² იქვე.

⁴⁰³ იქვე.

⁴⁰⁴ იხ. ცხრილი №7.

⁴⁰⁵ იქვე.

⁴⁰⁶ იქვე.

⁴⁰⁷ იქვე.

⁴⁰⁸ იქვე.

⁴⁰⁹ იქვე.

⁴¹⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴¹¹ იხ. ცხრილი №7.

6.4.5. თემატური მომხსენებლის ანგარიშგება

თემატურ მომხსენებლებს მათთვის განსაზღვრულ საკითხებზე გაწეული სამუშაოს შესახებ კომიტეტის წინაშე უნდა წარედგინათ ანგარიში.⁴¹² 2019 წელს 15 კომიტეტიდან მხოლოდ 5-ში⁴¹³ სულ 7-მა მომხსენებელმა⁴¹⁴ წარადგინა მოხსენება, ჯამში, 155 საკითხზე.⁴¹⁵ 7-დან 2-ის ინიციატივით,⁴¹⁶ თემის დასამუშავებლად შესაბამის კომიტეტებში შეიქმნა თემატური მოკვლევის ჯგუფები. მომხსენებლის ანგარიშზე რეაგირება და პრობლემის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით შესაბამისი საპარლამენტო მექანიზმის გამოყენება კარგი პრაქტიკაა. **იმავედროულად, რეკომენდებულია, რომ მომხსენებლებმა ჯეროვნად შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულება და კომიტეტებს შესაბამისი მოხსენება წარუდგინონ.**

6.5. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მანდატი

6.5.1. თავდაცვის სფეროზე საპარლამენტო კონტროლი საქართველოში

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე სამუშაოდ შექმნილია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი.⁴¹⁷ შესწავლილი საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ უსაფრთხოების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე საპარლამენტო კონტროლს, უმეტესწილად, რამდენიმე კომიტეტი ახორციელებს.

შესწავლილი ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის მქონე სახელმწიფოებდან, ლიეტუვაში მხოლოდ 1 კომიტეტი კურირებს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს,⁴¹⁸ ბულგარეთსა⁴¹⁹ და ხორვატიაში⁴²⁰ - 2, ფინეთში - 3,⁴²¹

⁴¹² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁴¹³ ესენია ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის; თავდაცვისა და უშიშროების; საგარეო ურთიერთობათა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტები. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 26 თებერვლის №1-2397/20 წერილი.

⁴¹⁴ ეს დეპუტატები არიან სოფო კილაძე, რატი იონათამიშვილი, დიმიტრი ცქიტიშვილი, ნინო წილოსანი, სიმონ ნოზაძე, და ნინო გოგუაძე. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 26 თებერვლის №1-2397/20 წერილი.

⁴¹⁵ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 26 თებერვლის №1-2397/20 წერილი.

⁴¹⁶ ეს დეპუტატები არიან ნინო წილოსანი და ნინო გოგუაძე. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 26 თებერვლის №1-2397/20 წერილი.

⁴¹⁷ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დებულების მე-2 მუხლი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/uz5j78n>, განახლებულია: 09.01.20. აგრეთვე, იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 159-ე მუხლი.

⁴¹⁸ Wills A., Vermeulen M., Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union, European Parliament, Brussels, 2011, p. 94.

⁴¹⁹ 1. თავდაცვის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს თავდაცვის სამინისტროს, სამხედრო დაზვერვას და შეიარაღებულ ძალებს. 2. სამინაო უსაფრთხოებისა და საჯარო წესრიგის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პოლიციას და ჟანდარმერიას, სასაზღვრო დაცვას და არასამხედრო დაზვერვას. Parliamentary Committees on Defence and Security, DCAF Backgrounder, Security Sector Governance and Reform, November, 2005, pp. 4, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/wyw6hyt>, განახლებულია: 10.01.20.

⁴²⁰ თავდაცვის კომიტეტი აკონტროლებს თავდაცვის სამინისტროს, სამინაო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტი - შინაგან საქმეთა სამინისტროს, უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებს. ხორვატიის საბორის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yxvtgvc>, <https://tinyurl.com/yfdb2whs>, ყველა ბმული განახლებულია: 10.01.20.

⁴²¹ ფინეთის ელესკუნტაში შექმნილია თავდაცვის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს სამხედრო განვჯვებს, თავდაცვის ძალებს, იმ სამშვიდობო ოპერაციებს, რომლებიც არ განეკუთვნება საგარეო საქმეთა კომიტეტს. მეორე - ადმინისტრაციის კომიტეტი, სხვა საკითხებთან ერთად, აკონტროლებს გადაუდებელი დახმარების აღმომჩენ და სამამკველო სტრუქტურებს, აგრეთვე, სასაზღვრო პოლიციას. მესამეა დაზვერვის კონტროლის კომიტეტი. მის ფუნქციაში შედის როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო

სლოვაკეთში - 5 (საიდანაც 2 ჩვეულებრივი,⁴²² ხოლო 3 სპეციალური კომიტეტია⁴²³). საპარლამენტო ქვეყნებიდან იტალიასა⁴²⁴ და ესპანეთში⁴²⁵ თავდაცვისა და უსაფრთხოების კონტროლისთვის 1 კომიტეტი იქმნება, ლატვიაში,⁴²⁶ ესტონეთსა⁴²⁷ და უნგრეთში⁴²⁸ - 2, საბერძნეთსა⁴²⁹ და გერმანიაში⁴³⁰ - 3.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ძირითად შემთხვევებში (12-იდან 6-ში) ამ სფეროზე საპარლამენტო კონტროლისთვის 2 კომიტეტია განსა-

დაზვერვის კონტროლი. ფინეთის ელუსკუნტას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y5w2apka>, <https://tinyurl.com/y44zcsqc> და <https://tinyurl.com/y6jdsjor>. განახლებულია: 10.01.20.

⁴²² 1. თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი ახორციელებს თავდაცვის სფეროს, აგრეთვე, მასში შემავალი ფინანსების კონტროლს. 2. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლის კომიტეტი, რომლის სტატუსი კონსტიტუციური აქტით №254/2006 განისაზღვრა, აღჭურვილია კვაზი სასამართლო ფუნქციით და იხილავს დავებს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. მისი სტატუსი, უფლებამოსილება და საქმიანობის პროცედურა განსაზღვრულია დასახელებული კონსტიტუციური კანონით. თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი, სლოვაკეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/u619mdh>. განახლებულია: 10.01.20. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლის კომიტეტი, სლოვაკეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/tu56fyo>, განახლებულია: 10.01.20.

⁴²³ სამი სპეციალური კომიტეტიდან ერთ-ერთია ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე ზედამხედველობის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს ეროვნული უსაფრთხოების სამსახურებს. მეორე სპეციალური კომიტეტი აკონტროლებს სლოვაკეთის სამოქალაქო დაზვერვის სამსახურს, ხოლო მესამე - სამხედრო დაზვერვის სამსახურს. სპეციალური კომიტეტები, სლოვაკეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/vfweb43>, <https://tinyurl.com/wvqdvva> და <https://tinyurl.com/ttxrncn>, განახლებულია: 10.01.20.

⁴²⁴ იტალიაში კონტროლის ორგანოა რესპუბლიკის უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტი (COPASIR). აღნიშნული კომიტეტის ფუნქციაა საგარეო და საშინაო უსაფრთხოების სამსახურებზე, აგრეთვე, დაზვერვის სამსახურზე კონტროლის განხორციელება. Wills A., Vermeulen M., დასახელებული ნაშრომი, p. 242-243.

⁴²⁵ ესპანეთში შექმნილია Secret Funds Committee, რომლის მიზანია დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოზე (თუმცა, არა პოლიციასა და guardia civil-ზე) საპარლამენტო კონტროლი. Ley 11/2002, de 6 de mayo, reguladora del Centro Nacional de Inteligencia, Art. 11, ესპანეთის საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია (მხოლოდ ესპანურად): <https://www.boe.es/buscar/act.php?id=BOE-A-2002-8628>, განახლებულია: 23.08.2019. იხ. ასევე Wills A., Vermeulen M., დასახელებული ნაშრომი, p. 271.

⁴²⁶ ლატვიაში არსებობს (1) თავდაცვის, შინაგან საქმეთა და კორუფციის პრევენციის და (2) ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტი. ლატვიის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/txujee4>, განახლებულია: 10.01.20.

⁴²⁷ ესტონეთში კონტროლს ახორციელებს მუდმივმოქმედი თავდაცვის კომიტეტი თავდაცვის სფეროში, აგრეთვე, არსებობს სპეციალური, უსაფრთხოების სამსახურების მიერ მიყურადების კონტროლის კომიტეტი, რომელსაც რიიგიკოგუ ქმნის. თავდაცვის კომიტეტი, ესტონეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/sxh22k9>, სპეციალური კომიტეტი უსაფრთხოების სამსახურების მიერ მიყურადების კონტროლის თაობაზე, ესტონეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/szmp4d8>. ბმულები განახლებულია: 10.01.20.

⁴²⁸ უნგრეთში მოქმედებს (1) თავდაცვისა და სამართალდამცავი ძალებისა და (2) ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტები. კომიტეტების ჩამონათვალი, უნგრეთის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/s7tsuaz>, განახლებულია: 10.01.20.

⁴²⁹ 1. ეროვნული თავდაცვისა და საგარეო საქმეთა კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს. 2. ადმინისტრაციის, საჯარო წესრიგისა და იუსტიციის კომიტეტი, რომელიც, სხვა ფუნქციებთან ერთად, ახორციელებს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების კონტროლს. 3. შეიარაღების პროგრამებისა და კონტრაქტების კომიტეტი, რომელიც მონიტორინგს უწევს შეიარაღებაში დახარჯულ თანხებს, პროგრამებს და დადებულ კონტრაქტებს. საბერძნეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/r9wyrwe>, <https://tinyurl.com/rjuw47n> და <https://tinyurl.com/rj5avn>. განახლებულია: 10.01.20.

⁴³⁰ გერმანიის ბუნდესტაგი მოქმედებს (1) თავდაცვისა და (2) შინაგან საქმეთა კომიტეტები, რომელთაგან პირველი აკონტროლებს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებულ ძალებს, ხოლო მეორე - სამინაო უსაფრთხოების ინსტიტუციებს. (3) საპარლამენტო ზედამხედველობის პანელი დაზვერვის სამსახურებს აკონტროლებს. Parliamentary Committees on Defence and Security, DCAF Backgrounder, Security Sector Governance and Reform, November, 2005, pp. 4.

ზღვრული (1-გან მუდმივმოქმედ კომიტეტებს ემატება 3 სპეციალური). მხოლოდ 3 სახელმწიფოშია გადანაწილებული ის 3-ზე. 3-გან კი 1 კომიტეტია პასუხისმგებელი.

ძირითადი ტენდენციით, კონტროლის სფეროების მიხედვით, ერთმანეთისგან გამიჯნულია თავდაცვისა და საპოლიციო ძალების კონტროლი. საქართველოში კი უსაფრთხოების სექტორში შემავალი ყველა კომპონენტის ზედამხედველობის ფუნქცია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს და მის ბაზაზე შექმნილ ნდობის ჯგუფს აკისრია.⁴³¹ ეს უკანასკნელი ვერც საერთაშორისო პრაქტიკაში პოულობს მხარდაჭერას და ვერც ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით მუშაობს ეფექტიანად. საქმე ისაა, რომ ნდობის ჯგუფი არ არის საკომიტეტო კონტროლის თემატურად დავიწროებული ერთეული, რომლის ანალოგებიც ევროკავშირის მასშტაბით მრავლად მოიძებნება და უსაფრთხოების სფეროს მიკუთვნებული კონკრეტული ინსტიტუტების ზედამხედველობის შედეგიან მექანიზმებად მიიჩნევა.⁴³² ის, ფაქტობრივად, იმეორებს კომიტეტის იურისდიქციას საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის უფლებების დამატებით.

წინამდებარე კვლევიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, პარლამენტში შეიქმნას ორი კომიტეტი (საიდუმლო ინფორმაციაზე სრული წვდომით), რომელთაგან ერთი გააკონტროლებს მხოლოდ თავდაცვის სფეროს, ხოლო მეორე - დანარჩენ ორგანოებს. ნდობის ჯგუფი კი უნდა გაუქმდეს.

⁴³¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 156-ე მუხლი.

⁴³² მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.

7. ნდობის ჯგუფი

საპარლამენტო კონტროლი გულისხმობს სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებების მონიტორინგსა და მათზე ზედამხედველობას არა მხოლოდ კანონმდებლობის, არამედ, მათ შორის, პოლიტიკის იმპლემენტაციის ნაწილშიც.⁴³³ ამ ფუნქციების ეფექტიანი გამოყენებისთვის წარმომადგენლობით ორგანოს კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა სჭირდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქმე ეხება თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორს,⁴³⁴ რადგან (1) ხელისუფლების დანაწილება მოითხოვს, საკანონმდებლო ორგანოს სრული ინფორმაცია გააჩნდეს აღმასრულებელ ნაწილში მიმდინარე პროცესების შესახებ; (2) ამ ინსტიტუტების სამოქალაქო კონტროლი უადრესად შეზღუდულია;⁴³⁵ (3) მათ ხელი მიუწვდებათ მონაცემების ფართო სპექტრზე, ეს კი ადამიანის უფლებების გადმოსახედიდან აჩენს რისკებს;⁴³⁶ და (4) არსებობს ცდუნება, პოლიტიკურმა ძალებმა და, უპირველესად, უმრავლესობამ ეს სამსახურები საკუთარი ინტერესების გატარების ინსტრუმენტად გამოიყენონ.⁴³⁷ ნდობის ჯგუფი ერთ-ერთი მექანიზმია, რომლის მეშვეობით საკანონმდებლო ორგანო თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის გაკონტროლებას ცდილობს.⁴³⁸

7.1. დაკომპლექტების წესი

ჯგუფი შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან ერთი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეა, ერთი - უმრავლესობის წევრი, ერთი - მაჟორიტარი, ორი - უმრავლესობის გარეთ დარჩენილი პარლამენტარი.⁴³⁹

აღსანიშნავია, რომ X მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე ამოქმედდება დაკომპლექტების ახალი წესი. შემადგენლობა ისევ 5 წევრითაა განსაზღვრული: ერთი - თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ორი - უმრავლესობის, ორი კი - ოპოზიციის წარმომადგენელი.⁴⁴⁰ ფრაქციები ჯგუფის წევრობის კანდიდატებს წარუდგენენ პარლამენტს.⁴⁴¹ ოპოზიციური ფრაქციების მიერ ორზე მეტი პრეტენდენტის ნომინირების დროს პლენარულ სხდომას წარედგინება იმ 2 ფრაქციის წევრი, რომლებშიც მეტი დეპუტატია გაერთიანებული.⁴⁴² თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში კი - იმ ფრაქციის წევრი, რომლის პარტიამაც არჩევნებში მეტი ხმა მიიღო.⁴⁴³

ახალი რედაქციით, ჯგუფის წევრს უფლებამოსილება უწყდება წარმდგენი ფრაქციის მიერ მისი შემცვლელის დასახელებისა და პარლამენტის მხრიდან ამ ფაქტის

⁴³³ Yamamoto H., დასახელებული ნაშრომი, p. 9; cited in OSCE, Opinion on the Draft Law on Parliamentary Oversight in Bosnia and Herzegovina, GEN-BiH/302/2017, Warsaw, 29 March 2017, p. 5, para. 13.

⁴³⁴ OSCE, დასახელებული დასკვნა, p. 15, para. 38.

⁴³⁵ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 87-88.

⁴³⁶ იქვე, გვ. 88.

⁴³⁷ იქვე.

⁴³⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 157-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴³⁹ იქვე, 157-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁴⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ, №6700-რს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (<https://matsne.gov.ge/ka>), 07.07.20, 1-ლი მუხლის 52-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907021?publication=0>, განახლებულია: 16.09.20.

⁴⁴¹ იქვე, 157-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁴² იქვე.

⁴⁴³ იქვე, 157-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ცნობად მიღების შემთხვევაში.⁴⁴⁴

7.2. ნდობის ჯგუფის მოწვევა და კვორუმი

ჯგუფის მუშაობისთვის საჭიროა, ის სრულად დაკომპლექტდეს. ამიტომ, მის საქმიანობაზე უარყოფითად აისახა პარლამენტში მიმდინარე მოვლენები და „ფუნქციონირების შეფერხება“⁴⁴⁵ გამოიწვია. ერთ-ერთი წევრი ეკა ბესელია, რომელიც შემადგენლობაში მმართველი გუნდის კვოტით შედიოდა, 2019 წლის 25 თებერვალს გავიდა უმრავლესობიდან; ამასთან, 2019 წლის 11 მარტს დაიშალა უმცირესობა და, შესაბამისად, ამ კვოტიდან მექანიზმს გამოაკლდა ერთი წევრი - ირაკლი აბესაძე. შესაბამისმა სუბიექტებმა არ შეავსეს ვაკანსიები, რის გამოც, 2019 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე ეს ინსტიტუტი არ ფუნქციონირებდა. მან საქმიანობა 2019 წლის 26 სექტემბერს განაახლა.⁴⁴⁶

საჭიროა, განისაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც საპარლამენტო სუბიექტებმა მექანიზმიდან წევრის გამოკლებისას სრულად უნდა შეავსონ საკუთარი კვოტა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მექანიზმმა მუშაობა არსებული შემადგენლობით უნდა განაახლოს.

სხდომას, საჭიროებისამებრ, იწვევს და წარმართავს ჯგუფის თავმჯდომარე.⁴⁴⁷ თუმცა, უკეთესი იქნება, თუ შეკრების პერიოდულობა რეგლამენტივით განისაზღვრება, ვინაიდან, არსებული რეგულირების პირობებში, თუკი თავმჯდომარე სხდომას არ მოიწვევს, შესაძლოა, ის არაგონივრულად ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჩატარდეს.⁴⁴⁸ ჯგუფმა 3-ჯერ გამართა სხდომა, სადაც მოიწვია თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების პასუხისმგებელი პირები.⁴⁴⁹ 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე ნდობის ჯგუფის სხდომები არ გამართულა.⁴⁵⁰ მნიშვნელოვანია, ჯგუფი მეტი გულისყურით მოეკიდოს საკუთარ ფუნქციას და განახორციელოს მასზე რეგლამენტით დაკისრებული მოვალეობები.

სხდომის მოწვევის საკითხის დასმის უფლებამოსილება ნებისმიერ წევრს აქვს, მაგრამ მის ხორცმესასხმელად საჭიროა ჯგუფის უმრავლესობის მხარდაჭერა,⁴⁵¹ რაც ოპოზიციას ამ ინსტიტუტის საზედამხედველო მიზნით გამოყენებაში დაბრკოლებას უქმნის. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ეს შესაძლებლობა არცერთ წევრს არ გამოუყენებია.⁴⁵² ჯგუფის წევრებმა მეტად უნდა იაქტიურონ და წვლილი შეიტანონ მექანიზმის უკეთ ამუშავებაში. მხოლოდ თავმჯდომარეზე ამ ფუნქციის გადანდობა ინსტრუმენტის ეფექტიანობას ამცირებს და მას უმრავლესობის დღის წესრიგს უქვემდებარებს.

⁴⁴⁴ იქვე, 157-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

⁴⁴⁵ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 8 ოქტომბერის №1-17823/19 წერილი.

⁴⁴⁶ იქვე. იხ. ასევე საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, პარლამენტის ნდობის ჯგუფმა სამუშაო გეგმა შეიმუშავა, 2019 წლის 26 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SnjGA5>, განახლებულია: 12.04.2020.

⁴⁴⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁴⁸ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

⁴⁴⁹ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №2-3600/20 წერილი.

⁴⁵⁰ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №1-9605/20 წერილი. აგრეთვე, იხ. ნდობის ჯგუფის ვებგვერდი. 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ნდობის ჯგუფს სხდომები არ ჩატარებია. ნდობის ჯგუფი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y6nsu9mz>, განახლებულია: 19.09.20.

⁴⁵¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁵² საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 2020 წლის 2 ივლისის №2-7178/20.

სხვა ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით, „ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის ქვეყნებიდან, სლოვაკეთში ყოველ წევრს შეუძლია მოითხოვოს სხდომის გამართვა. ფინეთში თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის კონტროლზე პასუხისმგებელი არის ორი კომიტეტი და, რეგულარული სხდომების გარდა, კომიტეტი შეიძლება შეიკრიბოს თავმჯდომარის ან წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით. იდენტური წესია დადგენილი ბულგარეთის ეროვნული ასამბლეის, ლიეტუვის სეიმის და ხორვატიის საბორის რეგლამენტებითაც. საპარლამენტო ქვეყნებიდან, ესტონეთში სპეციალური კომიტეტები, მუდმივმოქმედი კომიტეტების ანალოგიურად, რუტინულად იკრიბებიან. ფინეთის, ბულგარეთის, ლიეტუვისა და ხორვატიის მსგავსად, ნებისმიერი კომიტეტის თავმჯდომარე, საკუთარი ინიციატივით ან კომიტეტის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, იწვევს რიგგარეშე სხდომას. უნგრეთში ეს შესაძლებლობა კომიტეტების (მათ შორის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე პასუხისმგებელი კომიტეტების) წევრთა 1/5-ს აქვს. ზემოთ დასახელებული ქვეყნებისგან განსხვავებით, ლატვიასა და საბერძნეთში სხდომების მოწვევის შესაძლებლობა მხოლოდ შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებს აქვთ“.⁴⁵³ გერმანიაში საპარლამენტო ზედამხედველობის პანელი (Kontrollgremiumgesetz/PKGrG) იკრიბება სამ თვეში ერთხელ მაინც და კრება მოიწვევა პანელის ნებისმიერი წევრის მოთხოვნის საფუძველზე.⁴⁵⁴ ესპანეთში საიდუმლო ინფორმაციის განხილვის შემდეგ ყოველ ჯერზე იქმნება სპეციალური კომიტეტი.⁴⁵⁵ მისი სხდომების მოწვევის პროცედურა განსაზღვრული არ არის.⁴⁵⁶ იტალიაში სახელმწიფო უსაფრთხოებაზე საპარლამენტო კონტროლის კომიტეტს (COPASIR) იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც, აგრეთვე, განსაზღვრავს შეხვედრის თარიღებს და დღის წესრიგს.⁴⁵⁷ შესწავლილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ სხდომის მოწვევა შეუძლიათ: კომიტეტის ყოველ წევრს 2 შემთხვევაში, თავმჯდომარეს - 8-ში, კომიტეტის წევრთა 1/3-ს - 5-ში, ხოლო წევრთა 1/5-ს - 1 შემთხვევაში. ოპოზიციის მიერ სხდომების მოწვევის შესაძლებლობა ხელს შეუწყობს ჯგუფის საქმიანობის გააქტიურებას საქართველოშიც. ამდენად, **უმჯობესია, სხდომის მოსაწვევად საკმარისი იყოს ცალკეული წევრის მიერ ამ საკითხის დასმა.**⁴⁵⁸

7.3. მანდატი

ჯგუფის ზოგადი მანდატი უმთავრესად თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ორგანოების საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების ზედამხედველობა,⁴⁵⁹ ასევე, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემაა.⁴⁶⁰ ამ პროცესში დანაშაულის ნიშნების პოვნის შემთხვევაში ის ვალდებულია, მიმართოს საგამოძიებო

⁴⁵³ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

⁴⁵⁴ Control Panel Act of 29 July 2009 (Federal Law Gazette I p. 2346), last amended by Article 13 of the Law of 5 January 2017 (BGBl. I p. 17) Art. 3, ხელმისაწვდომია: <http://www.gesetze-im-internet.de/pkgrg/BJNR234610009.html>, განახლებულია 23.08.2019.

⁴⁵⁵ Resolución de la Presidencia del Congreso de los Diputados, de 11 de mayo de 2004, sobre secretos oficiales, tercero, ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y4fwkulkm>, განახლებულია: 03.09.20.

⁴⁵⁶ იქვე.

⁴⁵⁷ Wills A. and Vermeulen M., Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union, European Parliament, Brussels, 2011, p. 248.

⁴⁵⁸ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

⁴⁵⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴⁶⁰ იქვე, 159-ე მუხლის მე-15 პუნქტი.

ორგანოს.⁴⁶¹ იმავდროულად, პარლამენტის მიერ განსახილველი ნებისმიერი საკითხი, რომელიც ჯგუფის უფლებამოსილების ფარგლებში ექცევა, მის დასკვნას საჭიროებს.⁴⁶² საანგარიშო პერიოდში ასეთი ერთი დოკუმენტი შემუშავდა.⁴⁶³

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ჯგუფს რეკომენდაციის გაცემის უფლებამოსილება არ გამოუყენებია⁴⁶⁴ და არც საგამოძიებო ორგანოებისთვის მიმართვა დასჭირვებია.⁴⁶⁵

7.3.1. ინფორმაციის გამოთხოვნის უფლებამოსილება

ჯგუფს უფლება აქვს, შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვოს ნებისმიერი მონაცემი.⁴⁶⁶ ეს არ ვრცელდება ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც უკავშირდება ფარულ ფორმებსა და მეთოდებს (ეხება ნორმატიულ აქტებსაც)⁴⁶⁷ და ოტს-ს (ამ შემთხვევაში დაბლოკილია წვდომა როგორც სამომავლო, ისე მიმდინარე და დასრულებულ ინფორმაციაზე).⁴⁶⁸ იგივე წესი ვრცელდება მიმდინარე საქმეებსა და დონისძიებებზე. აქ შესაბამის ორგანოს შეუძლია, უარი განაცხადოს ინფორმაციის გაცემაზე, თუ მიიჩნევს, რომ ეს საფრთხეს უქმნის ეროვნულ/საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სახელმწიფო ინტერესების დაცვას.⁴⁶⁹ ამ შემთხვევაში ის ვალდებულია, წარადგინოს უარის წერილობითი დასაბუთება.⁴⁷⁰

„საკვლევი ქვეყნების შესაბამისი, ვიწრო მანდატის მქონე სპეციალიზებული კომიტეტები, როგორც წესი, ოპერაციის ერთ ტიპზე მაინც უშვებენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. კერძოდ, ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის რესპუბლიკებიდან, ბულგარეთსა და ხორვატიაში შესაბამის სპეციალიზირებულ კომიტეტებს ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომის უფლება აქვთ; ლიეტუვის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტი ვერ აკონტროლებს სამომავლო ოპერაციებს, თუმცა შეზღუდული ფორმით ხელი მიუწვდება მიმდინარე და დასრულებულ ოპერაციებზე, ხოლო ფინეთში სამივე ტიპის ოპერაციაზე წვდომა ნაწილობრივ, შეზღუდული ფორმით ხორციელდება; საპარლამენტო რესპუბლიკებიდან საბერძნეთში ფინეთის მსგავსი მოწესრიგებაა, ხოლო ლატვიაში - ბულგარეთისა და ხორვატიის მსგავსი; ესტონეთში შესაბამის სპეციალიზირებულ კომიტეტს სამომავლო და დასრულებულ ოპერაციებზე შეუზღუდავი, ხოლო მიმდინარე ოპერაციებზე - შეზღუდული კონტროლის შესაძლებლობა აქვს; უნგრეთში ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტს ეკრძალება სამომავლო და მიმდინარე ოპერაციებზე წვდომა, თუმცა შეუზღუდავია მისი უფლებები დასრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის კუთხით. ერთადერთი ქვეყანა, სადაც შესაბამის სპეციალიზებულ კომიტეტს კანონმდებლობა არ ანიჭებს არცერთი ტიპის ოპერაციაზე წვდომის შესაძლებლობას, სლოვაკეთია“.⁴⁷¹ გერმანიაში შესაბამის კომიტეტს წვდომა სამივე ტიპის ოპერაციებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე აქვს,

⁴⁶¹ იქვე, 159-ე მუხლის მე-13 პუნქტი.

⁴⁶² იქვე, 159-ე მუხლის მე-16 პუნქტი.

⁴⁶³ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №2-3600/20 წერილი.

⁴⁶⁴ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 28 იანვარის №2-1311/20 წერილი.

⁴⁶⁵ იქვე.

⁴⁶⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁶⁷ იქვე, 159-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁶⁸ იქვე, 159-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁶⁹ იქვე, 159-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁷⁰ იქვე, 159-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴⁷¹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 90-91.

თუმცა შეზღუდული ფორმით,⁴⁷² იტალიაში - მხოლოდ დასრულებულ ოპერაციებზე.⁴⁷³ ესპანეთის კანონმდებლობა ამ საკითხს ცალსახად არ განსაზღვრავს.⁴⁷⁴ შესწავლილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ შესაბამის სუბიექტებს ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა 2 სახელმწიფოში აქვთ, ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე შეუზღუდული წვდომა კი - 3-ში, სამომავლო ოპერაციებზე - 1-ში, სამომავლო და დასრულებულზე - 1-ში, მხოლოდ დასრულებულზე - 2-ში, ხოლო 1-ში საერთოდ არ აქვს არანაირი ტიპის ინფორმაციაზე წვდომა. 1 სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ საკითხს ღიად ტოვებს.

საქართველოში ოტს-ს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, ფაქტობრივად, სრულად შეზღუდულია. ნაწილობრივი გამონაკლისია დასრულებული საქმეები.⁴⁷⁵ ნათლად ჩანს, რომ კანონმდებელი მაქსიმალურად ცდილობს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებისგან ამ ორგანოს საქმიანობის დისტანცირებას.⁴⁷⁶ არსებული საკანონმდებლო ბაზა მას განსაკუთრებულად იცავს ზედამხედველობისგან, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან ღია საპარლამენტო და სამოქალაქო ანგარიშვალდებულების პრინციპებს, არ ეუფძნება რამე მყარ არგუმენტებს და აუცილებელ წინაპირობებს. **რეკომენდებულია, მასზე გავრცელდეს ყველა ის ვალდებულება, რომლებიც სხვა ინსტიტუტების მიმართ არსებობს.**

7.3.2. სხდომაზე დაბარების უფლებამოსილება

ჯგუფის წევრებს შეუძლიათ, ხმათა უმრავლესობით, სხდომაზე დასასწრებად მოიწვიონ ანგარიშვალდებული პირებიც.⁴⁷⁷ საანგარიშო პერიოდში ნდობის ჯგუფმა ეს უფლებამოსილება 3-ჯერ გამოიყენა.⁴⁷⁸

7.3.3. საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ ყოველწლიური ანგარიშები

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი დაწესებულებები ვალდებულნი არიან, ჯგუფს, არაუგვიანეს 15 აპრილისა, წარუდგინონ წლიური ანგარიში, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ.⁴⁷⁹ განსაკუთრებული რეგულირება ვრცელდება ოტს-ზე, რომელიც გაწეული საქმიანობის მხოლოდ სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს წარადგენს, პროგრამების შესახებ ინფორმაციას კი - არა.⁴⁸⁰ ყველა დაწესებულებამ ეს ვალდებულება შეასრულა.⁴⁸¹

⁴⁷² Wills A. and Vermeulen M., დასახელებული ნაშრომი, გვ. 127.

⁴⁷³ იქვე.

⁴⁷⁴ Resolución de la Presidencia del Congreso de los Diputados, de 11 de mayo de 2004, sobre secretos oficiales.

⁴⁷⁵ სხვა გამონაკლისისთვის იხ. ქვეთავი: 7.3.3.

⁴⁷⁶ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.

⁴⁷⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

⁴⁷⁸ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №2-3600/20 წერილი.

⁴⁷⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

⁴⁸⁰ იქვე.

⁴⁸¹ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №2-3600/20 და 17 ივლისის №1-9605/20 წერილები.

7.3.4. საიდუმლო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

შესაბამისი უწყებები ჯგუფს წარუდგენენ დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 ლარს.⁴⁸² თავდაცვის სამინისტრომ 12-ჯერ, შსს-მ და სდსს-მა კი თითოჯერ წარადგინეს ეს მონაცემი.⁴⁸³

ზემოთ ჩამოთვლილი უწყებები ჯგუფს წელიწადში არანაკლებ ერთხელ წარუდგენენ ინფორმაციას განხორციელებული და მიმდინარე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.⁴⁸⁴ საანგარიშო პერიოდში ეს ვალდებულება ყველა მათგანმა შეასრულა.⁴⁸⁵

7.3.5. უწყების ძირითადი ამოცანების შემცველი საიდუმლო ნორმატიული აქტები

პრემიერმინისტრი, მთავრობა და ყველა სხვა შესაბამისი უწყება ვალდებული არიან, ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის საიდუმლო ნაწილში შეტანიდან 2 კვირის ვადაში ჯგუფს გააცნონ უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შემცველი საიდუმლო ნორმატიული აქტი (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა).⁴⁸⁶ სუს-ს 5-ჯერ, ხოლო თავდაცვის სამინისტროს ერთხელ მოუწია ამ ვალდებულების შესრულება საანგარიშო პერიოდში.⁴⁸⁷

7.3.6. მონიტორინგის ვიზიტი

ჯგუფის წევრები უფლებამოსილი არიან, მონიტორინგის მიზნით ესტუმრონ შესაბამის დაწესებულებებს, თუმცა ეს უკანასკნელნი ამის შესახებ წინასწარ იღებენ შეტყობინებას.⁴⁸⁸ ასეთი მოწესრიგება კონტროლის ამ მექანიზმს არაეფექტიანს ხდის, რადგან შემოწმების შედეგიანობისთვის მოულოდნელობა აუცილებელი კომპონენტია. ამდენად, **მნიშვნელოვანია, ჯგუფს ვიზიტის განხორციელება უწყებისთვის შეტყობინების გარეშე შეეძლოს.**⁴⁸⁹ „საკვლევი იურისდიქციებიდან მსგავსი უფლებამოსილების შესახებ საკანონმდებლო ჩანაწერი ან დამკვიდრებული ჩვეულება 3 ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის და 2 საპარლამენტო ქვეყანაში ფიქსირდება. სლოვაკეთისა და ხორვატიის სპეციალური კანონები უსაფრთხოების ორგანოებში ვიზიტის განხორციელებას ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე მიიჩნევენ დასაშვებად. ანალოგიური მიდგომაა ლიეტუვაშიც, იმ დათქმით, რომ ვიზიტის განხორციელებისას დეპუტატებს თან უნდა ახლდნენ შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლები. ესტონეთში განსხვავებული წესი მოქმედებს - იქ ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ წესრიგდება, თუმცა შესაბამისი კომიტეტის წევრები, დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით, ვიზიტის უფლე-

⁴⁸² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁴⁸³ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №2-3600/20 წერილი.

⁴⁸⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁴⁸⁵ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №2-3600/20 და 17 ივლისის №1-9605/20 წერილები.

⁴⁸⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁴⁸⁷ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №2-3600/20 წერილი.

⁴⁸⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

⁴⁸⁹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 91.

ბით უსაფრთხოების სამსახურებისთვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე სარგებლობენ“.⁴⁹⁰ იტალიაში რესპუბლიკის უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტს (COPASIR) აქვს შეუზღუდავი წვდომა შესაბამისი ორგანოების დაწესებულებებსა და შენობებზე, თუმცა, საჭიროა ვიზიტის შესახებ პრემიერმინისტრისთვის წინასწარ შეტყობინება.⁴⁹¹ ამ უკანასკნელს შეუძლია, დაშვებაზე უარი განაცხადოს, როდესაც ეს ხელს უშლის მიმდინარე ოპერაციებს.⁴⁹² ესპანეთსა⁴⁹³ და გერმანიაში⁴⁹⁴ ასეთი უფლებამოსილება შესაბამის ორგანოს საერთოდ არ გააჩნია.

ჯგუფს მონიტორინგის მიზნით საანგარიშო პერიოდში არცერთი ვიზიტი არ განუხორციელებია.⁴⁹⁵ ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლისთვის, **რეკომენდებულია, ნდობის ჯგუფის წევრებმა გამოიყენონ ეს უფლებამოსილება.**

7.3.7. მოტივირებული მითითების გაცემის უფლებამოსილება

ჯგუფი უფლებამოსილია, დასვას ინფორმაციისთვის საიდუმლო გრიფის მოხსნის საკითხი, თუ მიიჩნევს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ირღვევა კანონმდებლობა.⁴⁹⁶ არსებული რედაქციის ეს ჩანაწერი ბუნდოვანია და **საჭიროებს ახალი ფორმით ჩამოყალიბებას.** კერძოდ, მითითება უნდა გაკეთდეს მხოლოდ ინფორმაციის უკანონოდ ან დაუსაბუთებლად გასაიდუმლოებაზე. უფლებამოსილი პირის მიერ კანონმდებლობის დარღვევა, ამ ჩანაწერის მიზნებისთვის, არ არის რელევანტური. ეს უფლება ნდობის ჯგუფს არ გამოუყენებია.

7.4. საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა და ნდობის ჯგუფის საჭიროება

საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის შესახებ არსებობს ორი ხედვა. „ერთი მიდგომით, მასზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა ყველა დეპუტატს აქვს. საკითხი ამგვარად წესრიგდება ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის ქვეყნებიდან ბულგარეთში, ლიეტუვაში, სლოვაკეთსა, და ხორვატიაში, ხოლო საპარლამენტოებიდან - ესტონეთსა და, გარკვეული პირობების არსებობისას, საბერძნეთშიც“.⁴⁹⁷ ანალოგიური რეგულირებაა გერმანიაშიც.⁴⁹⁸ „მეორე, შედარებით უფრო ფრთხილი მიდგომით, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის უფლება შესაბამისი კომიტეტის წევრებს აქვთ. ეს მოდელი გვხვდება ფინეთში (პირველი ჯგუფის ქვეყნებიდან), უნგრეთსა და ლატვიაში (მეორე ჯგუფის ქვეყნებიდან)“,⁴⁹⁹ ასევე, ესპა-

⁴⁹⁰ იქვე, გვ. 91-92.

⁴⁹¹ Parlamento Italiano, Comitato parlamentare per la sicurezza della Repubblica, ხელმისაწვდომია: http://www.parlamento.it/571?shadow_organico=406516, განახლებულია: 12.04.2020.

⁴⁹² Wills A. and Vermeulen M., დასახელებული ნაშრომი, გვ. 248.

⁴⁹³ Resolución de la Presidencia del Congreso de los Diputados, de 11 de mayo de 2004, sobre secretos oficiales.

⁴⁹⁴ Wills A. and Vermeulen M., დასახელებული ნაშრომი, გვ. 218-227.

⁴⁹⁵ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №2-3600/20 და 2020 წლის 28 იანვარის №2-1310/20 წერილები; საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №1-9605/20 წერილი.

⁴⁹⁶ ნდობის ჯგუფი წერილობით მიმართავს საქართველოს პრემიერმინისტრს ამ ინფორმაციისთვის სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მოხსნის მოთხოვნით. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

⁴⁹⁷ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 97.

⁴⁹⁸ Wills A., Vermeulen M., დასახელებული ნაშრომი, p. 119.

⁴⁹⁹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 97.

ნეთსა⁵⁰⁰ და იტალიაში.⁵⁰¹

როგორც გამოჩნდა, ამ საკითხზე პრაქტიკა იყოფა. საქართველოს შემთხვევაში რომელიმე მიდგომის გაზიარება (საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა ყველა დეპუტატს ჰქონდეს, ან - შესაბამისი კომიტეტების წევრებს მაინც) მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო კონტროლს. ამ ვითარებაში ნდობის ჯგუფის საჭიროება გაქრება და ის უნდა გაუქმდეს.

⁵⁰⁰ გასაიდუმლოებული ინფორმაციის ტიპიდან გამომდინარე, მასზე წვდომა, შესაძლოა, ჰქონდეთ საგამოძიებო კომიტეტებს, კონკრეტული კომიტეტების თავმჯდომარეებს, პარლამენტის თავმჯდომარეს ანდა პოლიტიკური პარტიების ლიდერებს. იხ. Wills A., Vermeulen M., დასახელებული ნაშრომი, გვ. 119.

⁵⁰¹ იქვე.

8. საპარლამენტო კონტროლის Ad Hoc მექანიზმები

საპარლამენტო ცხოვრებაში საზედამხებდელ ფუნქციის განსახორციელებლად ხშირად გამოიყენება Ad Hoc მექანიზმები. მისი დანიშნულება ცალკეული საკითხის შესწავლაა და უფლებამოსილებას საქმიანობის დასრულებისთანავე წყვეტს.⁵⁰² ამგვარ წარმონაქმნს ზოგიერთ ქვეყანაში დროებითი „კომიტეტი“, ზოგან კი „კომისია“ ჰქვია.⁵⁰³ ის ეფექტიანი საშუალებაა, პასუხი გაეცეს საზოგადოებაში არსებულ კითხვებს მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე.

ქართულ საპარლამენტო ცხოვრებაში დროებითი მექანიზმის შექმნა შესაძლებელია როგორც კომიტეტის, ისე სესიის დონეზე. პირველ შემთხვევაში ეს „თემატური მოკვლევისა“ და კომიტეტის „სამუშაო ჯგუფია“, ხოლო მეორეში - „დროებითი კომისია“. მათ მსგავსი ფუნქცია აქვთ. ორივეს მიზანი კონკრეტული საკითხის შესწავლა და დასკვნის შემუშავებაა.

8.1. თემატური მოკვლევის ჯგუფი

8.1.1. ჯგუფის დანიშნულება

რეფორმის შემდეგ რეგლამენტმა კონტროლის მექანიზმებში სრულიად ახალი, თემატური მოკვლევის ინსტიტუტი დაამკვიდრა, რომელიც კომიტეტის ან მუდმივ-მოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება.⁵⁰⁴ ის უფლებამოსილია, ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვოს საკითხის დასამუშავებლად საჭირო ყველა მასალა და ახსნა-განმარტება,⁵⁰⁵ ასევე, შეისწავლოს დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.⁵⁰⁶

საპარლამენტო სისტემებიდან იდენტური მექანიზმი არცერთ ქვეყანას არ აქვს, ნახევრად საპრეზიდენტო მოდელის, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის მქონე სახელმწიფოებიდან კი - მხოლოდ ბულგარეთს,⁵⁰⁷ ლიეტუვასა⁵⁰⁸ და სლოვაკეთს.⁵⁰⁹ ფინეთის საპარლამენტო ცხოვრებისთვის ეს კონცეფცია უცხოა.⁵¹⁰ გამონაკლისია ორი - დაგეგმვისა (Committee for the Future) და აუდიტის კომიტეტი, რომლებიც, ძირითადად, კვლევაზე არიან ორიენტირებულნი. სწორედ აქ, კომიტეტის წევრთაგან, შეიძლება შეიქმნას ფორმალური ან არაფორმალური ჯგუფები სხვადასხვა საკითხზე.⁵¹¹

ხორვატიაში კომიტეტს გადაწყვეტილებების მოსამზადებლად უფლება აქვს, შექმნას ქვეკომიტეტი და ხოლო მის თავმჯდომარეს - სპეციალური სამუშაო ჯგუფი.⁵¹²

⁵⁰² Committees in Legislatures, A Division of Labor, Legislative Research Series Paper №2, National Democratic Institute for International Affairs, p. 5, NDI-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/030_ww_committees.pdf, განახლებულია: 23.10.19.

⁵⁰³ მაჭარაძე ზ., სადისერტაციო ნაშრომის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში), თსუ, 2018, გვ. 158.

⁵⁰⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵⁰⁵ იქვე, 155-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁵⁰⁶ იქვე.

⁵⁰⁷ Rules of Organization and Procedure of the National Assembly of Bulgaria, Article 114, section 1 and article 115.

⁵⁰⁸ Statute of Seimas of the Republic of Lithuania, Article 49, section 1, subsection 5.

⁵⁰⁹ Act of the National Council of the Slovak Republic No. 350/1996 on Rules of Procedure, Section 61.

⁵¹⁰ ფინეთის პარლამენტის 2019 წლის 2 ოქტომბრის წერილი ელფოსტის მეშვეობით.

⁵¹¹ იქვე.

⁵¹² Standing Orders of the Croatian Parliament, article 53.

8.1.2. ჯგუფის შექმნა

საქართველოში კომიტეტი ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილებას აბსოლუტური უმრავლესობით იღებს.⁵¹³ იგივე წესია სლოვაკეთში.⁵¹⁴ ბულგარეთში,⁵¹⁵ ლიეტუვასა⁵¹⁶ და ხორვატიაში⁵¹⁷ ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. როგორც ჩანს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჯგუფის შექმნისთვის საჭირო ხმების რაოდენობა საქართველოში მაღალია. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ სხვა ad hoc ჯგუფს, დროებით კომისიას, პარლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით ქმნის. შესაბამისად, **რეკომენდებულია, თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნა უბრალო უმრავლესობით იყოს შესაძლებელი.**

ამ მექანიზმმა მარტივად მოიკიდა ფეხი საპარლამენტო ცხოვრებაში. ახალი რეგლამენტის მიღების შემდეგ 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე შეიქმნა 7 ჯგუფი როგორც კომიტეტის (5 ჯგუფიდან, ბიუროს გადაწყვეტილებით, 2 გაერთიანდა და, საბოლოოდ, მათი რიცხვი 4-ია,)⁵¹⁸ ისე მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივით (3 ჯგუფი). 2019 წლის საშემოდგომო სესიაზე მათ დაემატა კომიტეტების მიერ შექმნილი 3 ჯგუფი (ამათგან 1 გაერთიანებული)⁵¹⁹ და კიდევ 5 - 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე.⁵²⁰ ძირითად შემთხვევებში ჯგუფები კომიტეტებმა⁵²¹ თუ საბჭოებმა⁵²² წევრთა სრული მხარდაჭერით შექმნეს.⁵²³

თემატური მოკვლევის საკითხი და ჯგუფის შემადგენლობა წარედგინება ბიუროს. ამასთან, თუ აღმოჩნდა, რომ ერთი და იმავე თემით სხვადასხვა კომიტეტი დაინტერესდა, ბიუროსვე გადაწყვეტილებით, შეიძლება ისინი გაერთიანდნენ.⁵²⁴ მაგალითად, საგაზაფხულო სესიაზე გაერთიანდა თავდაცვისა და უშიშროების და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების მიერ შექმნილი,⁵²⁵ საშემოდგომოზე კი - დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების მიერ შექმნილი ჯგუფები.⁵²⁶

ჯგუფი ირჩევს მთავარ მომხსენებელს.⁵²⁷ თავდაპირველად, ყველა მათგანი უმრავლესობის წევრი იყო.⁵²⁸ მოკვლევის დასრულებამდე 2 მათგანი ოპოზიციაში გადა-

⁵¹³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵¹⁴ Act of the National Council of the Slovak Republic No. 350/1996 on Rules of Procedure, Section 52, subsection 2.

⁵¹⁵ Rules of Organization and Procedure of the National Assembly of Bulgaria, Article 33, section 4.

⁵¹⁶ Statute of Seimas of the Republic of Lithuania, Article 53, section 4.

⁵¹⁷ Standing Orders of the Croatian Parliament, article 50.

⁵¹⁸ იხ. ცხრილი №8. ინფორმაცია განახლებულია 2020 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით.

⁵¹⁹ იქვე.

⁵²⁰ იქვე.

⁵²¹ იქვე.

⁵²² იქვე.

⁵²³ იქვე.

⁵²⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁵²⁵ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2019 წლის 15 თებერვალს შექმნა ჯგუფი „დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე არსებული გამოწვევების შესწავლის თაობაზე“. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა ამავე წლის 23 აპრილს შექმნა „დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებული“ ჯგუფი. ვინაიდან აღნიშნული ჯგუფები არსობრივად ერთსა და იმავე საკითხზე შეიქმნენ, პარლამენტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ამ ორი ჯგუფის გაერთიანების თაობაზე. საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2019 წლის 17 ივნისის №271/24 გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224361?>, განახლებულია: 05.09.19.

⁵²⁶ იხ. ცხრილი №8.

⁵²⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵²⁸ იხ. ცხრილი №8.

ვიდა,⁵²⁹ თუმცა ისინი არ შეცვლილან.

8.1.3. ჯგუფის დაკომპლექტების პრინციპი

რეგლამენტში ჯგუფის წევრთა წარმომადგენლობის შესახებ პირდაპირ არაფერია ნათქვამი. ამის მიუხედავად, 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე შექმნილი ჯგუფებიდან ყველა მათგანში წარმოდგენილია ოპოზიცია.⁵³⁰ თუმცა, ეს არ ასახავს პარლამენტში პოლიტიკური ძალების პროპორციას. ეს პრინციპი ყველგან დარღვეულია, ზოგჯერ ოპოზიციის სასარგებლოდ,⁵³¹ ზოგჯერ კი - საზიანოდ,⁵³² ზოგ შემთხვევაში მისი მონაწილეობა მიზეზულია,⁵³³ მაგალითად, 2019 წლის საშემოდგომო სესიაზე მხოლოდ ერთ ჯგუფში იყო წარმოდგენილი,⁵³⁴ 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე კი - 2-ში.⁵³⁵ როგორც აღინიშნა, დაკომპლექტების ლოგიკა პირდაპირ განსაზღვრული არ არის. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ **საპარლამენტო მექანიზმები, ზოგადი წესის მიხედვით, ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპზე დაყრდნობით კომპლექტდება, რეკომენდებულია, აქაც იგივე პრინციპი გავრცელდეს.**

ფრაქციებსა და კომიტეტებში/საბჭოებში განხორციელებული ცვლილებები ავტომატურად უნდა აისახებოდეს ჯგუფის შემადგენლობაზე. საანგარიშო პერიოდში 10 ჯგუფის შემთხვევაში 8-ჯერ მოხდა ასეთი ცვლილება,⁵³⁶ თუმცა ისინი ჯგუფის შემადგენლობაზე არ ასახულა. **საკანონმდებლო ორგანოში ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს და მუდმივმოქმედი საბჭოს, კომიტეტის ან ფრაქციის დატოვების შემდეგ დეპუტატი ჩანაცვლდეს. თემატური მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობა უნდა მოდიფიცირდეს ფრაქციის ისეთი ზრდის ან შემცირების შემთხვევაშიც, რომელიც გავლენას ახდენს წინასწარ დადგენილ კვოტებზე.**

8.1.4. ჯგუფის წევრთა რაოდენობა

ჯგუფები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებიან წევრთა რაოდენობის მიხედვით. შვიდ მათგანში 4-5 წევრია, ოთხში - 6-9, სამში - 10-11, ხოლო ერთში - 15.⁵³⁷ წევრთა რაოდენობის განსაზღვრა თავად კომიტეტის/საბჭოს კომპეტენციაა. ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს ეს საკითხი. მეორე მხრივ, ის არ უნდა უტოლდებოდეს კომიტეტის/საბჭოს წევრთა რაოდენობას. თემატურ მოკვლევას მცირე, მოქნილი ჯგუფი უნდა ატარებდეს, რომელიც საკუთარ დასკვნებს შემდეგ შესაბამის ორგანოს წარუდგენს. არსებული პრაქტიკა შლის განსხვავებას რეგლამენტით გათვალისწინებულ მექანიზმებს შორის. თუ საკითხის შესწავლაში ჩართვის სურვილი კომიტეტის წევრთა უმრავლესობას აქვს, ამისთვის უნდა გამოიყენონ საკომიტეტო განხილვის ფორმატი. ასეთ დროს არ არსებობს ცალკე ერთეულის შექმნის საჭიროება. **რეკომენდებულია თე-**

⁵²⁹ იქვე.

⁵³⁰ იქვე.

⁵³¹ იქვე.

⁵³² იქვე.

⁵³³ იქვე.

⁵³⁴ იქვე.

⁵³⁵ იქვე.

⁵³⁶ იქვე.

⁵³⁷ იქვე.

მატური მოკვლევის მცირე ჯგუფის შექმნა, სადაც წევრთა რაოდენობა არ აღემატება შემქმნელი სუბიექტის 1/3-ს.

8.1.5. ჯგუფის წევრობა

კომიტეტი ან საბჭო ჯგუფს საკუთარი იურისდიქციის ქოლგის ქვეშ ქმნის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფი შესაბამისი კომიტეტის ან საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს. ამის გათვალისწინებით, მის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ მხოლოდ შემქმნელი სუბიექტის წევრები. არსებული პრაქტიკა ამ ხედვისგან განსხვავდება. 15 ჯგუფში ეს პრინციპი 17-ჯერ დაირღვა.⁵³⁸ რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც საკითხი ერთზე მეტი კომიტეტის ინტერესის საგანს წარმოადგენს, თუმცა, ასეთ დროს რეგლამენტით გათვალისწინებულია გაერთიანების შესაძლებლობა. მაგალითად, ბიურომ გააერთიანა საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებში შექმნილი ჯგუფები. თუმცა, აქაც, გაერთიანებული ჯგუფის ზოგიერთი წევრი ზემოაღნიშნული კომიტეტების შემადგენლობაში არ შედიოდა.⁵³⁹ ბიუროს მიერ გაერთიანებულ მეორე ჯგუფში, მართალია, შექმნის მომენტში წევრები შესაბამის კომიტეტებს წარმოადგენდნენ, თუმცა შემდეგ 3-მა მათგანმა კომიტეტი დატოვა.⁵⁴⁰ რეგლამენტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრობის საკითხი და ასეთად მხოლოდ შესაბამისი კომიტეტის/საბჭოს წევრი უნდა მიიჩნიოს.

8.1.6. ჯგუფის უფლებამოსილების ვადა

საანგარიშო პერიოდში ჯგუფის უფლებამოსილების ვადები შემდგენაირად განისაზღვრებოდა: ჯგუფს მოკვლევის დაწყებიდან 2 თვის ვადაში უნდა მოემზადებინა დასკვნა, რომელიც წარედგინებოდა ბიუროს (თუ ჯგუფში გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა კომიტეტის წევრები⁵⁴¹) ან კომიტეტს⁵⁴² და ის შეიძლებოდა გაგრძელებულიყო არაუმეტეს 1 თვით.⁵⁴³ რეგლამენტი განსაზღვრავს ვადების გამოთვლის ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც, რეგლამენტში „დღეებით“ განსაზღვრულ ვადებში იგულისხმება „სამუშაო დღეები“.⁵⁴⁴ რაც შეეხება რეგლამენტში „თვეებით“ განსაზღვრულ ვადებს - ის კალენდარულად აითვლება.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ჯგუფები ვერ ახერხებენ რეგლამენტით დადგენილი ვადების დაცვას.⁵⁴⁵ 15 ჯგუფიდან ვერცერთმა ვერ წარადგინა დასკვნა 2 თვეში. მხოლოდ ორმა შეძლო დამატებითი ერთი თვის გამოყენებით სამუშაოს დასრულება,⁵⁴⁶

⁵³⁸ იქვე.

⁵³⁹ იქვე.

⁵⁴⁰ იქვე.

⁵⁴¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

⁵⁴² იქვე.

⁵⁴³ იქვე.

⁵⁴⁴ იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁴⁵ იხ. ცხრილი №9. ინფორმაცია განახლებულია 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

⁵⁴⁶ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფმა დასკვნა წარადგინა 2019 წლის 11 ივნისს. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/223862?>, განახლებულია: 30.09.19.

7-მა კი ეს ვადაგადაცილებით მოახერხა.⁵⁴⁷ ჯამში, დასკვნა 9 მათგანმა შეიმუშავა, თუმცა მხოლოდ 8 წარედგინა შესაბამის სუბიექტებს.⁵⁴⁸ ამ ეტაპზე 6 ჯგუფი განაგრძობს მუშაობას.⁵⁴⁹

15 ჯგუფიდან 7-მა ვადა 1 თვით თავად გაიგრძელა.⁵⁵⁰ აქედან 3-მა ეს გადაწყვეტილება მისი მიღების შემდეგ აცნობა ბიუროს,⁵⁵¹ რის უფლებამოსილებასაც მათ კანონმდებლობა არ ანიჭებდა. 2 შემთხვევაში კი ჯგუფმა ამ მოთხოვნით მიმართა ბიუროს.⁵⁵² ეს კარგი პრაქტიკაა და უნდა დაინერგოს. **რეკომენდებულია, რომ თემატური მოკვლევის ჯგუფის ვადა, საჭიროების შემთხვევაში, გაზარდოს მისმა შექმნელმა ორგანომ, თავად ამ ჯგუფის მიმართვის საფუძველზე.**

2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე რეგლამენტში შეტანილი ცვლილების შედეგად, თემატური მოკვლევის ჯგუფის უფლებამოსილების ვადა გაიზარდა.⁵⁵³ კერძოდ, ძირითადი ვადა განისაზღვრა 3 თვით, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, თითო თვით, მაქსიმუმ 3-ჯერ შეიძლება გაგრძელდეს. შესაძლოა, ეს სიახლე მეტ სივრცეს აძლევდეს ჯგუფებს, მაგრამ, ბუნებრივია, სხვადასხვა საკითხის შესწავლას სხვადასხვა მოცულობის სამუშაოს გაწევა სჭირდება. ზოგისთვის საკმარისია რეგლამენტით ამჟამად გათვალისწინებული დრო, ზოგისთვის - არა. **გონივრული იქნება, კომიტეტმა/საბჭომ, ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში, შექმნისას განუსაზღვროს ვადები თემატური მოკვლევის ჯგუფს, რეგლამენტმა კი ეს საკითხი დიად დატოვოს.**

8.1.7. უფლებამოსილების ვადის გადაცილების შედეგები

რეგლამენტით განსაზღვრული არ არის ჯგუფის მიერ მისთვის დადგენილი ვადის დარღვევის სამართლებრივი შედეგი. შესაბამისად, დროის გადაცილების მიუხედავად, შესაძლოა, ჯგუფების საქმიანობა უსასრულოდ გაგრძელდეს. **თუ თემატური მოკვლევის ჯგუფი მისთვის დადგენილ ვადას დაარღვევს, უმჯობესია, მას ავტომატურად შეუწყდეს უფლებამოსილება.**

8.1.8. ჯგუფის ვალდებულებები საჯაროობის მიმართულებით

ჯგუფი ვალდებულია, საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ინფორმაცია განათავსოს პარლამენტის ვებგვერდზე.⁵⁵⁴ ეს მოთხოვნა თხუთმეტივე შემთხვევაში შესრულდა.⁵⁵⁵

ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საკითხის დასახელებას, მანდატის მოკლე აღწერას, მონაცემებს მასზე მომუშავე დეპუტატების შესახებ, დაინტერესებული პირების მო-

⁵⁴⁷ იხ. ცხრილი №9.

⁵⁴⁸ იქვე.

⁵⁴⁹ იქვე.

⁵⁵⁰ იქვე.

⁵⁵¹ იქვე.

⁵⁵² იქვე.

⁵⁵³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ, №6700-რს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (<https://matsne.gov.ge/ka>), 07.07.20, პირველი მუხლის 51-ე პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907021?publication=0>, განახლებულია: 16.09.20.

⁵⁵⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁵⁵⁵ იხ. ცხრილი №10. ინფორმაცია განახლებულია 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

საზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის წესსა და ვადებს.⁵⁵⁶ ამ შემთხვევაშიც ჯგუფებმა ზედმიწევნით დაიცვეს რეგლამენტის მოთხოვნები.⁵⁵⁷

გარდა ამისა, ჯგუფი ვალდებულია, შექმნას საკითხის შესწავლის გეგმა და გრაფიკი,⁵⁵⁸ რაც საანგარიშო პერიოდში 15 თემატური ჯგუფიდან მხოლოდ 10-მა შეასრულა.⁵⁵⁹ დანარჩენ შემთხვევაში ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ ტექნიკური პირობები, რომლებიც სამოქმედო გეგმას ვერ ჩაანაცვლებს. ასეთი დოკუმენტი არ პასუხობს რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.⁵⁶⁰

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებმა გააერთიანეს ცალ-ცალკე შექმნილი ჯგუფები, თუმცა შემდგომ საქმიანობა საგარეო ურთიერთობა კომიტეტის ჯგუფის მიერ მომზადებული აქტით გაგრძელდა.⁵⁶¹ არადა, ახალი ერთეულის ჩამოყალიბების შემდეგ სავალდებულო იყო ახალი გეგმისა და გრაფიკის შემუშავება. შესაძლოა, ეს რომელიმე წინამორბედი ჯგუფის დოკუმენტი ყოფილიყო, თუმცა მას, ფორმალურად, ხელახლა სჭირდებოდა დამტკიცება.

ჯგუფმა პარლამენტის ვებგვერდზე უნდა განათავსოს მოკვლევის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები.⁵⁶² ეს მოთხოვნა 15-მა მათგანმა დაიცვა.⁵⁶³ 2 ჯგუფს ჯერ დოკუმენტები არ მიუღია. **არსებული პოზიტიური სტატისტიკის მიუხედავად, უმჯობესია, თუ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევები სრულად აღმოიფხვრება.**

ჯგუფი ვალდებულია, გამართოს საკითხის მოსმენა, რომლის თაობაზეც ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს მოსმენამდე 1 კვირით ადრე.⁵⁶⁴ ეს ვადა სუბიექტებმა 10 შემთხვევაში დაიცვეს.⁵⁶⁵ დარჩენილი 3-იდან 2 მათგანი ვადის დარღვევით დებდა ინფორმაცია,⁵⁶⁶ ხოლო 1 წინასწარ ატყობინებდა მედიის წარმომადგენლებს.⁵⁶⁷ რეგლამენტი ამ უკანასკნელ შესაძლებლობას საერთოდ არ იცნობს. 2 შემთხვევაში საკითხის მოსმენა არ ჩატარებულა. საერთო ჯამში, 15-მა ჯგუფმა გამართა 29 განხილვა. ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 5 ჯგუფის სამოქმედო გეგმაში ეწერა.⁵⁶⁸

თემატური მოკვლევის ჯგუფებმა უნდა დაიცვან რეგლამენტით მათზე დაკისრებული ვალდებულება და დროულად გამოაქვეყნონ ინფორმაცია მოსმენის შესახებ. იმავდროულად, დაუშვებელია სხვა ტიპის აქტივობით მისი მოდიფიცირება.

⁵⁵⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁵⁵⁷ იხ. ცხრილი №10.

⁵⁵⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁵⁵⁹ იხ. ცხრილი №10.

⁵⁶⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁵⁶¹ პარლამენტის ვებგვერდზე მხოლოდ ძველი სამოქმედო გეგმაა. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფის სამოქმედო გეგმა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y6yd34tt>, განახლებულია: 02.11.19.

⁵⁶² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁵⁶³ იხ. ცხრილი №10.

⁵⁶⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁵⁶⁵ იხ. ცხრილი №10.

⁵⁶⁶ იქვე.

⁵⁶⁷ იქვე.

⁵⁶⁸ იქვე.

8.1.9. ჯგუფის დასკვნა

ჯგუფი დასკვნას წარუდგენს კომიტეტს ან ბიუროს.⁵⁶⁹ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია (და არა - ვალდებული), იგი შეიტანოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში, ან დასკვნას განიხილავს შესაბამისი კომიტეტი.⁵⁷⁰ უმრავლესობის მიერ კონტროლირებადი ბიუროს მხრიდან პროცედურული მანიპულაციების გამოსარიცხად, **რეკომენდებულია, მას გაუჩნდეს ვალდებულება, თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა ყოველ ჯერზე შეიტანოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში.**

15 ჯგუფიდან ამოცანა მხოლოდ 9-მ შეასრულა. მათგან ერთმა სამუშაოს დასრულება შეძლო დამატებითი თვის გამოყენებით.⁵⁷¹ 8 მათგანმა კი ვადის დარღვევით წარადგინა დასკვნები.⁵⁷² დოკუმენტები გამოქვეყნებულია პარლამენტის ვებგვერდზე.⁵⁷³ 9-იდან 3 ჯგუფის დასკვნა წარედგინა კომიტეტს, ხოლო 6-ის - ბიუროს, პლენარულ სხდომაზე შესატანად.⁵⁷⁴

საპარლამენტო საბჭოებში შექმნილმა ჯგუფებმა დასკვნები ბიუროს წარუდგინეს. „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ და „ქალთა ეკონომიკური განვითარების პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ“ ჯგუფების მიერ მომზადებული დოკუმენტები - 2019 წლის 17-20 სექტემბრის,⁵⁷⁵ ხოლო „სახელმწიფო უწყებებში არსებული სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტებისა და პრაქტიკების შესახებ“ ჯგუფის დასკვნა - 2019 წლის 12-15 ნოემბრის⁵⁷⁶ სასესიო კვირაში შევიდა პლენარული სხდომების დღის წესრიგში. პარლამენტმა ანგარიშები დაყოვნებით მოისმინა, შესაბამისად, 2020 წლის 4 და 19 თებერვლის სხდომებზე.⁵⁷⁷ **რეკომენდებულია, პარლამენტმა დროულად განიხილოს თემატური მოკვლევის ჯგუფების მიერ მომზადებული საბოლოო დოკუმენტები.**

2 შემთხვევაში თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა გადაეცა ბიუროს,⁵⁷⁸ თუმცა, რეგლამენტის მიხედვით, დასკვნაზე უნდა ემსჯელა და რეკომენდაციები მიეღო შესაბამისი კომიტეტს, ვინაიდან ეს ჯგუფები კომიტეტების მიერ შეიქმნა. ბიურომ ერთ შემთხვევაში⁵⁷⁹ დასკვნა შეიტანა 2020 წლის 4-7 თებერვლის პლენარული სხდომების

⁵⁶⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი. ჯგუფი დასკვნას ბიუროს მხოლოდ იმ შემთხვევაში წარუდგენს, თუ იგი შექმნილია პარლამენტის მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ ან, თუ ჯგუფი სხვადასხვა კომიტეტის წევრებისგან შედგება.

⁵⁷⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

⁵⁷¹ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფმა დასკვნა წარადგინა 2019 წლის 11 ივნისს. საპარლამენტო მოკვლევა სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.

⁵⁷² იხ. ცხრილი №9.

⁵⁷³ იქვე.

⁵⁷⁴ იქვე.

⁵⁷⁵ საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის 2019 წლის 17-20 სექტემბრის პლენარული სხდომების დღის წესრიგი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/ujy6cse>, განახლებულია: 24.12.19.

⁵⁷⁶ საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის 2019 წლის 12-15 ნოემბრის პლენარული სხდომების დღის წესრიგი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/vbghnpr>, განახლებულია: 24.12.19.

⁵⁷⁷ საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის 2020 წლის 4-7 თებერვლის პლენარული სხდომების დღის წესრიგი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/u2ymeoh>, განახლებულია: 22.04.20; საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის 2020 წლის 19-21 თებერვლის პლენარული სხდომების დღის წესრიგი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y8bchgk9>, განახლებულია: 22.04.20.

⁵⁷⁸ იხ. ცხრილი №9.

⁵⁷⁹ საუბარია ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში შექმნილი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის საკითხებზე“ თემატური მოკვლევის ჯგუფზე.

დღის წესრიგში⁵⁸⁰ და მოსმენაც იმავე კვირაში გაიმართა,⁵⁸¹ ხოლო მეორე შემთხვევაში⁵⁸² - 2020 წლის 14-17 ივლისის პლენარული სხდომების დღის წესრიგში⁵⁸³ და, ამჯერადაც, პარლამენტმა ის იმავე კვირაში, 17 ივლისს, განიხილა.⁵⁸⁴ დამატებით, კიდევ 1 შემთხვევაში კომიტეტმა ცნობად მიიღო თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა და ამის შესახებ ბიუროს შეატყობინა.⁵⁸⁵ რეგლამენტი არც ამგვარ პროცედურას ითვალისწინებს. ზემოთ მოყვანილ სამივე შემთხვევაში **აუცილებელია, კომიტეტმა განიხილოს დოკუმენტი და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები, ასეთის არსებობისას.**

ერთ ჯგუფს გარკვეული პერიოდით შეჩერებული ჰქონდა დასკვნის გამოქვეყნება საერთაშორისო ექსპერტების მიერ აუცილებელი რეკომენდაციებისა და მოსაზრებების წარმოდგენამდე.⁵⁸⁶ თუმცა, საჭირო მასალების მიღების შემდეგ მან დაასრულა დასკვნაზე მუშაობა.⁵⁸⁷ საბოლოო დოკუმენტის არსებობის მიუხედავად, ის კომიტეტზე ჯერ არ წარუდგენიათ. გაჭიანურების მიზეზად კორონავირუსის პანდემია დასახელდა.⁵⁸⁸ **რეკომენდებულია, თემატური მოკვლევის ჯგუფმა დაიცვას რეგლამენტი და დასკვნა დადგენილ ვადაში დაამტკიცოს.** თუ მას სურდა დოკუმენტში რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის ასახვა, ამ უკანასკნელთან ადრევე უნდა დაემყარებინა კონტაქტი და უზრუნველყო მისგან შესაბამისი მასალების დროულად მიღება.

ერთი ჯგუფის⁵⁸⁹ დასკვნა უნდა განეხილა ბიუროს, რადგან ის სწორედ ამ უკანასკნელის მიერ ორი ჯგუფის გაერთიანების შედეგად წარმოიშვა. თუმცა, ასე არ მოხდა და დოკუმენტი კომიტეტს წარედგინა.⁵⁹⁰ **მნიშვნელოვანია, თემატური მოკვლევის ჯგუფებმა დასკვნები შესაბამის სუბიექტებს მიაწოდონ.** ორმა ჯგუფმა⁵⁹¹ დასკვნა იმ კომიტეტებს წარუდგინა, რომლებმაც ისინი შექმნეს. **ეს კარგი პრაქტიკის მაგალითია.**

⁵⁸⁰ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში შექმნილი თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა „მეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის საკითხებზე“ (№2-1671/20, 31.01.2020). საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის 2020 წლის 4-7 თებერვლის პლენარული სხდომების დღის წესრიგი.

⁵⁸¹ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში შექმნილი თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა „მეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის საკითხებზე“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/Nelaw-drafting/19680>, განახლებულია: 22.04.20.

⁵⁸² საუბარია რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ფარგლებში შექმნილ თემატური მოკვლევის ჯგუფზე „საქართველოში ადამიანების სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ“.

⁵⁸³ საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის 2020 წლის 29 ივნისიდან მოწვეული რიგგარეშე სესიის 14-17 ივლისის პლენარული სხდომების დღის წესრიგი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yxh26qtx>, განახლებულია: 19.08.20.

⁵⁸⁴ საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის 2020 წლის 29 ივნისიდან მოწვეული რიგგარეშე სესიის 17 ივლისის პლენარული სხდომის დღის წესრიგი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y6rta9gf>, განახლებულია: 19.08.20.

⁵⁸⁵ იხ. ცხრილი №9.

⁵⁸⁶ იქვე.

⁵⁸⁷ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 1-ლი ივნისის №1-6672/20 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁵⁸⁸ იქვე.

⁵⁸⁹ ეს არის დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე არსებული გამოწვევების შესწავლის თაობაზე თემატური მოკვლევის ჯგუფი.

⁵⁹⁰ ახალი ამბები, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/vlu3xnz>, განახლებულია: 01.04.20.

⁵⁹¹ ესენია თემატური მოკვლევის ჯგუფები: „სახელმწიფო საწარმოების მართვის ეფექტიანობის შესახებ“ და „გარემოს ტყვიით შეფასება საქართველოში“.

8.1.10. რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა

შემუშავებული დასკვნის კომიტეტისთვის წარდგენის ან პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის შემდეგ კომიტეტი ან პარლამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს,⁵⁹² დავალებებს, რომლებიც ეგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.⁵⁹³ როგორც აღინიშნა, 9 ჯგუფის დასკვნა უკვე არსებობს. მათი ნაწილი წარედგინა და განიხილა, ერთი მხრივ, კომიტეტმა, ხოლო მეორე მხრივ - პლენარულმა სხდომამ. თუმცა, ამ განხილვას მათი მხრიდან რეკომენდაციების შემუშავება არ მოჰყოლია. იმისთვის, რომ თემატური მოკვლევის ჯგუფმა, როგორც საპარლამენტო კონტროლის მექანიზმმა, ეფექტიანად იმუშაოს, საჭიროა, მის მიერ გამოვლენილ ხარვეზებს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყვეს. ამ შემთხვევაში ეს არის რეკომენდაციები. ამის გარეშე თემატური მოკვლევა აკადემიურ საქმიანობას დაემსგავსა, რაც საპარლამენტო კონტროლის მიზნებს არ ემსახურება.

8.2. დროებითი კომისია⁵⁹⁴

საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა „დროებითი კომისია“. არსებობს „დროებით საგამოძიებო კომისიასთან“ მისი ასოცირების საფრთხე. ძირითადი განსხვავება ამ ორ მექანიზმს შორის არის ის, რომ ეს უკანასკნელი აღჭურვილია მთელი რიგი ბერკეტებით, შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმე და მასზე შესაბამისი ორგანოების რეაგირების ეფექტიანობა. პირველი კი მოტივირებულია, დაამუშაოს კონკრეტული პოლიტიკური პრობლემა.⁵⁹⁵

პარლამენტში ასევე იქმნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისია.⁵⁹⁶

8.2.1. დროებითი კომისიის შექმნის ინიციატორები

დროებითი კომისიის შექმნის ინიცირების უფლებამოსილება აქვთ პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციას და პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ს.⁵⁹⁷

შესწავლილი ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის მოდელების მქონე სახელმწიფოებიდან ბულგარეთში იქმნება დროებითი კომიტეტი ცალკეული საკითხების შესასწავლად.⁵⁹⁸ მისი შექმნის ინიცირების უფლება აქვს ეროვნული კრების თავმჯდომარეს ან წევრთა 1/5-ს.⁵⁹⁹ ლიეტუვაში სეიმი უფლებამოსილია, შექმნას კონტროლის დროებითი კომისია სეიმის გადაწყვეტილებათა კონტროლის, ინფორმაციის მოგროვებისა და პრობლემის ანალიზისთვის.⁶⁰⁰ ინიციატორები არიან სეიმის ბიუ-

⁵⁹² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

⁵⁹³ იქვე.

⁵⁹⁴ დროებით კომისიაზე ვრცელდება ის კრიტიკა და რეკომენდაციები, რომლებიც დროებით საგამოძიებო კომისიაზე გამოითქვა.

⁵⁹⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 72-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵⁹⁶ იქვე.

⁵⁹⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵⁹⁸ Rules of Organization and Procedure of the National Assembly of Bulgaria, article 37, section 1.

⁵⁹⁹ Ibid, article 37, section 2.

⁶⁰⁰ Seimas of the Republic of Lithuania Statute, article 72, section 1.

რო, კომიტეტი, ფრაქცია და პარლამენტის შემადგენლობის 1/4.⁶⁰¹ ფინეთში დროებითი კომიტეტის შექმნის ინიცირება შეუძლია ერთ დეპუტატს⁶⁰² და სპიკერს.⁶⁰³ ხორვატიასა და სლოვაკეთში მსგავსი მექანიზმი არ არსებობს.

საპარლამენტო მოდელებიდან ლატვიაში პარლამენტი უფლებამოსილია, შექმნას ad hoc კომიტეტი ცალკეული საკითხის შესასწავლად.⁶⁰⁴ თემის ინიცირების უფლება აქვს 10 დეპუტატს,⁶⁰⁵ რაც საერთო რაოდენობის 1/10-ია. ესპანეთში დროებითი კომისია იქმნება კონკრეტულ საკითხზე ბიუროს, 2 ფრაქციისა ან პალატის წევრთა 1/5-ის მოთხოვნის საფუძველზე.⁶⁰⁶ მსგავსი მექანიზმი არსებობს გერმანიაში საკითხის შემსწავლელი კომისიის (study commission) სახით, რომელიც იქმნება ბუნდესტაგში წევრთა 1/4-ის მოთხოვნით.⁶⁰⁷ ესტონეთშიც, გარკვეული მნიშვნელოვანი პრობლემების ანალიზისთვის, არსებობს საკითხის შემსწავლელი კომიტეტი (study committee).⁶⁰⁸ მისი ფორმირების ინიციატორები შეიძლება იყვნენ პარლამენტის წევრი, ფრაქცია, კომიტეტი და მთავრობა.⁶⁰⁹ საბერძნეთში პარლამენტი უფლებამოსილია, მთავრობის, სპიკერის ან ფრაქციათა თავმჯდომარეების მიმართვის შემთხვევაში, შექმნას კომიტეტი.⁶¹⁰ იტალიასა და უნგრეთში მსგავსი მექანიზმი არ გვხვდება.

შესწავლილ სახელმწიფოთაგან 3-ში დროებითი კომისიის ინიცირების უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, 4-ში - ფრაქციას, 2-ში - დეპუტატთა 1/5-ს, 2-ში - 1/4-ს, 1-ში - 1/10-ს. 2 ქვეყანაში - ბიურო, ხოლო 2-2-ში - კომიტეტი, მთავრობა და 1 პარლამენტარია უფლებამოსილი, მოითხოვოს მისი შექმნა. საქართველოში დადგენილი წესი შეესაბამება შესწავლილი საერთაშორისო პრაქტიკის ძირითად ტენდენციებს.

8.2.2. დროებითი კომისიის შექმნისთვის საჭირო ხმების რაოდენობა

ინიცირების შემდგომ აუცილებელია, რომ პლენარულმა სხდომამ მიიღოს გადაწყვეტილება დროებითი კომისიის შექმნის შესახებ. ამას დამსწრეთა უმრავლესობა, თუმცა არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/4 სჭირდება.⁶¹¹

შესწავლილი ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებიდან, ბულგარეთში დროებით კომიტეტის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული კრება⁶¹² აბსოლუტური უმრავლესობით.⁶¹³ ლიეტუვასა⁶¹⁴ და ფინეთში⁶¹⁵ გადაწყვეტილება მიიღება მარტივი უმრავლესობით. საპარლამენტო მმა-

⁶⁰¹ Ibid, article 73, section 1.

⁶⁰² Parliament's Rules of Procedure of Finland, Section 21.

⁶⁰³ Ibid, Section 6, subsection 13.

⁶⁰⁴ Rules of Procedure of the Saeima of Latvia, Article 150.

⁶⁰⁵ ლატვიის სეიმიდან მიღებული წერილი №511.13/1-1-13/20.

⁶⁰⁶ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, Section 53.

⁶⁰⁷ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Rule 56, section 1.

⁶⁰⁸ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Paragraph 17, Paragraph 21, Section 1.

⁶⁰⁹ Ibid, Paragraph 90, Section 1.

⁶¹⁰ Standing Ordes of Parliament of Greece, article 44, section 1.

⁶¹¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶¹² Rules of Organization and Procedure of the National Assembly of Bulgaria, article 37, section 2.

⁶¹³ Ibid, article 86, section 4.

⁶¹⁴ Seimas of the Republic of Lithuania Statute, article 113, section 1.

⁶¹⁵ Stages in the Legislative Process, ფინეთის პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yad7ts9x>, განახლებულია: 25.10.2019.

როველობის მქონე სახელმწიფოებიდან ლატვიაში,⁶¹⁶ გერმანიაში,⁶¹⁷ ესტონეთსა⁶¹⁸ და საბერძნეთში⁶¹⁹ საჭიროა მარტივი უმრავლესობის მხარდაჭერა. ესპანეთში დროებით კომისიას ქმნის ბიურო ხმოსანთა ბორდთან⁶²⁰ კონსულტაციის შემდგომ,⁶²¹ რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.⁶²² შესწავლილ სახელმწიფოთაგან 1-ში დროებითი კომისიის შექმნისთვის საჭიროა აბსოლუტური, ხოლო 6-ში - მარტივი უმრავლესობის მხარდაჭერა. 1 სახელმწიფოში გადაწყვეტილებას იღებს ბიურო. ამდენად, ქართული მიდგომა შეესაბამება შესწავლილი სახელმწიფოების პრაქტიკას.

8.2.3. დროებითი კომისიის შექმნისას წევრთა პროპორცია

კონსტიტუციის მიხედვით, დროებით კომისიაში საპარლამენტო ფრაქციები თითო წევრით მაინც უნდა იყვნენ წარმოდგენილნი და ოპოზიციის მონაწილეობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.⁶²³ ნიშანდობლივია, რომ კონსტიტუციის ჩანაწერი მიემართება, ზოგადად, დროებით კომისიას და არა, კონკრეტულად, დროებით საგამოძიებო კომისიას. შესაბამისად, ნებისმიერი ტიპის დროებითი კომისია სწორედ ამ წესით უნდა დაკომპლექტდეს. თუმცა, რეგლამენტი ამას მხოლოდ დროებით საგამოძიებო კომისიასთან მიმართებით ადგენს,⁶²⁴ ხოლო ამ უკანასკნელის დაკომპლექტების შესახებ ნორმები არ ვრცელდება დროებით კომისიაზე.⁶²⁵ მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმის ფორმირებისას რეგლამენტი არ განსაზღვრავს წევრთა პროპორციას, შესაძლებელია კონსტიტუციით დადგენილი წესის გამოყენება. თუმცა, **რეკომენდებულია, ეს საკითხი რეგლამენტმა პირდაპირ დაარეგულიროს.**

8.2.4. დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადა

დროებითი კომისია შეიძლება შეიქმნას 3 თვის ვადით. დროის გაგრძელება შეიძლება თითო თვით, მაგრამ საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.⁶²⁶ მისი ფორმირება დაუშვებელია, თუ პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები.⁶²⁷ ამგვარი მიდგომა ბლანკეტურია და არ ითვალისწინებს საკითხის სირთულეს, რომელიც გავლენას ახდენს მისი დამუშავების დროზეც. შესწავლილი ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის მოდელების მქონე სახელმწიფოებიდან ბულგარეთსა⁶²⁸ და ლიეტუვაში⁶²⁹ დროებითი კომისიის უფლება-

⁶¹⁶ ლატვიის სეიმიდან მიღებული წერილი №511.13/1-1-13/20.

⁶¹⁷ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Rule 48, section 2.

⁶¹⁸ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Paragraph 78.

⁶¹⁹ Standing Ordes of Parliament of Greece, article 24, section 2.

⁶²⁰ ხმოსანთა ბორდი წარმოადგენს საპარლამენტო ფრაქციათა ხმოსნების გაერთიანებას, რომელსაც თავმჯდომარეობს კონგრესის სპიკერი. Standing Orders of the Congress of Deputies, section 39.

⁶²¹ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, Section 53.

⁶²² ¿Por qué es importante la Mesa del Congreso? Análisis. Decide la constitución de los grupos, la distribución de escaños y las comparecencias.

⁶²³ საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶²⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶²⁵ იქვე, 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶²⁶ იქვე, 66-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁶²⁷ იქვე, 74-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁶²⁸ Rules of Organization and Procedure of the National Assembly of Bulgaria, article 37, section 3.

⁶²⁹ Seimas of the Republic of Lithuania Statute, article 71, section 3.

მოსილებების ვადა მისი შექმნის დროს დგინდება. ლიეტუვაში, კომისიის შექმნისას ვადის განუსაზღვრელობის შემთხვევაში, დაკისრებული მოვალეობის შესრულების შემდეგ სეიმი მას თავად გააუქმებს.⁶³⁰ ფინეთსა⁶³¹ და ესპანეთში⁶³² დროებითი კომიტეტის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება მისი დავალების დასრულებისას. საპარლამენტო მოდელებიდან გერმანიაში,⁶³³ ლატვიაში,⁶³⁴ ესტონეთსა⁶³⁵ და საბერძნეთში⁶³⁶ დროებითი კომიტეტის მუშაობის ვადა განისაზღვრება შექმნისას.⁶³⁷

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის ორი მიდგომა არსებობს. პირველის მიხედვით ვადა განისაზღვრება შექმნისას, ხოლო მეორეს - დაკისრებული დავალების შესრულებაზე. არსად რეგლამენტი არ ითვალისწინებს ბლანკეტურ ვადებს. **უმჯობესია, დროებითი კომისიის ვადა და მისი გაგრძელების შესაძლებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინოს პარლამენტმა.**

8.2.5. დროებითი კომისიის უფლებამოსილებები

რეგლამენტის მიხედვით, დროებითი კომისია სარგებლობს ყველა იმ უფლებამოსილებით, რომლებითაც დროებითი საგამოძიებო კომისია, თუმცა - გარკვეული დათქმებით.⁶³⁸ კერძოდ, ის ვერ მოიწვევს კონკრეტული დავალების შესასრულებლად ძალოვანი უწყებების თანამშრომლებს,⁶³⁹ ვერ დაიბარებს შესაბამის პირებს ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად,⁶⁴⁰ ვერ მიმართავს პარლამენტს წინადადებით იმპიჩმენტის საკითხის ადვრისთვის დეპუტატთა ხელმოწერების შეგროვების შესახებ.⁶⁴¹

გარდა ამისა, დროებითი კომისია აღჭურვილია ისეთი უფლებამოსილებით, რომელიც მის სტატუსთან შეუსაბამოა. კერძოდ, მას უფლება აქვს, მიმართოს გენერალურ პროკურორს, რათა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს და გადაიღოს ასლები.⁶⁴² ვინაიდან დროებითი კომისია არ იქმნება რამე კონკრეტული დანაშაულის გამოსაძიებლად, ეს უფლებამოსილება მას არ სჭირდება. **შესაბამისად, ის უნდა გაუქმდეს.**

8.3. სამუშაო ჯგუფი

8.3.1. სამუშაო ჯგუფის შექმნა

კომიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობის ხელშეწყობის, საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების მიზნით და სხვა მიმდინარე საკითხებთან

⁶³⁰ Ibid, article 71, section 2.

⁶³¹ Parliament's Rules of Procedure of Finland, Section 7.

⁶³² Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, Section 51.

⁶³³ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Rule 56, section 1.

⁶³⁴ Saeimas speciālās komisijas. Kā tās darbojas, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/vtv46z7>, განახლებულია: 14.03.20.

⁶³⁵ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Paragraphs 20 and 21.

⁶³⁶ Standing Ordes of Parliament of Greece, article 44, section 6.

⁶³⁷ Act XXXVI of 2012 on the National Assembly of Hungary, section 23, subsection 1.

⁶³⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶³⁹ იქვე. აგრეთვე, 67-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶⁴⁰ იქვე. აგრეთვე, 67-ე მუხლის მე-7-მე-10 პუნქტები.

⁶⁴¹ იქვე. აგრეთვე, 67-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

⁶⁴² შეად. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 67-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

დაკავშირებით შექმნას სამუშაო ჯგუფი.⁶⁴³ გადაწყვეტილება მიიღება საერთო წესით, დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის გახსნისთვის⁶⁴⁴ საჭირო ხმების ნახევრისა.⁶⁴⁵

ეს ინსტიტუტი ე.წ. „შერეული კომისია“. ის კომპლექტდება როგორც დეპუტატებით, ასევე, მოწვეული სპეციალისტებით. მისი მთავარი დანიშნულებაა განსახილველი საკითხის ყოველმხრივი გამოკვლევა - როგორც პოლიტიკური, ისე ექსპერტული პერსპექტივიდან. გადაწყვეტილებები თანხმობაზე ორიენტირებული განხილვისა და საგნობრივი მსჯელობის საფუძველზე, მოწვეული პირებისა და პარლამენტის წევრების მიერ ერთობლივად უნდა მიიღებოდეს.⁶⁴⁶

საანგარიშო პერიოდში 6 კომიტეტში სულ 12 სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.⁶⁴⁷

სამუშაო ჯგუფს ქმნის კომიტეტი.⁶⁴⁸ ამისთვის შესაბამისი აქტია საჭირო, თუმცა 3 შემთხვევაში ის საერთოდ არ გამოცემულა,⁶⁴⁹ 9-ში კი გადაწყვეტილება კომიტეტმა მიიღო.⁶⁵⁰ ეს ბოლო 9 შემთხვევა შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს. **სამუშაო ჯგუფები კომიტეტების მიერ უნდა შეიქმნას.**

რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი.⁶⁵¹ სამუშაო-დგომო სესიაზე იურიდიულმა კომიტეტმა 2 ასეთი სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა,⁶⁵²

⁶⁴³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლი.

⁶⁴⁴ კომიტეტის სხდომის გასახსნელად საჭიროა კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის დასწრება. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶⁴⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 34-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

⁶⁴⁶ იურიდიული კომიტეტის მიერ სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების შეფასება, კვალიცა დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yxoam37j>, განახლებულია: 18.09.19.

⁶⁴⁷ იხ. ცხრილი №10.

⁶⁴⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლი.

⁶⁴⁹ ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფებისთვის ცალკე აქტი არ გამოცემულა. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 10 დეკემბრის №1-22143/19 და 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილები, აგრეთვე, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფთან დაკავშირებით არ გამოცემულა ცალკე აქტი. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილი. ასევე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შექმნილი „თავის ტვინის ინსულტისა და მისი მკურნალობის თანამედროვე მეთოდების საკითხებზე“ სამუშაო ჯგუფთან დაკავშირებით კომიტეტს არ მიუღია გადაწყვეტილება წერილობითი სახით. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 1-ლი ივნისის №1-6672/20 წერილი.

⁶⁵⁰ ესენია: იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შექმნილი „მოსამართლეთა კანდიდატის საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის“ სამუშაო ჯგუფი. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 9 მარტის №1-3157/20 წერილი. აგრეთვე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი“ მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფი. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომა, ახალი ამბები, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/rh9pwwf>, განახლებულია: 10.03.20; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგის და განვითარების“ სამუშაო ჯგუფი. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომა, ახალი ამბები, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yb8sw6rg>, განახლებულია: 15.05.20; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შექმნილი „სანიტარო-ჰიგიენური მარეგულირებელი ნორმების შემოღების საჭიროებათა შეფასების საკითხზე სამუშაო ჯგუფი“. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 10 დეკემბრის №1-22143/19 წერილი.

⁶⁵¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶⁵² იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან

რომელთა მანდატიც გააკრიტიკა კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“. მისი აზრით, სამუშაო ჯგუფის შექმნა მხოლოდ ტექნიკური მიზნებისთვის, კერძოდ, მოსამართლედ გასანწესებელ კანდიდატთა დოკუმენტების ფორმალური შეფასებისთვის, არ შეესაბამებოდა რეგლამენტის მოთხოვნებს.⁶⁵³ განცხადებაში ნათქვამია, რომ „ჯგუფის სამუშაო მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ისე ექსპერტულ ძალისხმევას. ეს კი გამორიცხავს ამ ინსტიტუტის ტექნიკურ ფუნქციას. კომიტეტის მიერ სამუშაო ჯგუფისთვის სხდომაზე დასახულ მიზნებს თავს პარლამენტის შიდა პერსონალიც მარტივად გაართმევდა.“⁶⁵⁴

8.3.2. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

რეგლამენტის მიხედვით, „კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ პარლამენტის წევრები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები.“⁶⁵⁵ ეს ჩანაწერი შეიძლება იმგვარადაც განიმარტოს, რომ სამუშაო ჯგუფი სრულად დარგის სპეციალისტებით დაკომპლექტდეს და კომიტეტის წევრები მასში საერთოდ არ შევიდნენ, ან - პირიქით, რაც ეწინააღმდეგება შერეული კომისიის იდეას. ამასთან, თუ სამუშაო ჯგუფი მხოლოდ დეპუტატებისგან შეიქმნება, მაშინ მას არაფერი განასხვავებს თემატური მოკვლევისგან, ხოლო, თუ მასში მხოლოდ ექსპერტები შევლენ, სრულად დაემსგავსება კომიტეტებთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოს.⁶⁵⁶ საანგარიშო პერიოდში სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: მხოლოდ დეპუტატებით 1 ჯგუფი დაკომპლექტდა; როგორც დეპუტატებით, ისე ექსპერტებით - 1; დეპუტატებით, ექსპერტებითა და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებით - 2; დეპუტატებით, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებითა და პარლამენტის აპარატით - 1; დეპუტატებითა და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებით - 2; საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებით, ექსპერტებითა და პარლამენტის აპარატის წევრებით - 1; დეპუტატებით, საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებით, ექსპერტებით და პარლამენტის აპარატის წევრებით - 3; მხოლოდ ექსპერტებით - 1.⁶⁵⁷ **აუცილებელია, რომ შერეულ კომისიებში წევრთა ნაწილს შეადგენდნენ პარლამენტარები, ნაწილს კი - დამოუკიდებელი ექსპერტები. რეგლამენტით ეს სავალდებულოდ უნდა განისაზღვროს.**

6 ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ადმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.⁶⁵⁸ ამ 6-იდან კი ერთი დაკომპლექტებულია მხოლოდ დარგის ექსპერტებითა და ადმასრულებელი ხელისუფლების წევრებით.⁶⁵⁹ **რეგლამენტის მიხედვით, ადმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ სამუშაო ჯგუფში და ამ პრაქტიკამ ფეხი არ უნდა მოიკიდოს.**

შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით, კომიტეტის სამუშაო ჯგუფი შექმნა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y28azp4>, განახლებულია: 18.09.2019.

⁶⁵³ იურიდიული კომიტეტის მიერ სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების შეფასება, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის.

⁶⁵⁴ იქვე.

⁶⁵⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლი.

⁶⁵⁶ კომიტეტი უფლებამოსილია, დარგობრივი სპეციალიზაციისა და მიმართულებებისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევის მიზნით, პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, შექმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო. საბჭო შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური სპეციალისტებისგან. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁶⁵⁷ იხ. ცხრილი №11.

⁶⁵⁸ იქვე.

⁶⁵⁹ იქვე.

3 ჯგუფში წევრებად, სხვებთან ერთად, შედიან პარლამენტის აპარატის თანამშრომლებიც.⁶⁶⁰ სავარაუდოდ, ისინი „დარგის ექსპერტების“ კვოტით დაინიშნენ, მაგრამ ეს რეგლამენტის არასწორი იმპლემენტაციაა, რადგან მასში დამოუკიდებელი სპეციალისტი მოიაზრება, ხოლო აპარატის თანამშრომელი ასეთად ვერ ჩაითვლება. **რეკომენდებულია, კომიტეტის აპარატის წევრი სამუშაო ჯგუფში არ იყოს წარმოდგენილი.**

საანგარიშო პერიოდში შექმნილი 10 სამუშაო ჯგუფიდან მხოლოდ 3-ში შედიან ოპოზიციონერი დეპუტატები.⁶⁶¹ **რეკომენდებულია, სამუშაო ჯგუფში სავალდებულო წესით იყოს წარმოდგენილი ოპოზიციაც. წევრთა რაოდენობა უნდა განსაზღვროს კომიტეტმა. ნახევარი დაკომპლექტდეს დარგის ექსპერტებით, ხოლო ნახევარი შეივსოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე. ამასთან, მხოლოდ იმ ფრაქციებს უნდა ჰყავდეთ სამუშაო ჯგუფში წევრები, რომელთა წარმომადგენლებიც არიან შესაბამის კომიტეტში.**

ერთი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა როტაციულია და წევრთა რაოდენობა მკაცრად დადგენილი არ არის.⁶⁶² ეს ცუდი პრაქტიკაა. ჯგუფის შემადგენლობა მყარი უნდა იყოს, რათა მისმა წევრებმა კომიტეტის წინაშე აიღონ პასუხისმგებლობა შესაბამის სამუშაოსა და მის შედეგებზე. **რეკომენდებულია, რეგლამენტმა უზრუნველყოს კომიტეტის მიერ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის მყარად განსაზღვრის ვალდებულება.**

8.3.3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა

რეგლამენტი არ ადგენს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადას. შესაბამისად, 12-იდან 10 შემთხვევაში ეს ვადა განსაზღვრული არ არის.⁶⁶³ დანარჩენი 2 ჯგუფიდან 1 შექმნილია მე-9 მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, ხოლო მეორე - 10 დღით.⁶⁶⁴

რეკომენდებულია, რომ კომიტეტმა სამუშაო ჯგუფის შექმნისას განუსაზღვროს მას ვადა დაკისრებული დავალების სირთულის გათვალისწინებით. ამის შესახებ კი შესაბამისი ჩანაწერი უნდა გაჩნდეს რეგლამენტში.

8.4. დროებითი საგამოძიებო კომისია

მართალია, სამართლებრივი პროცედურისთვის გათვალისწინებული მექანიზმები ხშირად გამოიყენება საპარლამენტო გამოძიების პროცესში, თუმცა, საბოლოოდ, ის მაინც უფრო პოლიტიკური კონტროლის წამახალისებელია.⁶⁶⁵ ამ თვალსაზრისით, საკანონმდებლო ორგანოს ზედამხედველობა იმ საკითხების განმაურების საშუა-

⁶⁶⁰ სამუშაო ჯგუფებში - „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგის და განვითარების შესახებ“, „სანიტარიულ-ჰიგიენური მარეგულირებელი ნორმების შემოღების საჭიროებათა შეფასების საკითხზე“ და „თავის ტვინის ინსულტისა და მისი მკურნალობის თანამედროვე მეთოდების საკითხებზე“ - სხვადასხვა რაოდენობით წარმოდგენილი არიან პარლამენტის აპარატის თანამშრომლები. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 8 ოქტომბრის №1-17823/19 წერილი. ასევე, დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი №11.

⁶⁶¹ იხ. ცხრილი №11.

⁶⁶² იქვე.

⁶⁶³ იქვე.

⁶⁶⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 165-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁶⁶⁵ Parliament's Investigative Powers. Committees of Inquiries and Special Committees, Briefing, February 2015, European Parliament, p. 2, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35v9TgJ>, განახლებულია: 22.08.2019.

ლებაცაა, რომლებსაც ფართო დაინტერესება აქვს ამომრჩეველთა შორის.⁶⁶⁶ დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა პირველ რიგში წარმომადგენლობითი ორგანოსთვის არის განუთვნილი, რათა მან შესაბამისი პირის სამართლებრივი ან პოლიტიკური პასუხისმგებლობა დააყენოს. ამგვარი გამოძიება პარლამენტის ხელთ არსებული ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია მთავრობის პოლიტიკისა და აქტივობების გასაკონტროლებლად.⁶⁶⁷

საპარლამენტო გამოძიების კონტინენტური მოდელის თავისებურება *ad hoc* კომიტეტებია.⁶⁶⁸ ისინი საქმიანობას მისიის შესრულებისთანავე წყვეტენ. საქართველო სწორედ კონტინენტურ მოდელს განეკუთვნება. ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის საკვლევი ქვეყნების კანონმდებლობებიდან ასეთი კომისიის შექმნის შესაძლებლობა გათვალისწინებულია ბულგარეთში,⁶⁶⁹ ხორვატიაში,⁶⁷⁰ ლიეტუვასა⁶⁷¹ და ფინეთში.⁶⁷² გამონაკლისი მხოლოდ სლოვაკეთია.⁶⁷³ საპარლამენტო რესპუბლიკებიდან ისინი გათვალისწინებულია ყველა ქვეყნის - საბერძნეთის,⁶⁷⁴ ლატვიის,⁶⁷⁵ ესტონეთის,⁶⁷⁶ უნგრეთის,⁶⁷⁷ გერმანიის,⁶⁷⁸ იტალიისა⁶⁷⁹ და ესპანეთის⁶⁸⁰ - კანონმდებლობებით.

საქართველოში ეს ინსტრუმენტი იქმნება მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესასწავლად და უქმდება ამოცანის შესრულებისთანავე.⁶⁸¹ იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტი წინაშე,⁶⁸² შეიმუშავებს საკუთარ დებულებას, რომელსაც ამტკიცებს ბიურო.⁶⁸³

8.4.1. კომისიის შექმნის საფუძვლები და პროცედურა

რეგლამენტი ითვალისწინებს კომისიის შექმნის რამდენიმე საფუძველს. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია: (1) სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, სუვერენი-

⁶⁶⁶ იქვე.

⁶⁶⁷ Bates J., Pelizzo R., Opinion on the Draft Law on Parliamentary Oversight in Bosnia and Herzegovina, OSCE, GEN-BiH/302/2017, Warsaw, 29 March, 2017, გვ.: 15 და 38, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/313031?download=true>, განახლებულია: 22.08.2019.

⁶⁶⁸ იქვე, გვ. 16, 41. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, საკითხი გამოსაძიებლად, შესაძლოა, მუდმივმოქმედ კომიტეტს გადაეცეს. ასეთი მაგალითებია გერმანია, ესტონეთი, ლატვია. იხ. იქვე, სქოლიო 27. ამასთან, არსებობს გამონაკლისები (საფრანგეთისა და იტალიის სახით), სადაც საგამოძიებო ფუნქციების მქონე დროებითი კომიტეტის შექმნის პარალელურად, არსებობს საკომიტეტო მოკვლევის ინსტიტუტიც.

⁶⁶⁹ Constitution of Bulgaria, Article 79 (3).

⁶⁷⁰ Constitution of Croatia, Article 92.

⁶⁷¹ Statute of the Seimas of the Republic of Lithuania, Article 73, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YmTXvs>, განახლებულია 12.04.2020.

⁶⁷² Constitution of Finland, Article 35, cl. 1.

⁶⁷³ Lehmann W., Parliamentary committees of inquiry in national systems: a comparative survey of EU Member States, 2010, გვ. 15, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Yn43MG>, განახლებულია: 12.04.2020.

⁶⁷⁴ Constitution of Greece, Article 68.

⁶⁷⁵ Constitution of Latvia, Article 26.

⁶⁷⁶ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Article 20.

⁶⁷⁷ Constitution of Hungary, Article 21, clause 2.

⁶⁷⁸ Basic Law for the Federal Republic of Germany, Article 44.

⁶⁷⁹ Constitution of the Italian Republic, Article 82.

⁶⁸⁰ Constitution of Spain, Article 76.

⁶⁸¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶⁸² იქვე, 61-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁶⁸³ იქვე, 61-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს;⁶⁸⁴ (2) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის თაობაზე.⁶⁸⁵ **ამგვარი დეტალური აღწერა საჭირო არ არის. საკმარისია, რეგლამენტში ჩაიწეროს, რომ კომისია სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესასწავლად იქმნება.**

კომისიის შექმნისთვის საჭიროა 50 დეპუტატის მხარდაჭერა (თუნდაც დანარჩენმა პარლამენტარებმა თანხმობა არ განაცხადონ).⁶⁸⁶ ამგვარად, ეს ინსტიტუტი უმცირესობის მექანიზმია, რაც თანხვედრაშია ვენეციის კომისიის მოსაზრებასთანაც.⁶⁸⁷ თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საქართველოში კომისიის შექმნისთვის გათვალისწინებული კვორუმი მაღალია. „ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის მოდელის მქონე ქვეყნებიდან⁶⁸⁸ ბულგარეთში *ad hoc* საგამოძიებო კომიტეტი იქმნება პარლამენტის წევრთა სულ მცირე 1/5-ის (48 დეპუტატი), ლიეტუვაში - 1/4-ის (36 დეპუტატი), ხორვატიაში - უმრავლესობის (მინიმუმ 76 დეპუტატი) სურვილით. რაც შეეხება საპარლამენტო მმართველობის მქონე ქვეყნებს, საბერძნეთში საგამოძიებო კომიტეტი იქმნება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის 1/5-ის (60 დეპუტატი), უნგრეთში - 1/5-ის (40 დეპუტატი), ლატვიაში - 1/3-ის (34 დეპუტატი) შეთავაზების შემთხვევაში. ესტონეთში ერთი დეპუტატიც კი საკმარისია ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტის ინიცირებისთვის, რაც რიგიგოგუს უმრავლესობის (51 დეპუტატი) მხარდაჭერას საჭიროებს.“⁶⁸⁹ გერმანიაში კომისიის შესაქმნელად საჭიროა ბუნდესტაგის წევრთა 1/4,⁶⁹⁰ ესპანეთში - ნებისმიერი ორი პოლიტიკური პარტიის ან პარლამენტის წევრთა 1/5-ის მოთხოვნა,⁶⁹¹ ხოლო იტალიაში - ორივე პალატის 1/2-ის მხარდაჭერა.⁶⁹² ამდენად, ჩამოთვლილთაგან კომისიის შესაქმნელად დეპუტატთა 50% ან უმრავლესობა საჭიროა მხოლოდ 2 ქვეყანაში, 1/3 საკმარისია 1-ში; 1/4 - 2-ში, ხოლო 1/5 - 4 ქვეყანაში. **საქართველოს შემთხვევაში, უმჯობესია, საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის საჭირო დეპუტატთა რაოდენობა 1/5-მდე შემცირდეს.**⁶⁹³

საანგარიშო პერიოდში კომისიის შექმნის მოთხოვნა სულ 6 საკითხთან დაკავშირებით დაისვა. აქედან კენჭი მხოლოდ ერთს ეყარა და ჩავარდა, 5-ზე კენჭისყრა არ გამართულა.⁶⁹⁴

⁶⁸⁴ იქვე, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁶⁸⁵ იქვე, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁶⁸⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶⁸⁷ Nussberger A., Özbudun E., Sejersted F., Report on the Role of the Opposition in a Democratic Parliament, European Commission for Democracy Through Law, CDL-AD(2010)025, Venice, 15-16 October, 2010, გვ. 25, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KQ4MOI>, განახლებულია: 23.08.2019.

⁶⁸⁸ საგამოძიებო კომიტეტის ფორმირების პრაქტიკა უცხოა ფინეთისა და სლოვაკეთის საკანონმდებლო ორგანოებისთვის.

⁶⁸⁹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 104.

⁶⁹⁰ Basic Law of the Federal Republic of Germany, Article 44, cl. 1.

⁶⁹¹ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, Art. 52, cl. 1. საგამოძიებო კომიტეტის შექმნის მოთხოვნის დაყენება, ასევე, შეუძლია მთავრობასა და კონგრესის ბიუროს.

⁶⁹² Rules of Procedure of the Chamber of Deputies, 18 February 1971, as last amended on 27 July 1999, Art. 46, sec. 1. ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y3qod572>, განახლებულია: 25.08.20.

⁶⁹³ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 104.

⁶⁹⁴ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ცხრილი №12.

8.4.2. კვოტების დადგენა და შემადგენლობის დამტკიცება

კონსტიტუციის თანახმად, კომისიაში ფრაქციას ერთი წევრი მაინც უნდა ჰყავდეს.⁶⁹⁵ მის შემადგენლობაში ოპოზიციის წილი საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.⁶⁹⁶ იგულისხმება, რომ ამ მექანიზმის წევრობის უფლება მხოლოდ ფრაქციებს აქვთ.

ამის საპირისპიროდ, რეგლამენტი კომისიის წევრობის სუბიექტად იმ პარლამენტარებსაც მოიაზრებს, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში.⁶⁹⁷ „ეს შესაძლებლობას აძლევს მმართველ გუნდს, საკანონმდებლო ორგანოში ჰყავდეს მის გავლენას დაქვემდებარებული ერთი ან რამდენიმე „დამოუკიდებელი დეპუტატი“, რომელიც კომისიაში, მართალია, ოპოზიციის კვოტით მოხვდება, მაგრამ, რეალურად, მმართველი გუნდის პოზიციებს დაუჭერს მხარს. ამგვარად, როგორც ეს კონსტიტუციით არის გათვალისწინებული, დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრების დასახელების უფლება მხოლოდ ფრაქციებს უნდა მიენიჭოთ“.⁶⁹⁸

კომისიის შექმნის ინიცირების შემდგომ კენჭი ეყრება მის საბოლოოდ ფორმირებას.⁶⁹⁹ მიღებული დადგენილება უნდა შეიცავდეს შექმნის საფუძველს, გამოსაკვლევ საკითხთა ჩამონათვალს და უფლებამოსილების ვადას.⁷⁰⁰ დადგენილების მიღებიდან სამ დღეში მასში პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლობის კვოტებს ადგენს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი და ამტკიცებს ბიურო.⁷⁰¹ კომისიის ოპერატიულად ფორმირება მის ეფექტიანობას ზრდის. ამიტომ, პროცედურის გამარტივების მიზნით, უმჯობესია, საგამოძიებო კომისიის კვოტირების მონაცემები (იმ შემთხვევისთვის, როდესაც კომისიაში ოპოზიცია და უმრავლესობა 50/50-ზე იქნებიან წარმოდგენილნი) საპარლამენტო კომიტეტების ფორმირების ეტაპზე განისაზღვროს.⁷⁰²

კვოტების განსაზღვრის შემდგომი ნაბიჯი საპარლამენტო სუბიექტების მიერ საკუთარი წევრების დანიშნაა,⁷⁰³ რასაც ცნობად იღებს ბიურო.⁷⁰⁴ საქართველოს საპარლამენტო ცხოვრებისთვის უმჯობესია, თუ კომისიის პერსონალურ შემადგენლობას (იმ შემთხვევისთვის, როდესაც კომისიაში ოპოზიცია და უმრავლესობა 50-50-ზე იქნებიან წარმოდგენილნი) კენჭს პარლამენტი უყრის, კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების მხარდაჭერასთან ერთად.

8.4.3. უფლებამოსილების ვადა

კომისია იქმნება 3 თვის ვადით,⁷⁰⁵ რომლის გაგრძელებაც შესაძლებელია,⁷⁰⁶ თუმცა, საერთო ჯამში, მისი მუშაობა 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.⁷⁰⁷ ამასთან, თუ პარ-

⁶⁹⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶⁹⁶ იქვე.

⁶⁹⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶⁹⁸ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 105.

⁶⁹⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 62-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷⁰⁰ იქვე, 1-ლი პუნქტი.

⁷⁰¹ იქვე, მე-2 პუნქტი.

⁷⁰² მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 105.

⁷⁰³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 62-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁷⁰⁴ იქვე, მე-5 პუნქტი.

⁷⁰⁵ იქვე, 66-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷⁰⁶ იქვე, მე-2 პუნქტი.

⁷⁰⁷ იქვე, 1-ლი პუნქტი.

ლამენტის არჩევნებამდე დარჩენილია 3 თვეზე ნაკლები, კომისიის შექმნა დაუშვებელია.⁷⁰⁸ არჩევნებამდე 3 თვით ადრე მას უფლებამოსილება უწყდება.⁷⁰⁹

გავრცელებული მიდგომის თანახმად, საგამოძიებო კომიტეტის ფუნქციონირების ხანგრძლივობას რეგლამენტი წინასწარ არ ადგენს და ის ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში თავად საკანონმდებლო ორგანოს მიერ განისაზღვრება.⁷¹⁰

„ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის მოდელის მქონე ქვეყნები: მაგალითად, ბულგარეთსა და ლიეტუვაში უფლებამოსილების ვადას განსაზღვრავს არა რეგლამენტი, არამედ თავად საკანონმდებლო ორგანო. ხორვატიაში საგამოძიებო კომისიის ვადა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები და 6 თვეზე მეტი. საპარლამენტო მმართველობის მქონე ქვეყნებიდან საბერძნეთის პარლამენტის რეგლამენტი არ აზუსტებს საგამოძიებო კომიტეტის მიერ საბოლოო ანგარიშის წარდგენის ბოლო ვადას და მას თავად საკანონმდებლო ორგანო კომისიის შექმნის დროს მიღებული რეზოლუციის საფუძველზე განსაზღვრავს. ესტონეთის რიიგიკოგუსა და უნგრეთის ეროვნული ასამბლეის რეგლამენტებსაც იდენტური მიდგომა აქვთ. ლატვიის სეიმში ფორმირებული საგამოძიებო ორგანოს მოქმედების დრო კომიტეტის შექმნის შესახებ წინადადებას უნდა განსაზღვროს. თუ ეს უკანასკნელი არ ადგენს კონკრეტულ ვადას, მიიჩნევა, რომ კომიტეტი შექმნილია 3 თვის ვადით, რომელიც შესაძლებელია განხანგრძლივდეს სეიმის გადაწყვეტილებით“.⁷¹¹ ესპანეთში კომისია იქმნება გარკვეული დავალების შესასრულებლად და უფლებამოსილება უწყდება მისი შესრულების შემდეგ.⁷¹² იტალიის დეპუტატთა პალატისა და გერმანიის ბუნდესტაგის შემთხვევაში დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადა არ არის დადგენილი. შესწავლილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ 5 სახელმწიფოში დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადას შექმნისას განსაზღვრავს თავად პარლამენტი, 1-ში კი - ინიციატორი. 1 სახელმწიფოში ის იქმნება 2-იდან 6 თვემდე ვადით, 1-ში - დავალების შესრულებამდე, 2-ში კი ვადების საკითხი არ რეგულირდება. ამდენად, განხილულ ქვეყნებში, ზოგადი მიდგომის თანახმად, რეგლამენტი არ ადგენს საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ხანგრძლივობას. ნაცვლად ამისა, ფუნქციონირების პერიოდი განისაზღვრება თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე, ან დამოკიდებულია ამოცანის შესრულებაზე. საია ეთანხმება ამ მიდგომას და მიიჩნევს, რომ **კომისიის მოქმედების ვადა უნდა გამომდინარეობდეს მოცემული საჭიროებიდან და არ უნდა იყოს ხისტად შეზღუდული, როგორც ეს ღელსაა.**⁷¹³

8.4.4. მოწმის დაბარების და ინფორმაციის გამოთხოვნის კვორუმი

კომისია გადაწყვეტილებას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს.⁷¹⁴ მმართველი გუნდისა და ოპოზიციის მიმართება ამ მექანიზმში, როგორც წესი, 50/50-ზეა,⁷¹⁵ რაც სახელისუფლებო ძალას კომისიის მუშაობის პარალიზების საშუალებას აძლევს.⁷¹⁶ მას შეუძლია დაბლოკოს ნებისმიერი ინიციატივა დოკუმენტების

⁷⁰⁸ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁷⁰⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 66-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷¹⁰ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 106.

⁷¹¹ იქვე.

⁷¹² Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, section 51.

⁷¹³ იქვე.

⁷¹⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 68-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷¹⁵ იქვე, 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷¹⁶ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 107.

გამოთხოვნისა და მოწმეების დაკითხვის შესახებ.⁷¹⁷ ამგვარად, ოპოზიციას, ერთი მხრივ, ენიჭება უფლებამოსილება, შექმნას კომისია, თუმცა, მეორე მხრივ, უმრავლესობას რჩება მისი არარად ქვევის ბერკეტები.⁷¹⁸ ამიტომ, **მნიშვნელოვანია, ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება მიეცეს კომისიის წევრთა იმ რაოდენობას, რომელიც მის შესაქმნელად არის საჭირო, ხოლო უმრავლესობა მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს იყოს აუცილებელი.**⁷¹⁹

8.4.5. კომისიის დავალების შეუსრულებლობა

კომისიის დავალების შეუსრულებლობისთვის სათანადო სანქციების არარსებობა ამ ინსტრუმენტის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად შეამცირებს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, რომელიც განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების ორმოცდაათი მინიმალური ოდენობით.⁷²⁰ გარდა ამისა, დავალების შეუსრულებლობისთვის,⁷²¹ მისთვის ცრუ ახსნა-განმარტებების მიცემისა⁷²² და კომისიის მონაცემების სათანადო ნებართვის გარეშე განმარტებისთვის⁷²³ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. დავალების შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმების დისპოზიცია იდენტურია, რაც შეუძლებელს ხდის იმის გამიჯვნას, თუ როდის უნდა იყოს გამოყენებული ადმინისტრაციული სანქცია და როდის - სისხლისსამართლებრივი.

„შესწავლილი ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის მოდელის მქონე ქვეყნებიდან ხორვატიაში, თუ საგამოძიებო კომისიის მოთხოვნა ინფორმაციის წარდგენას ან მოწმის გამოცხადებასთან დაკავშირებით არ შესრულდა, პირი დაჯარიმდება 6,700-135,100 ევროს ოდენობით, ან შეიძლება დაპატიმრდეს 6 თვიდან 5 წლამდე ვადით. ლიეტუვის კანონმდებლობის თანახმად, კომისიას პოლიციის ძალის გამოყენებით შეუძლია საჭირო მასალების მიღება. მას უფლება აქვს, საჭირო დოკუმენტების გამოთხოვნა სამართალდამცავებს დაავალოს. თუმცა, ამ შემთხვევაში პოლიციას ხელი არ მიუწვდება სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, აგრეთვე, ინფორმაციაზე, რომელიც სადაზვერვო საქმიანობას უკავშირდება. ბულგარეთის კანონმდებლობა საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის იძულების მექანიზმის გამოყენებას არ ითვალისწინებს. საპარლამენტო სისტემებიდან სუსტ მექანიზმს გვთავაზობს უნგრეთისა და ესტონეთის რეგლამენტები. უნგრეთში, თუ შესაბამისი პირი ან ორგანო საგამოძიებო კომიტეტის მოთხოვნებს არ შეასრულებს, პლენარული სხდომის თავმჯდომარე ამ ფაქტს საჯაროდ აცხადებს. ესტონეთში კი საგამოძიებო კომიტეტის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობა მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლება, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობით რეგულირდება. ლა-

⁷¹⁷ იქვე.

⁷¹⁸ იქვე.

⁷¹⁹ იქვე.

⁷²⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 173³-ე მუხლი. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, მინიმალური ხელფასის ოდენობა შეადგენს 40 ლარს. იხ. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულება „მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ“, 1-ლი მუხლი.

⁷²¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 349-ე მუხლი.

⁷²² იქვე, 350-ე მუხლი.

⁷²³ იქვე, 351-ე მუხლი.

ტვიპში საგამოძიებო კომიტეტი, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღჭურვილია მექანიზმით, მოთხოვნის აღსრულება პოლიციას დაავალოს. საბერძნეთში საგამოძიებო კომისიის საქმიანობისთვის საჭირო მოწმის წარმოდგენა პროკურატურის კომპეტენციაში გადადის”.⁷²⁴ ესპანეთის კონსტიტუციის თანახმად, კომისიის წინაშე გამოუცხადებლობა ისჯება.⁷²⁵ ამ შემთხვევაში გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის დაუმორჩილებლობის მუხლი.⁷²⁶ თუ კომისიის წინაშე დაბარებულია საჯარო მოხელე, გამოუცხადებლობა დამატებით ისჯება თანამდებობიდან გათავისუფლებით და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 6 თვიდან 2 წლამდე ვადით.⁷²⁷ გერმანიაში კანონიერი მიზეზის გარეშე ჩვენების მიცემაზე უარი ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით 10,000 ევრომდე.⁷²⁸ ამასთან, კომისიის წევრთა 1/4-ის მოთხოვნის საფუძველზე, ფედერალური სასამართლოს მოსამართლეს შეუძლია, ჩვენების მიცემის იძულების მიზნით, პირს შეუფარდოს პატიმრობა არაუმეტეს 6 თვის ვადით.⁷²⁹ ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს კომისიის მუშაობის დროს.⁷³⁰ ამდენად, შესწავლილი ქვეყნების მიდგომა იდენტური არ არის. კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის 2-2 სახელმწიფოში გათვალისწინებული, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის, ხოლო მეორე მხრივ, ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობა. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ პასუხისმგებლობის ორივე ფორმა ერთდროულად არსად არ არსებობს. საპოლიციო ძალით კომისიის მოთხოვნის შესრულება გამოიყენება 3 სახელმწიფოში. 1-გან მხოლოდ პარლამენტში ცხადდება დარღვევის შესახებ. 1 სახელმწიფო კი საერთოდ არ იცნობს იძულების მექანიზმებს.

გასათვალისწინებელია, რომ ერთი და იმავე ქმედებისთვის ორი სხვადასხვა ტიპის სანქციის დაწესება არ არის მისაღები პრაქტიკა. ერთი მხრივ, მისასალმებელია კომისიისთვის ცრუ ახსნა-განმარტების მიცემისა და მისი მონაცემების სათანადო ნებართვის გარეშე განმარტების კრიმინალიზება, რაც ამ მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებას ისახავს მიზნად. თუმცა, ვინაიდან სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები კომისიის დავალების შეუსრულებლობისთვის შეიცავს ნორმებს იდენტური დისპოზიციით, შეუძლებელია მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამიტომ, **საჭიროა ამ ორი ნორმიდან რომელიმეს გაუქმება, რათა კომისიის დავალების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იყოს ან მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ან მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით.**

⁷²⁴ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 109-110.

⁷²⁵ Constitution of Spain, Art. 76, cl. 2.

⁷²⁶ Criminal Code of Spain, Article 502 (1).

⁷²⁷ იქვე.

⁷²⁸ Act regulating the law governing Committees of Inquiry of the German Bundestag (Committees of Inquiry Act – Untersuchungsausschussgesetz), Art. 27, cl. 1.

⁷²⁹ იქვე, Art. 27, cl. 2.

⁷³⁰ იქვე.

9. შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროები

9.1. მთავრობის განახლება

კონსტიტუციის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანო კაბინეტის სრულ შემადგენლობას უცხადებს ნდობას, მთავრობის შემდგომი განახლების პროცესში კი ჩართული არ არის.⁷³¹ ამ შემთხვევაში, ინდივიდუალური მინისტრის ან მთელი კაბინეტისთვის ხელახალი ნდობის გამოცხადების ვალდებულება არ არის გათვალისწინებული.

მთავრობის განახლების დროს საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობის ხარისხი, როგორც წესი, თავად მთავრობის დაკომპლექტების პროცესის ანარეკლია. კერძოდ, ვის უცხადებს ნდობას პარლამენტი - მთავრობის შემადგენლობას კოლექტიურად თუ პრემიერმინისტრს ინდივიდუალურად - განსაზღვრავს კიდევ იმას, საჭიროებს თუ არა ახალი მინისტრების დანიშვნა საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან თანხმობას.⁷³² ჩვეულებრივ, საკონსტიტუციო-სამართლებრივი ლოგიკა ასეთია: თუ ნდობას მთელი კაბინეტი იღებს, მაშინ მისი შემადგენლობის ცვლილების დროსაც აუცილებელია პარლამენტის ჩართულობა, ხოლო თუ საკანონმდებლო ორგანომ ნდობით მხოლოდ მთავრობის ხელმძღვანელი აღჭურვა, მაშინ იგულისხმება, რომ კაბინეტის ყოველი ახალი წევრის დანიშვნაზე ექსკლუზიურობის კომპონენტი მასვე გადასცა.⁷³³

შესწავლილი სახელმწიფოების უმრავლესობაც სწორედ ამ ლოგიკას მიჰყვება. ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის მქონე ქვეყნებიდან, ბულგარეთში, ხორვატიაში, ლიეტუვასა და სლოვაკეთში ნდობას კაბინეტის სრული შემადგენლობა იღებს, თუმცა მისი განახლება სხვადასხვა ფორმით ხდება.⁷³⁴ კერძოდ, ბულგარეთსა და ხორვატიაში აუცილებელია სამთავრობო ცვლილებების დადასტურება საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან.⁷³⁵ ლიეტუვაში კაბინეტი ხელახალ ნდობას მაშინ საჭიროებს, თუ მისი თავდაპირველი შემადგენლობის ნახევარზე მეტი შეიცვლება (მანამდე მინისტრების დანიშვნა-გათავისუფლება, ფორმალურად, პრეზიდენტის მიერ, პრემიერის წინადადების საფუძველზე ხორციელდება).⁷³⁶ სლოვაკეთის კონსტიტუციის თანახმად კი, მინისტრებს, პრემიერის რეკომენდაციით, სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს და ათავისუფლებს (ამ შემთხვევაშიც მისი როლი ფორმალურია).⁷³⁷ რაც შეეხება ფინეთს, აქ საკანონმდებლო ორგანო ნდობას უშუალოდ მთავრობის თავმჯდომარეს უცხადებს, მინისტრებს კი, ფორმალურად, ქვეყნის პირველი პირი ნიშნავს და ათავისუფლებს, კაბინეტის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე.⁷³⁸

საპარლამენტო ქვეყნებიდან, ინდივიდუალურად პრემიერმინისტრს უცხადებენ ნდობას ესტონეთსა და უნგრეთში.⁷³⁹ ამის შემდგომ, მინისტრების დანიშვნისა და გათავისუფლების პროცესში პარლამენტი არ არის ჩართული.⁷⁴⁰ ასეთივე მოწეს-

⁷³¹ საქართველოს კონსტიტუცია, 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი; 55-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁷³² მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 121.

⁷³³ იქვე.

⁷³⁴ იქვე.

⁷³⁵ იქვე.

⁷³⁶ იქვე.

⁷³⁷ იქვე.

⁷³⁸ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 121.

⁷³⁹ იქვე, გვ. 122.

⁷⁴⁰ იქვე.

რიგებაა დადგენილი ესპანეთის⁷⁴¹ და გერმანიის⁷⁴² კონსტიტუციებით. ნდობას იტალიაში მთელი მთავრობა იღებს,⁷⁴³ ნებისმიერი მინისტრის ცვლილებას კაბინეტისთვის ხელახალი ნდობის გამოცხადება მოჰყვება.⁷⁴⁴ ლატვიაში საკანონმდებლო ორგანო (სეიმი) მთავრობის ერთიან შემადგენლობას აკომპლექტებს, მინისტრების გადაყენება კაბინეტის მეთაურის პრეროგატივაა,⁷⁴⁵ თუმცა ახალი მინისტრი საკანონმდებლო ორგანოს ნდობით უნდა სარგებლობდეს.⁷⁴⁶ საქართველოს მსგავსი მიდგომა საბერძნეთშია დამკვიდრებული, სადაც ნდობას მთელი კაბინეტი იღებს, შემდგომი ცვლილებების პროცესში კი პარლამენტი ჩართული არ არის.⁷⁴⁷

როგორც ზემოთ განხილული პრაქტიკა მოწმობს, კაბინეტისთვის პირველადი ნდობის გამოცხადებისა და განახლების პროცედურები ურთიერთკავშირშია (4 ქვეყანაში ნდობას პარლამენტი მთავრობას უცხადებს და ნებისმიერი განახლება ასევე მისგან მოითხოვს დადასტურებას, ხოლო 5-ში ნდობას პრემიერი იღებს, რომელიც კაბინეტის დაკომპლექტებისა და განახლების დროს თავისუფალია). გამონაკლისი მხოლოდ სლოვაკეთი, საბერძნეთი და, ნაწილობრივ, ლიეტუვაა. თუ თავიდან, კაბინეტის დაკომპლექტების დროს, საკანონმდებლო ორგანოს მხარდაჭერა ერთიან კაბინეტს, ყველა მინისტრს სჭირდება, ამ მთლიანობის დარღვევის, კაბინეტის წევრთა ჩანაცვლების შემდეგ ნდობის ხელახლა დადასტურების საჭიროება ლოგიკურია. ამრიგად, აუცილებელია, **სამთავრობო კაბინეტში თითოეული ცვლილება პარლამენტის ნდობით სარგებლობდეს.**⁷⁴⁸

9.2. ცალკეული მინისტრის პოლიტიკური პასუხისმგებლობა

კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს კაბინეტის წევრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მექანიზმს. ეს ცალკეული მინისტრისთვის უნდობლობის გამოცხადებაა, რის შემდეგაც შესაბამისმა პირმა თანამდებობა უნდა დატოვოს.⁷⁴⁹ ამით განსხვავდება ის საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებისგან, რომელსაც სარეკომენდაციო შინაარსი აქვს.⁷⁵⁰

ეს მექანიზმი დამკვიდრებულია საკვლევ სახელმწიფოთა უმრავლესობაში - ის ნახევრად საპრეზიდენტო მოდელის ქვეყნებიდან მხოლოდ ბულგარეთში,⁷⁵¹ საპარლამენტოებიდან კი უნგრეთში,⁷⁵² ესპანეთში, გერმანიასა და იტალიაში არ ფიქსირდება. სხვა სახელმწიფოებში, პირველი ჯგუფის ქვეყნებიდან, „ხორვატიაში პარლამენტის მიერ მთავრობის წევრისთვის უნდობლობის გამოცხადება პრემიერმინისტრს ავალდებულებს, პარლამენტს ნდობის მისაღებად წარუდგინოს მინისტრობის ახალი კანდიდატი. სლოვაკეთში, ლიეტუვასა და ფინეთშიც მინისტრისთვის უნდობლობის გამოცხადება მისი თანამდებობიდან გარდაუვალი გათავისუფლების წინაპირობაა. საპარლამენტო ქვეყნებიდან ესტონეთში პარლამენტის მიერ კონკრეტული მინისტ-

⁷⁴¹ The Constitution of Spain, art. 99, cl. 1; art. 100.

⁷⁴² Basic Law for the Federal Republic of Germany, art. 63; 64.

⁷⁴³ The Constitution of Italy, art. 94.

⁷⁴⁴ Bulmer E., დასახელებული ნაშრომი, პ. 8.

⁷⁴⁵ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 122.

⁷⁴⁶ იქვე.

⁷⁴⁷ იქვე.

⁷⁴⁸ იქვე.

⁷⁴⁹ იქვე, გვ. 127.

⁷⁵⁰ იქვე.

⁷⁵¹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 127.

⁷⁵² იქვე.

რისთვის უნდობლობის გამოცხადების გადაწყვეტილებას აუცილებლად მოჰყვება თანამდებობიდან მისი გათავისუფლება. იგივე წესია საბერძნეთსა და ლატვიაშიც.⁷⁵³

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია საკანონმდებლო ორგანოს ამ ბერკეტით არ აღჭურავს, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს მის ეფექტიანობას ზედამხედველობის თვალსაზრისით. ცხადია, უმრავლესობაში მყოფ დეპუტატებს აქვთ ბერკეტი, სურვილის შემთხვევაში, მთელი კაბინეტი გადააყენონ, მაგრამ ამგვარი ვითარება პრემიერს აძლევს შესაძლებლობას, მთავრობის ერთიანობის ინსტიტუციურ გარანტიას ამოეფაროს და კანონმდებლებს აჰკიდოს პოლიტიკური ტვირთი ადმასრულებელი ხელისუფლების ბირთვის ჩანაცვლების მცდელობით გამოწვეულ შესაძლო რყევებზე. ამიტომ, **სასურველია, კონსტიტუციის ტექსტში შევიდეს ცვლილება და პარლამენტს მიენიჭოს მინისტრისთვის ინდივიდუალური პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილება**,⁷⁵⁴ რაც ურჩ პრემიერ-მინისტრს არ მისცემს კრიზისული ვითარებიდან მომდინარე ნეგატიური შედეგების ხალხზე გადაკისრების საშუალებას.

თუმცა, კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებების შეტანამდე უნდა გაუქმდეს რეგლამენტით დამკვიდრებული ის ნორმა, რომელიც პარლამენტს ცალკეული მინისტრის პასუხისმგებლობის შესახებ პოლიტიკური პოზიციის გამოხატვის უფლებას უზღუდავს.⁷⁵⁵ კერძოდ, პარლამენტს შეუძლია, მიიღოს დადგენილება ან რეზოლუცია, ან სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს მიმართოს მის დაქვემდებარებაში მყოფი პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ,⁷⁵⁶ თუ ეს უკანასკნელი: „ა) მოწვეულია პარლამენტში საკითხის განხილვაზე და არ ცხადდება; ბ) არღვევს პარლამენტის წევრის კითხვაზე/შეკითხვაზე პასუხის გაცემისთვის დაწესებულ პროცედურას; გ) პარლამენტს აწოდებს დამახინჯებულ ან არასწორ ინფორმაციას; დ) არ ასრულებს პარლამენტის დადგენილებებსა და რეკომენდაციებს; ე) დაბრკოლებებს უქმნის პარლამენტის წევრს რეგლამენტითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში.“⁷⁵⁷ რეგლამენტი პასუხისმგებლობის ადრესატთა წრიდან მთავრობის წევრს გამოირიცხავს.⁷⁵⁸ შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს არათუ მავალელებელი ბერკეტი არ აქვს ცალკეული მინისტრის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დასაყენებლად, არამედ პრემიერისთვის სარეკომენდაციო ხასიათის მოწოდებაც კი არ შეუძლია, რაც საპარლამენტო სუვერენიტეტის უხეში დარღვევაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შეიცვალოს რეგლამენტის ის ნორმა, რომელიც რეაგირების ზომების ადრესატთა წრიდან მთავრობის წევრს გამორიცხავს.⁷⁵⁹ ეს საკანონმდებლო ორგანოს შესაძლებლობას მისცემს, არასავალდებულო წესით მიმართოს პრემიერს ცალკეული მინისტრის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დასაყენებლად.

⁷⁵³ იქვე, გვ. 128.

⁷⁵⁴ იქვე.

⁷⁵⁵ იქვე.

⁷⁵⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 226-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁷⁵⁷ იქვე, 226-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁵⁸ იქვე.

⁷⁵⁹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 129.

9.3. უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმი

უნდობლობის საკითხის აღძვრის უფლება 51 დეპუტატს აქვს (პარლამენტის წევრთა 1/3-ზე მეტი),⁷⁶⁰ პროცედურის დასრულებისთვის კი მაქსიმალური 14-დღიანი ვადაა გათვალისწინებული (ამას ემატება 2 დღე პრეზიდენტის მხრიდან პრემიერმინისტრის და, ასევე, 2 დღე ამ უკანასკნელის მიერ მინისტრების დანიშვნისთვის).⁷⁶¹ აღსანიშნავია, რომ ეს პროცედურა საქართველოში არასოდეს ინიცირებულა.

საკვლევ ქვეყნებში უნდობლობის აღსაძვრელად საჭირო დეპუტატთა რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს შემთხვევისგან. კერძოდ, „ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის ქვეყნებიდან, ხორვატიის, ბულგარეთის, სლოვაკეთის, კონსტიტუციები და ლიეტუვის რეგლამენტი უნდობლობის საკითხის დასასმელად წევრთა 1/5-ს ითვალისწინებენ. ფინეთის მოწესრიგება თავისებურია: აქ ამის უფლება ნებისმიერ წევრს აქვს, თუმცა ამ შესაძლებლობას კონსტიტუცია ორ შემთხვევას უკავშირებს - ინტერპელაციის (რომელსაც არანაკლებ ოცი წევრი წარადგენს, რაც საერთო რაოდენობის 1/10-ს შეადგენს) და მთავრობის ანგარიშების მოსმენის დროს მიმდინარე დებატებს. ასეთ დროს დეპუტატს შეუძლია, დააყენოს უნდობლობის წინადადება (motion of no confidence). საპარლამენტო ქვეყნებიდან, უნგრეთისა და ესტონეთის კონსტიტუციებით, უნდობლობის პროცედურის აღძვრისთვის წევრთა 1/5-ია საჭირო. საბერძნეთის კონსტიტუციის თანახმად, ამგვარი მოთხოვნის დაყენება წევრთა 1/6-ს შეუძლია, ლატვიის პარლამენტის რეგლამენტით კი დეპუტატთა 1/10-ია განსაზღვრული (ასევე, ეს უფლებამოსილება კომიტეტებსაც გააჩნია).“⁷⁶² დეპუტატთა 1/10-ია დადგენილი იტალიისა⁷⁶³ და ესპანეთის⁷⁶⁴ კონსტიტუციებითაც. რაც შეეხება გერმანიას, აქ მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს ბუნდესტაგის წევრთა 1/4-ს ან ფრაქციას.⁷⁶⁵ შესწავლილი პრაქტიკის მიხედვით, 6 სახელმწიფოში უნდობლობის პროცედურის დასაწყებად საჭიროა პარლამენტის წევრთა 1/5, 3-ში - 1/10, ხოლო თითო-თითოში - 1/6 და 1/4. ამასთან, ერთ სახელმწიფოში უნდობლობის პროცედურა მიბმულია ინტერპელაციასა და მთავრობის ანგარიშებზე. ერთი სახელმწიფო კი ფრაქციასაც აძლევს უფლებას, საკითხი აღძვრას.

ქართული მოდელის მიხედვით, თუ საკანონმდებლო ორგანოს მიერ უნდობლობის გამოცხადების შემდეგ საკითხი ჩავარდება, პარლამენტის იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში ანალოგიური პროცედურის აღძვრა დაუშვებელია.⁷⁶⁶ მსგავსი ჩანაწერი დეპუტატებს წლის განმავლობაში უნდობლობის საკითხის მაქსიმუმ 2-ჯერ ინიცირების შესაძლებლობას ანიჭებს (ისიც, პარლამენტის წევრთა განსხვავებული ჯგუფის მიერ).

ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის რესპუბლიკებიდან ამის მსგავსი ჩანაწერი ბულგარეთსა და ხორვატიაშია. პირველ შემთხვევაში, კონსტიტუცია საერთოდ გამორიცხავს დეპუტატთა ნებისმიერი ჯგუფის მიერ ხელმეორედ, მომდევნო 6 თვის განმავლობაში, უნდობლობის საკითხის ინიცირების შესაძლებლობას.⁷⁶⁷ ხორვატიაში კი საქართველოს იდენტური რეგულირებაა.⁷⁶⁸ ლიეტუ-

⁷⁶⁰ საქართველოს კონსტიტუცია, 57-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁶¹ იქვე, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷⁶² მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 130.

⁷⁶³ The Constitution of Italy, art. 94.

⁷⁶⁴ The Constitution of Spain, art. 113, cl. 2.

⁷⁶⁵ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, art. 97, cl. 1.

⁷⁶⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 57-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁷⁶⁷ The Constitution of Bulgaria, art. 89, cl. 3.

⁷⁶⁸ The Constitution of Croatia, art. 115, cl. 6.

ვაში, სლოვაკეთსა და ფინეთში მსგავსი წესი არ არსებობს. საპარლამენტო ქვეყნებიდან შეზღუდვები გათვალისწინებულია საბერძნეთის, ესტონეთისა და ესპანეთის კონსტიტუციებით. კერძოდ, საბერძნეთის კონსტიტუცია, ბულგარეთის მსგავსად, ზოგადად, გამორიცხავს უნდობლობის წარუმატებელი პროცედურის შემდეგ, მომდევნო 6 თვის განმავლობაში, იმავე პროცესის ინიცირების შესაძლებლობას.⁷⁶⁹ მსგავსი მითითებებია ესტონეთსა და ესპანეთშიც, იმ განსხვავებით, რომ პირველი - შეზღუდვის დროდ 3 თვეს,⁷⁷⁰ მეორე კი - იმავე სასესიო პერიოდს ასახელებს.⁷⁷¹ მსგავსი შეზღუდვები არ ფიქსირდება უნგრეთის, ლატვიის, გერმანიისა და იტალიის კანონმდებლობებში. როგორც კომპარატივისტული ანალიზიდან ირკვევა, მეტადაა გავრცელებულ მიდგომა, სადაც საკანონმდებლო ორგანოს ნებისმიერ დროს შეუძლია მთავრობისა ან მისი ცალკეული წევრებისთვის უნდობლობის გამოცხადება (ამ ხედვას 7 ქვეყანა მისდევს, ხოლო 5 - გარკვეულ შეზღუდვებს შეიცავს). საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი კი არაგონივრულად ასუსტებს პარლამენტის მიერ ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას.

ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, უნდობლობის პროცედურა ისე მოეწყოს, რომ საკანონმდებლო ორგანოს მისი გამოყენების „შიში“ არ ჰქონდეს. **სასურველია, ერთი მხრივ, შემცირდეს უნდობლობის საკითხის დასმის ინიციატორთა წრე და ის წევრთა 1/5-ით განისაზღვროს,⁷⁷² მეორე მხრივ კი, გაუქმდეს პროცესის ხელმეორედ ინიცირებისთვის დადგენილი შეზღუდვები.**

9.4. შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრების სამართლებრივი პასუხისმგებლობა

კონსტიტუცია ითვალისწინებს მთავრობის წევრის იმპიჩმენტის შესაძლებლობას. პროცედურა შედგება როგორც სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური ნაწილისგან. კერძოდ, საკითხის აღძვრის უფლებამოსილება პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/3-ს აქვს, რაც შემდგომი დასკვნისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეცემა.⁷⁷³ ეს უკანასკნელი ადგენს, რამდენად იკვეთება მთავრობის წევრის ქმედებაში კონსტიტუციის დარღვევა ან დანაშაულის ნიშნები.⁷⁷⁴ მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, საბოლოო სიტყვას საკანონმდებლო ორგანო ამბობს: ის დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის საკითხს.⁷⁷⁵ მთავრობის წევრის იმპიჩმენტის წარმატებით დასრულებისთვის საჭიროა დეკლარატორი სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობა.⁷⁷⁶ მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ წამოწყებული პროცესი, უმრავლესობის წინააღმდეგობის გამო, ბოლომდე რომც ვერ მიიყვანოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მთავრობის წევრის ქმედების არაკონსტიტუციურად გამოცხადება უკვე მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს მის ხელში უმრავლესობაზე პოლიტიკური ზეწოლისთვის.

⁷⁶⁹ The Constitution of Greece, art. 84, cl. 2.

⁷⁷⁰ The Constitution of Estonia, art. 97.

⁷⁷¹ The Constitution of Spain, art. 113, cl. 4.

⁷⁷² მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 131-132.

⁷⁷³ საქართველოს კონსტიტუცია, 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷⁷⁴ იქვე, 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁷⁵ იქვე.

⁷⁷⁶ იქვე, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევაც, მთავრობის წევრის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან/და ქმედების ჩადენა, რომელშიც დანაშაულის ნიშნები არსებობს, მის მიმდინარე თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს რამდენად უნდა ემთხვეოდეს. შესწავლილი ქვეყნები მთავრობის იმპიჩმენტის საკითხს, იმ ფორმით, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციაშია გათვალისწინებული, არ იცნობენ. აქ უფრო მეტად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და მასზე თანხმობაზეა საუბარი.

ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის რესპუბლიკებიდან, უშუალოდ მთავრობის წევრის სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ ჩანაწერი ფიქსირდება ფინეთის კონსტიტუციაში. ამ შემთხვევაში საკითხი შესაბამის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებს მიემართება.⁷⁷⁷ საპარლამენტო ქვეყნებიდან იდენტური მიდგომა გვხვდება საბერძნეთისა⁷⁷⁸ და ესპანეთის⁷⁷⁹ კონსტიტუციებში. მათგან განსხვავებით, საკითხი არ არის დაკონკრეტებული ესტონეთის კონსტიტუციით.⁷⁸⁰

არანაკლებ, საინტერესოა იმ ქვეყნების მაგალითების განხილვაც, რომლებიც უშუალო დათქმას აკეთებენ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურაზე. კერძოდ, ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის რესპუბლიკებიდან ხორვატიაში,⁷⁸¹ ლიეტუვასა⁷⁸² და ბულგარეთში⁷⁸³ სავარაუდოდ დარღვევა შესაბამის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს. საპარლამენტო ქვეყნებიდან ანალოგიური წესი მოქმედებს საბერძნეთში,⁷⁸⁴ უნგრეთსა⁷⁸⁵ და იტალიაში.⁷⁸⁶ ეს საკითხი დაკონკრეტებული არ არის ნახევრად საპრეზიდენტო ქვეყნებიდან სლოვაკეთში (სადაც პრეზიდენტს მანდატი პლებისციტით, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით შეიძლება შეუწყდეს, რასაც წინ 3/5-ის თანხმობით მიღებული პარლამენტის რეზოლუცია უძღვის. აქ რამე მითითება სავარაუდოდ დარღვევას ან მის დროზე არ არსებობს),⁷⁸⁷ საპარლამენტო ქვეყნებიდან კი - გერმანიაში.⁷⁸⁸ როგორც ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით მიდგომა არაერთგვაროვანია. შესწავლილი სახელმწიფოებიდან 6-ში იმპიჩმენტის პროცედურა თანამდებობაზე ყოფნისას ჩადენილ დანაშაულს უკავშირდება, 2-ში კი არ რეგულირდება. თუმცა, ამკარად უფრო გავრცელებულ და მიღებულ პრაქტიკას იმპიჩმენტის პროცედურის შესაბამის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირება წარმოადგენს. ეს, სავარაუდოდ, პოლიტიკური ხელისუფალისთვის მეტი გარანტიების შექმნას ისახავს მიზნად, თუმცა, როდესაც უზენაესი კანონი, საქართველოს მსგავსად, საკუთარ მიდგომას ცხადად არ აფიქსირებს, მხედველობაში უნდა მიიღებოდეს ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობის მექანიზმები, პოლიტიკური და სამართლებრივი ბერკეტები და კონსტიტუციური წესრიგის განმსაზღვრელი სხვა მდგენელები. საქართველოს შემთხვევაში ნათელი არ არის უზენაესი კანონის გადაწყვეტა, ამიტომ ამ საკითხზე ცალსახა პოზიციის დაფიქსირება რთულია.

⁷⁷⁷ The Constitution of Finland, art. 114.

⁷⁷⁸ The Constitution of Greece, art. 49, cl. 1 and art. 86, cl. 1.

⁷⁷⁹ The Constitution of Spain, art. 101, cl. 2.

⁷⁸⁰ The Constitution of Estonia, art. 101.

⁷⁸¹ The Constitution of Croatia, art. 105.

⁷⁸² The Constitution of Lithuania, art. 74.

⁷⁸³ The Constitution of Bulgaria, art. 103.

⁷⁸⁴ The Constitution of Greece, art. 49, cl. 2.

⁷⁸⁵ The Constitution of Hungary, art. 113, cl. 2.

⁷⁸⁶ The Constitution of Italy, art. 90.

⁷⁸⁷ The Constitution of Slovakia, art. 106.

⁷⁸⁸ The Basic Law of Germany, art. 61.

10. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

10.1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშნვა სუს-ის უფროსის უფლებამოსილების ვადა 6 წელია.⁷⁸⁹ კანონი მხოლოდ მის კომპეტენციას (უმაღლესი განათლება, სამართალდამცავ ორგანოში მუშაობის მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება), ასაკობრივ (მინიმუმ 35 წელი), მოქალაქეობრივ (საქართველოს მოქალაქე) და სხვა ცენზებს (ქმედუნარიანობა, სახელმწიფო ენის ცოდნა) განსაზღვრავს.⁷⁹⁰ ამასთან, დადგენილია ისეთი საქმიანობის შეზღუდვის სტანდარტები, როგორცაა, პოლიტიკური პარტიის წევრობა; პოლიტიკური საქმიანობა; ანაზღაურებადი საქმიანობა (გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა); თანამდებობის დაკავება კერძო ან საჯარო სამსახურში.⁷⁹¹ გარდა ამისა, ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა არ შეიძლება.⁷⁹²

პრემიერმინისტრი არჩევს და მთავრობას წარუდგენს კანდიდატურას მოქმედი უფროსის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 2 თვისა და არაუგვიანეს 8 კვირაში;⁷⁹³ შესაბამისად, კანდიდატთა მონაცემების საფუძვლიანი განხილვის და პროცესის დაჩქარებულად ჩატარების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, შეჩვენება დადგენილ ვადაზე ადრე დაიწყოს.⁷⁹⁴

მთავრობა, პრემიერმინისტრის მიერ კანდიდატურის მისთვის წარდგენიდან 1 კვირის ვადაში იღებს განკარგულებას პარლამენტისთვის მისი წარდგენის შესახებ.⁷⁹⁵ თუ კაბინეტმა კანდიდატს მხარი არ დაუჭირა, მისი ხელმძღვანელი 3 კალენდარული დღის ვადაში თავიდან წარადგენს იმავე ან სხვა პირს. მთავრობა უფლებამოსილია, ორივეჯერ უარყოს შემოთავაზება.⁷⁹⁶ ამ შემთხვევაში, პრემიერი ვალდებულია, წამოაყენოს ახალი კანდიდატურა.⁷⁹⁷

რეგლამენტის თანახმად, საკანონმდებლო ორგანო სუს-ის უფროსს სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს.⁷⁹⁸ თუ საკმარისი ხმები ვერ მოგროვდა, პროცესი კვლავ მთავრობაში დაბრუნდება და პრემიერმინისტრი ჯერ კოლეგებს წარუდგენს იმავე ან სხვა პირს დასამტკიცებლად, კაბინეტის მიერ მოწონების შემთხვევაში კი კენჭს უყრის პარლამენტი.⁷⁹⁹ თუ მეორე ცდაზეც ვერ მოგროვდა ხმათა საჭირო რაოდენობა, მაშინ კაბინეტის ხელმძღვანელი ვალდებულია, აარჩიოს სხვა პირი და ის წარუდგინოს მთავრობას დასამტკიცებლად.⁸⁰⁰ პარლამენტი პლენარულ სხდომაზე იხილავს და უსმენს პრეტენდენტს.⁸⁰¹

საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ორგანომ სუს-ის უფროსად განაწესა გრიგოლ ლილუაშვილი.⁸⁰² კენჭისყრა განხილვისა და ყოველგვარი დისკუსიის გარე-

⁷⁸⁹ საქართველოს კანონი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ, მე-7 მუხლის მე-11 პუნქტი.

⁷⁹⁰ იქვე, მე-7 და მე-8 მუხლები.

⁷⁹¹ იქვე.

⁷⁹² იქვე, მე-7 მუხლის მე-12 პუნქტი.

⁷⁹³ იქვე, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷⁹⁴ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 158.

⁷⁹⁵ საქართველოს კანონი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁹⁶ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 158.

⁷⁹⁷ საქართველოს კანონი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁷⁹⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁷⁹⁹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 159.

⁸⁰⁰ იქვე.

⁸⁰¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁸⁰² პარლამენტმა სუს-ის ხელმძღვანელად გრიგოლ ლილუაშვილი დამატკიცა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/parlamentma-sus-is-khelmdzghvanelad-grigol-lilushvili-daamtka/>, განახლებულია: 02.12.2019.

შე ჩატარდა.⁸⁰³ აღსანიშნავია, რომ რეგლამენტი ზოგიერთი თანამდებობის პირის არჩევასთან დაკავშირებით მიუთითებს განხილვის გარეშე კენჭისყრის შესაძლებლობაზე. ასეთი მოწესრიგებაა დადგენილი, მაგალითად, საპროკურორო საბჭოს წევრების არჩევის შემთხვევაში.⁸⁰⁴ სუს-ის უფროსის არჩევასთან მიმართებით მსგავსი ჩანაწერი არ არის გათვალისწინებული. ზოგადი წესის თანახმად კი, პარლამენტი მას პირველი მოსმენით დადგენილი წესით ირჩევს,⁸⁰⁵ რაც კითხვა-პასუხსა და დისკუსიას გულისხმობს.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ შემუშავებული შესაბამისი დასკვნიდან ირკვევა, რომ კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, სუს-ის უფროსის დამტკიცება პლენარულ სხდომაზე განხილვის გარეშე მომხდარიყო.⁸⁰⁶ აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ორგანომ ამ პროცესის წარმართვისას ორი პრობლემური გადაწყვეტილება მიიღო. პირველი, კომიტეტმა არასწორად განმარტა რეგლამენტი. ეს უკანასკნელი ნათლად მიუთითებს, რომ დასკვნაში კანდიდატი უნდა შეფასდეს და არა ის, პლენარულ სხდომაზე კენჭისყრას განხილვა უნდა უძღოდეს წინ თუ არა.⁸⁰⁷ მეორე, შეუძლებელია ამ ნორმების იმგვარად ინტერპრეტირება, რომელიც კომიტეტის დასკვნისა და ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე კანდიდატის პირველი მოსმენით დადგენილი პროცედურით დამტკიცების ვალდებულებას გამორიცხავს. ამდენად, გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურის განხილვის გარეშე დამტკიცება (პლენარულ სხდომაზე) რეგლამენტის დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

პროცედურის მიხედვით, გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოში აბსოლუტური უმრავლესობით მიიღება, ხოლო კანდიდატურას მმართველი გუნდის ლიდერი, პრემიერი აბსოლუტური დისკრეციის ფარგლებში წარადგენს. ეს წესი ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკურად ნეიტრალური გადაწყვეტილების მიღებას. ის კარგ საფუძველს ქმნის უმრავლესობისადმი ლოიალური პირის დანიშვნისთვის, რაც ხელისუფლების ცვლის შემთხვევაში, თავის მხრივ, უსაფრთხოების სექტორისა და ახალი მმართველი გუნდის პოლიტიკური დაპირისპირების საფრთხეს შეიცავს, ამდენად, ძირს უთხრის უსაფრთხოების სექტორის სტაბილურობას.

სუს-ის უფროსის დანიშვნის წესი ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის ქვეყნებში შემდეგი ფორმებითაა დამკვიდრებული: ბულგარეთის პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს წარდგინებით, 5 წლის ვადით ნიშნავს ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს,⁸⁰⁸ სლოვაკეთში კი სამსახურის დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება მთავრობის წარდგინებით და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 7 წლის ვადით.⁸⁰⁹ ხორვატი-აში, უსაფრთხოებისა და დაზვერვის სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე განწესება და გათავისუფლება პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის ერთობლივი გადაწყვეტილებით ხდება.⁸¹⁰ სააგენტოს ხელმძღვანელის დანიშვნამდე ხორვატიის პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი აფიქსირებს მოსაზრებას კანდიდატთან დაკავშირებით.⁸¹¹ პრეზიდენტი-პარლამენტის მექანიზმია ლიეტუვაში, სადაც უსაფრთხო-

⁸⁰³ იქვე.

⁸⁰⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 207-ე მუხლის მე-10 პუნქტი „ა“ ქვეპუნქტი.

⁸⁰⁵ იქვე, 205-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁸⁰⁶ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 17 დეკემბრის №1-25495/19 წერილი.

⁸⁰⁷ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁸⁰⁸ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 126.

⁸⁰⁹ იქვე.

⁸¹⁰ Security and Intelligence System act of the Republic of Croatia, art. 66, cl. 1.

⁸¹¹ იქვე, 66-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქვეყნის პრეზიდენტი, სემის თანხმობით.⁸¹² ფინეთში უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახური წარმოადგენს შსს-ს ერთ-ერთ ქვედანაყოფს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ხელმძღვანელის ვინაობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მინისტრის კომპეტენციაა.⁸¹³

საპარლამენტო ქვეყნებიდან,⁸¹⁴ ძირითადად, უსაფრთხოების სამსახურის დანიშვნაში აღმასრულებელი შტოს სხვადასხვა ორგანოა ჩართული. თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, სადაც პროცესში საკანონმდებლო ხელისუფლება მონაწილეობს. ამის მაგალითია ესტონეთი. აქ უსაფრთხოების სამსახურის უფროსს 5 წლის ვადით ნიშნავს ქვეყნის მთავრობა, შესაბამისი მინისტრის მიერ კანდიდატურის შეთავაზების საფუძველზე.⁸¹⁵ მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცედურამდე მინისტრი ისმენს პრეტენდენტის თაობაზე რიგიკოგუს სპეციალიზებული კომიტეტის⁸¹⁶ მოსაზრებას.⁸¹⁷ დანარჩენი სახელმწიფოებიდან უნგრეთში ეროვნული უსაფრთხოების სამსახურები იმართება გენერალური დირექტორების მიერ, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერმინისტრი, შესაბამისი მინისტრის შეთავაზების საფუძველზე.⁸¹⁸ ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ მიუთითებს გენერალური დირექტორის დანიშვნის ვადაზე. იტალიაში შიდა ინფორმაციისა და უსაფრთხოების სააგენტოს (The Internal Information and Security Agency (AISI)) ხელმძღვანელს 4 წლის ვადით ნიშნავს პრემიერმინისტრი, რესპუბლიკის უსაფრთხოების სამინისტროთაშორის კომიტეტთან წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე.⁸¹⁹ ეს უკანასკნელი არის საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: პრემიერმინისტრი, მის მიერ კონკრეტული საკითხების დელეგირებისთვის არჩეული პირი, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების მინისტრები.⁸²⁰ ლატვიის უსაფრთხოების პოლიცია შს სამინისტროს ქვედანაყოფს წარმოადგენს.⁸²¹ ესპანეთში კი ეროვნული დაზვერვის ცენტრის (მის მანდატში შედის როგორც საშინაო, ისე საგარეო დაზვერვა)⁸²² ხელმძღვანელი ინიშნება თავდაცვის მინისტრის წარდგინებით, სამეფო დეკრეტის საფუძველზე.⁸²³ დეკრეტები მტკიცდება მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით,⁸²⁴ ხოლო მათ რატიფიცირებას ან ანულირებას უკეთებს კონგრესი, მარტივი უმრავლესობის მეშვეობით.⁸²⁵ ესპანეთში დაზვერვის ცენტრი

⁸¹² Republic of Lithuania Law Amending the Law on Intelligence art. 31.

⁸¹³ SUPO is an expert in national security, ფინეთის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.supo.fi/en>, განახლებულია: 16.10.2018.

⁸¹⁴ საბერძნეთსა და ესპანეთში საშინაო უსაფრთხოებასა და საგარეო დაზვერვაზე ერთი შიდა უწყებაა პასუხისმგებელი. ინფორმაციების დუბლირების თავიდან ასაცილებლად, ეს ქვეყნები დაზვერვის ნაწილში იქნება განხილული.

⁸¹⁵ Security Authority Act of Estonia, art. 15.

⁸¹⁶ აქ იგულისხმება კომიტეტი, რომლის ფუნქციაა მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის ზედამხედველობა.

⁸¹⁷ Security Authority Act of Estonia, art. 15.

⁸¹⁸ Act 125 of 1995 on the National Security Services of Hungary, art. 12, cl. 1.

⁸¹⁹ The Director of the AISI, შიდა ინფორმაციისა და უსაფრთხოების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y3hht88m>, განახლებულია: 24.08.2019.

⁸²⁰ CISR, იტალიის შიდა ინფორმაციისა და უსაფრთხოების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y5fhaoxy>, განახლებულია: 24.08.2019.

⁸²¹ Law on the State Security Institutions of Latvia, sec. 15, cl. 1.

⁸²² How does the CNI work?, ეროვნული დაზვერვის ცენტრის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.cni.es/en/howdoesthecnwork/>, განახლებულია: 24.08.2019.

⁸²³ Law 11/2002, 6 May, Regulating The National Intelligence Centre of Spain, art. 9, cl. 1.

⁸²⁴ The Constitution of Spain, art. 62, cl. F.

⁸²⁵ Standing Orders of the Congress of Deputies, art. 151, cl. 3.

თავდაცვის სამინისტროს ნაწილია, თუმცა, როგორც კანონი მიუთითებს, ის ცალკე იურიდიულ პირად არსებობს.⁸²⁶ ვინაიდან საბერძნეთის ეროვნული დაზვერვის სამსახური შს სამინისტროს შემადგენლობაშია, დაზვერვის სამსახურის ოფისის გენერალურ დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს ამ უწყების ხელმძღვანელი.⁸²⁷

მიუხედავად განსხვავებული პრაქტიკისა, საზგასმით უნდა ითქვას, რომ ძალაუფლების კონსოლიდირების საფრთხის გათვალისწინებით, ქართული მოდელის სრულყოფისთვის, უმჯობესია, რომ სუს-ის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნაში მონაწილეობა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანომ მიიღოს, კანდიდატურის დამტკიცებისთვის კი 3/5-იანი კვორუმი განისაზღვროს. ამგვარად, პროცესი კონსენსუსზე ორიენტირებული გახდება, რაც პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით შერჩევას გამორიცხავს.

აღსანიშნავია, რომ სუს-ის მოქმედი უფროსის გრიგოლ ლილუაშვილის დანიშვნის პროცესში (რომელიც პარლამენტმა 2019 წლის 17 ოქტომბერს დაამტკიცა)⁸²⁸ „სამართალდამცავ ორგანოში მუშაობის სულ ცოტა 2 წლის გამოცდილების“ ცენზთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არსებობდა. მისი, როგორც სუს-ის უფროსის მოადგილისა და პირველი მოადგილის სტაჟი არ შეადგენდა ორ წელს (ის სუს-ის უფროსის მოადგილე 2017 წლის დეკემბრიდან, პირველი მოადგილე კი 2019 წლის იანვრიდან იყო).⁸²⁹ წარსული პროფესიული გამოცდილებიდან გასარკვევი იყო, რამდენად შეიძლებოდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში საქმიანობა გათანაბრებულიყო „სამართალდამცავ ორგანოში მუშაობასთან.“ როგორც გრიგოლ ლილუაშვილის ბიოგრაფიიდან ირკვევა, ის იყო „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელი მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია „RILO“-ში, დსთ-ის ქვეყნების საბაჟო სამსახურების მეთაურთა უმაღლეს საბჭოში (2003-2004).“⁸³⁰ მოქმედი კანონმდებლობა სამართალდამცავი ორგანოების ჩამონათვალში ფინანსთა სამინისტროსაც მოიაზრებს,⁸³¹ ხოლო ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს უწოდებს.⁸³²

2003-2004 წლებში მოქმედი კანონმდებლობით კი, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში საქმიანობა გულისხმობდა სამართალდამცავ ორგანოში საქმიანობას. კერძოდ, ფინანსთა მინისტრის ბრძანება მიუთითებდა, რომ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი [...] არის სამართალდამცავი სტატუსის მქონე საბაჟო ორგანო, რომელიც შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საქვეუწყებო დაწესებულების სახით.“⁸³³ ამდენად, გრიგოლ ლილუაშვილი აკმაყოფილებდა სამართალდამცავ ორგანოში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილების ცენზს.

⁸²⁶ Law 11/2002, 6 May, Regulating The National Intelligence Centre of Spain, art. 7.

⁸²⁷ Law on National Intelligence Service and other provisions of Greece, art. 9, cl. 2.

⁸²⁸ პარლამენტმა სუს-ის უფროსის თანამდებობაზე გრიგოლ ლილუაშვილი დაამტკიცა, საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yzvmbca>, განახლებულია: 17.11.2019.

⁸²⁹ სუს-ის უფროსის პირველ მოადგილედ გრიგოლ ლილუაშვილი დაინიშნა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/sus-is-ufrosis-pirvel-moadgiled-grigol-liluashvili-dainishna/>, განახლებულია: 17.11.2019.

⁸³⁰ გრიგოლ ლილუაშვილი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/mp/5689>, განახლებულია: 26.01.2020.

⁸³¹ საქართველოს კანონი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი.

⁸³² საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

⁸³³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 29 აგვისტოს №269 ბრძანება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი.

10.2. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ანგარიში

სუს-ის უფროსი (ან მისი მოადგილე) ვალდებულია, ყოველი წლის 15 აპრილის ჩათვლით, პარლამენტს წარუდგინოს წინა წლის ანგარიში.⁸³⁴ ანგარიშის წარდგენა უფროსის მოადგილესაც შეუძლია.⁸³⁵ ეს პროცედურა მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის საკითხის განსასაზღვრად და დასაყენებლად.⁸³⁶ ანგარიშვალდებული პირი თავად წარადგენს ანგარიშს და საკანონმდებლო ორგანო, შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, აკისრებს მას პასუხისმგებლობას. ამდენად, **აუცილებელია, რომ კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და სუს-ის უფროსის მოადგილის მიერ ანგარიშის წარდგენის შესაძლებლობა გაუქმდეს (საპატიო მიზეზის შემთხვევაში, დასაშვებია, არსებობდეს ანგარიშის წარდგენის ვადის გადადების პირობა).**

სუს-ის 2018 წლის (პარლამენტს წარედგინა 2019 წლის 27 მარტს) ანგარიში (წარადგინა სუს-ის უფროსმა)⁸³⁷ მოიცავს ინფორმაციას სამსახურის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განხორციელებული საქმიანობის მიმართულებების შესახებ და შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: ოკუპირებული ტერიტორიები, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრდაზვერვითი საქმიანობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, ანალიტიკური საქმიანობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სამართლებრივი ბაზის დახვეწა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, უწყებათაშორისი თანამშრომლობა, საერთაშორისო თანამშრომლობა და ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები.⁸³⁸ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს არ ჰქონია რაიმე შენიშვნა ან რეკომენდაცია, პარლამენტმა კი, დადგენილებით, დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ანგარიში.⁸³⁹

სუს-ის 2019 წლის (პარლამენტს წარედგინა 2020 წლის 14 აპრილს)⁸⁴⁰ ანგარიში (წარადგინა სუს-ის უფროსის მოადგილემ)⁸⁴¹ მოიცავს ინფორმაციას სამსახურის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განხორციელებული საქმიანობის მიმართულებების შესახებ და შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: ოკუპირებული ტერიტორიები, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრდაზვერვითი საქმიანობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სასამართლოებთან ურთიერთობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სამართლებრივი ბაზის დახვეწა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, უწყებათაშორისი თანამშრომლობა, საერთაშორისო თანამშრომლობა და ადამიან-

⁸³⁴ საქართველოს კანონი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 171-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸³⁵ პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში მოისმინეს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y27tufun>, განახლებულია: 17.10.2018.

⁸³⁶ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 162.

⁸³⁷ პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ანგარიშს უსმენენ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y4jq8e7q>, განახლებულია: 02.12.2019.

⁸³⁸ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი.

⁸³⁹ იქვე.

⁸⁴⁰ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136156/1-5776>, განახლებულია: 17.09.20.

⁸⁴¹ საპარლამენტო კომიტეტებმა გაერთიანებულ სხდომაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს, ახალი ამბები, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y6sngxvrs>, განახლებულია: 17.09.20.

ნური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები.⁸⁴² ანგარიში თავდაცვისა და უშიშროების, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებმა გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს.⁸⁴³ პარლამენტს ამ საკითხზე დადგენილება არ მიუღია.⁸⁴⁴

10.3. სუს-ის უფროსის პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე

ანგარიშის მოსმენის შემდეგ დეპუტატთა 1/3-ს უფლება აქვს, დასვას სუს-ის უფროსის გადაყენების საკითხი, „თუ ანგარიშის მოსმენისას გამოიკვეთა ასეთი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა.“⁸⁴⁵ გადაწყვეტილება მიიღება აბსოლუტური უმრავლესობით.⁸⁴⁶

სუს-ის უფროსის თანამდებობაზე ყოფნის 6-წლიანი ვადა არ ემთხვევა პარლამენტის უფლებამოსილების ვადას. ამგვარი რეგულირების მიზეზი მისი პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლება უნდა იყოს და, მიუხედავად არჩევნებში დაფიქსირებული შედეგებისა, პირი თანამდებობაზე უნდა დარჩეს. თუმცა, პასუხისმგებლობის არსებული მოდელის პირობებში მისი გადაყენება მარტივადაა შესაძლებელი ახალი მმართველი გუნდის მიერ, ანგარიშის განხილვისას, 1/3-ის ინიცირებისა და აბსოლუტური უმრავლესობის მეშვეობით.⁸⁴⁷

არსებობს სხვა მექანიზმიც. კერძოდ, რეგლამენტის თანახმად, მთავრობის მიერ სუს-ის უფროსის უფლებამოსილების შეჩერებისა და პარლამენტისთვის მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნის წარდგენის შესახებ განკარგულების მიღება. ამ შემთხვევაში პარლამენტი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დასკვნის საფუძველზე, აბსოლუტური უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.⁸⁴⁸ ორივე ეს მოდელი წარმოადგენს კვაზი-უნდობლობის პროცედურას და ზემოაღნიშნულ 6-წლიან ვადას, ფაქტობრივად, აზრს უკარგავს.⁸⁴⁹ იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში ახალი პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს, დიდია ალბათობა, რომ ის მიდრეკილი იყოს სუს-ის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად.⁸⁵⁰ ეს შესაძლებლობა მით უფრო „მიმზიდველად“ გამოიყურება, რამდენადაც მის გასათავისუფლებლად აბსოლუტური (და არა კვალიფიციური) უმრავლესობის თანხმობაა საჭირო.⁸⁵¹

კომპარატივისტიკა მიუთითებს, რომ საქართველო განსხვავებულ გზას ადგას. შესწავლილი ნაჩვენებ საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის სისტემის მქონე ქვეყნებში⁸⁵² პრეზიდენტი-პრემიერის/მთავრობის სქემა მოქმედებს. კერძოდ,

⁸⁴² საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.

⁸⁴³ საპარლამენტო კომიტეტებმა გაერთიანებულ სხდომაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს, ახალი ამბები, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.

⁸⁴⁴ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.

⁸⁴⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 183-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸⁴⁶ იქვე.

⁸⁴⁷ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 162.

⁸⁴⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 183-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁴⁹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 167.

⁸⁵⁰ იქვე.

⁸⁵¹ იქვე.

⁸⁵² ლიტუვაში, ხორვატიასა და ფინეთში საშინაო უსაფრთხოებასა და საგარეო დაზვერვაზე ერთი შიდა უწყებაა პასუხისმგებელი.

ბულგარეთშიც⁸⁵³ და სლოვაკეთშიც⁸⁵⁴ უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოხსნის უფლებამოსილება აქვს პრეზიდენტს, მთავრობის რეკომენდაციის საფუძველზე. გათავისუფლების პროცესში პარლამენტის ჩართულობას ითვალისწინებს ლიეტუვის და ხორვატიის კანონმდებლობა, თუმცა - მნიშვნელოვანი თავისებურებებით. კერძოდ, ლიეტუვაში სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელს თანამდებობიდან ათავისუფლებს პრეზიდენტი, ხოლო ამ გადაწყვეტილებას ადასტურებს სეიმი;⁸⁵⁵ რაც შეეხება ხორვატიას, აქ სადაზვერვო ორგანოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურის ინიცირება შეუძლია პრეზიდენტს, მთავრობის თავმჯდომარეს და პარლამენტს.⁸⁵⁶ როცა პროცედურა ინიცირებულია პრეზიდენტის ან მთავრობის თავმჯდომარის მიერ, საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე, შესაძლებელია, ინიციატორებმა პარლამენტის მოსაზრება მოითხოვონ.⁸⁵⁷ თუ ინიციატორი პარლამენტია, პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე ვალდებული არიან, უსაფრთხოებისა და სადაზვერვო ორგანოს დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლონ.⁸⁵⁸ როგორც აღინიშნა, ფინეთში უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახური წარმოადგენს შს სამინისტროს ერთ-ერთ ქვედანაყოფს და, შესაბამისად, მისი გათავისუფლება ამ უწყების ხელმძღვანელის კომპეტენციაა.⁸⁵⁹

საპარლამენტო ქვეყნებში⁸⁶⁰ უსაფრთხოების სამსახურის გათავისუფლების პროცესში აღმასრულებელი შტოს სხვადასხვა ორგანოა ჩართული. კერძოდ, უნგრეთში ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების გენერალურ დირექტორებს თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერმინისტრი, შესაბამისი მინისტრის შეთავაზების საფუძველზე.⁸⁶¹ იტალიაში შიდა ინფორმაციისა და უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელს თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერმინისტრი, უსაფრთხოების სამინისტროთაშორის კომიტეტთან წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე.⁸⁶² ლატვიის უსაფრთხოების პოლიცია წარმოადგენს შს სამინისტროს ქვედანაყოფს.⁸⁶³ საბერძნეთში ეროვნული დაზვერვის ოფისის გენერალური დირექტორის გათავისუფლების უფლებამოსილება შს მინისტრს ეკუთვნის;⁸⁶⁴ ესპანეთში ეს უფლება მინიჭებული აქვს მთავრობას, როგორც კოლექტიურ ორგანოს.⁸⁶⁵

სუს-ის უფროსის გადაყენების ქართული მოდელის სრულყოფისთვის, მის მიმართ პოლიტიკური ზეწოლისა და უნდობლობით მანიპულირების რისკების გამოსარიცხად, აუცილებელია, გადაყენება მოხდეს კონსენსუსზე დაფუძნებული იმავი მექანიზმით, რომლითაც ის დაინიშნება.⁸⁶⁶

⁸⁵³ The State Agency for National Security Act of Bulgaria, art. 8, cl. 6 (5).

⁸⁵⁴ The Act of the National Council of the Slovak Republic, art. 3, cl. 2.

⁸⁵⁵ მენაბდე, ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი (პირველი გამოცემა), გვ. 110.

⁸⁵⁶ Act on the Security Intelligence System of the Republic of Croatia, art. 66, cl.5.

⁸⁵⁷ იქვე.

⁸⁵⁸ იქვე.

⁸⁵⁹ SUPO is an expert in national security, ფინეთის უსაფრთხოებისა და სადაზვერვო სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი.

⁸⁶⁰ საბერძნეთში საშინაო უსაფრთხოებასა და საგარეო დაზვერვაზე ერთი შიდა უწყებაა პასუხისმგებელი.

⁸⁶¹ Act 125 of 1995 on the National Security Services of Hungary, art.12, cl.1.

⁸⁶² Law of 3 August 2007, n. 124 on the Information system for the security of the Republic and a new discipline of secrecy, art. 7, cl. 9.

⁸⁶³ Law on the State Security Institutions of Latvia, sec. 15, cl. 1.

⁸⁶⁴ Law National Intelligence Service and other provisions of Greece, art. 9, cl. 2.

⁸⁶⁵ Law 11/2002, 6 May, Regulating The National Intelligence Centre of Spain, art. 9, cl. 1.

⁸⁶⁶ იხ. რეკომენდაცია სუს-ის უფროსის დანიშვნის პროცედურის შესახებ.

11. დაზვერვის სამსახური

11.1. დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა

დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.⁸⁶⁷ მისი დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება ერთპიროვნულად პრემიერის ხელშია. ეს კი ამცირებს დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისა და მმართველობის შესაძლებლობებს.⁸⁶⁸

ჰანს ბორნი და იან ლეიფი აღნიშნავენ, რომ, ზოგადად, სასურველია, თუ კანდიდატის ინიცირების უფლებამოსილება ადმინისტრაციულ მტოს დარჩება, ხოლო პარლამენტს ამ პროცესში „შემმოწმებლის როლი“ მიენიჭება.⁸⁶⁹

არსებული ქვეყნების⁸⁷⁰ გამოცდილების ანალიზისას იკვეთება ტენდენცია, რომ დანიშვნის პროცესში არ მონაწილეობს მხოლოდ ერთი ინსტიტუტი. ეს კი, თავის მხრივ, დაზვერვის სამსახურის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ხდება.⁸⁷¹ უპრიანია, საქართველომ ეს მიდგომა გაიზიაროს. **ამ პროცესში უპირატესობა უნდა მიენიჭოს პარლამენტის სავალდებულო როლის განსაზღვრას. კერძოდ, მიზანშეწონილი იქნება, თუ სამსახურის ხელმძღვანელს, კონსენსუსზე ორიენტირებული მექანიზმის საფუძველზე, თანამდებობაზე საკანონმდებლო ორგანო განაწესებს. ეს გაზრდის დემოკრატიული მმართველობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს.**

11.2. დაზვერვის სამსახურის ანგარიშვალდებულება

დაზვერვის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია პრემიერმინისტრის წინაშე.⁸⁷² მასზე საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება კონსტიტუციითა და რეგლამენტით განსაზღვრული წესით.⁸⁷³ კერძოდ, სამსახურს ზედამხედველობას უწევს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი (სხვა დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტები) და ნდობის ჯგუფი.⁸⁷⁴ დაზვერვის სამსახური, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი სხვა უწყებების მსგავსად, ვალდებულია, ნდობის ჯგუფს წელიწადში ერთხელ წარუდგინოს მოხსენება წინა წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ.⁸⁷⁵ თუმცა, ის არ წარდგება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რაც ანგარიშვალდებულების ამ მექანიზმს მეორეხარისხოვან ელფერს სძენს.⁸⁷⁶

ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის ქვეყნებიდან ბულგარეთში სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის, ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარისა და პრემიერმინისტრის წინაშე,⁸⁷⁷ რომლებსაც ის ანგარიშს წარუდგენს.⁸⁷⁸ გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სააგენტო ყოველწლიურად მინისტრთა საბჭოსაც აბარებს საქმიანობის ანგარიშს,

⁸⁶⁷ საქართველოს კანონი საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸⁶⁸ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 139.

⁸⁶⁹ იქვე.

⁸⁷⁰ ამ საკითხზე ქვეყნების პრაქტიკის ანალიზი იხ. 11.1. ქვეთავში.

⁸⁷¹ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 139.

⁸⁷² საქართველოს კანონი საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸⁷³ იქვე, 27-ე მუხლი.

⁸⁷⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 156-ე მუხლი.

⁸⁷⁵ იქვე, 159-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

⁸⁷⁶ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 141.

⁸⁷⁷ The State Agency for National Security Act of Bulgaria, art. 131.

⁸⁷⁸ იქვე.

რომელიც შემდგომ საკანონმდებლო ორგანომ უნდა დაამტკიცოს.⁸⁷⁹ ლიეტუვის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სეიმისა და პრეზიდენტის წინაშე.⁸⁸⁰ ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიში შედის შესაბამის კომიტეტში.⁸⁸¹ ხორვატიაში უსაფრთხოებისა და დაზვერვის სააგენტო (SOA) ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის, პარლამენტის პრეზიდენტის (თავმჯდომარის), მთავრობის, პრეზიდენტისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს (the National Security Council (UVNS)) წინაშე.⁸⁸² სააგენტო ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარეს და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომიტეტების ხელმძღვანელებს.⁸⁸³ „სლოვაკეთის დაზვერვის სამსახურის უფროსი, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ ანგარიშით გამოდის სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წინაშე; ფინეთის დაზვერვის ორგანო შს სამინისტროს შემადგენელი ნაწილია და შს მინისტრის წინაშე აგებს პასუხს. ეს უკანასკნელი კი დაზვერვის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციასა და მოპოვების ხერხებზე ყოველწლიურ ანგარიშს საპარლამენტო ომბუდსმენს წარუდგენს.“⁸⁸⁴

საპარლამენტო ქვეყნებში აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: „საბერძნეთში ეროვნული დაზვერვის ორგანოს კოორდინირების საბჭოს იქმნება, რომელიც ამ უწყებას მართავს. საბჭოს შემადგენლობაში შს მინისტრი, ეკონომიკისა და ფინანსების, საგარეო საქმეთა, ეროვნული თავდაცვისა და სხვა მინისტრები შედიან. საბჭოს შს მინისტრი ხელმძღვანელობს. დაზვერვის ორგანო ანგარიშვალდებულია ამ საბჭოს წინაშე; უნგრეთში უსაფრთხოებისა და დაზვერვის ორგანოები სულ მცირე წელიწადში ერთხელ ანგარიშს მთავრობას აბარებენ; ლატვიაში ეროვნული უსაფრთხოების თაობაზე ანგარიშს პრემიერმინისტრი წარუდგენს სეიმს; ესტონეთში უსაფრთხოების/დაზვერვის სამსახურის უფროსი შესაბამისი მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული. შემდგომ ეტაპზე მინისტრი და პრემიერმინისტრი 6 თვეში ერთხელ ანგარიშს წარუდგენენ რიიგიკოგუს უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის განმახორციელებელ კომიტეტს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, რიიგიკოგუს წარუდგენს ანგარიშს წელიწადში ერთხელ.“⁸⁸⁵ ეკვანეთში ეროვნული დაზვერვის ცენტრზე საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება სპეციალური საპარლამენტო კომიტეტის (კომისიის) მიერ, რომელიც შედგება კონგრესის სპიკერისა და ყველა პოლიტიკური ჯგუფის (ფრაქციის) თავმჯდომარისგან.⁸⁸⁶ მთავრობა ვალდებულია, კომისიას წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიშები ეროვნული დაზვერვის ცენტრის საქმიანობის შესახებ.⁸⁸⁷ კომისიის წინაშე ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლის ვალდებულება აქვს ეროვნული დაზვერვის ცენტრის დირექტორსაც.⁸⁸⁸ იტალიაში გარე ინფორმაციისა და უსაფრთხოების სამსახურს, ისევე როგორც უსაფრთხოების სექტორში შემავალ სხვა უწყებებს, აკონტროლებს რესპუბლიკის უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტი (Comitato Parlamentare per la Sicurezza della Repubblica – COPASIR).⁸⁸⁹ მის

⁸⁷⁹ იქვე, art. 132, cl. 3.

⁸⁸⁰ Republic of Lithuania Law Amending the Law on Intelligence, art. 8, cl. 1 (1).

⁸⁸¹ იქვე, art. 21, cl. 4.

⁸⁸² Security and Intelligence System act of the Republic of Croatia, art. 55, cl. 1.

⁸⁸³ იქვე, art. 55, cl. 2.

⁸⁸⁴ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 141.

⁸⁸⁵ იქვე.

⁸⁸⁶ Aidan Wills and Mathias Vermeulen, Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union, European Parliament, Brussels, 2011, p. 299.

⁸⁸⁷ იქვე.

⁸⁸⁸ იქვე.

⁸⁸⁹ Ducci S., ITALIAN INTELLIGENCE SERVICES AND ACCOUNTABILITY, p. 2, ხელმისაწვდომია: <http://www.rieas.gr/images/italyintel.pdf>, განახლებულია: 23.09.2019.

შემადგენლობაში შედის ქვედა და ზედა პალატის 5-5 წევრი. კომიტეტი რეგულარულ ანგარიშებს ისმენს როგორც პრემიერმინისტრის, ისე დაზვერვის სამსახურის უფროსისგან.⁸⁹⁰

როგორც განხილული ქვეყნების მაგალითებიდან ირკვევა, ანგარიშვალდებულების ფორმები თითოეულ სახელმწიფოში მკვეთრად თავისებურია და არ არსებობს აბსოლუტურად იდენტური პროცედურები. თუმცა, მაინც შეიძლება ორი ძირითადი მიდგომის გამოყოფა: პირველი, როცა დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშით წარდგება აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი პირის/ორგანოს წინაშე და მეორე, როცა ანგარიში პარლამენტის შესაბამის კომიტეტს წარედგინება (არსებობს ამ ორი ხედვის გაერთიანების მაგალითებიც). უშუალოდ საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებულების ფორმების განსაზღვრა უფრო მიღებული პრაქტიკაა და ბევრად დემოკრატიულადაც უნდა ჩაითვალოს. **მართალია, საქართველოში დაზვერვის სამსახური წარადგენს ანგარიშს ნდობის ჯგუფის წინაშე, თუმცა სათანადო ზედამხედველობისთვის ეს საკმარისი არ არის. საჭიროა, ანგარიშის ფორმატი, სულ მცირე, შესაბამისი კომიტეტის, საუკეთესო შემთხვევაში კი, პლენარული სხდომის (არასაილუმლო ნაწილი) დონეზე განისაზღვროს.**

11.3. დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა

მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, დაზვერვის სამსახურის დანიშვნის მსგავსად, მისი გათავისუფლების საკითხიც ექსკლუზიურად პრემიერმინისტრს აქვს მინდობილი⁸⁹¹ და, შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც მსგავსი რისკები არსებობს.⁸⁹² მიზანშეწონილია, რომ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ერთი ინსტიტუტის ხელში არ იყოს მოქცეული, სამსახურის საქმიანობა კი არა პოლიტიკური პრეფერენციების, არამედ პროფესიული მახასიათებლებით წარიმართებოდეს.⁸⁹³

საერთაშორისო გამოცდილების მაგალითები თანხვედრაში არ არის ქართულ პრაქტიკასთან. ნახევრად საპრეზიდენტო, პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპის რესპუბლიკებიდან პრეზიდენტი-მთავრობის/პრემიერის სქემის მაგალითებია ბულგარეთი⁸⁹⁴ და სლოვაკეთი.⁸⁹⁵ ამ ქვეყნებში შესაბამისი სააგენტოს ხელმძღვანელს ათავისუფლებს პრეზიდენტი მთავრობის რეკომენდაციის საფუძველზე. გათავისუფლების პროცესში პარლამენტის ჩართულობას ითვალისწინებს ლიეტუვისა და ხორვატიის კანონმდებლობა, თუმცა - მნიშვნელოვანი თავისებურებებით. კერძოდ, ლიეტუვაში სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელს თანამდებობიდან ათავისუფლებს ქვეყნის პირველი პირი, ხოლო ამ გადაწყვეტილებას ადასტურებს სეიმი;⁸⁹⁶ რაც შეეხება ხორვატიას, აქ სადაზვერვო ორგანოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურის ინიცირება შეუძლია სახე-

⁸⁹⁰ იქვე.

⁸⁹¹ საქართველოს კანონი საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸⁹² მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 143.

⁸⁹³ იქვე.

⁸⁹⁴ მსგავსი დანიშვნის სქემა არსებობს ბულგარეთის ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო სააგენტოს (State Agency for National Security), ასევე, სამხედრო საინფორმაციო სამსახურის (Military Information Service) ხელმძღვანელთა დანიშვნასთან დაკავშირებით, Act on the Management and Functioning of the System of National Security Protection, SG No. 61/11.08.2015, art. 7.5. ხელმისაწვდომია: <https://www.dar.bg/en/files/113-act-on-the-management-and-functioning-of-the-system-of-national-security-protection.pdf>, განახლებულია: 08.01.2017.

⁸⁹⁵ The Act of the National Council of the Slovak Republic, art. 3, cl. 2.

⁸⁹⁶ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი (პირველი გამოცემა), გვ. 110.

ლმწიფოს მეთაურს, მთავრობის თავმჯდომარეს და ხორვატიის პარლამენტს.⁸⁹⁷ როცა პროცედურა ინიცირებულია პრეზიდენტის ან პრემიერის მიერ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შესაძლებელია, ინიციატორებმა პარლამენტის მოსაზრება მოითხოვონ.⁸⁹⁸ თუ ინიციატორი საკანონმდებლო ორგანოა, ქვეყნის პირველი პირი და მთავრობის თავმჯდომარე ვალდებული არიან, უსაფრთხოებისა და სადაზვერვო ორგანოს დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლონ.⁸⁹⁹ როგორც აღინიშნა, ფინეთში უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახური წარმოადგენს შს სამინისტროს ერთ-ერთ ქვედანაყოფს და, შესაბამისად, მისი გათავისუფლება ამ უწყების ხელმძღვანელის კომპეტენციაა.⁹⁰⁰

საპარლამენტო ქვეყნებიდან, საბერძნეთში ეროვნული დაზვერვის ოფისის გენერალური დირექტორის გათავისუფლების უფლებამოსილება შს მინისტრს ეკუთვნის;⁹⁰¹ ლატვიის უსაფრთხოების პოლიცია წარმოადგენს შს სამინისტროს ქვედანაყოფს, რაც მინისტრს აძლევს შესაძლებლობას, თანამდებობიდან გადააყენოს მისი ხელმძღვანელი;⁹⁰² უნგრეთში მას ათავისუფლებს პრემიერმინისტრი, შესაბამისი მინისტრის შეთავაზების საფუძველზე.⁹⁰³ იტალიაში დაზვერვის სამსახურის უფროსს ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის უსაფრთხოების სამინისტროთაშორის კომიტეტთან წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე.⁹⁰⁴ ესპანეთში ეს უფლება მინიჭებული აქვს მთავრობას, როგორც კოლექტიურ ორგანოს.⁹⁰⁵

საქართველოს საჭიროებებიდან გამომდინარე, დაზვერვის სამსახურის პოლიტიკური გავლენებიდან მაქსიმალურად დისტანცირების მიზნით, კანონმა უნდა გაითვალისწინოს მისი ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობები და მისგან პოლიტიკური პასუხისმგებლობის მექანიზმი გამოირიცხოს.

⁸⁹⁷ Act on the Security Intelligence System of the Republic of Croatia, art. 66, cl.5.

⁸⁹⁸ იქვე.

⁸⁹⁹ იქვე.

⁹⁰⁰ SUPO is an expert in national security, ფინეთის უსაფრთხოებისა და სადაზვერვო სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი.

⁹⁰¹ Law National Intelligence Service and other provisions of Greece, art. 9, cl. 2.

⁹⁰² Law on the State Security Institutions of Latvia, sec. 15, cl.1.

⁹⁰³ Act on the National Security Services of Hungary art. 12.

⁹⁰⁴ Law of 3 August 2007, n. 124 on the Information system for the security of the Republic of Italy and a new discipline of secrecy, art. 6, cl. 7.

⁹⁰⁵ Law 11/2002, 6 May, Regulating The National Intelligence Centre of Spain, art. 9, cl. 1.

12. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (შემდგომში - სდსს) მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების გასამხედროებელი დაწესებულებაა, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.⁹⁰⁶ სდსს-ის დებულების თანახმად, სამსახური აერთიანებს 14 სტრუქტურულ დანაყოფს.⁹⁰⁷

სდსს-ის მთავარი ამოცანაა სხვადასხვა თანამდებობის პირთა და სახელმწიფო დაწესებულებათა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან დაცვა.⁹⁰⁸ სდსს-ის საქმიანობის სფეროა „დასაცავი პირთა და დაცვის ობიექტთა უსაფრთხოების მიზნით, დაცვითი, ოპერატიული, ოპერატიულ-სამძებრო და კანონმდებლობით დაშვებული სხვა სპეციალური ღონისძიებების განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში კონტროლისა და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.“⁹⁰⁹

ამ ღონისძიებების მოწაადებასა და ჩატარებაში მონაწილეობის მიზნით, სდსს-ს შეუძლია, სხვადასხვა სამინისტროს, უწყებისა და სამსახურის ძალებისა და საშუალებების მოზიდვა; სახელმწიფო ორგანოებისგან ოპერატიული ცნობების მიღება; დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო ქმედებების მოთხოვნა; ადმინისტრაციული დაკავება და მიყვანა, პირადი და ნივთების გასინჯვა, სატრანსპორტო საშუალებების, ნივთებისა და დოკუმენტების დროებით ჩამორთმევა; საინფორმაციო სისტემების შექმნა, გამოიყენება და სხვა.⁹¹⁰

სდსს-ის უფროსის ანგარიშს სამსახურის საქმიანობის შესახებ ისმენს მთავრობა და პროგრამაც მის მიერვე მტკიცდება.⁹¹¹ მოქმედი რეგლამენტი მიუთითებს, რომ სდსს ერთ-ერთია თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებს შორის⁹¹² და მის მუშაობას პარლამენტი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა (ასევე, სხვა დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტების) და ნდობის ჯგუფის მეშვეობით აკონტროლებს.⁹¹³

კანონის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერმინისტრი.⁹¹⁴ **სდსს-ის ფუნქციების, ამოცანებისა და უფლებამოსილებების გათვალისწინებით, სასურველია, რომ ეს პროცესი მხოლოდ მთავრობის მეთაურის ხელში არ იყოს.**⁹¹⁵ **უმაჯობესი იქნება, თუ სდსს-ის ხელმძღვანელს თანამდებობაზე საკანონმდებლო ორგანო განაწესებს.**

⁹⁰⁶ საქართველოს კანონი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ, 1-ლი მუხლი.

⁹⁰⁷ საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე, მე-15 მუხლი.

⁹⁰⁸ საქართველოს კანონი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ, მე-4 და მე-5 მუხლები.

⁹⁰⁹ საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე, მე-4 მუხლი.

⁹¹⁰ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 173-174.

⁹¹¹ იქვე, გვ. 174.

⁹¹² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 156-ე მუხლი.

⁹¹³ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 174.

⁹¹⁴ საქართველოს კანონი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁹¹⁵ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 174.

რეკომენდაციები

სამთავრობო პროგრამა და პრემიერმინისტრის ანგარიში

- პრემიერმინისტრის ყოველწლიური ანგარიში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების წლისთავს უნდა ემთხვეოდეს;
- სამთავრობო პროგრამა მთავრობის სახელმძღვანელო დოკუმენტად უნდა იქცეს და მან ყველა დასახული მიზანი სრულყოფილად და სისტემურად უნდა განიხილოს;
- პრემიერმინისტრის ყოველწლიური მოხსენების მექანიზმი ეფექტიანად უნდა იმპლემენტირდეს. ამ პროცესში გადამწყვეტია პარლამენტის ძალისხმევა, რათა მომავალშიც არ წარმოიშვას ზეპირი მოხსენებით წარდგომასთან დაკავშირებული პრობლემები, ისე როგორც ეს 2019 წელს მოხდა. რეკომენდებულია, პრემიერმინისტრის მოხსენების შემდგომ დებატები გაიმართოს უშუალოდ სამთავრობო პროგრამითა და მოხსენებით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ და არა მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, რომელსაც პროგრამასთან კავშირი არ აქვს.

მინისტრის საათი და სამთავრობო საათი

- რეგლამენტით უნდა აიკრძალოს ერთი დღის განმავლობაში ერთზე მეტი „მინისტრის საათის“ პროცედურის გამართვა;
- „მინისტრის საათის“ არსებული ვარიანტი უნდა გაუქმდეს და მინისტრები ანგარიშით შესაბამის კომიტეტებში, პრემიერმინისტრთან ერთად, მის მიერ პლენარულ სესიაზე ანგარიშის გატანის წინა კვირაში წარდგენენ;
- ბიურომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა შეცვალოს „მინისტრის საათის“ ფორმატისთვის დამტკიცებული მინისტრების განრიგი, თან ისე რომ წლის განმავლობაში ყველა მინისტრი გამოცხადდეს პარლამენტში;
- რეგლამენტმა უნდა დაამკვიდროს სამთავრობო საათის მექანიზმი, რომელიც ჩამოყალიბდება სტაბილურ, ორკვირეულ ინსტიტუტად (ყოველ სასესიო კვირაში) და ცალკეულ დეპუტატებს მათთვის საინტერესო საკითხებზე მთავრობის წევრებისგან პასუხების მიღების შესაძლებლობას მიანიჭებს. კითხვის დასმისთვის უნდა განისაზღვროს ვადა, რომელიც შეიძლება იყოს სამთავრობო საათამდე 48 საათით ადრე. მინისტრი (პრემიერის ჩათვლით) ვალდებული იქნება, რეგლამენტით განსაზღვრულ დღეს მივიდეს საკანონმდებლო ორგანოში და ყველა კითხვას პირადად უპასუხოს.

ინტერპელაცია

- ინტერპელაციის პროცედურა თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს, ხოლო შესაბამისმა სუბიექტმა შეკითხვა 10 დღით ადრე წარადგინოს;
- საკანონმდებლო ორგანოს წევრებმა უნდა გამოიჩინონ სათანადო ძალისხმევა, რათა მომავალში გასამართი ინტერპელაციების პროცესში შეკითხვების თემატიკასა და საპარლამენტო დისკუსიას შორის თანხვედრა არსებობდეს;
- რეგლამენტმა შესაბამისი ცვლილებების მეშვეობით უნდა გამორიცხოს ერთი ინტერპელაციის ქვეშ რამდენიმე არსებითად განსხვავებული კითხვის დასმის შესაძლებლობა;
- რეგლამენტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ინტერპელაციისა და უნდობლობის პროცედურების ბმა;
- რეგლამენტმა ცხადად უნდა მიუთითოს, რომ ინტერპელაციის დასრულების შემდეგ, ინტერპელანტის ინიციატივის შემთხვევაში, კენჭისყრაზე დგება მის მიერ ინიცირებული დადგენილების პროექტს;

- უნდა არსებობდეს ნორმატიული რეგულირება, რომელიც, სადეპუტატო კითხვის მსგავსად, პარლამენტის ვებგვერდზე ინტერპელაციის გამოქვეყნებასაც სავალდებულოს გახდის.

კითხვა

- ანგარიშვალდებულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ რეგლამენტის ჩანაწერები და უშუალოდ და დროულად გასცენ პასუხები დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს;
- დღის წესრიგში უნდა დადგეს პასუხგაუცემელი კითხვების სამთავრობო საათზე დასმის შესაძლებლობის განხილვა.

ანგარიშვალდებული პირისგან ინფორმაციის გამოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესწავლა

- რეგლამენტმა უნდა დაადგინოს ერთიანი ვადა კომიტეტის მიერ ანგარიშვალდებული პირისგან ინფორმაციის გამოთხოვნისთვის, ხოლო კომიტეტს, საჭიროების შემთხვევაში, მისი მოდიფიცირების საშუალება მისცეს. ვინაიდან ეს კომპეტენცია პარლამენტის წევრის კითხვის უფლებამოსილებიდან საზღვრობს, რეკომენდებულია, რომ მასზე პირდაპირ იდენტური პროცედურები გავრცელდეს (კითხვის შემთხვევაში პასუხის გაცემის ვადაა 15 დღე, რომელიც, ავტორის თანხმობით, შეიძლება 10 დღით გაიზარდოს);
- უფლებამოსილებათა დუბლირების, ასევე, ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, აუცილებელია, საერთოდ გაუქმდეს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი (კომიტეტის უფლებამოსილება, შეისწავლოს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა).

კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება

- რეგლამენტმა პირდაპირ უნდა დაადგინოს, რომ დაბარებული თანამდებობის პირის მოსმენა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან კომიტეტის უახლოეს სხდომაზე იმართება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კომიტეტი სხვა თარიღს მიუთითებს;
- უნდა გაუქმდეს აკრძალვა, რომლითაც კომიტეტის სხდომაზე პირის ხელახლა დაბარება 2 თვის განმავლობაში შეუძლებელია სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე და თითოეულ კომიტეტს სხდომაზე ანგარიშვალდებული პირის დაბარება დამსწრეთა უმრავლესობით ნებისმიერი სიხშირით შეეძლოს;
- ფრაქციას კომიტეტის სხდომაზე ყველა ანგარიშვალდებული პირის, მათ შორის, პრემიერმინისტრის, გენერალური პროკურორისა და სუს-ის უფროსის მოწვევის კომპეტენცია უნდა მიენიჭოს.

კომიტეტის თემატური მომხსენებელი

- კომიტეტების სამოქმედო გეგმებს იდენტური სტრუქტურა უნდა ჰქონდეს. ის უნდა შედგებოდეს კონკრეტული თემისა და მასში შემავალი აქტივობებისგან;
- მოხსენების თემები თანაბრად უნდა გადანაწილდეს კომიტეტის წევრებს შორის და ოპოზიციაც უნდა ჩაერთოს მუშაობაში;
- თემატურ მომხსენებლად უნდა განისაზღვროს მხოლოდ კომიტეტის წევრი, სახელისა და გვარის მითითებით;
- კომიტეტში წევრთა ცვლილებები უნდა აისახოს სამოქმედო გეგმაში.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი და ნდობის ჯგუფი

- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი უნდა გაიყოს. საჭიროა, პარლამენტში შეიქმნას ორი კომიტეტი (საიდუმლო ინფორმაციაზე სრული წვდომით), რომელთაგან ერთი გააკონტროლებს მხოლოდ თავდაცვის სფეროს, ხოლო მეორე - დანარჩენ ორგანოებს. ნდობის ჯგუფი კი უნდა გაუქმდეს;
- უნდა განისაზღვროს ის ვადა, რომლის განმავლობაშიც საპარლამენტო სუბიექტებმა ნდობის ჯგუფიდან წევრის გამოკლებისას სრულად უნდა შეავსონ საკუთარი კვოტა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მექანიზმმა მუშაობა არსებული შემადგენლობით უნდა განაახლოს;
- რეგლამენტმა უნდა განსაზღვროს ნდობის ჯგუფის შეკრების პერიოდულობა;
- ნდობის ჯგუფს ვიზიტის განხორციელება უწყებისთვის შეტყობინების გარეშე უნდა შეეძლოს.

თემატური მოკვლევის ჯგუფი

- საპარლამენტო მექანიზმები, ზოგადი წესის მიხედვით, ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპზე დაყრდნობით კომპლექტდება. თემატური მოკვლევის ჯგუფზე იგივე პრინციპი უნდა გავრცელდეს;
- თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შემქმნელი სუბიექტის წევრთა 1/3-ს;
- მუდმივმოქმედი საბჭოს, კომიტეტის ან ფრაქციის დატოვების შემდეგ დეპუტატი უნდა ჩანაცვლდეს. ჯგუფის შემადგენლობა უნდა მოდიფიცირდეს ფრაქციის ისეთი ზრდის ან შემცირების შემთხვევაშიც, რომელიც გავლენას ახდენს წინასწარ დადგენილ კვოტებზე;
- ჯგუფის შექმნა უბრალო უმრავლესობით უნდა იყოს შესაძლებელი;
- რეგლამენტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ჯგუფის წევრობის საკითხი და ასეთად მხოლოდ შესაბამისი კომიტეტის/საბჭოს წევრი მიიჩნიოს;
- ჯგუფის უფლებამოსილების ვადა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს შემქმნელმა სუბიექტმა;
- ჯგუფის უფლებამოსილების ვადა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაზარდოს მისმა შემქმნელმა ორგანომ, თავად ამ ჯგუფის მიმართვის საფუძველზე;
- თუ ჯგუფი მისთვის დადგენილ ვადას დაარღვევს, ავტომატურად უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება;
- ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევები სრულად უნდა აღმოიფხვრას;
- ჯგუფებმა უნდა დაიცვან რეგლამენტით მათზე დაკისრებული ვალდებულება და დროულად გამოაქვეყნონ ინფორმაცია მოსმენის შესახებ;
- ბიუროს უნდა გაუჩნდეს ვალდებულება, ჯგუფის დასკვნა ყოველ ჯერზე შეიტანოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში;
- პარლამენტმა დროულად უნდა განიხილოს ჯგუფების მიერ მომზადებული საბოლოო დოკუმენტები.

დროებით კომისია

- კომისიის დაკომპლექტების წესი, კონსტიტუციის გარდა, რეგლამენტშიც უნდა აისახოს;
- კომისიის მანდატს არ შეესაბამება მისი უფლებამოსილება, მიმართოს გენერალურ პროკურორს სისხლის სამართლის საქმის მასალების გასაცნობად და ასლების გადასაღებად, ამიტომ ის უნდა გაუქმდეს;
- კომისიის ვადა და მისი გაგრძელების შესაძლებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინოს პარლამენტმა.

სამუშაო ჯგუფი

- ჯგუფები კომიტეტების გადაწყვეტილებით უნდა შეიქმნას;
- ჯგუფში სავალდებულოდ უნდა იყოს გათვალისწინებული ადგილები ოპოზიციონისთვისაც. წევრთა საერთო რაოდენობა კი უნდა განსაზღვროს კომიტეტმა, ნახევარი დაკომპლექტდეს დარგის ექსპერტებით, ხოლო ნახევარი შეივსოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე. ამასთან, მხოლოდ იმ ფრაქციებს უნდა ჰყავდეთ ჯგუფში წევრები, რომელთა წარმომადგენლებიც არიან შესაბამის კომიტეტში;
- კომიტეტის აპარატის წევრი ჯგუფში არ უნდა იყოს წარმოდგენილი;
- კომიტეტმა ჯგუფს შექმნისას უნდა განუსაზღვროს ვადა დაკისრებული დავალების სირთულის გათვალისწინებით. ამის შესახებ კი შესაბამისი ჩანაწერი უნდა გაჩნდეს რეგლამენტში.

დროებითი საგამოძიებო კომისია

- საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის საჭირო დეპუტატთა რიცხვი 1/5-მდე უნდა შემცირდეს;
- დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრების დასახელების უფლება მხოლოდ ფრაქციებს უნდა მიენიჭოთ (როგორც ეს კონსტიტუციითაა გათვალისწინებული);
- დროებითი კომისიის მოქმედების ვადა უნდა გამომდინარეობდეს მოცემული საჭიროებიდან და არ უნდა იყოს ხისტად შეზღუდული, როგორც ეს დღესაც;
- შუალედური გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კომისიის წევრთა იმ რაოდენობას უნდა მიეცეს, რომელიც მის შესაქმნელად არის საჭირო, ხოლო უმრავლესობა მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს იყოს აუცილებელი;
- საგამოძიებო კომისიის დავალების შეუსრულებლობისთვის უნდა დაწესდეს ან სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობა. ერთდროულად ორივე ფორმა შეუსაბამო შესწავლილი სახელმწიფოების პრაქტიკასთან.

სამინისტროები

- კაბინეტში თითოეული ცვლილება პარლამენტის ნდობით უნდა სარგებლობდეს;
- კონსტიტუციის ტექსტში უნდა შევიდეს ცვლილება და პარლამენტს მიენიჭოს მინისტრისთვის ინდივიდუალური პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა;
- უნდა შემცირდეს უნდობლობის პროცედურის ინიციატორთა წრე და ის წევრთა 1/5-ით განისაზღვროს;
- უნდა გაუქმდეს უნდობლობის პროცესის ხელშეორედ ინიცირებისთვის დადგენილი შეზღუდვები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

- სუს-ის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნაში მონაწილეობა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს, კანდიდატურის დამტკიცებისთვის კი 3/5-იანი კვორუმი განისაზღვროს. ამგვარად, პროცესი კონსენსუსზე ორიენტირებული გახდება, რაც პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით შერჩევას გამორიცხავს;
- სუს-ის უფროსის მოადგილის მიერ ანგარიშის პარლამენტში წარდგენის შესაძლებლობა უნდა გაუქმდეს (საპატიო მიზეზის შემთხვევაში, დასაშვებია, არსებობდეს ანგარიშის წარდგენის ვადის გადადების პირობა);

- სუს-ის უფროსი გადაყენების მოდელის სრულყოფისთვის და მის მიმართ პოლიტიკური ზეწოლისა და უნდობლობით მანიპულირების რისკების გამოსარიცხად, აუცილებელია, გადაყენება მოხდეს კონსენსუსზე დაფუძნებული იმავე მექანიზმით, რომლითაც ის დაინიშნება.

დაზვერვის სამსახური და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

- დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელს, კონსენსუსზე ორიენტირებული მექანიზმის საფუძველზე, თანამდებობაზე საკანონმდებლო ორგანო უნდა განაწესებდეს;
- დაზვერვის სამსახური წარადგენს ანგარიშს ნდობის ჯგუფის წინაშე, თუმცა ეს ფორმატი სათანადო ზედამხედველობისთვის საკმარისი არ არის. საჭიროა, ანგარიშის ფორმატი, სულ მცირე, შესაბამისი კომიტეტის, საუკეთესო შემთხვევაში კი, პლენარული სხდომის (არასაიდუმლო ნაწილი) დონეზე განისაზღვროს;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ფუნქციების, ამოცანებისა და უფლებამოსილებების გათვალისწინებით, მისი უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის პროცესი მხოლოდ მთავრობის მეთაურის ხელში არ უნდა იყოს. უმჯობესი იქნება, თუ სდსს-ის ხელმძღვანელს თანამდებობაზე საკანონმდებლო ორგანო განაწესებს.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. დემეტრაშვილი ა. (ავტ. კოლ. ხელ. და პას. რედ.) და სხვ., კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005;
2. მაჭარაძე ზ., სადისერტაციო ნაშრომის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში), თსუ, 2018;
3. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003;
4. Beetham D., *Parliament and Democracy in the Twenty-First Century: A Guide to Good Practice*, მეორე გამოცემა, Inter-Parliamentary Union, ჟენევა, 2006;
5. Bulmer E., *Government Formation and Removal Mechanisms*, International IDEA Constitution-Building Primer 17, Stockholm, 2017;
6. Wiberg M., *Parliamentary Questioning: Control by Communication?*, კრებულიდან, Döring H. (Editor), *Parliaments and Majority Rule in Western Europe*, A publication of the Mannheim centre for European Social Research (MZES) at the University of Mannheim;
7. Wills A., Vermeulen M., *Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union*, European Parliament, Brussels, 2011.

სამეცნიერო სტატიები:

8. Aidan Wills and Mathias Vermeulen, *Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union*, European Parliament, Brussels, 2011;
9. Ducci S., *Italian Intelligence Services and Accountability*;
10. Elliot Bulmer, *Government Formation and Removal Mechanisms*, 2017;
11. Green-Pedersen C., *The Changing Nature of West European Parliaments, From legislators to arenas of agenda setting*;
12. Lehmann W., *Parliamentary committees of inquiry in national systems: a comparative survey of EU Member States*, 2010;
13. Pelizzo R. and Stapenhurst R., *Tools for Legislative Oversight: An Empirical Investigation*, World Bank Policy Research Working Paper 3388, 2004;
14. Shugart, S. M. *Semi-Presidential Systems: Dual Executive And Mixed Authority Patterns*, French Politics, Issue 3, 2005;
15. Yamamoto H., Ed., *Tools for Parliamentary Oversight, A Comparative Study of 88 National Parliaments*, Inter-Parliamentary Union, 2007.

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და დასკვნები:

16. *Committees in Legislatures*, A Division of Labor, Legislative Research Series Paper №2, National Democratic Institute for International Affairs; 1996;
17. *Constitutional and Parliamentary Information*, Association of Secretaries General of Parliaments, Interparliamentary Union, No. 17012nd Half-year -1995;
18. *Legislative Actors' Resources Report Parliamentary Resources, Obtaining Documents, Summoning Ministers, Summoning Experts, Task Area Congruence*, Audit Office, Ombuds Office, Sustainable Governance Indicators 2018;
19. Nussberger A., Özbudun E., Sejersted F., *Report on the Role of the Opposition in a Democratic Parliament*, European Commission for Democracy Through Law, CDL-

- AD(2010)025, Venice, 15-16 October, 2010;
20. OSCE, Opinion on the Draft Law on Parliamentary Oversight in Bosnia and Herzegovina, GEN-BiH/302/2017, Warsaw, 29 March 2017;
 21. Parliamentary Committees on Defence and Security, DCAF Backgrounder, Security Sector Governance and Reform, November, 2005;
 22. Parliament's Investigative Powers. Committees of Inquiries and Special Committees, Briefing, February 2015, European Parliament.

კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშები და დასკვნები:

23. მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., 20 წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორის საქმიანობაზე საქართველოში, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2019;
24. საპარლამენტო მექანიზმების გაძლიერება ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის ურთიერთობებში, საკანონმდებლო კვლევების სერია, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), თბილისი, 2019.

საკანონმდებლო წყაროები:

კონსტიტუციები:

25. საქართველოს კონსტიტუცია;
26. Basic Law for the Federal Republic of Germany;
27. Constitution of Bulgaria;
28. Constitution of Croatia;
29. Constitution of Estonia;
30. Constitution of Finland;
31. Constitution of Greece;
32. Constitution of Hungary;
33. Constitution of Italy;
34. Constitution of Latvia;
35. Constitution of Lithuania;
36. Constitution of Slovakia;
37. Constitution of Spain.

რეგლამენტები:

38. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
39. Act XXXVI of 2012 on the National Assembly of Hungary;
40. Act of the National Council of the Slovak Republic No. 350/1996 on Rules of Procedure;
41. Parliament's Rules of Procedure of Finland;
42. Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act;
43. Rules and procedures of Chamber of deputies of Italy;
44. Rules of Organisation and Procedure of the National Assembly;
45. Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee;
46. Rules of Procedure of the Saeima of Latvia;
47. Seimas of the Republic of Lithuania Statute;
48. Standing Orders of the Congress of Deputies of Spain;
49. Standing Orders of the Croatian Parliament;
50. Standing Orders of the Parliament of Greece;

51. The rules and Procedure of National Assembly of Hungary.

სხვა კანონები:

52. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
53. საქართველოს კანონი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“;
54. საქართველოს კანონი „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“;
55. საქართველოს კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“;
56. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“;
57. საქართველოს კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“;
58. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
59. Act 125 of 1995 on the National Security Services of Hungary;
60. Act on the Management and Functioning of the System of National Security Protection, SG No. 61/11.08.2015;
61. Act regulating the law governing Committees of Inquiry of the German Bundestag (Committees of Inquiry Act – Untersuchungsausschussgesetz);
62. Control Panel Act of 29 July 2009 (Federal Law Gazette I p. 2346), last amended by Article 13 of the Law of 5 January 2017 (BGBl. I p. 17);
63. Law 11/2002, 6 May, Regulating The National Intelligence Centre of Spain;
64. Law of 3 August 2007, N. 124 on the Information System for the Security of the Republic and a New Discipline of Secrecy;
65. Law on National Intelligence Service and other provisions of Greece;
66. Law on the State Security Institutions of Latvia;
67. Republic of Lithuania Law Amending the Law on Intelligence;
68. Security and Intelligence System act of the Republic of Croatia;
69. Security Authority Act of Estonia;
70. The Act of the National Council of the Slovak Republic;
71. The State Agency for National Security Act of Bulgaria.

კანონქვემდებარე აქტები:

72. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულება „მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ“;
73. საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“, 2018 წლის 19 თებერვლის რედაქცია;
74. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 29 აგვისტოს №269 ბრძანება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;
75. Resolución de la Presidencia del Congreso de los Diputados, de 11 de mayo de 2004, sobre secretos oficiales.

აღმასრულებელი ხელისუფლების მოხსენებები, სამთავრობო პროგრამები, ანგარიშები:

76. 2019 წლის 3 სექტემბრის სამთავრობო პროგრამა;
77. 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება;
78. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინტერპელაცია;
79. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა, 2018-2020 წლების სა-

- მთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება;
80. მინისტრის საათი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის გამოსვლა;
 81. მინისტრის საათი - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის გამოსვლა;
 82. მინისტრის საათი - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გამოსვლა;
 83. მინისტრის საათი - თავდაცვის მინისტრის გამოსვლა;
 84. მინისტრის საათი - იუსტიციის მინისტრის გამოსვლა;
 85. მინისტრის საათი - ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გამოსვლა;
 86. მინისტრის საათი - საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა;
 87. მინისტრის საათი - ფინანსთა მინისტრის გამოსვლა;
 88. მინისტრის საათი - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გამოსვლა;
 89. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინტერპელაცია
 90. პრემიერმინისტრის ინტერპელაცია;
 91. პრემიერმინისტრის ყოველწლიური მოხსენება 2019 წელს სამთავრობო პროგრამის შესრულების თაობაზე;
 92. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, მაია ცქიტიშვილის მოსმენა;
 93. სამთავრობო პროგრამა 2019-2020;
 94. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ინტერპელაცია.

ოფიციალური წერილები საკანონმდებლო ორგანოებიდან:

95. ლატვიის სეიმიდან მიღებული წერილი №511.13/1-1-13/20;
96. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილი;
97. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 8 ოქტომბრის №1-17823/19 წერილი;
98. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 წერილი;
99. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 10 დეკემბრის №1-22143/19 წერილი;
100. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 24 დეკემბრის №1-25495/19 წერილი;
101. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 16 იანვრის №1-9/20 წერილი;
102. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 28 იანვრის №2-1311/20 წერილი;
103. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილი;
104. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 26 თებერვლის №1-2397/20 წერილი;
105. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 9 მარტის №1-3157/20 წერილი;
106. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 მარტის №1-3456/20 წერილი;
107. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 1 ივნისის №1-6672/20 წერილი;
108. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 1 ივლისის №1-8116/20 წერილი;
109. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 2 ივლისის №2-7178/20 წერილი;
110. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №1-9605/20 წერილი;
111. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილი;
112. ფინეთის პარლამენტის 2019 წლის 2 ოქტომბრის წერილი ელფოსტის მეშვეობით.

ელექტრონული რესურსები:

113. ბუნდესტაგის ვებგვერდი - <https://www.bundestag.de/en/>;
114. ესპანეთის ეროვნული დაზვერვის ცენტრის ოფიციალური ვებგვერდი - <https://www.cni.es/en/welcometocni/>;
115. ესტონეთის რიიგიკოგუს ვებგვერდი - <https://www.riigikogu.ee/en/>;
116. ინტერპრესნიუსი - <https://www.interpressnews.ge/ka/>;
117. იტალიის დეპუტატთა პალატის ვებგვერდი - <https://en.camera.it/>;
118. იტალიის შიდა ინფორმაციისა და უსაფრთხოების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი - <https://www.sicurezza.gov.it/sisr.nsf/english.html>;
119. ლატვიის სეიმის ვებგვერდი - <https://www.saeima.lv/en/>;
120. საბერძნეთის პარლამენტის ვებგვერდი - <https://www.hellenicparliament.gr/en/>;
121. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი - <https://gyla.ge/ge/>;
122. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი - www.parliament.ge;
123. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ფეისბუქგვერდი - <https://www.facebook.com/parliamentgeo/>;
124. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - <https://matsne.gov.ge/ka/>;
125. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი - <https://1tv.ge/>;
126. სლოვაკეთის ეროვნული კრების ვებგვერდი - <https://www.nrsr.sk/web/>;
127. უნგრეთის პარლამენტის ვებგვერდი - <https://www.parlament.hu/web/house-of-the-national-assembly/>;
128. ფინეთის პარლამენტის ვებგვერდი: <https://www.eduskunta.fi/EN/Pages/default.aspx>;
129. ფინეთის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი - <https://www.supo.fi/en/>;
130. ხორვატიის საბორის ვებგვერდი - [https://www.sabor.hr/en/home/](https://www.sabor.hr/en/home;);
131. Boletín oficial del Estado - <https://www.boe.es/>;
132. Constitute Project - <https://www.constituteproject.org/>;
133. ¿Por qué es importante la Mesa del Congreso? Análisis. Decide la constitución de los grupos, la distribución de escaños y las comparecencias - <https://tinyurl.com/yzkh2wg4>;
134. Sustainable governance indicator - <https://www.sgi-network.org>.

დანართები

ცხრილი №1 - ინტერპელაციის პრაქტიკა საქართველოს პარლამენტში

თარიღი	ინტერპელანტი	აღრესატი	საკითხი	დადგენილება	სტატისტიკური მონაცემები
22.03.2019	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	პრემიერმინისტრი მამუკა ბახტაძე	კრიმინოგენული ვითარების ზრდა	არ დაინიცირებულა	დროითი ლიმიტები: შუკითხვის ავტორს, 10 წუთის მაგივრად, მიეცა 3.5 წუთი; მთავრობის მეთაურმა ისაუბრა 10 წუთი, 30 წუთის ნაცვლად; დამზუბტებული შუკითხვისთვის ავტორს 1 წუთი ჰქონდა, 3 წუთის ნაცვლად; დამოუკიდებელ დეპუტატებს - 2 წუთი, 5 წუთის ნაცვლად; უმრავლესობისა და უმცირესობის მიღმა დარჩენილ ფრაქციებს - 5 წუთი, 15-ის მაგივრად, უმრავლესობას კი - 15 წუთი, 45-ის ნაცვლად. დასკვნითი სიტყვა 7 წუთი გაგრძელდა, 20 წუთის ნაცვლად. შუკითხვის ავტორის გარდა, სიტყვით 11 დეპუტატი გამოვიდა, რომელთაგან 2 იყო უმრავლესობის წევრი.
22.03.2019	ფრაქცია „ევროპული საქართველო-რეგიონები“	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი	სკოლის გამოსაშვები გამოცდების გაუქმება	არ დაინიცირებულა	დროითი ლიმიტები: იგივე, რაც წინა გრაფაში. შუკითხვის ავტორის გარდა, სიტყვით 10 დეპუტატი გამოვიდა, საიდანაც 2 იყო უმრავლესობის წევრი.
22.03.2019	ფრაქცია „ევროპული საქართველო“	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი	სკოლის პედაგოგების ხელფასების ზრდა; სკოლების ავტონომიის საკითხი; მოსწავლის ვაუჩერის ზრდა/ რეფორმირების საკითხი	არ დაინიცირებულა	დროითი ლიმიტები: იგივე, რაც წინა გრაფაში. შუკითხვის ავტორის გარდა, სიტყვით გამოვიდა 7 დეპუტატი, საიდანაც 3 იყო უმრავლესობის წევრი.

31.05.2019	ფრაქცია „ევროპული საქართველო“- მოძრაობა თავისუფლებებისთვის“	პრემიერმინისტრი მამუკა ბახტაძე	საპენსიო რეფორმა; საბანკო რეგულაციები; „ოთხზორობა-ტაბუნაშვილის“ სია; „თიბისი“ ბანკის საქმე	არ დაინიცირებულა	დროითი ლიმიტები: 3 წუთი - კითხვის ავტორს (შეკითხვა მოიცავდა სამ საკითხს, რომელიც ცალ-ცალკე სამა დეპუტატმა წარადგინა. თითოეულს 1 წუთი გამოეყო), 7.5 - წუთი კითხვის ადრესატს პასუხისთვის, 1 წუთი - კითხვის ავტორის დაზუსტებისთვის, 2.5 წუთი - ადრესატს პასუხისთვის, 1.5 წუთი - პარლამენტის დამოუკიდებელ წევრს, უმრავლესობის მიდმა მყოფ ფრაქციებს - 4-4 წუთი, უმრავლესობას - 11.5 წუთი, დასკვნითი სიტყვა - 5 წუთი.
31.05.2019	ფრაქცია „ევროპული საქართველო“- მოძრაობა თავისუფლებებისთვის“	პრემიერმინისტრი მამუკა ბახტაძე	შრომის ანაზღაურების სისტემა და პრაქტიკა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე, სსიპ-ებსა და აიპებ-ში	არ დაინიცირებულა	დროითი ლიმიტები: იგივე, რაც წინა გრაფაში. ინტერპელატისა და პრემიერმინისტრის გარდა, სიტყვით ისარგებლა 15-მა დეპუტატმა, საიდანაც 4 იყო უმრავლესობის წევრი.
31.05.2019	ფრაქცია „ქართული ოცნება“	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო	სოციალური დახმარებების განაწილებისა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ხარჯების მიზნობრიობა	არ დაინიცირებულა	დროითი ლიმიტები: იგივე, რაც წინა გრაფაში. შეკითხვის ავტორის გარდა, სიტყვით 6 დეპუტატი გამოვიდა, რომელთაგან 2 იყო უმრავლესობის წევრი.
31.05.2019	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	ცენტრალური საარჩევნოს კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია	წინასაარჩევნო კამპანიის დროს არსებულ დარღვევებზე ცესკოს მიერ რეაგირების საქონი	არ დაინიცირებულა	დროითი ლიმიტები: იგივე, რაც წინა გრაფაში. სიტყვით 6 დეპუტატი გამოვიდა, რომელთაგან 3 იყო უმრავლესობის წევრი.

29.05.20.	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	პრემიერმინისტრი გიორგი გახარია	სიღარიბე, მათ შორის ბავშვთა და პენსიონერთა სიღარიბე, აგრეთვე, რა გავლენა მოახდინა საგანგებო მდგომარეობის პირობებში ხელისუფლების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა სიღარიბეზე და როგორია მათი გამოსწორების სამომავლო გეგმები	არ დაინიცირებულა	შეითხოვის ავტორის მიერ 5 წუთი, ნაცვლად 10-ისა, აღრესატს - 15, ნაცვლად 20-ისა. დებატებში დრო განაწილდა შემდეგნაირად: დამოუკიდებელ დეპუტატებს - 2.5 წუთი, ნაცვლად 5-ისა; ფრაქციების წარმომადგენლებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული უმრავლესობასა ან უმცირესობაში ეძლევათ 7,5 წუთი, ნაცვლად 15-ისა; უმრავლესობის წარმომადგენლებს ეძლევათ 22 წუთი, ნაცვლად 45-ისა; ხოლო აღრესატს აქვს დასკვნითი სიტყვისთვის 10 წუთი, ნაცვლად 20-ისა. სიტყვით 13 დეპუტატი გამოვიდა, მათგან 4 - უმრავლესობის წევრი.
29.05.20.	ფრაქციები „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ და „ევროპული საქართველო-რეგიონები“	პრემიერმინისტრი გიორგი გახარია	ეკონომიკური კრიზისისას გადასახადების შემცირება, საპენსიო ფონდი, ანტიკრიზისული გეგმა, ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება და დიფერენცირებული მიდგომა საგანგებო მდგომარეობაში დაწესებული შეზღუდვების აღსრულებისას პირთა განსვავებულ ჯგუფებთან მიმართებით	არ დაინიცირებულა	დროითი ლიმიტები: იგივე, რაც წინა გრაფაში. სიტყვით 11 დეპუტატი გამოვიდა, მათგან 5 - უმრავლესობის წევრი.

ცხრილი №2 - ქართველი დეპუტატების მიერ მთავრობისთვის დასმული კითხვებისა და მათზე გაცემული პასუხების სტატისტიკა

პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირები	ვადაცადაცილებული კითხვების რაოდენობა	პასუხგაცემული კითხვების რაოდენობა	სელს აწერს აღრესატი	პასუს სცემს სხვა პირი (%) ¹	დასმული კითხვების რაოდენობა
პრემიერმინისტრი (მამუკა ბახტაძე)	3	1	0	100%	5
პრემიერმინისტრი (გიორგი გახარია)	2	2	1	33%	5
ფინანსთა მინისტრი	10	14	11	55%	34
საგარეო საქმეთა მინისტრი	5	12	4	80.9%	21
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი (მიხეილ ბატიაშვილი)	29	4	26 ²	33%	42
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი (მიხეილ ჩხენკელი)	13	0	17	10.5%	19
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი	10	2	4	77.7%	18
შინაგან საქმეთა მინისტრი (გიორგი გახარია)	1	3	0	100%	13
შინაგან საქმეთა მინისტრი (ვახტანგ გომელაური)	4	1	0	100%	10
იუსტიციის მინისტრი	4	5	0	100%	15
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი	6	4	1	95%	21
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (გიორგი ქობულაია)	3	2	0	100%	11
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (ნათელა თურნავა)	7	0	19	34.4%	29
თავდაცვის მინისტრი (ლევან იზორია)	3	0	0	100%	4
თავდაცვის მინისტრი (ირაკლი დარიბაშვილი)	0	0	4	0%	4

¹ პროცენტული მაჩვენებელი დამრგვალებულია მეათელებამდე სიზუსტით.

² წინამორბედის მიმართ დასმულ 3 კითხვას პასუხი გასცა და ხელი მოაწერა მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (დავით სერგეენკო)	3	0	16	16%	19
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (ეკატერინე ტიკარაძე)	12	4	2	92.5%	28
სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში	3	0	5	37.5%	8
ჯამური რაოდენობა	118	54	110	56.3%	306

ცხრილი №3 - კომიტეტის მიერ ანგარიშგავლდებულ პირთაგან ინფორმაციის გამოთხოვნის პრაქტიკა საქართველოს პარლამენტში

კომიტეტები ¹	გამთხოვნილი ინფორმაცია	ვადა განუსაზღვრა						ვადაგანუსაზღვრელ შემთხვევებში პასუხების მიღება						წერილობითი პასუხი	შეპირდა მისი პასუხი					
		სულ	1 კვირამდე	1-2 კვირა	2 კვირა - 1 თვე	1 თვეზე მეტი	ვადა არ დაინიშნა	პასუხი	1 კვირამდე	1-2 კვირა	2 კვირა - 1 თვე	1 თვეზე მეტი	პასუხი							
		8	0	0	0	0	0	0	0	0	0	8	2	0	3	1	2 ³	6	0	
	აგრარულ საკითხთა კომიტეტი ²																			
	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ⁴	2	0	1	0	1	1 ⁵	1 ⁶	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0
	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი ⁷	23	0	0	0	0	0	0	23	7	3	12	1	0	23	0	0	0	0	
	დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ⁸	5	0	0	0	0	0	0	5	1	2	2	0	0	5	0	0	0	0	
	განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი ⁹	1	0	0	0	0	0	0	1	0	0	1	0	0	1	0	0	0	1	
	ღიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტი ¹⁰	4	1	0	0	1	1 ¹¹	0	3	3	0	0	0	0	2	0	0	0	2	
	ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი ¹²	3	1	1	-	0	0	0	2	1	0	0	1	0	3	0	0	0	0	
	თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი ¹³	11	4	4	0	0	2 ¹⁴	0	7	1	2	3	1	0	11	0	0	0	0	
	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ¹⁵	8	0	0	0	0	0	0	8	2	4	1	1	0	8	0	0	0	0	
	სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი ¹⁶	14	0	0	0	0	0	0	14	0	3	5	2	4 ¹⁷	9	1	0	0	1	
	სულ	79	8	5	1	0	2	4	1	71	17	14	27	7	68	4	0	0	4	

¹ ინფორმაცია განახლებულია 2020 წლის 26 ივნისის მდგომარეობით.

² საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 და 2019 წლის 13 დეკემბრის №1-23004/19 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

³ ორივე შემთხვევაში ესაა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

⁴ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

⁵ ვადა არ დაიცვა საქართველოს მთავრობამ.

⁶ ვასუხი არ გაუცია საქართველოს მთავრობას.

⁷ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 და 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

⁸ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19, 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19, 2019 წლის 13 დეკემბრის №1-23004/19 და 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

⁹ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 და 2019 წლის 13 დეკემბრის №1-23004/19 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁰ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 8 ოქტომბრის №1-17823/19 და 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

¹¹ ვადა არ დაიცვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

¹² საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 და 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

¹³ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19, 2020 წლის 18 თებერვლის №1-1815/20 და 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁴ ვადა არ დაიცვეს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა.

¹⁵ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 16 იანვრის №1-9/20 და 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁶ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 16 იანვრის №1-9/20, 2020 წლის 18 თებერვლის №1-2595/20 და 2020 წლის 9 მარტის №1-3157/20 წერილებით მოწოდებული ინფორმაცია.

¹⁷ მოთხოვნა პასუხგაუცემელი დატოვეს: იუსტიციის, საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრებმა და საქართველოს განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტრომ.

ცხრილი №4 - კომიტეტის უმრავლესობის მიერ თანამდებობის პირთა დაბარების პრაქტიკა საქართველოს პარლამენტში

ანგარიშგაღებული პირის მოწვევის ინიციატორი ¹	კომიტეტის დამსწრეთა უმრავლესობით დაიბარა თანამდებობის პირი	თანამდებობის პირი, რომელიც დაიბარეს	დაბარების თარიღი	განხილვის თემა	სხდომაზე გამოცხადება	
					კი	არა
აგრარულ საკითხთა კომიტეტი ²	-	-	-	-	-	-
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	-	-	-	-	-	-
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი	-	-	-	-	-	-
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	-	-	-	-	-	-
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	✓ ⁶	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე	2019 წლის 12 აპრილი	პლასტიკის ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია	✓	
ღიაპორისა და კავასის საკითხთა კომიტეტი	- ⁷	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	2019 წლის 7 ივნისი	ჭიათურაში მადაროელების გაფიცვა	✓	
ეკროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი	- ⁸	-	-	-	-	-
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი	- ⁹	-	-	-	-	-
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	- ¹⁰	-	-	-	-	-

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი	✓ ¹¹	საქართველოს სახალხო დამცველი	2019 წლის 16 იანვარი	რეგონებისა და მუნიციპალიტეტებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ	✓	
		შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი	2019 წლის 13 მარტი	საზღვრისპირა და გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში არსებული მდგომარეობის შესახებ (დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე)	✓	
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი	✓ ¹²	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი	2019 წლის 21 ოქტომბერი	სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ „ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ“ მიმდინარეობის შესახებ.	✓	
		საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი	2019 წლის 28 ოქტომბერი	ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ	✓	
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	- ¹⁴	-	-	-	-	
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	- ¹⁵	-	-	-	-	
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი	- ¹⁶	-	-	-	-	

<p>✓¹⁷</p> <p>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი</p>		<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი</p>	<p>2020 წლის 17 თებერვალი</p>	<p>1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ნოემბრის №520 დადგენილების საფუძველი და შედეგები. 2. 2019 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების მიმართ არსებული დავალიანება და მისი დაფარვის გეგმა. 3. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების გათავისუფლების შესახებ.</p>	<p>✓¹⁸</p>
---	--	--	-------------------------------	--	-----------------------

ცხრილი №5 - კომიტეტის სხდომაზე ფრაქციის მიერ თანამდებობის პირთა დაბარების პრაქტიკა საქართველოს პარლამენტში

მომწვევი სუბიექტი ¹	კომიტეტი, სადაც დაიბარეს	პირი, რომელიც დაიბარეს	დაბარების თარიღი	სხდომის ჩატარების თარიღი	კომიტეტზე გამოცხადდა		რეგლამენტის დარღვევა	
					კი	არა	კი	არა
„ევროპული საქართველო“ და „ევროპული საქართველო-მომხრობა თავისუფლებისთვის“ ²	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი	2019 წლის 2 აპრილი ³	2019 წლის 23 აპრილი	✓			✓
„ევროპული საქართველო“ ⁴	განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი	განათლების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 7 თებერვალი	✓			✓

„ევროპული საქართველო“ და „ევროპული საქართველო - რეგიონები“ ⁴⁵	დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა მკვინეტაძე	2019 წლის 18 თებერვალი	2019 წლის 26 თებერვალი	✓
„ევროპული საქართველო“ ⁴⁶	საპენსიო სააგენტოს დირექტორი ლევან სურგულაძე	საპენსიო სააგენტოს დირექტორი ლევან სურგულაძე	2019 წლის 14 მარტი	2019 წლის 23 აპრილი	✓
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათელა თურნავა	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათელა თურნავა	2019 წლის 11 აპრილი		
„ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ⁴⁷	„ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ⁴⁸	„ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ⁴⁸	2019 წლის 22 აპრილი	2019 წლის 7 ივნისი	✓
„ნაციონალური მოძრაობა“ ⁴⁹			2019 წლის 30 მაისი	✓	
„ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ¹⁰		ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა მკვინეტაძე	2019 წლის 25 მარტი		✓
„პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგუენკო ან სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, ასევე, შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძე და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ნოდარ ხალური	2019 წლის 2 აპრილი	✓	✓
„დამოუკიდებელი დეპუტატები“ ¹¹		ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი	2020 წლის 13 თებერვალი	2020 წლის 24 თებერვალი	✓

„ევროპული საქართველო“ ¹²	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	მს მინისტრი გიორგი გახარია	2018 წლის 19 დეკემბერი	✓ ¹³	✓	
		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო	2019 წლის 21 აპრილი	✓	✓	
		საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი		✓	✓	
„ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	იურიდიული საკითხთა კომიტეტი	შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა ¹⁴	2019 წლის 4 მარტი და 2 აპრილი	✓	✓	
„ევროპული საქართველო“	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო	2019 წლის 25 თებერვალი ¹⁵	✓	✓	2019 წლის 5 მარტი ¹⁶
„ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო და საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი	2019 წლის 29 მარტი ¹⁷	✓	✓	
„საქართველოს პატრიოტები“		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	2019 წლის 2 აპრილი ¹⁸	✓	✓	
„დამოუკიდებელი დეპუტატები“		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ეკატერინე ტიკარაძე.		✓	✓	

- ¹ ინფორმაცია განახლებულია 2020 წლის 26 ივნისის მდგომარეობით.
- ² საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.
- ³ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 26 თებერვლის №1-2397/20 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.
- ⁴ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №1-20623/19 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.
- ⁵ იქვე.
- ⁶ იქვე.
- ⁷ იქვე.
- ⁸ იქვე.
- ⁹ იქვე.
- ¹⁰ იქვე.
- ¹¹ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 28 ივლისის №1-9604/20 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.
- ¹² საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.
- ¹³ მინისტრის გამოცხადებლობის მიზეზი მანამდე პლენარული სხდომის წინაშე მისი წარდგომა და იმავე საკითხების აღნიშნულ ფორმატში განხილვა იყო. საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 აგვისტოს №1-15068/19 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.
- ¹⁴ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 12 დეკემბრის №1-22377/19 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.
- ¹⁵ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 12 მარტის №1-3794/20 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.
- ¹⁶ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე დაკით სერგეენკოს მოუსმინეს, ასალი ამბები, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/13x8zka>, განახლებულია 27.02.20.
- ¹⁷ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 12 მარტის №1-3794/20 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.
- ¹⁸ იქვე.

ცხრილი №6 - თემატური მომხსენებლის დანიშვნის პრაქტიკა საქართველოს პარლამენტში (2019 წელი)

